

359/3



მნათობი

2

თიბეძევალი



1959



საბავშვო ლიტერატურული-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 36-ე

№ 2

თებერვალი, 1959 წ.

საქართველოს საბავშვო მწერლების კავშირის ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

	35-
ანა კალანდაძე — ლექსები	3
სერგო კლდიაშვილი — ქინკა-ბიჭები. მოთხრობა	5
ლადო ავალიანი — ახალი ჰორიზონტი, რომანი. გაგრძელება	8
სამონ ნიჭიანი — ლექსები	33
კ. ლომ ახვლედიანი — ადამიანი დიბადა. ზღაპარი	35
თე. შერაზ ჯანგულაშვილი — ლექსები	38
არჩილ სულაყაური — ლექსები	39
ელისბარ უბილაძე — ანაკლის დამე მოთხრობა დასასრული	40
ოთარ კილაძე — ლექსები	63
გუგულიან კურდიანი — ლექსები	65
ნიკოლოზ ტიხონოვი — სერგო შიგში, პოემა, გაგრძელება. თარგმანი კარლო კალაძისა	66
გიორგი ჯიბლაძე — ხელოვნების შორეულ ძეგლებთან დასასრული	70

მ. აიკა და პუბლიცისტიკა

ლ. ვ. დათუკიშვილი — სოციალისტური სახალხო მეურნეობა განუხრელი აღმავლობის გზაზე	86
გურამ კანკაძე — ერთი წელიწადი ახალი ქართული პროზის შატანდანი	91
გიორგი სუბაშვილი — იოსებ ნინეშვილის პოეზია	98
ვენერა ჯანგიძე — დიდი ბებიათა დიდი ლირიკოსი	103
გიორგი დოლიძე — რებერტ ბერნსი	106
ნოდარ კაკაბაძე — "ერთდღიანი ებრაელი ქალი"	111
ვახტანგ თვანი — ქართული იურისტები	116
ნატაშა კალანდაძე — მცირე შენიშვნა	127

ბ. შე-2 გვ.

გამომცემლობა
«საბავშვო საქართველო»



ლიბრატურათმცოდნეობა

ლეონ ებანოძე — ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის სათავეებთან	129
ანა ნიკოლაძე — ლევ ტოლსტოი და ქართული საზოგადოებრიობა	142
მის. ზანდუყელი — ღლია ჭავჭავაძის შემოქმედების იგაერო სტილი	150



მეცნიერება

გრ. შანიძე — მრავლობით რიცხვშიც თავისი ენისმართ თუ თავიანთი?	163
--	-----

მეფუარული ლიბრატურა

გვეთ. თაყაიშვილი — მოგონებები. გაგრძელება :	168
ალექსანდრე აბაშელი — უკანასკნელი მგზავრობა	176

წიგნების მიმოხილვა

შალვა აღმაშვილი — ვლადიმერ ელსნერის ლექსების კრებული	181
სიმონ არველაძე — ზურაბ კუხიანიძის ლექსები	184
თ. გორდღიშვილი — თურსუნ-ზადეს რჩეული ლექსები ქართულად	186
ვ. კანიშვილი — ნარკვევი საინგილოზე	188
ნოდარ კუპრაძე — წიგნი ლეგენდარულ გმირზე	190
ახალი წიგნები	192

რედაქტორი **ს. ჩიქოვანი**

სარედაქციო კოლეგია

დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, ლ. კალანდაძე (პ/მგ. მდივანი), გ. მარგველაშვილი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 2-13-42, 2-11-66.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/111-59 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 12. შეკვეთა № 35. უფ. 00880. ანაწილების ზომა 7 1/2 × 12 1/2. ქაღალდის ზომა 70 × 108. ტირაჟი 7000.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბოლოგრაფიამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილი ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры Грузинской ССР. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

ანა კალანდია



დარეკე ზარები, ლორეტა!

პრალაში ლორეტას ტაძართან დასაფლავებულია სამამულო ომში დაღუპული ერთი მებრძოლი თავისივე თხოვნით, რა თა მარადის მოესმინა ლორეტას ზარების ხმა.

ვინ იყო, ცეცხლიან პრალაში
მტრისკენ რომ ცხენს მიაქროლებდა?
ვინ იყო მამაცი მზედარი,
არ იცი, არ ვახსოვს, ლორეტა?
ის მოკვდა რჩეულთა სიკვდილით,
სამარეს შენს ახლოს ჰპოვებდა...
დარეკე, დარეკე ზარები,
ზარები დარეკე, ლორეტა!

რომ... იედოვნიცეს ყანჩები
კვლავ ცაში აფრინდნენ ტოლებთან,
რომ ჩქარა აყვავდნენ წაბლები,
ო, ჩქარა აყვავდნენ, ლორეტა!
რომ ჩაჭრა მსოფლიო ხანძარი,
მიწაზე შეეკვალს რომ ტოვებდა...
ო, სავაზაფხულო ზარები
დარეკე, დარეკე, ლორეტა!

ამ ცოცხალ ყვავილს დადგეს

აუსტერლიციში (მორავია) აგებულია
შეგლი. სასაფლაო 1805 წ. აუსტერლი-
ცის ბრძოლებში დაღუპულთა სსოვნის
აღსანიშნავად.

აქ ორ დეკემბერს მუდამ
მათი ხსენების დღეა
და ცოცხალ ყვავილს დადგეს
ლამაზი მორავია...
და ნატყვიარი ისევ
სტეფია „ვისოტა პრაცეს“
და ირონიულ ღიმილს
შალავს „პატარა კაცი“...
ო, სინანული მისგან
ცასავით მშორავია...
აქ ცოცხალ ყვავილს დადგეს
ლამაზი მორავია...

მაგრამ... ვინ ტირის ასე,
ო, ვინ, პრაცენის ველთა?
მსოფლიოს ყველა ქალი —
დაა, ცოლი და დედა...
ისინი დგანან, დგანან
შეგლ-სასაფლაოს კარად...
ამდენი მსხვერპლი, ცრემლი,
გლოვა, წუხილი... კმარა!
აქ ორ დეკემბერს მუდამ
მათი ხსენების დღეა
და ცოცხალ ყვავილს დადგეს
ლამაზი მორავია...

ეს ხმაა ჩუმი

ეს ხმაა ჩუმი ღამის და ტყისა:
— მე აქ ვარ ისევ, მე აქ ვარ ისევ... —
ო, არა, ეს ხმა... მთვარიდან მოდის:
მისგან იმდენი სინათლე მქონდა...
და ახლა იგი... სიბნელეს ერთვის:

— მე არ ვარ შენთვის, აღარ ვარ შენთვის
არც დასაწყისი, არც დასასრული...
მე, ბობოქარი სატურნის სული,
ღამის და ტყისა,
თუმც აქ ვარ ისევ! —



გაწყინვალე ფეხი

ბრწყინვალე მეფე — ლამაზი ფეხი
 ხეებს ეფარვის ტანმალალ ფიჭვებს:
 მას რაღაც ბოქავს, მას რაღაც იჭერს
 დედამიწაზე (ამ ქვეყნის კორი?)...
 ჩემო მეუფევე... მე შეძებს მხოლოდ!
 ჰო, მე შეძახის, შეძახის ისევ,
 მე მიხმობს მხოლოდ
 „ყოველისმხედველი“...

რას ეძებს ჩემში? რა...
 — განსაწმენდელი!
 — განსაწმენდელი? —

 — ის კვლავ ვენერას მისდევს და
 ქრება... —
 — მე... არასოდეს უარყოფს ფეხი!..

ყვავილები ნანგრევების ახლოს

— ისევ ნიაფი მიახლებს სახმელს:
 კვლავ შენსკენ დამხრის, ო, შენსკენ
 დამხრის...
 კვლავ ჩემსკენ მოაქვს შენი რტოები...
 ნულა მპოვებენ, ნულა მპოვებენ...
 მე... მიხაროდი შენ, მიხაროდი
 და... გვექრძალვოდა ერთუროთის ნახვაც...
 მე მიხაროდა შენ, მიხაროდი... —
 — ო, ღმერთო ჩემო... ახლაც? —
 — ჰო, ახლაც!..
 ო, შენ.. ხომ იცი ეს? შენ ხომ იცი? —
 — მე... ვფიქრობ შენზე. როდესაც
 მიმძივს...

გესმის? შემხედე თვალებში.. —
 — არა!
 ეს... ქარი არის, გუგუნებს? —
 — ქარი,
 საფლავის ქვევზე გადაიგრგვინა... —
 — შენ... ისევ მოგწონს ჩემი
 გვირგვინი? —
 — ძალიან მომწონს, ძალიან მომწონს...
 როდესაც მზეზე ციმციმებს ძოწი...
 ის საიდუმლოს ინახავს მზისა...
 — ისევ ქარია უფსკრულებიდან
 ამომავალი გუგუნებს? —
 — ისევ! —

ზღვის ამ ნაპირთან

ზღვის ამ ნაპირთან იდგა ნებტუნი,
 ძლიერ ქარებთან შმაგი მოღავე.
 და... ისიც ზღვაში ისროდა კენჭებს,
 როგორც ჩვენ, ყველა ყველა
 მოკვდავი...

დასაბამიდან, ო, თითქოს ოდით
 ჩვენ ერთმანეთი ვიცოდით,
 ვგრძნობდით...
 ლურჯთვალა ღმერთი, ცისიქეთური,
 ზღვის ამ ნაპირთან იდგა ნებტუნი...

შქერის ყვავილი ტყის სულს ეკეთა
 თმებში — სოსანი და ლილიანი...
 შქერის ყვავილი ტყის სულს ეკეთა
 და მიჰყვებოდა მალა ლიანებს...

უერთდებოდა ფოთლის შრიალით
 ცას სილამაზე მიწის ეკეთი...
 შქერის ყვავილი ტყის სულს ეკეთა
 თმებში — სოსანი და ლილიანი.



პინკა-ბიჭები

ერთი უბნის მოკლე მატანი

ოდესღაც ამ ფერდობს გვიმრალი რქმეოდა, საბალახოდ გაშვებული ადგილი ყოფილა. სამი მხრით ტყე ერტყა, აღმოსავლეთით, გორაკის თავზე წამომდგარი ეკლესიის ქვემოთ კი სოფელი იყო გაშლილი.

ახლა იმ გვიმრალს აბესაძეების უბანს უწოდებენ.

პირველად აქ ლაზარე დასახლებულა. ლაზარეს ხუთი ვაჟი ჰყოლია: იაკო, თედორე, პაპუნა, აღმასხანი და შოშიტა.

ოჯახი ცხოვრობდა ისლით დახურულ ქვიტყირის გრძელ სახლში, სადაც ზამთრობით პირუტყვსაც შემოიხიზნებდნენ ხოლმე.

როცა დრომ მოაწია, უფროსი ბიჭები დაქორწილებულან და თვითუღს, ქალიშვილების გარდა, ვაჟიც შესძენია: იაკოს — იროდიონი, თედორეს — ეზეკია, პაპუნას — ივანე, აღმასხანს — სპირიდონი. ბოლოს უმცროსმა შოშიტამ მოიყვანა ქალი და მომრავლებულ გვარეულობას კიდევ ორი ბიჭი შეეძინა: შალვა და როსტომი.

პაპა ლაზარემ იმდენხანს იცოცხლა, რომ შვილები კინალამ საბერძნეთში დაეწივნენ, ხოლო შვილიშვილები მოწიფულობაში შევიდნენ. ბევრი გასაჭირის გადაძტანი, მოხუცობაში მშვიდად ცხოვრობდა და მშვიდადვე მიიცვალა: წინკართან რომ საჩრდილობელი ბეოლის ხის ძირში გათლილი ქვა იდო, იქ ჩამომჯდარს სამუდამოდ ჩაეძინა.

მალე ეს დიდი ოჯახიც დაირღვა. ძმები გაიყარნენ და ცალკე ვავიდნენ. მამისეული სახლი, წესისამებრ, უმცროს შოშიტას დარჩა. უფროსებმა ახალი

ოდები აიშენეს, ეზოები შემორაგვეს და თავთავისათვის ვაზი ჩაყარეს... გვიმრალზე, სადაც წინათ ლაზარე ესახლა, ოთხი ახალი კერა გაღვივდა.

ასე იყო და ასე გაჩნდა აბესაძეების უბანი.

წლები გავიდა, ლაზარეს შვილი-შვილებმაც იქორწინეს და მათაც ვაჟები შეემატათ: იროდიონს — აბესალომი, ეზეკიას — სანდრო, ივანეს — იასონი, სპირიდონს — დავითი, შალვას — ლასია, როსტომს — გრიგოლი და ლაზარე.

ცისკრიდან სამხრობამდე, დარში თუ ავდარში მამაკაცები ყანაში და ვენახში მუშაობდნენ. ხუთი სახლის სახურავიდან კერის კვამლი ბოლავს, ქალები შინ საქმიანობენ, პატარებს კი სადმე ეზოში თავი მოუყრიათ, კენჭობიათი ერთობიან ან სათამაშო ურიკელას აკობიტებენ. მზე აცხუნებს, გარეშო სიჩუმეში მხოლოდ ქიჭინების საგალობელი ისმის, მესერზე მიბმული ხზო თუ დაიბღავლებს ხოლმე, ან ღობეზე შემხტარი მამალი იყივლებს.

გამოცოცხლდება უბანი საღამო ხანს, როცა მამაკაცები ყანიდან დაბრუნდებიან. ეზოებს მათი ხმა აღვიძებს, დედაკაცები ოჯახის პატრონებს თავს დასტრიალებენ და პატარებსაც საზრუნავი უჩნდებათ — ცივი წყლის მოსატანად წყაროსაკენ მიტყაპუნობენ. მიდიან, მიიჩქარიან თამაშით, ყვირილით. თუნგულებს ავსებენ და, ბატის ჭუკებივით გაბაწრულნი, ბრუნდებიან.

დაივახშმებენ, კერის ცეცხლს ნაცარი გაბვევენ და უბანი ისევ სიჩუმეში

იძიება. მთვარე ცვარს აყრის მიწას, ორღობეში მუქი ჩრდილი წევს და კალების ძილისპირული სოფლის სიმშვიდეს უნანავებს.

ამ შვიდ ბარტყს — ქინკა ბიჭებს, როგორც მათ ეძახდნენ — ბუნებით დაწესებული ბავშვობა ხანმოკლე ჰქონდათ. ბედმა ისე ინება, რომ უღარდელი წლები ერთბაშად მოსწრაფებოდათ. აღარც კენჭობია და ურიკელა, აღარც პანტას საპოვენლად ტყეში ხეტიალი — უცბადვე წარსულად იქცა ყველაფერი.

ქინკა-ბიჭების მამები, რუხ ფარაჯებში გადაცმულნი, შორეულ ქვეყნებში წაასხეს ვილქელმთან საომრად, ქმრების ჩოხა-ახალუნი კი დედაკაცებმა სათუთად შეინახეს სკივრში — უკან მოკლენ და რიგზე დახვდებოთ.

წავიდნენ ოჯახის უფროსები და მაშინ პირველად დადუმდა აბესაძეების უბანი.

სახნისზე მოკიდება, ტვირთის ზიდვა და სხვა სავაქეაყო მოვალეობა პატარებს დააწვათ კისერზე. შვიდივემ ნაადრევად იგარძნო ცხოვრების სუსხი და იგემა მისი მწარე. მათს ბავშვურ სახეს ის მკაცრი იერი შეერია, მოწიფულ მამაკაცებს რომ აქვთ.

დიდხანს ელოდნენ ქალები თავის პატრონებს, მაგრამ იმათგან ბოლოს მხოლოდ ერთი დაბრუნდა — ყავარჯენზე დაყრდნობილი იროდიონი. ის დღესაც დაბოვინობს და, ცოცხალი ფეხის ნაცვლად, თავისი ხელით გამოთლილ მუხის კეტს მიითრევს. მეზობლების მოსიყვარულეა და ყველასთან ხალისიანი შეხვედრა იცის, ოღონდ ერთი უცნაურობა სჭირს: ვენახს სხლავს თუ ცას შეჰყურებს, მინდორშია თუ ღამით კერძის უხის, მხოლოდ ის დღეები უღვას თვალწინ, როცა ბრძოლის ველზე სიკვდილთან დამძობილებული იყო. თითქოს სხვა არაფერი ენახა ამ ქვეყნად, არც ახალგაზრდობა ჰქონდა აროდეს, არც რაიმე კეთილად მოსაგონარი.

დრო თურმე კეთილი მეტრნალია. ყველას გაუყუჩა და მოუშუშა ტკივილი. პატარები, ოდესღაც ის ქინკა-ბიჭები, დაეაქაცდნენ, სკივრებიდან ამოალაგეს დიდხნის წინად გამოტირებული და მივიწყებული მამების ჩოხა-ახალუნი და მალე კიდევაც დაქორწინდნენ.

მაგრამ ის-იყო დასრულდა მაყრიონის ღზინი ყველაზე უმცროს ლაზარეს სახლში, შვიდივე ომში წავიდა პიტლერთან საბრძოლველად.

წავიდნენ და არც ერთი არ დაბრუნებულა.

მაშინ მეორედ დადუმდა უბანი. ეზოებში ჩანდნენ მხოლოდ შავებში მოსილი ახალგაზრდა ქვრივები.

• •

რამდენიმე წლის შემდეგ ისევ მოვიწინახლე სამშობლო კუთხე.

ერთ მზიან დღეს სოფელში სახეტილოდ გავედი.

ბევრი რამ, რასაც გარშემო ვხედავდი, ჩემს შორეულ წარსულსაც მაგონებდა. აი, ის ძელქვა, რომლის ძირში ბავშვმა ერთხელ წვიმის დროს თავი შეეფარე. სულ ისეთია, როგორც ოდესღაც მინახავს, მღალა და ტოტემგაშლილი. წლებს ოდნავადაც არ შეუცვლია. აი, ნაწებარი ბებერი ჭადარი, რომლის ტანი ძველადაც ფულუროდ იყო ქცეული, დრო იყო აქამდისაც წაქცეულიყო, მაგრამ ის ჯიუტად ჩაბლაუჭებოდა მიწიდან ამოკლაცნილ დიდ ფესვებს და ძირში ორიოდ მწვანე მორჩიე მოუსხამს. გზაჯვარედინთან ძველი ტყე გაუქაფავთ, მაგრამ ახალი ამოყრილიყო და მწვანედ ბიბინებდა.

გზას გავყევი და იმ ადგილს ჩავუარე, სადაც აბესაძეების უბანი იყო. ეზოებში სიჩუმეა, არაფერ არ ჩანს. სახურავების თავზე კვამლი ამოდის და მალე ეთერში ზანტად მიიწევს. საჩრდილობელი ბჟოლის ხის ქვეშ გათლილი

ქვა იდო... სევდიანად გადაეჯვლე თვალი უბანს და გავშორდი.

მიყვები ორღობებს და მალე წყაროს მივეუახლოვდი.

შორიახლოდან ჯერ ბავშვების ხმა მომესმა და მერე თვითონ ისინიც დაეინახე. ხუთი დავთვალე. ჯირკუტანა, ტალიკი ბიჭები იყვნენ. ერთმანეთს წყალს ასხურებდნენ, ხარხარებდნენ და გაწყმპულნი დაბტოდნენ წყაროს ირგვლივ. თამაშობით გული იჯერეს თუ არა, აავსეს თუნგულები, გაიბაწრნენ ბატის ჭუკებივით და წამოტყაპუნდნენ.

რაღაც უნაზესმა მოგონებამ გააღვიძა ჩემში უცერად, გადავუღდე მათ გზაზე და ისე ჩუმად, თითქოს მეშინოდა, ვკითხე:

— ვინ ხართ, ვისი ხართ, ბიჭვბო?

გაკვირვებით შემომხედეს უცხო და ერთმა, რომელიც სხვებზე უფრო თამამი იყო, პასუხი არ დამიყოვნა:

— აბესაძეების ვართ, ეგერ, იმ უბნიდან!

კიდევ ერთხელ შემავლეს თვალში და გაიბაწრნენ დუმილით. როცა მოახრებლთან მივიდნენ, ველარ მოვითვინე და ხმა დავაწიე:

— ეპეი, კინკა-ბიჭვბო, ეპეი!

შეჩერდნენ, გაოცებით შემომხედეს, უცბადვე შეტრიალდნენ, აიოივნენ და მხიარული კაცივით მოკურცხლეს.

მოწყურებული, ხარბად დავეწაფე წყაროს და ისევ იმ გზით გამოვბრუნდი. ბრწყინვალის ყვავილების ცაცხელი მოსდებოდა ორღობებს. გადამწიფებული ალუჩა მოწითალო მტევნებად ეკიდა ტოტებზე და იქ, სადაც ნაყოფი მიწაზე დაცვენილიყო, მაჭრის მსგავსი ტყბილი სურნელი იდგა. ჩემს ახლო შაშვი ავარდა ბუჩქიდან და კახჭახით გადმოიარა. გარშემო კიბინების დაუცხრომელი საგალობელი ისმოდა. მზე დაღვრილიყო მთელ გარემოზე.



ახალი ჰორიზონტი*

სერდიუკი და „მოტაცებული“ გოგონა აფეთქების საშხადისს შეუდგნენ, სანგრევიდან, მათ გარდა, ყველანი გავიდნენ. მოფარებულ ადგილას ჩაიმუხლეს; ბარდლა შუროს მეორე მხარეზე გადავიდა, გერასიმე სოფრომადის სანგრევეში შესასვლელი შტრეკის წინ ისე ჩამოჯდა, თითქოს რაიმეს უდარაჯებსო.

შუროს გადაღმა მოკალათებულნი ცნობისმოყვარეობით უთვალთვალეზდნენ ბარდლას. ამასობაში მან ქურთუკის უშველეზელი ქვედა ჯიბიდან შეგვრა ამოიღო და გაშალა. ბარდლამ ხელსახოცი ზედა საფეხურზე გადაფინა, ლელვის ფოთლები, რომლებშიც ჰყინტი ყველი იყო გახვეული, ხელსახოცზე გამწკრივა და ზედ დააწყო ქათამი, ყველი, ოთხად გატეხილი მოზრდილი ჰადის ნაჭრები და ნივრის თავები. სირბილაძე, შურაც, კლარაც გოცეზული იყვნენ — თავზეხელაღებულ, ძმაბიჭებს გადაყოლილ და პურმარიალიანად ცნობილ ბარდლას როგორ დაემართა ძენწივით რომ ცალკე დაჯდა და შორიდან გვაყურებიანებს ამ ამბავსო. ბარდლა მორჩათუ არა „სუფრის“ გაწყობას, ხელები გაიბერტყა და მარჯვედ შემოტრიალებული ბარკალი ისე აახლიჩა დედალს, ეტყობოდა, ამ საქმეში ხელი დიდი ხნის გავარჯიშებული ჰქონდა. ბარდლამ, ვითომ უცაბედად გაიხედა ამხანაგებისაკენო, საყვედურის გამომხატველი მზერა გაუშტერა მათ და თითქოს ლუკმაც ყელზე დაადგაო. ჰამა შეწყვიტა. სირბილაძემ და კლარამ უნებლიეთ დაბარეს თავი. შურამ კი ბარდლას გამოხედეამდე იბრუნა პირი. ბარდლას ასეთი საქციელი სირცხვილით სწვავდა მას. გუწინწინ არ იყო, საუზმეს რომ შეუდგნენ ისიც დაიწვია, ლუკმა გაუყო? ბარდლას

საქციელმა, უმადურობამ ისე გააცვიფრა ქალიშვილი, ახლა ასეთი ადამიანის შორიახლოს ჯდომაც კი ერცხვინებოდა.

ბარდლას უეცარმა შეძახილმა ყველანი მისკენ მიახედა.

— აგრე შორიდან რომ მიყურებთ, არ იცით, მარტოხელა კაცი ჰამაშვიაც ცოდვიაო?!

ბარდლას შენიშვნამ უმალ გააქარწყულა მოთვალთვალეთა ეჭვი. ყველა მიხედა, ბარდლა განზრახ მოიქცა ასე. აბა, რას იტყვიანო.

სირბილაძეს გაეცინა. შურამაც ასწვია თავი.

— რა ვიცი რა, — წამოიწყო სირბილაძემ, — აქამდი მართლა აგრე იყო. ახლა კი... ვინც ჰამს, ისიც ჰათამს, იმას რა შეგაცოდებს, მარტოხელაც რომ იყოს!

სირბილაძეს შენიშვნამ ყველას გუნება გაუხალისა.

ბარდლამ ცალ მუხლზე წამოიწვია და ისე გაშალა ხელები, ისე მიიწვია ყველანი თავის „სუფრანზე“, უარის თქმა ძალიანაც რომ გდომებოდათ, აღარ მოგიხერხდებოდათ.

ყველანი შუროს მეორე მხარეს გადაბარგდნენ და ბარდლასთან მოკალათეს. მასპინძელმა თვალის დახამხამებაში აქნა ქათამი, გულისპირის მოზრდილი ნაჭერი ლელვის ფოთოლით აიღო და შურას გაუწოდა. ასეთივე ნაჭერი შესთავაზა კლარასაც, მაგრამ მან ბარკალი ამჯობინა.

მეგონა, ბარკალს ჩვენ დაგვიმობდი! — ყველას გაეცინა. კლარაც არ გოცეზულა. მისი აზრითაც, ბარდლასაგან სწოროდ ასეთი ხუმრობა იყო მოსალოდნელი. ნიორმა და ქათმის ხორც-

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 1.

მა ქალსაც, კაცსაც მადა ისე გაუღვიძა, თავს ძლივსდა იკავებდნენ. ახლა ყოველ მათგანს ერთი და ორი ნაჭერი კი არა, მთელი ქათამიც არ ეყოფოდა. ბარდლა, მართალია, პატრეს არ აკლებდა, მაგრამ ყველანი თავაზიანი მადლობის ნიშნად გულზე ხელის მიფარებით უარს ამბობდნენ. როცა ბარდლამ საყვედურით გაშალა ხელები და წყენით შენიშნა — მიწუნებთ პურმარილსო — თითო ნაჭერი ხორცი, პატარა ნატეხი ჰადი და თითო კბილი ნიორი ერთხელაც ჩამოირიგეს თანამესუფრეებმა. ამასობაში სერდიუკი და ამფეთქებელი გოგონაც გამოჩნდნენ შტრეკის ხვრელში. გოგონამ ელექტროხელსაწყობთა რიგრიგობით ააფეთქა შპურები, ახლახან დანაყრებული ბარდლაც, დანარჩენებიც ფეხზე ადგომით შეეგებნენ სერდიუკსა და ამფეთქებელს. ბარდლამ ისინი უმალ თავის „სუფრასთან“ მიიწვია და გაუმასპინძლდა. ამფეთქებელი გოგონა არ დამჯდარა, ორ ნაჭერ ხორცს ნივრით ისე ჩაატანა გემო. უკანასკნელი ლუკმა ჯერ არ გადაეყლაპა. ბარდლას, მადლობის ნიშნად, ხელი ჩამოართვა; ჩქარობდა. იცოდა, როგორი მოუთმენლობით ელოდნენ გერასიმე და თამარელა. გოგონას სიტყვა გაუგრძელდა, მოულოდნელად, ამოღამებულ შტრეკის ხვრელის სიღრმიდან იქ მყოფთ უეცრად მოესმათ — დაუჩქარე, დაუჩქარეო! ძახილი მეტად მკაფიოთ და მწყარალი იყო. ბარდლამ უმალ იცნო ხმაზე თამარელა. მყის ზეზე წამოჭრილმა კაუჭით ბიგს მისობილ ნათურასაც წამოუსვა ხელი. შტრეკი რომ გაანათა, მართლაც თამარელა შერჩა ხელში. ის რა ხანია აქ იდგა, დიდი მოუთმენლობით და მოუსვენრობით ელოდა ამფეთქებლის განთავისუფლებას, ესმოდა, როგორ ლაპარაკობდნენ ერთმანეთში ბარდლა, სირბილაძე, შურა და კლარა, მაგრამ ცდილობდა ყური არ ეგდო, როგორ უმასპინძლებოდა დღეს მათ, გუშინდელი სტუმარი.

ბარდლამ მოურიდებლად სტაცა მაჯაში ხელი თამარელას; ძალით, ხვეწ-

ნით გამოიყვანა შტრეკის ხვრელიდან, როგორც შურას და კლარაქსაცა პატრევი, თამარელასაც ლელვის ფოთლოვანი წიკვად აღებული ფრთის ნაჭერი გაუწოდა, ჰადის ნატეხიც, ნივრის კბილიც მიაშველა. თამარელა ჯერ ცივ უარზე იყო, მერე, რაკი შეატყო, ამ კაცთან არაფერი გაუვიდოდა, მართო ფრთის ნაჭერი ჩამოართვა, მადლობა გადაუხადა: მოულოდნელად სტაცა ხელი ამფეთქებელ გოგონას, უმალ წინ ვაიგდო, ერთი-ორჯერ ბეჭებშიაც უბიძგა, თითქოს აქეზებო. ბარდლამ ხეირიანად მიხედვაც ვერ მოასწრო, ისინი უკვე შტრეკის ხვრელში გაუჩინარებულიყვნენ.

თამარელამ ერთი ვაფიქრება ვაიფიქრა, მოდი, შეეჭამ ამ შემოთავაზებულ ფრთის ნაჭერსო, მერე როგორღაც შეეზიზღა, იუკადრისა კიდევ. ბარდლას შემოთავაზებული ხორცის გემოს გასინჯვა. სანამ შტრეკით სანგრევეში ვაივლოდნენ, ამფეთქებელ გოგონასათვის შეუშინეველად ბნელში გადააგდო იგი.

ბარდლა-ბიძინას პურმარილის ამბავი მთელ შახტს მოედო. ზოგი ხუმრობით, ზოგიც გულწრფელი სინანულით ამბობდა: — ის ბიჭი ნეტავი ჩვენს უბანში ვაემწესებინათო. თავის ცკლაში არც მეორე დღეს მისულა ბარდლა ხელცარიელი. ბუყან-ბუს რჩევით, მაშომ ახლა ორი მოზრდილი ჰადი და ერთი წველა მარილიანი ყველი გაატანა მას. ბარდლა-ბიძინამ ნახშირის ფენის მეორე აფეთქებისა და სანგრევის განიავების მოლოდინში კვლავ გადაფინა შუროს საფეხურზე თავისი ხელსახოცი. „გამოვიღე სუფრაზე“ გუშინდებურად მიიწვია, ვინც ახლომახლო იყო, ან ამ დროს შემთხვევით შუროში ჩამოიარა. დღევანდელ საუხმეში უნებლიეთ წილი დაიდეს გერასიმე სოფრომადის ბრიგადის წევრებმაც — დათიკო ბერიძემ და საერთო საცხოვრებლის კომენდანტის ყოფილმა თანამეწეემ ლიადამ. არც „შემოსწრებულ“ აფრასიონ უკლებას და გაიოზს გაუვიდათ თავაზიანი უარი —

ახალი ნასაუზმევი გახლავართ და ველარაფერს გეახლებითო. „ახალი ნასაუზმევი“ მამაშვილი ისე მაღიანად შეექცა თბილად შენახულ ჭადსა და მარილიან ყველს, თითქოს გუშინდელს აქეთ არაფერი უქამიათო.

გარეთ რომ ვიყოთ, კარგი იქნებოდა... ერთი ჭიქა ლუდი მაინც, ა? — წამოიძახა ბერიძემ.

აფრასიონმა გრძელი კისერი ირიბად გადაგრიბა, ბერიძეს ელაშვიტა გადახედა. მერე მოულოდნელად ზიზლით განზე გადააფურთხა და დაიკანავლა:

— ბიჭო, რა გასმევთ იმ მწარე წყალს, კუჭის მოშლის მაინც არ გეშინიათ, თქვე წაწყლებო?!

— კასრის ლულმა მართლა შეიძლება აგიშალოს კუჭი, ნამეტნავად მაშინ, თუ დამე გათეულია და მესამედი წყალი გარეული, — დამემოწმა სირბილამე.

— მაინც ისე რაფერ ამღვრევენ... ნარეცხი გეგონება!... — გაკვირვებით დასძინა აფრასიონმა.

— გაზავებულ თხლეს ჰგავს! — დაუმატა ბერიძემ.

— აბა ჩვენი ჭაჭის არაყს ხომ არ ემგვანება, ძუძუმწოვარა ბლარის ცრემლივით რომ კამკამებს! ნეტავი მართლა იყო ამ გახსენებაზე! — ინატრა აფრასიონმა.

ბარდლამ მოულოდნელად დაჭრა ხელი მოხერხებულად ჩაქუზულ აფრასიონს. ის თითქოს ზამბარაზე მჯდარიყოს. ორ მტკაველზე შეხტა.

— მოგიკედეს ჩემი თავი, აფრასიონ, თუ ეგ სურვილი ვერ შეგისრულო! — ამის თქმა და განკარგულება ერთი იყო, — ჩააქრეთ ნათურებში.

ჭალიც, კაციც დამორჩილენ ბარდლა-ბიძინას პრძანებას. სიბნელეში ჯერ ჩუმად იყვნენ, მერე უცებ გაისმა რალაც კრაკუნისებური ხმა. ყველანი მიხვდნენ: ბარდლა-ბიძინა მაგრად ჩაქვიდო საცობს ფრთხილად აძრობდა. ბარდლა-ბიძინამ სიბნელეში ხელით მოსძებნა აფრასიონის თავი.

— დამაცადე, კაცო, ჯერ მაყნოსე, რას მასმევ, ვიცოდე!.. ამ ხნის კაცი არ

გამომაჭენო!.. — სიცილით თუმცა ხმში შესამჩნევი შეერთობით და გვერდით შენიშნა აფრასიონმა.

— როგორ გეკადრება, აფრასიონ, სხვა თუ არაფერი, ჩემი ხნის წვერები გაქვს! — დაამშვიდა ბარდლამ.

ოცა ხნის შემდეგ სიბნელეში გაისმა წრუტუნისებური, სიამოვნების გამომხატველი მოწონების შეძახილი და არაყიც რაკრაკით დაიძრა ბარდლას მიერ მიწოდებული ოდეკალონის პრტყელ ფლაკონიდან.

როცა ნათურები კვლავ ანთეს, აფრასიონი რალაც საეკვოდ ილოკავდა ენით ხან ქვედა, ხან ზედა ტუჩს და ბარდლასაც დიდად ნასიამოვნები კაცის თვლით უცინოდა.

ბარდლა-ბიძინა სერდიუკისათვის გაკვირვების ტალყვესად იქცა, სადაც საქმე გაძნელდებოდა, სერდიუკი სწორედ იქ მიაშველებდა ბარდლას; ახლა ყველა მხარში ედგა; ბარდლას ხელის განძრევაც აღარ სჭირდებოდა: თუ პირველ დღეებში ამფეთქებულ გოგონას მოტაცებაც კი დასჭირდა, ახლა, პირიქით, ვიდრე სხვას მოემსახურებოდა, ჯერ სერდიუკის სანგრევში შეიხედავდა ამფეთქებელი, შეიტყობდა, როგორ იყო საქმე, როდის დაჭირდებოდა მისი შველა და მერე გაეშურებოდა იქით, სადაც გამოიძახეს.

პურმარლით ბარდლამ ხე-ტყის მიმწოდებლებთანაც გაჩარხა საქმე. თამარელა ერთხელ იმის მოწმევ გახდა, გერასიმესათვის განკუთვნილი ხეტყე როგორ შეარბენინეს სერდიუკის სანგრევში. თამარელა ამას გულისტივილით ადევნებდა თვალყურს. ის კი არა, დროდადრო ცდილობდა კიდევ, ზოგ რამეზე თვალიც დაეხუჭა, მაგრამ გულს ვერაფერს უხერხებდა. გულში თანდათანობით და შეუქმნევლად იზრდებოდა უკმაყოფილება. ამასობაში ბარდლა-ბიძინამ ყველას ისე შეაყვარა თავი, მის სახელს ახლა ბევრი კმაყოფილებითაც წარმოთქვამდა. მისმა პურმარლიმაც სახელი გაითქვა. პირველ, შემთხვევით

გამასპინძლებას მოჰყვა მეორე, მესამე და მალე ჩვეულებად გადაიქცა იგი. ზოგიერთ შემხატეს ეს ამბავი სულაც არ მიაჩნდა უწესობად. არც იმაში ხედავდა ცუდს, თუ პურმარხის შემდეგ, „ხათრისათვის“ ბარდლას დროდადრო ვინმე წახმარებოდა. „აბა, როგორ ვინდა? თუ შენ გესიამოვნება სხვისგან პატივისცემა, თვითონაც უნდა სცე პატივიო“, — ფიქრობდნენ გუნებაში.

თამარელა ერთი-ორჯერ ბერიძესაც წაეკიდა, — თუ კიდეც დამინახიხარ, ბარდლა-ბიძინასთან გიპურმარილებია და მერე „ხათრისათვის“ მიხმარებიხარ, იცოდე, გერასიმეს ვეტყვი... თუ ამდენი შეგიძლია, ჩვენი ბრიგადისათვის გამოიდე თავიო.

ერთხელ ასეთ წაყამათებას გაიოზიც ესწრებოდა. მან უმალ თამარელას დაუჭირა მხარი.

— შენ, ძამია, — შეუტია გაიოზმა ბერიძეს, — ერთ კვერცხს რომ საკუთარ ბუდეში სდებ, მეორეს კი სხვისაში, რას გამოჩეკავ ბოლოს, თუ იცი? იქაც გააციებ, აქაც!

— არავინ გეკითხება, სად რას ვდებ! თუ კიდეც ჩარეულხარ ჩემს საქმეში მერე მე ვიცი!

— მაინც, რა იცი?... — დაცინვით იკითხა გაიოზმა და მარჯვენა ხელით რომ დონიჯი შემოიყარა, მარცხენა ფეხი რალაც საეჭვოდ წინ წადგა.

თამარელამ ხელის აქნევით ანიშნა გაიოზს — დაეხსენი, ნუ გამოეკინკლავებიო, და გაიოზმაც ენას კბილი დააჭირა: თუმცა ის „კბილი ახლა ისე ჰქონდა აღესილი, გულიც უკვე ყელში ებჯინებოდა, თამარელას გაფრთხილებასა და ხათრს რომ არა, მზად იყო, ბერიძისათვის ის მაინც ეთქვა — გამოხვალ გარეთ და მეც მაშინ „მოგვლა-ბარაკებში“. თქმა არ უნდოდა, დაეძგერებოდა, თუმცა ბერიძე მასზე უფროსიც იყო, ღონიერიც.

გაიოზი წაევიდა. ბერიძემ გამომწვევად შენიშნა:

— ქალი მაინც არ იყო!..

— მერე რა, რომ ქალი ვარ?!

— რა და... რის იმედით გვიწვევ ხან მე, ხან სხვას, არ გეშინია ბიჭების?..

— ბიჭების! — გაბმით, ათვალწუნებით გაიმეორა თამარელამ ბერიძის ბოლო სიტყვა; უცებ კილო შეიცვალა, მუქარით შენიშნა: — თუ ქალი ვარ, გაგიჩინებ ქარს!..

ბერიძემ ერთი წაიგრძელა კისერი, სასაცილოდ თვალდაპყვებილი შეაკერდა თამარელას, ბიგს ხელი უშვა, ნაჯახიც ძირს დაავლო და დონიჯშემოყრილმა გამომწვევად, დამცინავად გადაიხარხარა. გერასიმე სოფრომაძეს ისე ეუცხოვა ეს ხარხარი, შპურის ქრას თავი ანება, წამით დააყურა და გულმოსული კაცის კილოთი შენიშნა გვერდით მდგომ ლიდას: — აქ ისე მიჭირს, სიმწრისაგან მეტრება, მაგ მამაძალს კი რა აციენებს, გამოვლია საქმე?!

— ყმაწვილია, გერასიმე ბიძია, — შემპარავად მიუგო ლიდამ გაცეცხლებულ კაცს და ამ შენიშვნით ცოტა მართლაც დააშოშმინა.

გერასიმეს მწყვრალი წამოძახილი ბერიძის ყურსაც მისწვდა: მან შეწყვიტა სიცილი, ნაჯახს ხელი დაავლო და ბიგის წვერს ისე დაუწყო თლა, ნაჯახის დაკერას რაც შეიძლებოდა, მეტი ხმა გამოეცა.

როცა დაზიანებულის მაგივრად ბერიძემ თამარელას დახმარებით ჰერს ახალი ბიგი შეუყენა, თავს ნება მისცა, უფრო ხმადაბლა განეგრძო წელან თამარელასთან დაწყებული დავა. ახლა გერასიმე სიზარმაცეს ველარ დასწამებდა, რადგან ფენის მონგრევამდე თავისუფალი იყო.

— შენ მე კი არა, მგონია ბარდლასაც არ შეაწევ სიტყვას.

— არ იცოდი?!

ბერიძემ გაკვირვებით ჩაიფრუტუნა:

— შენ, ბიძია, თუ არ ტრამახობ, თავი განწირული გქონია!

— ვითომ!.. არც ისეა საქმე, როგორც მოგჩვენებია! ჩვენ რა, ქათმები ვართ, ბარდლა — ქორი?..

ამის გაგონება და წაქცეულ მორზე ჩამომჯდარი ბერიძის ცივად ზეზე წამოხტომა ერთი იყო, თამარელას გაუქ-

ვირდა — რა დაემართა ამ ბიჭოს. სა-
ამისო საბაბი ვერც თავის ნათქვამში,
ვერც ბერიძის მოქმედებაში რომ ვერ
პოვა, უნებლიეთ აქეთ-იქით მიმოიხედა.
ბერიძე კი ისევ ისე გაჯიმული იდგა და,
თითქოს სურათს უღებენო, კრინტსაც
არ სძრავდა, არც იძროდა. თამარელამ
ერთხელ კიდევ მიმოიხედა სანგრევში
და ახალა შეამჩნია ზურგს უკან, მხა-
რით ბიგს მიყრდნობილი ბარდლა-ბიძი-
ნა, რომელიც ეს ერთი წუთია, ქალ-ვა-
ჟის საუბარს ყურადღებით უსმენდა.

— ა, თუ ქალი ხარ, ახლა ელაპარა-
კე! — დაცინვით, თავმომწონედ, თანაც,
ბარდლას გასაგონად უთხრა ბერიძემ
თამარელას.

— რა იყო, ბიჭო, რას ემუქრები? არ
გრცხენია, ქალს იბრძვივებ?! თან ამას
ამბობდა ბარდლა, თან ნელი ნაბიჯით
მოიწევდა სანგრევის დაქანებულ იატაკ-
ზე. სანამ ბარდლა მოაბიჯებდა, თამა-
რელაც, ბერიძეც თვალმოუშორებლად
მისჩერებოდნენ მას. ჩამჭრალი ნათურა
ბარდლას კისერზე კაუჭით ეკიდა. იქაუ-
რობას კი მარტო ბერიძის ნათურა ანა-
თებდა. ნათურის შუქი ახლა ბარდლას
ზურგიდან სცემდა და მისი სილუეტიც
გამოკვეთილი ჩანდა. როცა ბარდლა ოთ-
ხიოდე ნაბიჯის დაშორებით შეჩერდა,
თამარელას არც მაშინ მოუშორებია მის-
თვის თვალი. რაკი ბარდლას ერთ წუთ-
საც, ერთ ნაბიჯზედაც არ ენდობოდა,
არც ბარდლას შენიშვნას მოუღებია მის-
თვის გული.

— კაცო, მე შენ გიცავ და შენ კი მე
მიწყრები?! —

— რა იყო, ბიჭო! — გაიკვირვა ბარ-
დლამ.

— დანარჩენი თამარელას ჰკითხე!..

— მაინც?..

— ქალი ვარო, მაგრამ ბიჭებს ყველას
ქარს გაგიჩნთო!

— მაგას რაეა იტყოდა! — ბარდლას
სიტყვებში დაცინვა უფრო გამოსჭვივო-
და, ვიდრე ეჭვი. კილოზე ამას ბერიძეც
მიხედა. სიხარულისაგან იღუმალ ცმუტ-
ვა შეექმნა. მოუთმენლად ელოდა, კი-

დევ რას იტყოდა, ან რას მოიმოქმედებ-
და ბარდლა-ბიძინა.

— არ იცი ბიძია თამარელას თხის.
არ იცი, რა ბედნიერი ხარ, მაგის გვერ-
დით რომ მუშაობ! სანთლით საძებარიც
რომ იყო და ვიცოდე, მაგისთანა გოგო
მეორეც არის, ზღვას გავეცურავდი, ცეცხ-
ლში გადავარდებოდი, მთასა და ბარს
მოვითარეშებდი, ვიპოვნიდი და.. ცო-
ლად შევირთავდი!

თამარელამ ბარდლას ბოლო სიტყვებ-
ზე უცებ წარბი შეიკრა, მოსაუბრეს ნა-
ხევრად ზურგი შეაქცია.

— ამხანაგო ბარდლა, თქვენ თუ გცა-
ლიათ, ვინც მოცლილია, იმას ელაპარა-
კეთ... ჩვენ აქ საქმე გვაქვს!

ამის გაგონებაზე ბერიძემ პირიც და-
ალო, თვალიც სჭყიტა, გუნებაში კი გაი-
ფიქრა — „ეს გოგო მართლაც აღარ
ხუმრობსო“. ბარდლას კი წამწამიც
არ გაუხამხამებია, ფეხიც არ მოუნაც-
ლებია. საკვირველი მოთმინებით, ყუ-
რადღებით მოუსმინა თამარელას; მერე
ერთი ნაბიჯით კვლავ დაუახლოვდა, მის
ახლოს ბიგს ორივე მკლავი შემოხვია და
ჩაეხუტა. ერთი-ორი წამი ასე გაიჩინდ-
ებული იყო იგი, მერე დინჯად დაიწყო:

— ვინიცობაა მკითხონ. ვინ უფრო გი-
ყვარს ქვეყანაზეო, რას ვეტყვოდი, თუ
იცი? — არც ბერიძეს, არც თამარელას
ხმა არ გაუღია. ისევ ბარდლა-ბიძინამ
უპასუხა თავის შეკითხვას, — გაბედუ-
ლი, თამამი... რაც გინდა მოხდეს, გული
რომ საგულედან არ ამოუვარდება! —
ბარდლამ ცალი ხელი ბოძს უშვა და საჩ-
ვენებელი თითის მალა შემართვით გა-
ამახვილა იქ მყოფთა ყურადღება თა-
ვის ბოლო სიტყვებზე. — რა მნიშე-
ნელობა აქვს, ადამიანს შარვალი აცვია
თუ კაბა? საქმე გულია! — უცებ ბერი-
ძის მიუბრუნდა. — ა, ბიჭო, ზედავ? ეს
ქალია და როგორ დგას!.. დარწმუნებუ-
ლი ვარ, ერთი ფეხი რომ დაცკრა მიწას,
თამარელა არც კი შეკრთება, შენ კი
ბავიასავით..

— ცალკე მაინც გეთქვა, თუ მაგით
გულს მოიფხანდი, რაღა გოგოსთან გა-
მომატენე!..

— გამოგაქენე, თორემ ისე ძალიან დიდი სახელი გქონდა, შენმა მზემ!..

— ბიძინა, მართლა გულით ამბობ მაგას?! — კაცო, დაღეული ხომ არ შემოსულხარ აქა!

— შე მართლა დაღეული! ორი მტკაველის სიმაღლეც და ოთხ მტკაველა ენიაწო!

ეს კი მართლა იწყინა ბერიძემ, რაკი ბარდლას დამცინავ შენიშენას თამარელას სიცილიც დაერთო.

— ბიძინა, თუ ჩვენს სანგრევში იმისთვის შემოხვედი, რაც ამდენხანს პატივი გიცია, ყველაფერი ერთბაშად წამამწარო... შენი ნებაა! მაგრამ... ვიცოდე მაინც, რაში დაგჭირდა... გემატება ამით რაშე?!

— შენც ერთი, — საყვედურით შეუტია ბარდლა-ბიძინამ, — კაცი, ბიჭო სულ ერთ გუნებაზე ხომ არ იქნება!.. გაგებუმრე, რა იყო? სულ დამაღიწყდა, რისთვის მოგავითხეთ, გერასიმეს პნევმატური ჩაქუჩი მინდა ეთხოვო, ჩვენი გაფუჭდა, ის უპატრონო...

„რაც თქვენ გაბარიათ, ის მართლა უპატრონოსავით იქნება“, — გაიფიქრა თამარელამ.

— გახუმრება, მე მგონია, ქალთან უფრო უნდა სჯობდეს, ბიძინა!

— ჰოდა, მეც... თამარელას ეშხით შენ გაგებუმრე!.. მაგის საკადრისი სიტყვა-პასუხი არ მომეპოვება და რას ვიზამ, უბრალოდ კი ვერ შემიბედა!..

თამარელამ უცებ თავის ნათურას, ბრეზენტის ქურთუკს ხელი წამოაეღო და წასკლა დააპირა. ბარდლამ მოხერხებულად და შეუშინებლად უტაცა ხელი ქურთუკის სახელოში; როცა თამარელამ ნაბიჯი გადადგა, ქურთუკი ბეჭიდან ჩამოუვარდა. თამარელამ მყის მოიხედა, მაგრამ ვიდრე დასწვდებოდა, ბარდლა უმაღლეს მის წინ გაჩნდა, ქურთუკი აიტაცა და ისევ ბეჭებზე უპირებდა მოსხმას, მაგრამ თამარელამ გულმოსულ ხელის მოძრაობით გამოსტაცა იგი.

— თამარელა! ხმადაბლა, გრძნობით, რალაც გამომწვევად უხმო ბარდლამ — წელან ბერიძემ რომ მუქარით შემოგამა-

ხა — რა გინდოდა გეთქვა ჩემთვის? თამარელა ბარდლასაკენ ნახევრად შემობრუნდა, „მართლაც ვიქნებ ახლა სჯობდეს, რომ ვუთხრაო“, — გაიფიქრა და ვიდრე მის ახლანდელ სულიერ მდგომარეობას შეესაბამებოდა, უფრო ღმობიერის და დამშვიდებულის კილოთი შენიშნა:

— ამხანაგო ბიძინა! შენ რომ პურმარილით უმასპინძლებდი, ზოგმა მუშამ ეს ამბავი ცულად გაიგო. თავის სანგრევში მუშაობს, შენზე კი ფიქრობს, როდის წავალ, როდის გავიპარები და მოვეხმარებო! ასეთი „გულშემატკივრობა“ ერთის საჭმეს თუ აკეთებს, მეორისას აფუჭებს! ეს მინდოდა შეთქვა.

— მაშ რა გქნა?! ვთქვათ, როცა ესაუხმობ, ძალი ხომ არა ვარ, ახლოს არავინ მოვეუშვა! ყველამ იცის ხალხის ნათქვამი — მარტოხელა კაცი ჭამაშიაც ცოდვას, შენ კი შეუბნები, მარტო ჭამეო!.. ვის დაგუჯერო?

— შენ, საერთოდ, ვისი გჯერა? — გამომწვევად, თამამად იკითხა თამარელამ და პასუხს აღარ დაელოდა, ისე მოულოდნელად შეაქცია ზურგი ბარდლას, სანგრევის დაქანებულ იატაკზე აღმა, ბეჯითი ნაბიჯით გერასიმესაკენ გაეშურა.

გულის სიღრმეში ბერიძე მისმა სითამამემაც გააოცა და მისმა სიმარჯვემაც.

თუ წელან ბარდლა იმ განზრახვით შემოვიდა, გერასიმესათვის ცოტა ხნით პნევმატური ჩაქუჩი ეთხოვნა, ახლა ისეთ გუნებაზე დააყენა თამარელას ქცევამ, სიტყვამ და სითამამემ, ატყობდა, წონისწირობას დაეკარგავდა, თუ აქედან ახლავე არ გავიდოდა.

თამარელას რჩევას სასიკეთო შედეგი არ მოჰყოლია. პირიქით, ბარდლამ პურმარილით უფრო შეამპიდროვა პატივისმცემელთა „რიგები“.

ბარდლა-ბიძინას გაფრთხილება თამარელას მეორედ მაშინ მოუხდა, როცა გერასიმეს სანგრევისათვის განკუთვნილი საბიჯე მორები ბიძინას მითი-

თებით ხეტყის მიმწოდებლებმა სერ-დიუკის სანგრევში შეარბენინეს. მართალია, გაიოზმა წინააღმდეგობა გაუწია ამხანაგებს, რომლებიც მასთან ერთად ხეტყის მიმწოდებლად მუშაობდნენ, მაგრამ ბარლას ჩარევამ უშალ მათეც გადასძლია.

თამარელა და ბარლა მაშინ შუროში შეხედნენ ერთმანეთს. ბარლამ გაუცინა და ხელი დაუქნია თამარელას, მან კი ჩვეული სითამამით მიამახა — არ შეგრჩება!

ბარლა ის-იყო ხეტყის მიმწოდებელთა ფეხდაფეხ შტრეკში შესვლას აპირებდა, მაგრამ მყის მობრუნდა, თამარელასთან მივიდა და დამცინავად თვალეში ჩახედა.

— ისეთი დიდი გული გაქვს, მაგისტვის, მგონია, ფეკაცის მკერდიც ვიწრო იქნებოდა! — ამ სიტყვებთან ერთად თამარელას მკერდზე ხელის წაფათურებაც რომ დააპირა, უცებ ვილაყამ მაჯაში ხელი სტაცა და ღონიერად დასწია. რადგან ბარლა დაღმართზე იდგა, ადვილად დაკარგა წონასწორობა, უკვე გადაიხარა... თამარელამ ისარგებლა ამით და მყის შევარდა შტრეკის ხერელში. როცა ის სანგრევში აღმოჩნდა, იგრძნო, რომ გული ისეთი გამალებით უშგერდა, სუნთქვაც კი უჭირდა.

შეტორტმანებულ ბარლას კი გაიოზმა კეთილისმსურველის კილოთი შენიშნა:

— არ ვიცოდი, თუ ასე ადვილად კარგავდი წონასწორობას!.. რაღას აპირებდი, ხელი რომ გეხლო?.. ხომ შეძრავდა მთელ შახტს ჯერ გოგო, მერე ნიკო!

გაიოზი, მართალია, ამას ამბობდა, მაგრამ წამიწმამს მოელოდა — აი ახლა დამაელებს ხელს ბარლა და თავის გულას ჯავრს ჩემზე იყრის... ან შუაზე გამფხრეწს ჩვარივით, ან შუროში გადამისერის და ნახშირის ნაკადი დამჩეჩქავსო. წელში გასწორდა თუ არა, ბარლამ ერთი აღმაცერად გადახედა

გაიოზს, ხელისგულები გაიბერტყა და შენიშნა:

— მართალი ხარ! — მტრე... დინჯად გადავიდა შუროს მეორე მხარეს. რახან კისერზე მავთულკავით ჩამოკიდებული ნათურა წინიდან ანათებდა, შტრეკის ხერელში ერთხანს კი ჩანდა მისი აჩრდილი, მერე უცებ ისიც გაქრა და სინათლაც.

გაიოზმა შევებით ამოიოხრა და ღმერთსაც მადლობა შესწირა, რაკი ცოცხალი გადარჩა. უცებ მხარზე ხელის შეხება იგრძნო. რომ მობრუნდა, თამარელა შერჩა ხელში.

— შეგეშინდა?

— მე შენი შემეშინდა. — ღიმილით მიუგო გაიოზმა. რა პასუხი უნდა მოგეთხოვა იმ თავხედისათვის...

— მაინც როგორ დავიბენი... ვითომ თავს ვუშველე... გავიქეცი, შენ კი იმას ხელში შეგატოვე, — მონანიების კილოთი დაიწყო თამარელამ, — სანგრევში გავჩნდი თუ არა, ცოტა სულიც მოვიტყვი, გონსაც მოვედი და.. უშალ გამოვბრუნდი. ვიფიქრე, ორს როგორ მოგვერევა-მეთქი.

— აწი მაინც იყავი ფრთხილად! სიტყვა რაა, სიტყვითაც ნუ გამოიწვევ — მძასავით ურჩია გაიოზმა თამარელას: თუ ის ვიცით, გველს ვერიდოთ, ზოგი ადამიანი ხომ უარესია!.. ფუი, ვილაყამ ავად გვახსენა, — ღიმილით, უბრალოდ წამოიძახა ბოლო სიტყვები გაიოზმა. — თამარელა, ხეტყეს ამ წუთში, თვალის ერთ დახამხამებაზე ჩამოგიზიდავთ... შენც არ იცი, ის ბიჭებიც არ არიან გასამტყუნარი.. ეშინიათ!

— ეშინიათ?! — ათვალწუნებით, გაკვირვებით გაიმეორა თამარელამ, — თუი თავს შეამინებინებ!..

— ახლა, შენც, მოდი და ნუ შეგეშინდება!.. მტკაველი დანა უღმეს ჯიბეში.

თამარელამ გაშტრეგებით მიაკრო მხერა, მერე რაღაც დიდი, ღრმა რწმენის შთამნერგავი კილოთი შენიშნა გაიოზს:

— რაც უნდა იყოს, ბოლოს თავს მაინც ისევ ეგ წააგებს! ნახავ, თუ არა ვაიოზს გულით ეწადა ერწმუნებინა, რასაც თამარელა ამბობდა, მაგრამ უნებლიეთ მაინც წამოსცდა:

— ვითომ?

— როცა კაცი „თავზე“ ხელაღებულა, ყველაზე მეტი საფრთხე სწორედ მის „თავს“ მოელის. — თამარელამ ეს ისე თქვა, ვისაც გულისხმობს, თითქოს მის მიმართ გულის სიღრმეში სიტყვილით კი არა, სინანულით გამსჭვალულიყო.

თამარელა ღია პარტიულ კრებას დღეს პირველად არ ესწრებოდა, მაგრამ თავს ახლა ისე უხერხულად ვრძნობდა, ისე მორცხვობდა, ხელიც ვერ გაეწვრიდა თავისუფლად. ყველაფერი იმის ბრალი იყო, რომ ნიკომ დღეს იგი პირველ რიგში დასვა. თამარელა მონუსხულივით მისჩერებოდა კათედრას და ყურადღებით უსმენდა, როგორ ლაპარაკობდნენ უფროსები, თუ ორატორის შენიშვნაზე რომელიმე გაკრიტიკებული მეშახტე მოთმინებას დაკარგავდა და რეპლიკას ისროდა, შეიქნებოდა სკამების ჭრაჭუნი, ხმადაბალი ლაპარაკი და სიცილი. თამარელა კი ისევ ისე იჯდა და ელოდა, ვიდრე თავმჯდომარე ზარის წყარუნით დარბაზში „წესრიგს“ არ დაამყარებდა.

კამათში გამოსულებთან ერთად თამარელაც გულის სიღრმეში ხან ცხარობდა, ხან მიაშიტად იღიმებოდა და თავის წრფელ განცდებს, მართალია, მორცხვად, მაგრამ მაინც აშკარად გამოხატავდა ხოლმე. — ნიკოსაყენ უეცრად გახედავდა. არაბიძის სიღინჯემ ბოლოს თამარელაც „დააშოშმინა“.

გერასიმეს ბრიგადის ჩამორჩენის მამხილებელ კრიტიკას მოულოდნელად სერდიუკის ბრიგადის ქება მოჰყვა. ზოგმა ორატორმა გერასიმეს ბრიგადა გააკრიტიკა, სერდიუკისა კი აქო. ისიც ითქვა — უნდა ვეცადოთ, მუშაობაში მივბაძოთ სერდიუკის ბრიგადას და განსაკუთრებით მის ერთ

წევრს — ბიძინასო. ამის გავტონებაზე კი თამარელა ისე შეტოკდა და „შემპოტრიალდა ნიკოსაყენ, სკამის...“ ჭრალად მკახელ ვაისმა დარბაზში. რაც კრება დაიწყო, ნიკომ ახლა პირველად გადახედა თამარელას. გულის სიღრმეში თვითონაც არ იყო კმაყოფილი, მაგრამ თამარელას ისე გაუღიმა, თითქოს უნდა მიახვედროს — ასაღლევებელი მაინც არაფერიყო. ნიკოს გამოხედვამ და ღიმილმა თამარელას თუმცა დაუბრუნა წონასწორობა, მაგრამ მეორე წუთში მისი არსება კვლავ შეიპყრო ბავშვურმა აღშფოთებამ. თამარელა მოუსვენრად იჯდა და თვალებსაც წამდაუწუმ აცეცებდა აქეთ-იქით. მობირდაპირე მხარეს, მესამე რიგში თვალი მოჰკრა გერასიმე სოფრომაძეს. წინ კისერწაწვილილი გერასიმე სოფრომაძე თვალებს მალიშალ ახამხამებდა, ტუჩებს კი დროდადრო ისე ამოძრავებდა, თითქოს ნერწყვთან ერთად ქარქაშაძის ბრალდებებსაც უსიტყვოდ „ყლაპავსო“. თავისი გულისწყრომა ამ კაცს ერთი ხმაშალალი შენიშვნითაც არ გამოუხატავს.

თამარელა ელოდა, აი, ახლა წამოდგება ნიკო, ან გერასიმე და ტყავს გააძრობს ბიწაძესა და ქარქაშაძესო, მაგრამ არც არაბიძე, არც სოფრომაძე აღგილიდან არ დაძრულა. თამარელამ იმას კი მოჰკრა თვალი, როგორ ჩაიქნია ხელი სოფრომაძემ.

ყველაზე მეტად ნიკოს „უღარდებლობა“ აცვიფრებდა და სწყინდა თამარელას; მაგრამ რა იცოდა მან, შინაგანად რარგივ დაძაბული და აფორიაქებული იყო ახლა არაბიძე. თამარელა ხედავდა, ბიწაძისა და ქარქაშაძის განცხადება უპასუხოდ რჩებოდა. ქარქაშაძემ სიტყვა რომ დაასრულა, კრების თავმჯდომარე ზანტად წამოდგა. ზანტადვე მოაგლო დარბაზს თვალი, მერე ერთი დუნედ გააწყარუნა ზარი მათ საყურადღებოდ ვისაც ჩურჩული გაება და გამოაცხადა:

— ამხანაგებო კიდევ თუ სურს ვინმეს კამათში გამოსვლა?

თუ ხარის გაწკარუნებაზე ჩურჩული არ შეწყვეტილა, ახლა ყველამ სული განაბა.

— იქნებ განცხადებისათვის სურს ვინმეს სიტყვა?

არც ამ მიმართვას გამოხმაურებია ვინმე.

— მაშ...

თავმჯდომარეს მოულოდნელად გააწყვეტინა სიტყვა თამარელამ. ის წამოდგა, საჩვენებელი თითი სწორედ ისე, როგორც კლასში მოწაფეებს სჩვევიათ, გაიწოდა და ხმადაბლა დაიძახა:

— ამხანაგო თავმჯდომარე, შეიძლება?..

— განცხადებისთვის...

— რა ვიცი, რა დავარქვია... — ამ სიტყვებზე თამარელამ ღიმილით გაუსწორა თვალი თავმჯდომარეს.

— გამოდი და გვითხარი! — კრების თავმჯდომარემ მარცხენა ხელით კათედრისაკენ ანიშნა თამარელას.

როცა თამარელამ მოულოდნელად კამათში გამოსვლის სურვილი გამოსთქვა, ნიკომ ერთი კი შეაელო თვალი გაცივებით, მერე თავი დახარა და აღარ განძრეულა. ძველი მეშახტე იღუმალ შიშს შეეპყრო — სადა აქვს თამარელას ამ ღეთისაგან შეჩვენებულებთან ბრძოლის თავი, ვითუ ისეთი რამ თქვას, რასაც სხვები შეაბრუნ-შეშობაბრუნებენ, ამ მიამიტ გოგონას საქვეყნოდ გააწბილებენო. კათედრასთან გასული თამარელა უფრო მეტხანს იდგა ხმის ამოუღებლად, ვიდრე ეს დარბაზში მყოფთათვის შესამჩნევი და მოსათმენია. ამიტომაც გაისმა ბოლო რიგებში ტაში კანტიკუნტად. მღელვარებისაგან გაფითრებული თამარელა, სახეზე ერთბაშად წამოწითლდა, ხელები კათედრის ნაპირებს მოსკიდა და ხმადაბლა, მაგრამ ისე ბეჯითად დაიწყო სიტყვა, უმალ მთელი დარბაზის ყურადღება მიიპყრო. ეს კეთილგანწყობილების მომასწავებელი გარინდება იგრანო ნიკომ და, გამხნევებულმა, უნებლიეთ თავიც ასწია. თამარე-

ლას გამომეტყველებამ სიამე მოაწვინა ძველი მეშახტის გულს. თამარელა ახლა ისე იდგა კათედრასთან, თითქოს თავისი გარეგნობითა და იერიითაც ცდილობს დარბაზში მყოფთა მოხიბლვასა და გულის მოგებასო. პრეზიდენტის მავილისკენ პირდაპირ მდგომს სახე დარბაზისაკენ ჰქონდა მობრუნებული; ამაყად, ყელმოღერებული ლაპარაკობდა საკვირველი სიღინჯით და, ერთი შეხედვით, აუღელვებლად; თუმცა იღუმალ კიდევაც დეღავდა, გულიც გამალებით უცემდა, თამარელამ კრებას მოკლედ უამბო — რა შეიძლება უწყობდეს ან უშლიდეს ხელს მეშახტეს გეგმის წარმატებით შესრულებაში. მართალია, დარბაზი აქამდეც სულგანაბული უსმენდა მის თამამ სიტყვას მაგრამ როცა თამარელა მუშაობაში ზოგიერთ შემადგერხებელ მიზეზს შეეხო, სამარისებურა სიჩუმე ჩამოვარდა. ნიკო ახლა კმაყოფილები-საგან და გაცივებისაგან ღიმილსაც ვეღარ ფარავდა. სხვა რომ ვერაფერი მოეხერხებინა, ხან მარჯვენა ფეხს გადაიდებდა მარცხენაზე, ხან მარცხენს მარჯვენაზე; თანაც მეტის სიამისაგან რიგის ხან მარცხენა, ხან მარჯვენა მხარეს მსხდომთ გახედავდა. როცა თამარელამ თამამად თქვა — ზოგიერთის პურმარილი შახტში ხელს უშლის ამხანაგების წესიერ მუშაობას და ამის თაობაზე ილაპარაკა, მოულოდნელად კარებში ბარდლა გამოჩნდა; ის წინა ორატორის სიტყვის დასრულებამდე გავიდა გარეთ პაპიროსის მოწყვეის საბაბით, თუმცა პაპიროსს დარბაზშიაც არხეინად სწევდნენ. ბარდლას არ უყვარდა კრებები, არ შეეძლო ერთ ადგილზე საათობით ჯდომა და გაქიანურებული სიტყვების მოსმენა. მართალია, ის ერთხელაც არ უხსენებია თამარელას, მაგრამ უმრავლესობა მიხვდა, ვისაც გულისხმობდა ეს გოგონა. ბარდლა დარბაზის ბოლოში ღია კარის ჩარჩოს მიპყრდნობოდა და თვალემმოქუტული მაღიმალ სწევდა პაპიროსს. თითქოს მისი გული

აბედი ყოფილიყოს, ისე უჩენდა „ცეცხლს“ თამარელას „ნაპერწყალივით“ სიტყვა ბარდლას, გვერდით მღვთომ ბიწაძის გულისწყრომის გამოხატველი ფრუტუნისებური შეძახილი ხომ ერთი-ორად აღვივებდა ამ ცეცხლს.

თუ წელან კათედრისაკენ მიმავალმა თამარელამ კლუბის სცენაზე, პრეზიდენტის მაგიდასთან მსხდომთ ზურგიდან ჩაუარა, ახლა მაგიდის წინ ჩაელასაც აღარ მოერიდა. უფრო მეტიც, პრეზიდენტის, წევრებისათვის ახლახან შემოტანილი ცივი წყლის დაღვევა უმაღლ მოუნდა, რაწამს გაორთქლილი გრაფინი დაინახა. როცა ქიქას სწვდა, კრების თავმჯდომარემ მოისაზრა და წყალი თვითონ დაუსხა. სანამ დაღვედა, თამარელამ დარბაზისაკენ გაიხედა და ქიქა მალლა ასწია. გაისმა სიცილი-თამარელა ტაშით ჩამოაცილეს სცენიდან. კრების თავმჯდომარეც იცინოდა, ზარს აწკარუნებდა. თამარელას რომ წყალს უსხამდა, ჯერ კიდევ მაშინ გაიფიქრა „მამალი გოგოაო“. ამ რწმენით გამსვეალულმა თვალიც გააყოლა. თამარელა ახლა პირველ რიგში ნიკოს გვერდით აღარ დამჯდარა: დარბაზის შუა, ვიწრო გასასვლელით სწრაფად გაეშურა უკანა რიგებისაკენ. მისი მხერა მოულოდნელად შეეფეთა კარის ჩარჩოსთან ატუზულ ბარდლა-ბიძინას გამომწვევ, მომნუსხველ მზერას. თამარელამ თავისდაუნებლიედ გაუღიმა მას და იქვე, ბოლო რიგში, აღელვებულ-ფორიაქებული, ჩაიოჯდა. ბარდლა-ბიძინა თვალმოუშორებლად დასცქეროდა თამარელას და გამალეებით, გაბმით სწევდა პაპიროსს პაპიროსზე.

ლელა და ბარდლა, ულიისა და ლიდასთან ერთად ღია პარტიული კრების დამთავრების შემდეგ კლუბიდან ერთად წამოვიდნენ. ულია და ლიდა თანამგზავრებს მალე გამოემშვიდობნენ, ლელა და ბარდლამ კი გზა ერთად განაგრძეს. ვიდრე თანამგზავრები დაშორდებოდნენ, ბარდლა ერთთავად ღუმდა. მხო-

ლოდ მუქში მომწყვდეულ პაპიროსს სწევდა დროდადრო და გოგონებს უკან მისდევდა; მაგრამ რაწამს... ლელასთან მარტო დარჩა, თანამგზავრს მკლავში ხელი მორიდებით გაუყარა და ენაც ამოიღვა.

ბარდლასაგან მკლავში ხელის გაყრა ლელას, მართალია, არ ესიაზოვნა, მაგრამ სულაც არ შეიშინია. „რომ ვიუჯადრისო, გაუძალიანდე... რა ვიცი რა მოჰყვება... თუმცა მთვარიანი, მაგრამ მაინც ღამეა... ესეც რომ არ იყოს, შეიძლება კაცი სულაც არაფერს ფიქრობდეს და რატომ გამოვიწვხო“, — გაიფიქრა ლელამ და იღუმალ დაჰყვა ბარდლას ნებას.

— ლელა, თამარელას ჩემთან გასყოფი რა უნდა ჰქონდეს?

— რა ვიცი!

— მეც არ ვიცი და მივივრის! ახლა კრებაზე დამუშავება მაკლდა!

— როდის?! ერთი სიტყვითაც არ უხსენებხარ!

— იქნებ იმიტომ, მაგისტვის უხსენებელივით ვარ!.. უმისამართო კრიტიკა, ჩემო ლელა, მართალია, ორივე მხარისათვის ხელსაყრელია, მაგრამ — მაინც კრიტიკა!

ლელას გაეცინა.

— ზოგის „მისამართი“ შეიძლება არ იცოდეს, მაგრამ... კაცს იცნობდე!

სანამ ბარდლა ლელას ნათქვამს მიხედებოდა, ორიოდ წუთი გავიდა.

— მეც სწორედ ეგ უნდა შეთქვა! რა მნიშვნელობა აქვს, ახსენა თუ არა ჩემი გვარი... სამაგიეროდ ისე დამხატა, ყველამ მიცნო!

— მოპურმარილეების შესახებ რომ ლაპარაკობდა, ვითომ შენ გგულისხმობდა?!
— მე... ასე გავიგე. კაი-ხელა ვირეშ-მაკა ყოფილა შენი ამხანაგი.

— ვირეშმაკობის არ ვიცი, მაგრამ ისე, ჭკუა არ აკლია.

— არ მომწონს, მაგისტთანა...

ლელამ სიტყვა გააწყვეტინა ბარდლას.

— ისე ლაპარაკობ, თითქო მაგის თავს ვინმე გაძალბდეს!..

ბარდლამ თავი ჩაღუნა.

— თამარელას ჩემი დასაწუნი მაინც და მაინც არაფერი აქვს, მაგრამ... ქალი რომ კრებაზე გამოვა და ენას შამფურით დაატრიალებს, მერე იმისი აღარაფერი მწამს!..

— შე კაცო, ზოგმა შეიძლება კრინტი არ დასძრას და უარესი იყოს!..

ამ ლაპარაკში ლელამ უყურადღებობით ქვას ფეხი წამოკრა და, ბარდლა რომ არა, წაიქცეოდა; თუმცა წაქცევა იქნებ კიდევაც სჯობდა მისთვის. ბარდლამ საშველად გაწვდილ მკლავზე მკერდით ისე მარჯვედ გადაიწვინა, გოგოს სირცხვილის აღმური შემოენთო. ამის შემდეგ ბარდლა სულ გადაარაგებული იყო, იქნებ ღვთის წყალობით ლელამ კიდევ წამოკრას ქვას ფეხი და „მიიწველო“.

მოასფალტებული გზატკეცილიდან შარავნისაკენ რომ უნდა გადაეხვიათ და აღმართს აკოლოდნენ, ბარდლამ ვიწრო თხრილზე გადახტომა არ აცალა ლელას, მოულოდნელად ხელი სტაცა და როგორც სახელდახელო საკაცზე, ორივე მკლავზე ზურგით გადაწვინილი და მაღლა ატაცებული გოგო თხრილზე მსუბუქად გადააფრინა. მოულოდნელობისაგან გაოგნებულმა და წაშით გულშელონებულებით განაბულმა ლელამ გაიბრძოლა, მაგრამ ეტყობოდა, ბარდლა მის ხელიდან გამვებას აღარ ფიქრობდა და ასე მკლავებზე გადაწვინილს მიაქროლებდა აღმართზე.

რაც უფრო მეტად ცდილობდა ლელა გაბრძოლებას, ბარდლას თითქო მით უფრო ემატებოდა ძალაც და ქალიშვილის ასე ტარების ხალისიც.

— გამიშვებ თუ არა? — სასოწარკვეთილის ხმით წამოიძახა ბოლოს ლელამ. ერთხელ კიდევ სცადა მიწაზე ფეხის მიწვდენა, მაგრამ ამაოდ; ბარდლამ უფრო მაღლა ასწია იგი, თან სიცილით გააფრთხილა:

— ვერ გაგიშვებ!..

ლელა უფრო გამწარდა.

— გამიშვებ თუ არა? — გამიშვებით დაიძახა ლელამ და კეფაზე, თმაში მაგრად ჩასკიდა ხელი ბარდლას. ეწადა თავი გადაეწია მისთვის, მაგრამ ეს არც ისე აღვილი აღმოჩნდა.

— გამიშვებ თუ არა?.. — კიდევ ერთხელ და უფრო ხმაშალა დაიძახა ლელამ. დაიყვირებდა, მაგრამ თან იმის შიში ჰქონდა, „ვთუ თუ ვინმემ ყურადღება მოგვეპოვოს, ასეთ ყოფაში რომ დამინახავს, ვინ იცის, რას იფიქრებს, შეიძლება არც მომეშველოს, ხელს კი საქვეყნოდ სახელი გამიტეხოსო“, და ისევე სცადა ვაჟის მკლავებიდან თავის დაღწევა. რომ ამ მცდარ გადაწყვეტილებას არა, ლელა ამდენხანსაც გაითავისუფლებდა თავს; მისი ერთი შეკვივლებაც კი ვაჟს უმალ გამოაფხიზლებდა. ის კი არა საქმე შეიძლება სახვეწრადაც გახდომოდა ბარდლას—ოღონდ ნულარ იკვილებ და ახლოს არ მოგეკარები, ისე მიგაყვან სახლამდო.

— გამიშვებ თუ არა?.. — ლელა რატომღაც ყოველი ამო გაბრძოლების შემდეგ მუქარით ეკითხებოდა ბარდლას, დაუსრულებლად იმეორებდა ამოჩემებულ სიტყვებს, რასაც ვაჟისათვის ახლა სრულიად დაკარგოდა მნიშვნელობა.

— გაგიშვებ... — უთხრა ბოლოს ბარდლამ, — ერთხელ მაკოცე და გაგიშვებ!

ლელამ ბარდლას ამ სიტყვებზე გამწარებით მოიჭნია მარცხენა, თავისუფალი ხელი, მაგრამ ვაჟმა მოასწრო გოგონას მკერდში თავის ჩარგვა, სახის დამალვა, და გარტყმის აცილება. რახან ლელა თანახმა არ იყო ბარდლასთვის ეკოცნა, ისევ ბარდლამ გადასწყვიტა თავი „დაემკირებინა“ და თვითონ ეკოცნა მისთვის. მაგრამ საამისოდ მიუახლოვა თუ არა სახე ლელას ტუჩებს, ქალი უცებ სწვდა ნიკაპში; სამი დღის გაუბარსავი წვერის ხიწვებმა პირველ შეხებაზე სულ დაუჩხვლიტა ტუჩები, მაგრამ ლელა მაინც საშინელის გამწა-

რებით ჩააფრინდა კბილებით ბარდლას ნიკას; გათამამებული ვაჟის ხმამაღალი ამოკენესა და ქალისათვის ცივად ხელის გაშვება ერთი იყო. მკლავით რომ კისერზე ბარდლას არ ჩამოაკიდებოდა, ლელა უთუოდ ცუდად დაენარცხებოდა, ისე უეცარი იყო ხელის გაშვება. გათავისუფლებული ლელა სწრაფად გადაკოტრიალდა, წამოვარდა და თავქვე დაეშვა...

ტკივილისაგან ერთი წამით ბარდლას თვალები დაუხვებდა. მას არც ის გაუგია, როგორ უშვა ხელი, და არც ის დაუნახავს, საით გაიქცა ლელა. მისი ფეხისხმა კი თითქო მოესმა, როგორც ახლა მოაგონდა, მაგრამ მაშინ არც იმის გარჩევის თავი ჰქონდა, რა ხმა იყო იგი.

ბარდლა წუთით დაფიქრდა. აღარ იცოდა, ვერ გადაეწყვიტა, საით წასულიყო. ბეჟან-ბუსთან რომ აღარ მიესვლებოდა, ეს ცხადი იყო. „იმ გოგომ ალბათ მთელი სახლი შეაწირიალა“. — გაიფიქრა ბარდლამ. ბევრი ფიქრის თავი აღარ ჰქონდა, თვითონაც თავქვე დაეშვა. თუმცა ჯერ კიდევ არ იცოდა სად გაეთია ეს ორმაგი მარცხით დაგვირგვინებული ღამე. „არ გაგვიცინება?! — ფიქრობდა ბარდლა გუნებაში, — რაც აქამდე კაცებმა დამაკლეს, ქალები მისრულებენ...“ მიდიოდა გარეტებული და თან მაღიმალ ნიკაზე ფრთხილად ივლებდა ხელს. ეტყობოდა, მთლად მოჩვენებითი არ იყო ის გრძნობა, რომ ნიკაბი თითქო თანდათან სივდებოდა.

ნიკაზე ცხვირსახოცაფარებული ბარდლა თავდახრილი, სწრაფად მიაბიჯებდა, ვიდრე ქუჩის ერთ მხარეს მაღაზიების მწყრივს არ დაუახლოვდა. ის შევიდა პირველსავე გასტრონომიულ მაღაზიაში და გამყიდველი თითით მოიხმო.

— ახლავე, შენი ჭირიმი! — გამყიდველის შეძახილზე, ვინც მაღაზიაში იყო, ყველამ ბარდლასავე გაიხედა — ვის უპირობს გამყიდველი „ჭირის მოჭმასო“. „რა აყვირებს ამ ვირსო“, —

გაიფიქრა ბარდლამ და ცნობისმოყვარეთა მზერას სახე მოარიდა. მოულოდნელად მკლავზე ხელის შეხების უშვალ მოიხედა. ბარდლას წინ შურა არსენიმე იღვა და ისე უცქეროდა, უსიტყვოდ ადვილი მისახვედრი იყო, რაც აინტერესებდა. ბარდლამ გაიცინა.

— არაფერია... იყო ერთი საქმე...

შურა მიხვდა, აქ დაწვრილებით გამოკითხვის ადგილი არ იყო.

— რას ყიდულობ?

— არაფერი მინდა, შურა, მაგრამ არ მალისა, მაგის... — ამ სიტყვებზე ბარდლამ ცხვირსახოცი ნიკას ოდნავ მოაშორა, თვალებით კი ისე ანიშნა, შურა უშვალ მიხვდა, დალევა კი არა, არაყში ცხვირსახოცის დასველება უნდოდა ჭრილობაზე დასადებად.

— წამოდი ჩემთან! — ბეჯითად, ხმადაბლა, მაგრამ ნამდვილი მზრუნველის კილოთი უთხრა შურამ და გამოართვა თუ არა გამყიდველს ამასობაში აწონილი შაქარი და ყველი, ბარდლასთან ერთად მაღაზიიდან გავიდა. გამყიდველის ძახილზე — მიბრძანე, რა გუნებადო, ბარდლა არ მობრუნებულა, გუნებაში კი გაიფიქრა — მოგინახვად გილს, სადაც მომაქცევ ყურადღებასო.

რაც კლარა და შურა არსენიმეებმა შახტაში დაიწყეს მუშაობა, კერძო ბინიდან შეშახტეთა საერთო საცხოვრებელში გადასახლდნენ. ფრონტზე ზოგიერთების წასვლის შემდეგ აქ რამდენიმე ოთახი გათავისუფლდა. სამსართულიანი საერთო საცხოვრებლის ამ კორპუსში მესამე სართული მთლიანად ქალებს ეჭირათ. ფართო ღერეფნის ორივე მხარეს ჩამწყობებული იყო ოთახები. კლარასთან და შურასთან ერთი გოგონას შესახლებაც სცადეს, მაგრამ ღებმა საბოლოოდ ოთახი თვითონ დაისაკუთრეს და ისე მოაწყვეს იქაურობა, შესვლა გესიამოვნებოდათ.

საერთო საცხოვრებელში უცხო მა-

მაკაცი, ისიც ქალთან, ვერ შევიდოდა; მორიგე ნებას არასგზით არ მისცემდა. მაგრამ გამოჩენის უმალ ბარდლას და შურას გზა დაუთმეს. პირველი სართულის შესასვლელში შეგგუფულმა სამმა სამთო სკოლადამთავრებულმა უმაწვილმა და ორმა ქალიშვილმა. შურამ იგრძნო როკორის თვალით გააცილეს მათ ის და ბარდლა. კიბეზე, სადაც ბნელოდა, ან ნათურა სუსტად ბეუტავდა, ბარდლა ცხვირსახოციტ ინიავებდა ნიკაპს; სადაც სინათლე მეტი იყო, სახის ქვედა ნაწილს საგულდაგულოდ იფარავდა. მესამე სართულზე, დერეფანში ენთო იისფერი ნათურები; დერეფნის თავსა და ბოლოში ფანჯრებზე კი ჩამოფარებული იყო შავი სახვევი ქაღალდის დიდი ფურცლები. შურამ კარებს ჰკინტი ჰკრა და გაალო. ოთახის სიბნელეში უმალ გაისმა: — მოხვედი შურა?

— მეც მოვედი და... სტუმარიც მოვიყვანე!

ამ სიტყვებზე შურამ თავაზიანად უხმო სტუმარს. დერეფნიდან განათებული კარის ჩარჩოში მკაფიოდ გამოიჩინა ბარდლა-ბიძინას სილუეტი. ბარდლას გამოჩენა და ოთახში შეკვივლება ერთი იყო. კარის ზღურბლზე მომდგარი ბარდლა ცოტა შეცბა, შურა კი სიბნელეში რაღაცას დაეტაკა. — რა მოხდა? — დაფეთებულის ხმით შესძახა კლარამ, მაგრამ იმდენი მაინც მოახერხა, რომ ქუჩის მხარეს კარსა და ფანჯარას მაუდის ფარდები ჩამოათარა, ოთახში შექი ანთო. ლელას დანახვაზე შურა და კლარა სახტად დარჩნენ. ლელა მთელი ტანით ცახცახებდა, მალა აწვდილ ხელში კი ჩანგალი ეჭირა, რომელსაც ჯერ კიდევ სინათლის ანთებამდე სტაცა ხელი მაგიდაზე. ოთახში შურას შემოსვლისა და ბარდლას გამოჩენისას ის და კლარა მაგიდას აწყობდნენ. ფანჯრებიდან შემოსული მოვარის შუქი ოთახს საკმაოდ ანათებდა.

— რამ გადაგრია, გოგო?! — ისე დინჯად შენიშნა ბარდლამ ლელას. ეტყობოდა, ოდნავაც დაეხინა მასთან მოულოდნელ შეხვედრას და შეკვივლებას. ამ სიტყვებზე ბარდლამ კარი ფრთხილად დახურა, მერე თითქო აქ არაფერიო, ნიკაპზე აფარებული ცხვირსახოცი შურას გაუწოდა — თუ და ხარ, ერთი ეს დამისველე არაყშიო. ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა... დები გონს ჯერ კიდევ ვერ მოსულიყვენ. არ იცოდნენ, რა ელონათ. რაზან შურას ბარდლასაკენ ფეხი არ დაუძრავს, ისევ ბარდლა გაეშურა მისკენ; ცხვირსახოცი ხელში მიაჩეჩა, მერე ლელას თვალი გაუშტერა და ახლა მისკენ გადადგა ნაბიჯი. ეს რომ დაინახა შურამ თავისღაუნებლიედ იყვირა — ბიძინა, ბიძინაო. იფიქრა — ნამდვილად რამე უბედურება მოხდებო, მაგრამ ვიდრე შუაში ჩადგომას მოასწრებდა, ბარდლა დინჯად წვდა ლელას მალა ამართულ მკლავში, გამოართვა ჩანგალი და მაგიდაზე ისეთი ათვალწუნებით მიაგდო, თითქო გუნებაში ეცინებოდა — ამით მიპირებდით შეშინებასო? ახლა შურა და კლარა მისცივდნენ ლელას და საყვედურებით გააბრუნეს.

— დააჯინეთ, სული მოითქვას. ხომ ხედავთ რა შეშინებულია!

— მართლა რას კანკალებ, რამ შეგაშინა გოგო არ იტყვი?! — ბარდლას მოწოდებული სკამი შურამ ლელას დაუდგა. ლელა ერთი კი ჩამოჯდა, მაგრამ უმალ ზეზე წამოიჭრა, კლარას კისერზე მკლავები მოხვია და შეევედრა:

— შენი ჰირიმე, ჩემო დაიკო, გამაცილე სახლამდე, თუ გიყვარავარ!..

— ასე სად გაგაცილო, ვერ ხედავ, სულ კანკალებ და თვალებსაც გიყვივით აფეთებ გოგო!

— დაიცა, არ გვეტყვი რა მოხდა! რაეა, ეს კაცი ამის მეტად ვითომ არ გინახავს?! ბიძინა ხომ თქვენი სტუმარ-

რია.. ა, ხედავ? ჩვენ არ გვეშინია, ესეც ჩვენსავით აღამიანია გოგო — შურა სწვდა ბარდლას თმებში, მარჯვედ მოზღუჯა და თავი ასე ძალათი გააქნევ-გამოაქნევინა. ბარდლას გაეღიმა. გუნებაში ესამოვნა შურას ასეთი გამოაქომაგება და თავისებური, ცოტა უხეში „მოფერებაც“.

— არა, არა! თუ და ხარ, გამაცილე. აქ რაღაც ცუდად ვერძნობ თავს... ცოტა წყალი დამალევიანეთ და მერე... გამაცილეთ!

ბარდლამ თვალი უყო კლარას. ბარდლას გამომეტყველება, თვალების მოძრაობა ლელას არ შეუძმჩნევია. კლარა კი ცხადია, ყველაფერს მიხვდა. ბარდლამ წყალი დაასხა და ჭიქაც თავისი ხელით გაუწოდა ლელას. ლელამ ჭიქა გამოართვა, ნახევარი დალია, ცხვირსახოციც დაასველა და სახეზე მოისვა. საშინაოდ გამოწყობილმა კლარამ ამისობაში ხელახლა საგარეოდ ჩაიცვა. ლელა კარებთან ელოდებოდა მას. ვასვლა რომ დააპირა, ბარდლამ წყნარად შენიშნა:

— არ შევრიგდეთ!

ლელამ არაფერი უპასუხა. არც შეუხედნია.

— თუ ღმერთი არ გაგიწყრება, ბეჯანსა და მაშოს არაფერს ეტყვი, შენთვის აჯობებს! — ამ ბეჯითი კილოთი ნათქვამ სიტყვებში მუქარაც იგრძნობოდა.

შურამ და კლარამ ცნობისმოყვარეობით და შეშფოთებით გადახედეს ერთმანეთს.

— სახლამდე მივაცილებ და... ალბათ მალე დავბრუნდები, — გადაულაპარაკა კლარამ და ლელას გაედევნა. ბარდლა-ბიძინამ ჯერ არაყით მოიბანა უღვთოდ ნაკბენი ნიკაბი, მერე არაყში დასველებული, შურას ქათქათა ცხვირსახოცი შემოიღო და ასე ეჭირა რამდენიმე წუთი. არაყმა პირველად ისე აუწვია კრილობა, სიმწრისაგან ცრემლები გადმოსცვივდა.

ბარდლა და შურა რახანია ერთ ბრი-

გადაში მუშაობდნენ და ერთმანეთის სიახლოვე აღარ ეუტხოვებოდნენ. შურა მარჯვე, ვაეკატური ქალი იყო; ასეთები ბარდლას მაინც და მაინც არ მოსწონდა, ქალის პირველ ღირსებად სინაზე მიაჩნდა, მაგრამ შურას ხასიათში იმდენი რამ იპოვა საერთო, ძალა აღარ იყო, მეგობრობაზე უარი ეთქვა. მათს დამოკიდებულებაში, მათს გამომეტყველებაში ეს თანდათან უფრო აშკარავდებოდა, და ახლა შურას მხრივ დღევანდელი თანაგრძნობის გამოცხადებისა და შინ მიპატიყების შემდეგ დადგა ხელსაყრელი წამი, როცა მათი გრძნობა უნდა გამეღვანებულიყო.

ბარდლამ გულახდილად და შეუფერადებლად უამბო შურას, რაც მოხდა, როცა იგი ლელასთან ერთად შინისაკენ ეშურებოდა.

— ბიჭო ვერაფერი ვაეკაცობაა, ღამე ქალს ასე აუხირდე, თუმცა.. — ამ სიტყვებზე შურამ ვნებისაღმძვრელად გაუშტერა თვალი ბარდლას. ვაემა შემპარავად მოხვია ბეჭებზე მკლავი. შურამ სცადა გაბრძოლება, მაგრამ ბარდლამ ახლა მეორე მკლავიც შეაშველა და ასე მომწყვდეულს ჩახედა თვალბში.

კლარამ ოთახში შემოსვლისთანავე გაიძრო პიჯაკი, და როგორც ჩვეოდა, ფრთხილად კი არ მოახურა სკამის სახურავს, რაღაც გულმოსულად მიაფერთხა ტახტზე, თან შუბლზე ხელი გადაისვა და სკამზე მოსხლეტით ჩამოჯდა. ეტყობოდა ის უფრო გულმოსული იყო, ვიდრე დადლილი.

— უშენოდ არ ვივანშმეთ. — თმების და ტანსაცმელის სწორებით მიუგო შურამ.

კლარამ წამით შეაელო თვალი დაიკოს; მწარედ გაეღიმა.

თამარელას გამოსვლამ ღია პართულ კრებაზე ნიკო, მართალია, ჩააფიქრა. მაგრამ ამ ამბისთვის დიდი

მნიშვნელობა მაინც არ მიუცია. ერთი პირობა ისიც გაიფიქრა, — ეტყობა, მალე მომიწევს ბრიგადებსა და ცკლე-ბში ხალხის გადაჯგუფებაო, — ბოლოს კი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ამის თაობაზე ჯერ არ ღირდა განგაშის ატეხვა. თუ ბარდლა-ზოძინას მისვლის შემდეგ სერდიუკის ბრიგადა დაწინაურდა, ამისთვის კაცს მადლობის მეტს ვერაფერს ეტყობი.

კრების დამთავრების შემდეგ ნიკოს ხმა არ გაუცია თამარელასათვის: არც ავი უთქვამს, არც კარგი. ხალხი აიშალა თუ არა, თამარელა სულ თვალეზში შესცქეროდა ნიკოს და ელოდა, აი ახლა მიხმობს თავისთან და მის საყვედურებს ვერ გადაუურჩებო. ტაში არ დაუგლიათ, მაგრამ თამარელა მაინც ფიქრობდა, რომ ცუდად ილაპარაკა. რახან ნიკო სდუმდა, თამარელას საბაზი ჰქონდა, ასე ეფიქრა. მაგრამ ნიკო გუნებაში სხვაგვარად ხსნიდა ამ ამბავს — ვიცი, გააკვირვებს ჩემი დუმილი, მაგრამ ახლა ასე სჯობია, ათასი ძაღლი და მამაძაღლი გვიცქერის, ჩემი აღტაცება სახალხოდ რომ გამოვებათო. იქნებ იფიქრონ — არაბიძის დარიგებულაო.

სამაგიეროდ, დაწოლის წინ ნიკომ დაწვრილებით უამბო ასმათს, კრებაზე თამარელას გამოსვლის ამბავი.

— რომ დაიძახა — სიტყვა მომეციო, რალაცამ დენივით დამკრა და ამხელა კაცი სკამზე ოთხად მოვიკაცე... მაგრამ გავიდა თუ არა ჯათედრასთან, იმ შეჩვენებულმა...

— ნიკო თუ ღმერთი გწამს ამის მეტად აღარ თქვა თამარელაზე „შეჩვენებული“!

— კი ბატონო... თავიც ისე დაივიწყა, სიტყვაც ისე დაიწყო, ძველათ რომ ამას შევსწრებოდი, ალბათ პირჯვარს გამოვისახავდი. ვინ მისცა ან ამღენი გამბედაობა, ან ასეთი შნო!

— შე კაცო!.. მშობარა და ლენჩი ან შენ სარძლოდ ივარგებდა, ან მემშაბტედ გამოდგებოდა?..

ნიკოს გაელიმა. ასმათის სიტყვებზე გუნებაშიაც მოეწონა, მასწრებულნიც გიჟენა.

— უწესობის წინააღმდეგ დიახაც სამართლიანად გაილაშქრა, მაგრამ... არც ისე შეიძლება მაგას რომ წარმოუდგენია... შახტა კოწია პარიკმახერის ცეკვის კლასი ხომ არ არის? იქ ცოტა მეტი გამბედაობა, მარიფათი, მოსაზრებულობა და, ზოგჯერ რისკიცაა საჭირო, თუ გინდა, სხვამ არ გაჯობოს!

— ეგ იმას უთხარი, ის გაწაფე შე კაცო!..

— ნუ გეშინია, თამარელა, ისე ერკვევა, შენი მოწონებული ადვილად არ ტყუვდება. გამოცდილებასაც რომ შეიძენს, მერე ეშმაკიც ვერ შეაედენს!

— ჰოდა საქმეც შეძენამდეც, მაგრამ... ადამიანი ისე რამეს შეიძენს, თუ სამაგიეროდ არაფერი დაკარგა?

ნიკომ თავი დაუქნია, თუმცა ჯერ კიდევ არ იყო მისთვის ნათელი ასმათის ნათქვამი. უეცრად ნიკოს გონება შატბიაზე ფიქრმა შეიპყრო. ეს უთუოდ იმ ქანდაკების ბრალი იყო, რომელსაც ბუხრის თავზე მოკრა თვალი.

მეორე დღეს ნიკო დიდხანს ესაუბრა თამარელას: — როგორც შენი სიტყვიდან გამოირკვა, უკვე „მოგისწრია“ ზოგიერთებთან დაპირისპირება. კრებაზე გამოსვლით ეს დაპირისპირება შენ უფრო გაამწვავე, მაგრამ ნურც ამის შეგეშინდება, უკეთესია, თუ ეცოდი-ნებათ, რომ მუნჯი არა ხარ და, რაც არ მოგწონს, მისი მხილებისაც არ გეშინია. ისე კი... მოპირდაპირეს უფრო იმით უნდა აჯობო, ფხიზლად იყო და, თუ რამე უწესობის ჩადენას აპირებს, არ მისცე ამის საშუალება. ყველა საქმე ავადმყოფობასავეითაა, თუ ვაგიერთულდება, მერე ძნელია მორჩენა!

თამარელამ ნიკოს დარიგებიდან ის დასკვნა გამოიტანა, რომ ჩემი პირველი ნაბიჯი საზიფათო ყოფილა, მაგრამ მაინც სწორად გადამიდგამსო. შედეგს კი, ასეთი იღუმალი გულისძვრით რომ ელოდა იგი, არ დაუყოვნებია.

პერმარილზე გაწუწკებულებს დიდად ეუცხოვთ, როცა ღია პარტიული კრების მეორე დღეს ბარდლა-ზიძინა შახტში ხელცარიელი მივიდა. შესვენებამდე ისე ხმაგაკმენდილი და თავჩალუნული მუშაობდა, მისი ასეთი ფერიცვალება ყველას ეცა თვალში; ნახშირის ფენის აფეთქების წინ ბრიგადის წევრები შურაში რომ გამოვიდნენ, ბარდლა ცალკე დაჯდა. დღეს იგი ისე იქცეოდა, თითქო ყველას ემდურისო. შურას ყველაზე მეტად ახლა ის უკვირდა, რომ ბარდლა თითქო მასაც გაურბოდა. ბარდლას ასეთი საქციელი კიდევ უფრო აძლიერებდა ახლა მის გოაცეზასაც და ცნობისმოყვარეობასაც. წუხანდელს აქეთ, მათ უკვე ბევრი რამ ჰქონდათ საერთო და, ქალის აზრით შეუძლებელი იყო ბარდლას ამგვარი საქციელი უყურადღებოდ დაეტოვებინა. შურა გვერდით მიუჯდა განპარტოებულ ბარდლა-ზიძინას და ვიღრე რამეს ჰკითხავდა, თითქო აქ არაფერი იყო, ფერხით „სუფრა“ გაუშალა. ბარდლამ არც კი დახედა საქმელს, ისე გაიქნია თავი და შურას ზურგი ნახევრად შეაქცია; ზურგის შექცევასე საყვედურის სათქმელად ვაჟს სახეში რომ შეხედა, დაფეთებული წამოიჭრა და პაპიროსი ისე გამოსტაცა, ბარდლამ ხელის განძრევაც ვერ მოასწრო. შურას მწყურალად შეავლო თვალი; მეორე ღერი პაპიროსის ამოსაღებად კვლავ წიღო ჯიბისაკენ ხელი. შურამ მარცხენათი ჯიბისაკენ წაღებული ხელი გაუკავა ბარდლას, მარჯვენა კისერზე მოხვია და მუდარით გააფრთხილა:

— ნუ იზამ, გენაცვალოს ჩემი თავი.

ბარდლა შურას გაფრთხილებამ ჩააფიქრა, თუ ქალურმა ალერსმა მოხიბლა, ხელი აიღო სახიფათო განზრახვასზე. ქალს ახლა თვითონ წაავლო მკლავში ხელი და გვერდით მოისვა, შურამაც გადახვია ხელი ბარდლას, მკერდით კი მის ფერდს მიეყრდნო და თავიც ბეჭებზე მისდო. ეტყობოდა, ბარ-

დლა მოკლებული და მღნატრებული უნდა ყოფილიყო წრფელ, საალერსო სიტყვას, რახან ამის ფასად ახლა თავის ჯიუტ განზრახვებზე დასვლიდა. ახლო ხელი.

— ბიჭო, რას ფიქრობდი ნეტავი... ერთი რომ მოგეწია, ხომ უნდა გამომთხოვებოდი ათი წლით!... მაინც როგორ გამოგატანეს, არ გაგიჩხრიკეს ჯიბე შემოსვლისას?!!

ბარდლა ჯიუტად სდუმდა, მაგრამ მაღლობელიც იყო ასეთი გაფრთხილებისათვის. ამას შურა გრძნობდა ვაჟის ხელის შეხებაში.

როგორც ამხანაგები ვარაუდობდნენ, ბარდლას მოწყენილობა და მარხულობა ერთ-ორ დღეზე მეტხანს არ გაგრძელდებოდა. მაგრამ მესამე-მეოთხე დღესაც მას გულის მობრუნებისა და „გახსნილების“ ვერაფერი შეატყვეს, ახლა კი ირწმუნეს, რომ ღია პარტიულ კრებაზე თამარელას უმისამართო შენიშვნებს მოჰყვა ბარდლას „მადის“ დაკარგვა.

ქალების საერთო საცხოვრებლის მესამე სართულზე ლელამ სულმოუთქმელად აირბინა. დერეფნის ბოლოდან მესამე ოთახის კარზე ტლანქად დაწერილ ციფრს „25“ თვალი შეავლო და დააკაკუნა.

— „ვინ არის?“ — სუსტად მოისმა ოთახიდან. კარი ჩარჩოში მკიდროდ არ იჯდა და აქეთ-იქით დარჩენილ ღრიკოებში ხმაც თავისუფლად ატანდა, სინათლაც. ლელამ გაუბედავად შეაღო კარი და დამნაშავესავით მოლიმარმა ალერსიანის ხმით უთხრა იქ მყოფთ:

— მე ვარ.

— ლელა?! სიხარულით წამოიძახა რიბამ.

— სწორედ კაი დროს მოხვედი! — ლიდას ამ სიტყვებში ლელამ აშკარად იგრძნო უკმაყოფილება, დაცივნაც. კარის ზღურბლს ველარ გადააბიჯა.

— შემოდი, თუ არა, ასე კარებში გა-

ჩერებულს ხელს ვერ ჩამოგართმევთ. — ზუმრობით უთხრა რიშამ.

— ახლა თუ ხელს არავენ ჩამომართმევს, მადლობელიც ვიქნები. რომ იცოდეთ რა წვალებით ნაშოენი საპნით მაქვს დაბანილი.

რიშამ ერთი გადახედა ლიდას, ხელიც ჩაიქნია — მავის ლაპარაკს ყურს ნუ უვდებთო. მერე ლელას მკლავში სწედა, ზღურბლზე ძალით გადმოაბიჯებინა და გაწყობილ მავიდასთან მიიყვანა. სტუმარს ჯერ ცაცამ, შემდეგ მარინემ, ბოლოს კი ლიდამაც ჩამოართვა „საპნით დაბანილი“ ხელი.

ლელამ რომ კარი შემოაღო, დაინახა: ლიდა და რიშა სუფრის გარშემო ფუსფუსებდნენ. ცაცა თმებს ივარცხნიდა, მარინე კი ტახტზე იწეა, მარცხენა მოკეცილ მუხლისთავე მეორე ფეხი შემოედო და გიტარაზე „გაფრინდი შავო მერცხალოს“ ისე აწვალებდა, იფიქრებდით, დაკვრას ახლა სწავლობსო.

სადილი დღეს მარინეს მოემზადებია და ამიტომაც ნებივრობდა, სუფრის გაწყობაში მონაწილეობა აღარ ევალეზობოდა.

— ლელა, გინდა ეგერ სკამზე, გინდა ჩემს ლოგინზე ჩამოჯექი... სუფრის გაწყობამდე არ მოიწყინო. ეს არის შახტიდან მოვედით და ჩვენც ისე გვშია ერთი ზედმეტი სიტყვის თქმაც კი გვიჭირს...

— თუ გინდათ, მეც მოგვეველებით...

— არა დია, გინდა მაგით წილი დაიდო?.. რასაც ხედავ, ყველაფერი გრამობით არის გამოზომილი... ბარათით ახლა სტუმრისთვის ზედმეტ ულუფას არ იძლევიან.

— ზუმრობს, ლელა. — სიცილით შენიშნა რიშამ.

— ვიცი, — მორიდებული ღიმილით მიუგო ლელამ.

— როგორც ხედავ, ჯერჯერობით ბარათის და ტალონის გავლენა არ ეტყობა ჩვენს სუფრას. საკმელი გვაქვს!

რიშას სიტყვა არ დაუმთავრებია, რომ ლიდამ ერთხელ კიდევ უნებურად...

— საკმელი კი გვაქვს, მწერამ... შენი წილი პური თუ წამოიღე?

ლელამ თვალეზი დაახამხამა.

— მე... საკმელად არ მოვსულვარ.

— ახლა, შენ გინდა, მე მომატყო?

— კარგი, რას ამოიჩემე, ლიდა! მართალი ეგონება, რანაირი ზუმრობაა?

— რა მეზუმრება, ხეალის პური უკვე აღებული და ნახევარიც შეკმული მაქვს!

— ნუ გეშინია ლიდა. დღეს მე არაფერი მინდა. ისე, ჩემი პურის ბარათიც მოვიტანე და... მეც მოვედი, თუ ღამეს გამათევიებთ.

ყველამ გაკვირვებით შეხედა ლელას. მან არც იმის თქმა დააყოვნა, რომ სახლიდან გამოიქცა. — სანამ ბარდლა იქ იქნება, შინ არ დავბრუნდებო.

ხმა არავის გაუღია. მიზეზის გამოკითხვა ასე ერთბაშად უხერხული იყო.

— კი მაგრამ, — წამოიწყო დუმილის შემდეგ ლიდა, — სახლიდან გამოქცევით, ვითომ თავს უშველე? შახტში ხომ მაინც შეხვდები იმ... ვაჰბატონს! უარესი არ არის?

— შენ კი არ უნდა გამოქცეულიყავი სახლიდან, ის უნდა გამოგებრძანებინა, — წამოიძახა მარინემ და ისევ გიტარას მიუბრუნდა.

— მივირს, თუ რამე იციან, მშობლებმა რა გითხრეს, ან თუ არ იციან, რას გეტყვიან?!

— რაც უნდათ, ის თქვან. — მიუგო ლელამ ლიდას, მაგრამ მისი ცნობისმოყვარეობა ამით უფრო გააღვიანა.

— გავხარ ახლა შენ შეილს და ისინი მშობლებს? რავა, რაც უნდათ ის თქვანო!..

— ბარდლა მამაჩემის ნათლულია. თავის ნათლულს კი ის კაცი ადვილად ვერ გაიმეტებს. ბარდლაზე რომც შემიჩვილა რამე, სულ ერთია არ დამიჯერებდა. შენი ბრალი იქნებოდაო, აქეთ დამტუქსავდა და შეიძლება კიდევ მივებრიგე.

— ასეთი მამაშვილობაც ანდაზაა და ასეთი სტუმრის ყოლაც.

— შენ, მგონია, არც მე მოგწონვარ სტუმრის კვალობაზე. კიდევ კარგი აქაურობაში სხვასაც უძევს წილი! პირობას გაძლევ, თუ დაერჩი, შენს ჰურს ხელს არ ვახლებ.

— ამას ახლა ამბობ, მერე სხვა იქნება...

— ოთახი დიდია, დავეტევით, მაგრამ... სად დაწეები, ზედმეტი საწოლი რომ არა გვაქვს?

ლელამ მიიხედ-მოიხედა.

— იატაკზე! — დაუფიქრებლად მიუვო ცაცას.

ქალიშვილებმა ერთმანეთს გადახედეს.

— რა ხელად იპოვა გამოსავალი! — სთქვა მარინემ. გიტარა განზე გადასდო და წამოღდა.

როცა მაგიდასთან სხდებოდნენ, კიდევ ერთი დაბრკოლება წამოიჭრა.

— არა, ჩემო დაია, ყველაფერზე უტყობა, შენი ადგილი აქ არ არის; ეს ოხერი, სკამიც ოთხია! საწოლს კიდევ პო, მაგრამ სუფრასაც ხომ იატაკზე ვერ გავიშლით.

ცაცას შენიშვნაზე, ყველას ხმაძალა გაცინა. ისიც მალე გამოირკვა, არა თუ საწოლი და სკამი, დანა-ჩანგალი, ჩაის ჰიქებიც ოთხ-ოთხი ჰქონდათ. ერთადერთი, რაც ზედმეტი აღმოაჩნდათ, იყო თეფშები.

ვიდრე საქმიანობდნენ, ფუსფუსებდნენ, ქილიკობდნენ, კარფანჯრებ დახურულ ოთახში სიცხესაც იმდენად ვერა გრძნობდნენ, მაგრამ დასხდნენ თუ არა პურის საჭმელად, ყველას სული შეეგუბა.

რიმამ მკერდი მოიღელა, მარინეც პერანგის ამარა იყო, მაგრამ ვერც აპან უშველათ.

— რა საჭმელი შეგვერგება ამ სიცხეში... ჯანდაბას შუქშენილბვაც და...

— ჩვენი ცოდვა მოეკითხოს, ვინც ამ დღეში ჩაგვაგდო. ვიყავით პატიოსნათ...

— მისამართი დააზუსტე, თორემ შენი წყევლა ვაი თუ არ მიუვიდეს.

— ის დარჩეული ბეჭედი ჩემთვის ტყუილად გავგზავნეთ? რას შევბიან აქამდე?

რიმამ კოვზი მოულოდნელად დააგდო თეფშზე. ჰამას თავი ანება.

— რა იყო შე ქალო? გული გავვიხეთქე!

— სული შემეხუთა! ამ სიცხეში კიდევ ცხელი წვენის ხერეპა.—გაგონილა?

— ჩემო დაია, გულიც მიწუხს, სულიც მეხუთება, მაგრამ, — რიმამ ლიდას და ცაცას გადახედა, — ესენი, ხომ ხედავ რა არხეინად შეექცევიან და... ჩვენ რომ ვერ გავუძლოთ, არ დაგვცინებენ? სირცხვილია.

— ამ სიცხეზე უფრო მე მაგ სირცხვილს გავუძლებდი.

— მოდი, გავალოთ.

— მერე შუქი? ეგერ ჩვენს მეზობლებს გუშინ ეშპაკები დაუფრთხეს. შუქშენილბვის წესებს არღვევთ!

— შუქი რომ ჩაეაქროთ, დავინახავთ რამეს მაგიდაზე?

— არ გეშინიათ, სიბნელეში, შეცდომით რომელიმეს სხვისი პური რომ შეექვამოს?

— მთვარიანი ღამეა. ნახავ ცაცა. თუ მაღლობას არ გვეტყვი.

ამ სიტყვებზე რიმამ სწრაფად წამოიჭრა და შავ ქაღალდ ჩამოფარებულ აივანზე გასასვლელ კარს ეცა.

— დაიცა, — წვრილი ხმით მიიძახა ლიდამ და სანამ რიმამ კარის ვალებას მოასწრებდა, შუქის გამოსათიში გადაატრიალა.

ფანჯრებიც გააღეს. ოთახში ერთბაშად შემოიჭრა გრილი ჰაერი.

მარინემ ვახედა ფანჯრიდან სავსე მთვარეს და კმაყოფილებით სთქვა:

— კიდევ კარგი, ყველაფერი არ ემორჩილება ადამიანის მოგონილ კანონებს.

სერობა მთვარის შუქზე მალე დასრულდა. სუფრა აალაგეს, ყველა თავთავის ლოგინზე წამოიწვა. „უადგილოდ“

დარჩენილი ლელა რიმამ თავისთან მიიწვია. ბევრი ხვეწნის შემდეგ ძლივს დაიყოლია, თავბოლო შექცეული წამოწოლილიყვენ.

მარინემ ისევ გიტარა მოიმარჯვა. აუწყობელი გიტარის სიმები ისეთ არასასიამოვნო, ფუყე ხმებს გამოსცემდნენ, ძნელი იყო მოსმენა.

— მარინე, ნეტავი იცოდე მარტო გიტარას კი არა, ჩვენც როგორ გვაწვალე მავისთანა დაკვრით. — გაბედა თქმა ლიდას.

— რაკი ჩემი დაკვრა შენ არ მოგწონს, გიტარას ხელში აღარ ავიღებ!

— ნეტავი რა გემღერება!

— რა იცი, იქნება ვტირი.

— ტირილსაც რომ არ გავს!.. ალბათ არ გეყურება, რას უკრავ თუ არა ჩემი თქმა აღარ დაგვირდებოდა..

— მთელი ღამე ყელში წაჭერილივით ხროტინებ, ძილს არ მაძლი! რავეა, ის ნაკლებია?

— ჩხუბი აკლია ახლა ქვეყანას? გოგობო, თქვენ ის თქვით, ლელას გულისჯავრი შეეარჩინოთ იმ ბარდლას? რიმამ ყველანი სწრაფად გადაიბირა.

— თუ გინდა, ნუ შეარჩენ. — სთქვა ცაცამ. — როგორც მუხას ჯაყვა დანით, ისე ბარდლას შენი გულისმოსვლით რას დააკლებ?

— ჩვენ რომ აქ დაგვერიოს, რა ვაეცაცობაა? თუ ბიჭია, მტერზე ცადოს თავის ღონე.

— კაცი აქ არხეინად არის და თავს რაზე შეუშვებს ცხელ ტყვიას?

— ვინც უშვერს, მაგაზე ნაკლებია? ლიდას ამ სიტყვებზე რიმას უმალ ძმა მოაგონდა, მარინეს საქმრო. თვეზე მერტი გავიდა, რაც ხორბომელიძე და ოდელია-ჩანუნი ფრონტიდან აღარაფერს იტყობინებოდნენ. ალიოშა ხორბომელიძეს ზიზზიბამესთან ერთად წითელი ვარსკვლავის ორდენი რომ მიუღია, ეს ამასწინათ გაზეთებიდან შეიტყვეს მეშახტეთა ჭალაქში. რიმამ ძმას უმალ მისწერა ბარათი. მაგრამ პასუხი აქამდე არ ჩანდა.

მცირე დუმილის შემდეგ ისევ ბარდლასე ჩამოაგდეს სიტყვა.

— რა ნახა გოგო მამკმენში იმ ბარდლასი, რომ ასე მაგრად იკრავს გულში და გასასტუმრებლად არ ემეტება?

— რა ვიცი. — ისე უპასუხა ლელამ ლიდას, კილოზე შეეტყო, ყველაფერი კარგად იცოდა.

— შე რომ ბეყანბუ ვიყო, ხალხს არ ვათქმევინებდი, ეგეც ისეთიაო!

— მამაჩემს მავისთანა ლაპარაკის არ ეშინია!

— ჰო და, შენი გამოქცევა მარტო ბარდლას ბრალი არ არის.

— მამაჩემს რომ რამე უთხრა, გეტყვის — ნათლულს ხელი როგორ ვკრაო.

„რაც ნათლულია, ალბათ ნათლიაც ისეთია“ — გაიფიქრა რიმამ.

— მე რომ მამაშენი ვიყო, ბარდლასთანა კაცს, ახლოს სწორედ არ გავიკარებდი. ნეტა ფრჩხილის ოდენა მაინც თუ აქვს რამე სასიყეთო!..

ამ კითხვამ ყველანი დაადუმა.

ლელამ პირველმა დაარღვია სიჩუმე.

— სახლიდან, მართალია, ბარდლას გულისთვის გამოვიქციე... ვერ ენდობა კაცი... მაგრამ ყველაფერი რომ წაუშალოთ, ერთი ღირსება მაინც შერჩება მაგ თავზეხელაღებულს... წიგნის კითხვა უყვარს. იმდენი, რაც მაგას წაუკითხავს, ალბათ ყველას ერთად არ გვექნება წაკითხული. თუ ცელში არ მიდის, ღამით, ძილის წინ გვიანობამდე კითხულობს ლოგინზე წამოწოლილი. მე მგონია წიგნი ძალიან შევლის, თავის წრეში სხვებზე მაღლა იდგეს.

— ეს ვინ ყოფილა! საკუთარი სახლიდან გამოაგდო და კიდეც იმას აქებს!

— ეგეც მართალია, მაგრამ რაც ვითხარით ისიც სრული სიმართლეა!

— ჰო და, თუ აგრეა... თვითონ მორიგდით ჩემო დაიო! წყენით წამოიძახა მარინემ. მისი ბოლო სიტყვები გიტარის სიმების უსიამოვნო ელარუნმა დაფარა.

შტოლნის შესასვლელთან თამარელა შახტაში მეზობლად მომუშავე ბრიგადის წევრებს დაეწია.

— გამარჯობათ, შურა, დათიკო!..

თამარელა ხმაზე იცნეს, დაწინაურებულითაგან მართო ბარდლას არ მოუხედნია; ვაჟს არაფრად ეპიტნაებოდა მისი სალამი. დანარჩენებმა თუმცა მოიხედეს, მაგრამ ყველამ ისევ ცივად და უხმოდ იბრუნა პირი. თამარელას შურასთვის მკლავში უნდა გამოედო ხელი, რომ მან უცებ მკლავი მალა ასწია, თამარელას კი მუქარის და ათვალწუნების კილოთი შეუძახა:

— შენი სალამიც და... მომწყდი ერთი!..

ამის გაგონება და ადგილზე თამარელას გაშეშება ერთი იყო; ვერ გაეგო ასე რატომ უნდა გამასპინძლებოდა შურა. დაწინაურებულთ კვლავ დაედევნა. შურას საყვედურით უთხრა:

— რა იყო გოგო?... რა გითხარი... რას გამიწყერი?!!

ახლა უკვე აღარავის მოუხედნია. თამარელამ თავისთვისღა ჩაილაპარაკა, — გამიგონია, სალამს მტერსაც არ დაუკავებენო.

ნაბიჯს უკლო, რახან „მეზობლებს“ მისი თანამგზავრობა არაფრად ეპიტნაებოდათ. გაოცებულმა, უსამართლოდ გალანძლულმა უსინდისოდ მიტოვებულმა უცებ გამოუთქმელი შიში იგრძნო. რამდენიმე ნაბიჯი, მართალია კიდევ გადასდგა, მაგრამ მერე ადგილიდან ფეხი ვეღარ მოიცივალა. ახლა ის ერთ-თავად უკან შტოლნის შემოსასვლელისაკენ იტყირებოდა, რომელსაც უკვე ასიოდე ნაბიჯით გამოსცილებოდა. თამარელა დაელოდა ორ დაწინაურებულ მეშახტეს და, როცა ისინი გაუსწორდნენ, მხარში ამოუდგა, გზა მათთან ერთად განავრცო.

— აქ რას ელოდებოდი? — დაუფარავი ცნობისმოყვარეობით იკითხა სირბილამ.

— ბიჭო, ხელი ხომ არ შეგიშა-

ლეთ? — ვენერას ამ სიტყვებში ჩვეულებრივი ხუმრობის მეტი არა იმალებოდა-რა.

თამარელამ ღიმილით გადახედა ვენერას. ამ გახუმრებით ნასიამოვნები თამარელა, კიდევ უფრო მეტი გაოცებით იგონებდა შურასა და დანარჩენების წელანდელ უკუღმართ სიტყვა-პასუხს, უსინდისო მოპყრობას.

— თამარელა, გოგო! არ მეგონა თუ ასეთი ყოჩალი იყავი. შენი გამოსვლა ამასწინანდელ კრებაზე ისე მომეწონა, სიტყვით ვერც გამოვთქვამ! ის კი არა, გულიც მომივიდა ჩემს თავზე — რატომ მე არ ვლაპარაკობ ამას ყველაფერს თამარელას მაგივრად შეთქი!

თამარელამ ახლა ექვის თვალით შეხედა ვენერას, გულით ამბობს, თუ თავისებურად ხუმრობსო: მაგრამ რაღაც ვერ შეატყო, ხუმრობით შეექოს იგი ვენერას.

— გულახდილად რომ ითქვას, — ისევ წამოიძახა ვენერამ, — ბარდლას პურმარილის შესახებ მეც ჩამესმა ერთი-ორჯერ ყურში, შენ რომ ისე მოხერხებულად დაგვიხატე. მაგრამ ამ ამბისათვის სულაც არ მიმიტყვევია ყურადღება. შენი სიტყვის მერე კი, იცოცხლე, თვალი აგვეხილა! მართლაც რას გავს — პურმარილით შენი საქმე გაიკეთო და სხვას კი ხელი შეუშალო?!..

— არა, ახლა არც ისე შეიძლება ჩემო დაიკო, ყოველ ლუქმაზე კონტროლი დააწესო. ბარდლამ რა ქნას, თუ პურმარილი უყვარს და ამით თავს სხვებსაც აყვარებს!..

— მაგანაც იშოვნა პურმარილის დრო და ადგილი!

— ვითომ რით იწუნებ ამხანაგო სირბილამე?! შახტზე უკეთესი ადგილი ისიც ამ დროში, მადის ვასალვებლად სხვა რომელია... ისე საღ მოგ შევადგამ!

— მადას ახლა, სამწუხაროდ, გავიძევა აღარ სჭირდება!

როცა ვენერას სანგრევს მიაღდგნენ, აქ მან განზე გაიხმო თამარელა და

უტრჩულა — კიდევ კარგი არ დაასახელე, თორემ ხომ იცი, რაც არის ეგ ბარდლა... ისე, იქნებ ცოტა გონს მოვიდეს... ჩვენთვისაც უკეთესი იქნება, მისთვისაც!

თამარელამ ხელი ჩამოართვა გულ-შემატკივარ ვენერას და გზა თავის სანგრევისაკენ ახლა სირბილაძესთან ერთად განაგრძო. გზაში მარტო სირბილაძე ლაპარაკობდა, თამარელა მის შეკითხვაზედაც კი სდუმდა. იმდენი ფიქრი უტრიალებდა თავში, სირბილაძისათვის ყურისსაგდებლად სადღა ეკსალა. რაც ამ დღეებში მოხდა, ყველაფერი საოცარი სიცხადით და თანმიმდევრობით ცოცხლებოდა მის ხსოვნაში.

გერასიმე სოფრომაძემ ერთხელ კიდევ შეახსენა თამარელას. — გახედე თუ ქალი ხარ, რა ღმერთი უწყრებათ, აქამდე რომ ხეტყეს არ გვაწოდებენო; თამარელამაც გახედა და გადასწყვიტა — ისე აღარ შევბრუნდები, თუ ხეტყის საქმეს არ მოვაგვარებო. ზედა პორიზონტზე აირბინა; შუროდან ტელეფონით საკმაოდ განაწყენებულის კილოთა ელაპარაკა შახტის უფროსს. წინ ვერ წავსულვართ, გამონამუშევარი ვერ გადაგვიმარებია, გულხელდაკრეფილი უხივართ... ახლა როგორ „გვიბრძანებთ“ — ვიჯდეთ ასე, თუ შინ წავიდეთო. ცხადია, არც ისე იყო საქმე, როგორც თამარელა ლაპარაკობდა; ცოტაოდენი ხეტყე, მართალია, ჰქონდათ, გულხელდასაკრეფადაც ჯერ არ ეცალათ, პირველ აფეთქებაზე ვადმოხვავებული ნახშირის მესამედი ასაწმენდი ჰქონდათ, მაგრამ წინასწარ თადარიგის დაქვრა სწორედ იმის საწინდარი იყო, უსაქმოდ ჯდომა ერთი წუთითაც აღარ მოუწევდათ. დღევანდელ გეგმასაც შეასრულებდნენ.

ტელეფონთან თამარელას ბიწაძემ ჩამოუსწრო. ეტყობოდა, მასაც ეწადა ღარეკვა.

— აქ რას უზიხარ, გოგო! — უხეშად შენიშნა თამარელას, — სხვას რომ ისე ადვილად აკრიტიკებ, მუშაობას უწუნებ, ვითომ, შენ აგვაშენე?!

თამარელამ შუბლი შეიკრა. თვალი მწყრალად შეაელო ბიწაძეს, ამ გოგონას სითამამე ზოგჯერ უხელოდ გამოცემადათ, ცოტა შეგაკრთობდათ კიდევ. ბიწაძემ იგრძნო, პასუხის დაგვიანება სულაც არ ნიშნავდა, თამარელას სწრაფად ვერ მოეფიქრებინოს იგი. თოფმომარჯვებული მონადირე რომ შეყოყმანდება, ვესროლო თუ არაო, როცა უმნიშვნელო რამ ფრინველი წამოუფრინდება, ისე იყო ახლა თამარელას საქმეც, ღირს თუ არა ლეონტის ამ წვრილფეხა მოენეს პასუხი გავცეო.

— აქ რა გითხრა „ჩემო ძამია“, ვინ გაარჩიოს მტყუანი და მართალი?... კიდევ იქნება ჯრება და... თუ გული გერჩის, იქ დამიხვდი!

— ბიჭოს!!! — წასასვლელად მომზადებულმა უკვე ნახევრად ზურგშექცეულმა ბიწაძემ ერთი მედიდურად გადმოხედა თამარელას, მერე განზე ისე გადააფურთხა, თითქო გულისმოსაფხანი სათქმელი — ღმერთმა დასწყევლოს ამ გოგოს გაჩენის დღეო. — ამ უზრდელ ქცევაში უნდოდა გამოეხატა.

ვიღრე ბიწაძე ნაბიჯს გადასდგამდა, თამარელა უცებ წამოიჭრა ზეზე და სირბილით დაეშვა შუროს საფეხურებზე. ბიწაძეც მობრუნდა, სწრაფად დაიხარა და ნახშირის მოზრდილ ნატებს სწვდა, მაგრამ განზრახვის შესრულება ვერ გახედა. სამაგიეროდ თამარელას ერთი მლაშედ შეუკრთხა; ნახშირის ნატები კი შუროს ღარში ჩაანარცხა; გულმოსული ტელეფონს მიუჯდა.

თამარელამ შუროში თავისი სანგრევის შესასვლელთან გადასწყვიტა მოცდა. მართლაც, ათიოდე წუთის ლოდინის შემდეგ პირველად ხეტყის მოშწოდებელი გამოჩნდა.

— როგორ არის თქვენთან ხეტყის საქმე? — გულმოსულის კილოზე იკითხა კლარა არსენიძემ. ეს ღონიერა გოგო შახტში ქალების განაწილების დღიდანვე ხეტყის მიშწოდებლად გაამწესეს.

— ახლა კითხულობ, კლარა?... აქამდე სად იყავი?!

— მეტი საქმე არა მქონდა... — უხეშად მიუგო კლარამ. ნათურა იქვე შუროს საფეხურზე დადგა და მარჯვენა მკლავზე სახელო ფრთხილად გადასწია. — ერთი აქ მომანათე.

თამარელამ მიანათა. იდაყუს ზემოთ, მკლავში ასანთის სიმსხო ხიწვი შესობოდა კლარას.

— მე ვერ მივუღებ. ჯერ ეგ ხიწვი ამომაძვრე და მერე ვილაპარაკოთ. ამ ხეტყის ზიდეაში რა არ მოგივა!

— ჩასულიყავი მედბუნქტში.

— გინდა, სირცხვილით თავი მომეჭრას? ეს რა სამედბუნქტია.

თამარელამ ფრთხილად მოსინჯა ხიწვი.

— ცოტა ყოჩაღად გოგო. მე მეტკინება, შენ ხომ არა! — ხმამაღლა შეუტია კლარამ, — სადაც შესობილია, თითი დააკირე და ხიწვი სწრაფად გამოსწიე.

თამარელაც ისე მოიქცა, როგორც კლარამ ღვარჯიშა, მაგრამ გამოუცდელს კინალამ გული წაუვიდა, როცა ხიწვი გამოსწია; რომ არ დაენახა, თვალის კი დახუჭა.

კლარას თუმც ძალიან ემწვავა, როცა თამარელამ ხიწვი გამოგლიჯა, მაგრამ მის ბაგეს ოღნავ ვასაგონადაც არ დასცდენია ამოკენისის მსგავსი რამ ხმა.

კლარამ ხელით ვადმოსწია კუნთი. ხიწვის შესობის ადგილს, საიდანაც სისხლი ქონავდა, ტუჩებით დასწვდა და ამოსწოვა.

— „საქეიმო“ დახმარებისათვის, მადლობა! — დაცინვით და ღიმილით შენიშნა კლარამ; მერე მწყრალად დაუმატა — თუ ხეტყე მართლა გიჭირთ, წამომყევი. კლარამ სახელო გაისწორა და შუროში წინ გაუძღვა თამარელას. აღმა იმდენი იარეს, თამარელა დაიღალა; მუხლები აღარ ემორჩილებოდა. არასოდეს ასე ღონეგამოღებული არ ყოფილა. კლარა კი ქაჯივით მია-

ლაჯებდა. ნაბიჯი ერთხელაც არ შეუწვდებოდა. თამარელამ ვერც გაუღებდა კითხვა — სად მივდივარ, კარტომ მიგყევარ ასე განქარებით, მე რაში გჭირდებო. როგორც იყო, გამოირკვა, რატომაც მიჰყავდა კლარას თამარელა და რაში უნდა გამოსდგომოდა იგი. როცა მათ საველე შტრეკში ამოჰყვეს თავი, თამარელამ გოცებით მიმოიხედა; ისე მოეჩვენა, თითქო აქაურობა რაღაც შემთხვევას აგონებდა, აკი უმალ გაახსენდა კიდეც. ეს ხომ სწორედ ის ადგილი იყო, სადაც ნიკომ შახტში პირველად შემოსვლისას მარტო დასტოვა და თამარელას შიშის ზარი დასცა რეზინის ტანსაცმელში გამოწყობილ მეშახტეთა გამოჩენამ. მათი ფართო ფარფლიანი ქუდი თამარელას მაშინ საფრთხობელასავით გაჩეჩილ თმებად მოეჩვენა.

— ა, ჩემო „დაიკო“, — დახვებულ მორებს კლარამ ფეხი დააბიჯა.

თამარელა უმალ მიხვდა, „ჩემო დაიკო“-თი მიმართვა სულაც არ იყო კეთილგანწყობილებით ნაკარნახევი. კლარამ განზრახ მოიშველია იგი.

— აქედან ათი საბიგე მორი თქვენი სანგრევისაა. შეგიძლია წაიღო.

— მზე წა-ვიღო?! — გოცებულმა თამარელამ ჯერ თვალები დაახამხამა. მერე ძლივს, ენის ბორძიკით მოახერხა ამ ორი სიტყვის თქმა.

— რა იყო, რა გაგიკვირდა?! უფრო უარესი არაფერი გსმენია?! — კლარამ ქუდი მოიხადა, გაოფლილ შუბლზე ხელი გადაისვა, — თუ გჭირდებოთ, კიდეც წაიღებ ბიძია, თუ არა და, ეყაროს, რა შენაღვლება. იმის მადლობელიც იყავით, აქამდე ჩამოგიზიდეთ!

— ჩამოგვიზიდე — რა... ისე ლაპარაკობ, თითქოს თქვენი საქმე არ იყოს! — თამარელამ ახლა კიდეც აიმაღლა ხმა.

— ამხელა მორები, ფრონტიდან მოწერილი ბარათები ხომ არა გგონია. სეფე ფოსტალიონს მხარზე გადაკიდებული ჩანთით რომ დააქვს?!

თამარელა გაშტერებული იდგა და უსმენდა. არ იცოდა რა ექნა, არ იცოდა, რა ეთქვა.

— ა, შენ და ა, მორები! მე ჩაგაბარეთ, აწი თქვენ იცით. მერე აღარ თქვათ კლარა არსენიძე ხეტყის მოწოდებას აგვიანებსო!

თამარელამ უცებ თავი ასწია, უყურა, უყურა, და მერე გაბედულად მიახალა:

— შენც ღმერთმა შეგარცხინოს და ხეტყის მოწოდებაც! — სწრაფად შეაქცია ზურგი კლარას. მორები ფრთხილად გადმოაგორა, ფეხზე რომ არ დასცემოდა. ერთს, სიმსხოში შედარებით მომცროს, რომელსაც თავისი ვარაუდით მოერეოდა, სანგრევამდე როგორმე მიათრევდა, შუაწელში მკლავი მოხვია, თეძოზე მიიბჯინა და ფრთხილად იწყო ქვემოთ, შუროში, სვლა. ტვირთს ჯერ თითქო უმკლავდებოდა, მაგრამ ასიოდე ნაბიჯი რომ გაიარა, შეატყო — გამოუცდელისათვის არც ისე ადვილი ყოფილა თურმე ეს საქმე. მორი ხან მხარზე გაიღო, ხან ერთ თავში მოქიდა ხელი და ერთხანს ასე ათრია. ზოგერ ბოლოდან ფეხით უბიძგებდა, სადაც კი მორი თავისით შეიძლებოდა ჩაცურებულიყო. თამარელა ისე დააოსა ამ მორის თრევამ, ისე ვადაუხეხა ბეჭი, გადაუყვლითა კისერი, გემოზე დაუქეცა ორივე თეძოს თავი, თუ მეტს არა, ორ დღეს მაინც სანგრევში სამუშაოდ აღბათ აღარ გამოდგებოდა. თამარელამ როგორც იყო მიიტანა მორი თავის სანგრევამდე, შესასვლელთან დააგდო და, თითქო ვინმეს გაელახოს, ისე, ბავშვივით ტირილი აუტყდა. სანგრევშიაც ტირილით გულამოხდარი შევიდა, ყველანი გაოცდნენ. გერასიმე სოფრომამე რახანია ელოდა, არ ამხელდა, თორემ დიდად შეშფოთებული იყო თამარელამ რომ ასე დაიგვიანა. ერთხელ სირბილამდე გაგზავნა, მეორედ თვითონ გავიდა შუროში. რახან თამარელას ვერსად მოჰკრა თვალი, იფიქრა — ისეთი გოგოა, ვიდრე საქმეს არ გააკეთებს.

ვერ მოისვენებსო და, არც მოტყუებულა თავის ვარაუდში. *წიგნი* გერასიმემ მორების „ჩამოწოდებებს“ ამბავი შეიტყო, უმაღ აფრინა ხალხი. თამარელა იძულებული იყო ხელმეორედ ეზილა შუროს ტალახი, გაკყოლოდა ბრიგადის წევრებს. ერთი სიტყვაც არ დასცდენია, გზაში რომ იმდენი იწვალა და დაღლილი ფეხზე ძლივს იდგა.

უფრო დიდი უბედურება თამარელასათვის ის იყო, ცხრა მორის მაგივრად ადგილზე მარტო ხუთი რომ დახვდა. აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, მაგრამ ამაოდ, დაკარგულ მორებს ველარსად მიაკვლიეს. კლარას მონახვა კი არ გასჭირვებიათ; რალა თქმა უნდა, შესჩივლეს; ცხრის მაგივრად ადგილზე ხუთი მორი-ლა დაგვხვდაო.

— დანარჩენი წაგილიათ და რამდენი-ლა გინდოდათ დაგხვედროდათ?

— რას ქვია წაგვილია! — უცებ აერთო თამარელა.

— არ წაგილიათ?.. მაშ კატას შეუქამია!

— ერთი მორი მართალია, წაიღე. დანარჩენი?..

— დანარჩენიც წაგილიათ!.. აბა, ადგილზე არ არის და მე ჯიბეში არ მიწყვია.

— მართლა ამბობ, თუ... იქნებ გასბრაზებლად გადამაღე...

— ერთი ამას უყურე!.. შენთან თამაშის დრო მაქვს!

— არ გრცხვენია?... — დაიძახა გავლისებულმა თამარელამ.

კლარამ მარჯვენათი მეშახტის მუზარადი ვაკეაცივით კეფაზე მოივლო, მარცხენა ხელით კი დოინჯი შემოიყარა. ეს „არა გრცხვენია?“ მეტად უსიამოვნოდ ჩაესმა ყურში.

— რა ექნა, ამ ერთხელ უნდა გაბატიო! — „დიდსულოვნად“ შენიშნა კლარამ, — როგორ არის შენი საქმე?! წელან მკლავიდან რომ ამომიღე, იმ ხიწვს ახლა გულში მასობ?

თამარელამ ხმა ველარ გასცა, ზურ-

გი შეაქცია, თვალზე ცრემლებმოდენილს, ყელში ბოლმა მობჯენილს, სიბრაზისაგან ქვედა ტუჩი უთრთოდა.

პირველ დღეებში ბარდლა-ბიძინა შესამჩნევად განიცდიდა უნებლოე უკანდახვეის სიმწარესაც, სირცხვილსაც; ეს პირველი შემთხვევა იყო მის ცხოვრებაში რომ, ქალს შეუშინდა და, სამაგიეროს გადახდაც განუსაზღვრელი დროით გადასდო.

ბარდლას წინანდებურად მოსვენებას არ აძლევდნენ პურმარილით დაახლოებულნი. ყოველდღე მეორდებოდა ერთი და იგივე სცენა... აფეთქების მოლოდინში გამოჩნდებოდა თუ არა შუროში ბარდლა-ბიძინა, უმალ ვარს შემოეხვეოდნენ ახლო-მახლო სანგრევებში მომუშავე, მისი პურმარილით მომადლიერებული მეშახტეები: ყველა თავისკენ იწვევდა პურმარილზე, მაგრამ ბარდლა ერთთავად უარზე იყო. მეშახტეთა მომახებრებელ საყვედურებზე:— ჩვენს პურმარილს რომ არ ეკარები, მოწამლული ხომ არ გგონია, რაზე გვიწუნებ „სუფრასო“, ბარდლამ მრავალმნიშვნელოვნად შეხედა „აროფებს“... შეხედა და მოულოდნელად, დატუქსული კაცის გამომეტყველებით თავი იმ სანგრევისაკენ გადაიქნია, სადაც თამარელა მუშაობდა. ყველა მიხვდა, რის თქმაც ეწადა ბარდლა-ბიძინას — „ის“ რომ არა, ყველაფერი რიგზე იქნებოდა, ჩვენს ბედს ძალდი არ დაჰყვებდა, პურ-მარილი არ მოგაკლდებოდათო.

ბარდლა-ბიძინამ შეატყო, თავის ე ერთი გადაქნევით რომ საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა ზოგიერთ მეშახტეზე.

თამარელამ კი ძალიან გვიან მიაქცია ყურადღება, ზოგიერთი შახტშიაც. გარეთაც ერთი ხანია თვალს რომ არიდებდა, ან უხეშად პასუხობდა. თამარელას არ გასჭირვებია იმის მიხვედრა, თუ რას უნდა გამოეწვია ზოგიერთის

ასეთი უდიერი მოპყრობა. გარეშეებს ვინდა სჩიოდა, შინაურებშიც კვლავ უხედრდნენ. სანგრევში ახლა მხოლოდის წევრებს შორის ერთად ერთი გერასიმე იყო, რომელთანაც თამარელას ჯერ კიდევ ჰქონდა მამამშვილური, გულისხმიერი დამოკიდებულება. მას ახლა იმის ეშინოდა, ვაი თუ გერასიმესაც „მოექცეს მხარიო“.

თამარელა ნიკოს არაფერს უმხელდა: ფიქრობდა, ყველაფერი თავისთავად მოგვარდებოდა, ამხანაგებს კვლავ მოუბრუნდებოდათ მისკენ გული. ცდილობდა თავი დაერწმუნებინა — თითქო ყველაფერი გაზვიადებულად ეჩვენებოდა.

მას მერე, რაც თამარელა ღია პარტიულ კრებაზე გამოვიდა, ბარდლა ყოველთვის ცდილობდა პირისპირ და ისიც მარტო, მას არსად შეყროდა. მართალია ამ თავზეხელაღებულმა იღუმალ პირობა დასდო, ჯერჯერობით თამარელასათვის ხელი არ ეხლო, მაგრამ მაინც არ ჰქონდა თავის იმედი. რომ ამ პირობას შეასრულებდა, ჩვეულებრივ, როცა საგანრიგოში, ან შახტში მოკრავდა თვალს თამარელას, ადვილად შეატყობდით, რარიც შეეცვლებოდა ხოლმე იერი. ის, რასაც თამარელამ გვიან მიაქცია ყურადღება, ბარდლა-ბიძინამ თავიდანვე შეამჩნია და სიხარულით იღუმალ ცას ეწადა... რაც ბარდლამ პურმარილით ხალხი მოიმაძლიერა, ორი იმდენი ახლა პურმარილზე ხელის აღებით დაიხლოვა, თამარელას კი აუხხედრა. რაკი ხმა გაეარდა — თამარელა შახტში „სამხედრო წესების“ შემოღებას აპირებსო, ყველა გადაუდგა.

ბარდლა-ბიძინა სახემოდინარი დადიოდა. ერთხელ თამარელასაც კი გაუცინა. რა თქმა უნდა, ამ გაცინების მიზეზს თამარელა აგრე ადვილად ვერ მიხვდებოდა. ბარდლა-ბიძინას გარეგნულად ყველასათვის უნდა დაენახებინა, რომ ის თამარელასადმი კეთილად იყო განწყობილი. ცნობისმოყვარეთა

თვალის ახვევა მისთვის ხელსაყრელი იყო, რამდენადაც თამარელასთან ანკარიშის გასწორების სურვილი ჯერ კიდევ აწვალებდა. როცა ზოგიერთ შეშახტესა და თამარელას შორის ურთიერთობა გამწვავდა, ბარდლა-ბიძინა ამ ამბავმა ცოტა არ იყოს, ჩააფიქრა. ვადასწყვიტა, თამარელა მის წინააღმდეგ ამხედრებულთათვის შეეტოვებინა ხელში. თვითონ კი სხვა ცელაში გადასულიყო და „სერიისათვის“ შორიდან ექცირა.

უცნობი ვაჟი დერეფანში მოუსვენრად სცემდა ბოლთას; დრო და დრო კი არაბიძის საგანრიგო ოთახშიაც შეიხედავდა ხოლმე. მეშახტეები ცელაში უკვე გასულიყვნენ; საგანრიგოში სამნილა — იყვნენ: აფრასიონ უკლებსა. გაიოზი და ბარდლა-ბიძინა.

მესამედ, თუ მეოთხედ რომ შეიხედა უცნობმა საგანრიგოში, ბარდლამ—ცოტა მწყრალად მიაძახა:

— ამხანაგო, ეძებ ვინმეს, თუ... რა ამბავია?

— ველოდები. — მოკლედ მიუგო ვაჟმა და პირი იბრუნა.

— ბიჭო გაიოზ, თუ კიდევ შემოიხედა, კითხვ, ვის ელოდება, ქალია თუ კაცი?

გაიოზმა ღიმილით მოისმინა ბარდლას სიტყვა.

— ვითომ ეჭვი გეპარება, რომ... ქალს ელოდება?

— რატომღაც ასე მგონია..

ბიძინა ახლა არც ხუმრობის გუნებაზედ იყო, არც ლაპარაკისა; ესიც არ ენადვლებოდა, ვის ელოდებოდა უცნობი ვაჟი, მაგრამ ლოდინში გული რომ გადაეყოლებინა, იძულებული იყო თავი რითიმე გაერთო. ერთ-ორ წუთს მართლაც ვადარაჯებულებით გამოიყუ-

(გაგრძელება იქნება)

რებოდნენ კარისაკენ მზერამიციებული ბარდლა და გაიოზი, მერე ერთსაც-მეორესაც უნებლიედ მიავიწყდათ ეს ამბავი.

ბარდლა მოუთმენლად ელოდა გონტას დაბრუნებას, რომელიც ნახევარი საათის წინ შახტის უფროსმა იხმო. ბარდლას უფრო ის აწუხებდა, ვაი თუ გონტას მოსვლამდე ნიკო არაბიძემ შემომისწროსო. მას უნდოდა პირველიდან მეორე ცელაში დღესვე გადასვლა ისე მოეგვარებინა, ნიკოს არაფერი შეეტყო, ან თვითონ გონტა მოთათბირებოდა არაბიძეს ამის თაობაზე. ბარდლა, რა თქმა უნდა, ნამდვილ მიზეზს არ ამხელდა, რისთვისაც მას სხვა ცელაში გადასვლა ეწადა. მაგრამ რა მიზეზიც არ უნდა დაესახელებინა, ამით თვალს ველარაფის აუხვევდა.

— ნეტა რას იგვიანებს ის ღმერთადლი! — მოულოდნელად წამოიყვირა ბარდლამ და ზეზე წამოიჭრა. ჯერ გრძელმა სკამმა, მერე იატაკმა კრიალი მოიღო. ხმაურზე გამოფხიზლებულმა აფრასიონ უკლებამ გამწვებულებით გამართულ კისერზე თავი ისე მოუხერხებლად შეაბრუნ-შემოაბრუნა, ხის ფიგურა გეგონებოდათ. თვალები უაზროდ მიმოატარა აქეთ-იქით, ჩაახველა. ვითომ, აქაო-და არა მძინავსო.

ბარდლა-ბიძინა ახლა ფანჯარასთან იდგა და ცნობისმოყვარეობით ადევნებდა თვალს აფრასიონის თავის მოძრაობას. ბარდლა-ბიძინას აქამდე ყურადღება არ მიუქცევია ამ სურათისათვის. სულ მცირედ ხმაურზედაც კი აფრასიონი თავს რომ სწყევდა, ბარდლა-ხმადამლა ჩაიცინებდა და ტაშსაც ნელა შემოკრავდა, აფრასიონის „წვალებას“ ისეთი ცნობისმოყვარეობის აღმძვრელი ღიმილით შესცქეროდა, თითქო დიდად სასაცილო რამ სანახაობისათვის მიუგნიაო.



ძველი რვეულიდან

ცხრა მუხა

მესიზრმა, მთის გაღმა ცხრა მუხას
დევებმა მალულად აშხეფეს ქეძაფი.
ჩრდილს გავეყვე თუ დევის ნამუხლარს,
იმ დღიდან კორძიან ცხრა მუხას ვეძახი.

ცხრა მუხა, ცხრა მთა და ცხრა კარი,
საწუთროს გზაკვალი, ცხრა ლოდი მარაბდის.
ცხრა მუხამ მიკურთხა აკვანი,
ცხრა წყაროს ფესვებით მიმბა მარადის.

შევეყურებ მცირე ხომლს მილეულს,
ეზოში ცხრა მუხის სერობა ვინატრე,
მგონია გალობენ ლილეოს
თუ ფერხულს უვლიან მუხები დილამდ

მარანთან მოვაწყვე თალარი,
ნახმლევი ცხრა ქერქი ალერსით დაკორძდა,
მოვიდა უფოსტლოდ თამარი
და მწუხრზე ცალ-ცალკე ცხრა მუხა დაკოცნა.

ცხრა მუხას სიზმარიც ვუთხარი,
ფოთლებში შეეხვიე ჰადი და ნადუდი,
ცხრა მუხამ გასწია გუთანი
და ირმის ნახტომზე დათესა თავთუხი.

ცხრა მუხა, ცხრა ცა და ცხრა წყარო
ვპოვე და ცხრა მთაზე გავწაფე მუხლები,
თუ შემხვდა სიკვდილი უწყალო,
ყიყინას დასცემენ ჰარმაგი მუხები.

მომხსნიან საწუთროს განაჩენს,
განმბანენ ცხრა წყაროს პაწია ტალღები,
და მუხებს, სიცოცხლის დარაჯებს,
ცხრა უღელ კამეჩით ცხრა მთაში გავყვები.

ჯამის ნამსხვრევები



ამირანმა ერთი ჯამი რამდენჯერაც პირველად
ხო, იმდენჯერ გადმობრუნდა გულაღმა, გაბრაზდა
ამირანი, დააკრა ხელი ჯამს და დაამსხვრია. გატუდა
თუ არა ჯამი, ნატეხმა ნატეხს უხმო, მთელმა —
მთელს. შეიქნა ერთი ძრიამული და ხმაურობა. აი-
შალა ნატეხები და სულ ერთიანად გაფრინდა
ცისკენ.

ხ ა ლ ხ რ ი თ ქ მ უ ლ ე ბ ა .

მტრის მფრინავეებმა დათესეს შიში,
მოფრინდნენ ბინდში და სოფელში ბევრი ვირბინე.
შემდეგ, დაღლილმა, შევასწარ თხრილში
და მეხამეშა თავახდილი თხრილის სიგრილე.

მე არ მქონია ხოგაის მუხლი,
თურმე ვყოფილვარ ყამარ ქალის ჯამი უხეში,
თავზე დამემხო საწუთროს მწუხრი,
აწ ვის შევთხოვო ლუკმასავით მცირე ნუგეში.

ეგებ დავიმსხვრე ბატარა ჯამი,
ხორკლი მქონდა და არ მიცდია თავის დაზღვევა.
თუ ახლა დადვა განკითხვის უამი,
დაპირქვაეებას მირჩევნია ისევ დამსხვრევა.

მე გულის ქისა ნისლით ავიესე,
თუ დამამსხვრევენ მოთარეშე ცაში ლანდები,
ნაპერწყლებივით ოქროს დაისზე
ავფრინდები და ცის გუმბათზე გავიფანტები.

ეგებ შემფუთონონ ღრუბლის დევეებმა,
ვარსკვლავთა ფარას მოვუძებნო ეგებ სადგომი,
ნამსხვრევი ნამსხვრევს დაედევნება
და ნაპერწყლებზე აშენდება ირმის ნახტომი.

კირჩხიბის გაკრულ ზოლს შევერწყმები,
ცას გაეკვრება წეროების მწყობრი გუნდები
და გაპნეული შორს ნაპერწყლები
შეიყრებიან და მიმწუხრზე შინ დავბრუნდები.

ქარი მიმაყრის საწუთროს ღობეს,
დაემგვანები ვარსკვლავებს და ციციანთელებს.
ჩემო მამულო, შენ რწმენა მომეც,
მერმე მითხარი, გულს გატეხილს ვინ გაამრთელებს?

პირველად სტუმარი ამოიღებს ხმას და მოსვლის მიზეზს მამცნობსო, მაგრამ ღმერთი ხმას არ იღებდა.

საათი ტიკტიკებდა.

უცებ სტუმარი წამოდგა, მივიდა კედელთან და საათი გააჩერა.

— პაპა გობრონ, მე იმიტომ მოვედი, რომ თქვენი სული წავიღო.

— სად? — პაპა გობრონს თვალები გაუფართოვდა.

— ცაში.

— რა მინდა ცაში?! აქაც კარგად ვგრძნობ თავს.

— როგორ თუ რა გინდა ჩვენ, ღმერთებს, პატროსანი ადამიანების სულები ცაში მიგვაქვს. შენ უკვე მოხუცდი, ჩქარა უნდა მოკვდე. შენი სული კი ცაში უნდა წავიღო. ამიტომ ჩამოვედი.

— ტყუილად ჩამოხვედი. არსადაც არ ვაგატან ჩემს სულს. რა მინდა ცაში?!

— ღმერთებთან არ გინდა?

— არა.

— რატომ, პაპა გობრონ?

— აბა რა უნდა გვაკეთო ცაში. აქ საღამოობით წერილებს ვწერ და დღისით ბაღში დავდივარ. მხვდებიან ჩემი მეგობრები... და შენ რომ იცოდე, რამდენი მეგობრები მყავს, ასე უსინდისოდ არ მთხოვდი სულს.

— შენ მოხუცდი, პაპა გობრონ, ხომ ხედავ, თმა სულ გაგივითრდა.

— ჩემს თეთრ თმებს მე ვერ ვხედავ და სულ არ მაინტერესებს ფერი.

— მუხლებში ძალა გამოგელია...

— ბაღში ხომ დავდივარ?!

— სუსტადაც ხედავ...

— მე ვხედავ სუსტად?! კმ, რომ მეუბნები სუსტად ხედავო, შენ ხედავ სუსტად, მე კი არა.

— ჰო, კარგი, ნუ ბრაზობ... სული მაინც უნდა წავიღო.

— ღმერთო, ვთხოვი ნუ წაიღებ ჩემს სულს. აბა რა მინდა ცაში. აქ არიან მერაბი, ნუციკო, თამაზი — ჩვენი ეზოს პატარები; თამაზი და მისი ქმარი ლევანი. რა მინდა ცაში! ნუ წაიღებ ჩემს სულს...

— არ შეიძლება, პაპა გობრონ, წესია ასეთი.

— ღმერთო, მიშველე

— ნუ წუხარ, პაპა გობრონ, შენ ბედნიერი ხარ, რომ შენი სული ცაში მიმაქვს.

— ბედნიერი? განა სხვების სულები არ მიმაქვს ცაში?

— რასაკვირველია, არა. უსინდისო და უპატიოსნო ადამიანების სულებს ცეცხლში ვყრით და ისინი იტანჯებიან.

— ცეცხლი სად არის — ცაში თუ მიწაზე?

— მიწაში, ქვევით.

— არ მინდა ცაში! უკეთესია მიწაში, ვიდრე ცაში.

— ნუ სულელობ!

— მოიცა, ღმერთო. რამე მოვიფიქროთ.

— რა უნდა მოვიფიქროთ. კმ, უცნაური კაცი ხარ, პაპა გობრონ, სხვები ნატრობენ ცაში მოხვედრას.

— სხვები მე არ ვიცი!.. იცი, რა?

— რა?

— შენ ხომ ყველაფრის შემძლე ხარ?

— მერე?

— და თუ ყველაფრის შემძლე ხარ, ერთ რამეს ვთხოვ, ღმერთო!

— მაინც რას.

— მაქციე ადამიანად.

— ადამიანად?

— ჰო, ადამიანად.

— ეგ უფრო ადვილი საქმეა, მაგრამ...

— არავითარი „მაგრამ“.

— პაპა გობრონ, დაფიქრდი!

— არ მინდა!

— ცაში მარადიული ნეტარებაა, გობრონი!

— არ მინდა.

— ცაში სიმშვიდეა!

— ნუ მიხსენებ მაგ ცას, ღმერთო! არ მინდა.

— მაშ რა გინდა, პაპა გობრონ, ხელახლა გინდა გახდე ადამიანი?

— ჰო.

— ისევ დაიბადო?



- ჰო.
- ისევ პატარა იყო, შენი ეზოს პატარებზე პატარა?
- ჰო.
- ისევ ჩამოვარდე ხიდან და ხელი მოიტეხო?
- ჰო.
- ისევ ვიყვარდეს და არ უბასუხებდნენ შენს სიყვარულს?
- იყოს!
- კვლავ განიცადო საყვარელი შვილის სიკვდილი?!
- რა ვქნა, ღმერთო! ესეც იყოს!
- ისევ მოხუცდე და მუხლში ძალა გამოგელიოს?!
- ბალში მაინც ვივლი და წერილებს მაინც დავწერ. მოხუცებულობაც იყოს!
- ისევ მოკვდები, მოხუცო!
- იყოს, ღმერთო! ოღონდ ნუ გამიშვებ ცაში. არ მინდა ეს ნაქები მარადისობა.
- კარგი, პაპა გობრონ, იყოს ნება შენი.
- ოღონდ ერთ რამეს გთხოვ, ღმერთო.
- რა იყო?
- ცხვირი ნუ მექნება მეორეჯერ ასე დიდი და ულამაზო, კარგი?
- მართლაც, რა დიდი ცხვირი გაქვს. მეორეჯერ ვეცდები, პაპა გობრონ.
- შევთანხმდით, ღმერთო?
- შევთანხმდით, პაპა გობრონ. ოღონდ ახლა კი მოეშუადე, ერთად გავიდეთ ამა სოფლიდან.
- მხოლოდ დროებით, არა?
- ხომ შევთანხმდით?!
- მაშ კარგი, წავიდეთ... არა, მოიცა... სულ ცოტახანს მაცალე... წერილი

მაქვს დასამთავრებელი... ახლავე წამოვალ.

— კარგი, პაპა გობრონ. შე ცოტას გაველი და ჩქარა მოვალ.

ღმერთმა კარები ფრთხილად მიიხურა. პაპა გობრონმა უკანასკნელი პაპიროსი ამოიღო კოლოფიდან და დახედა მას. „ეს ერთი და მეტს აღარ მოგწევ“ — გაიფიქრა.

შემდეგ წერილი მისწერა...

„როგორა ხარ?

რასაკვირველია, კარგად იქნები.

მეც კარგად ვარ, ძალიან კარგად.

დღეს მთელი დღე დავდიოდი და ცოტა დავიბრალე, მაგრამ ახლა დამშვიდებული და დასვენებული ვარ...

დღეს რატომღაც გამახსენდა ჩემი სოფელი, სადაც ბავშვობა გავატარე. შენც გამახსენდი, შენც პატარა იყავი მაშინ. ჩვენ პატარები ვიყავით, ორივენი...

ჰო, მართლა, დღეს ღმერთი იყო ჩემთან და მითხრა, შენი სული უნდა ჩავებარო. უნდოდა მოსვლისთანავე წაეღო ჩემი სული, მაგრამ ვთხოვე ეცლია, ეცლია წერილის დამთავრება. რა კეთილია ღმერთი, რომ იცოდე, გაცლიო, მითხრა.

მოიცა ცოტახანს. მეზობლებთან რაღაც ხმაურია. გავალ და ვნახავ...

რა კარგი ამბავი მოვიტანე, რომ იცოდე. ჩვენს თამარიკოს ხომ იცნობ, ბიჭი შეეძინა, იმიტომ შემავიანდა.

შემეძლო დიდხანს მეწერა ეს წერილი, ღმერთი მაცლიდა, მაგრამ უკეთესია დავამთავრო...

და აი, მისი ფეხის ხმაც მესმის...

კარგად იყავი. მოიკითხე თქვენები“.

შენი გობრონი



ციკლიდან „ღვინთ გარეშის სავანეთში“

ჩიტიის გულე ქვევრში

ჩასძახებ, უცხო ეხოს გამოსცემს
ქვევრი, პიტალო კლდეში ნაკვეთი.
აქ აბარებდნენ სასტიკ გამოსცდებს,
აქ გადიოდნენ სასტიკ გავკვეთილს.
ეგებ ის ეხო საუფუნეთა
დანავლებულთა ძახილი არი...
აქ ზარს სიკვდილი აგუგუნებდა
და ყიზილბაში მახვილიანი.
ჩასძახებ, უცხო ეხოს გამოსცემს
და დაგეცემა ქარი სახებზე,
ცეცხლში კი არა, მზეში გამოსწვეს,
მერე საგუთარ გულით გახიზეს.
...თავუსარქველოს აპყრია ბჭკალი
და მისცემია უძირო ბურანს,
ბსკერზე ციმციმებს ნაწვიმრის წყალი,
მასში ცის მცირე ნაგლეჯი ცურავს.
ცა თუ გაქურდეს წვიმის წვეთებმა
და ნაქურდალი ქვევრში დამალეს...
ჩაეყურებ, ახლოს კლდეს ეხეთქება

წყვილი ფრინველი — დედალ-მამალი-
ვინა თქვა, თითქოს ამ ქვევრთან უდევს-
სიკვდილს სიცოცხლის მსახვრელი
მიჯნა...

ქვევრის კედელზე შევნიშნე ბუდე
დაუმარცხებელ სიცოცხლის ნიშნად.
და ჭორფლიანი თბილი კვერცხები
უსახლგრო განძად მეჩვენა უცებ.
— ჰეი, ფრთოსნებო, რატომ ვერ
სცბრებით,
მე არ დაგინგრევთ ბუდეს და ფუძეს-
მტერი არა ვარ, როდი გიპირებთ
ბუდემოშლილებს სხვაგან გაშვებას...
შევეყურებ ჩიტებს, არც გათვკვირვებ
მათს შეშფოთებას, აგანგაშებას.
და ჭირნანახი მშობელი მიწის
მწარე ტკივილმა გულთან გამწვილა,
ჩიტი ჩიტია, მანაც კი იცის
თავის ბუდისთვის თავის განწირვა.

ქვალსაცხი

გამომყევ, ძმაო,

ლიაა მუდამ
კლდეში ნაკვეთი საკანის კარი,
საწვიმეთია — შხაბუნობს წვიმა,
საქარეთია — კაკანებს ქარი.
კლდეს ჩამოშლია რბილი და ძვალი.
ლია საკანში საწნახელია,
კლდის საწნახელი, ქვის საწნახელი,
ის არ იშლება, ის არ ირღვევა,
მარადისობამ თუ დაწნა ხელით.
...ადამიანის ძვლებმა გადასცეს
იმ კლდის საწნახელს სიმაგრე რვალის.
კლდეს ჩამოშლია რბილი და ძვალი
და ქარებივით მიქრიან წლები...
და წვივის ძვლები

და მკლავის ძვლები

ჩვენთა მამათა შიშველი ძვლები
იმ საწნახელში ვერ ეტევიან.
კლდეს ჩამოშლია რბილი და ძვალი
და სახნავ მიწას შეერთებია.
ვერ გაიმარჯვეს მტრებმა და წლებმა-
ადამიანთა ელუტით და ზოცივით.
ამ წმინდა ძვლებმა სამშობლოს
მსხვერპლად
მიწას გადასცეს თავისი ზორცი.
კლდეს ჩამოშლია ძვალი და რბილი
და კაცის ძვლების სიმაგრეს ნატრობს...
ყოველ საღამოს და ყოველ დილით
უცხო ხმაურით აიშლებიან
და თეთრი ძვლები,
შიშველი ძვლები
საქართველოსთვის ლოცვად დგებიან.

პირველი სლაკაური



ელა¹

გვიამბე, ელიზბარო,
რა ამბავ მოხდა ელოსა...
ვაჟა

მე ვერ გვიამბობთ, რა მოხდა ელოს,
გზები ხმლებივით ან რამ გაცვითა.
მე ვერ გვიამბობთ, რა მოხდა ელოს
ან ჯაჰვის ნაცვლად
ნისლის პერანგი რატომ აცვია...
მე ვერ გვიამბობთ, რა მოხდა ელოს.
ქარები რატომ დაქრიან ქერხოს,
ან ეს დუმილი რა დუმილია?
ეგების ნისლი მართლა თბილია,
ეგების ნისლი მხოლოდ ის არის,
პაპაჩემს რითაც შეუხვევია

ის ნატყვიარი თუ ნაისრალი?
მე ვერ გვიამბობთ, რა მოხდა ელოს.
ქარები კომშებს, როგორც ძელებს,
ხრავენ
და მკერდზე მკერდით მაწევა ღამე...
— გვიამბე რამე!..
— გვიამბე რამე!..
მე ვერ გვიამბობთ, რა მოხდა ელოს,
მაგრამ რაც მოხდა,
ის საუკუნო დუმილად ეყო
მთებსა და...
ელოს...

პირველი თოვლი

გაგელვიძება დილაადრიან,
ფანჯრიდან გარეთ ძლივს იყურები:
შენი ფანჯრები დაუბარდნია,
ხის მოაჯირი და რიკულები,
სახურავები და კიბეები
დაუბარდნია...
დაუბარდნია...

და ასე თოვლში მიდის დღეები.
გაგელვიძება თეთრია დილა,
გასაგიეებლად თბილი და წყნარი,
თოვდა და თოვდა შენს ძილში

ფრთხილად

და არ გიმტკრევდა დარაბებს ქარი.
ტკივილი სულის სიღრმეში გაგკრავს,
რომ შენ ყოფილხარ წვიმაში, ქარში,
წუხელ კი თურმე გეძინა მაგრად
და ახლა თოვლის გარეშე დარჩი.
ვიცი,
ყოფილხარ წვიმით სოველი

და დაგხვედრია გზაზე ავდარი,
ახლა კი არ ხარ ჩამოთოვლილი,
როგორც ის სახლი ან ის ქადარი.
თითქო სხვას ერგო, რასაც შენ
სთხოვდი,

რაც შენთვის ასე მეტად თბილია,
თითქო ეს თეთრი და თბილი თოვლი
წაგართევს ან და სხვისი წილია...

გაგელვიძება დილაადრიან,
ფანჯრიდან გარეთ ძლივს იყურები;
შენი ფანჯარა დაუბარდნია,
ხის მოაჯირი და რიკულები,
სახურავები და კიბეები,
შესახვევები,

ქუჩა,
ბაღები,
მატარებლები,
ლიანდაგები,
წუთი,
საათი,
მერმე დღეებიც
დაუბარდნია...
მთელი ქვეყანა დაუბარდნია...

¹ ელა — სოფელი მთათურეთში, დიდი-
ხნის წინათ მიტოვებული, გაპარტახებული.



ანაკლის ღამე*



სახლიდან ბავშვების გაპარვის მესამე დღეს გახას ოჯახს კვლავ ეწვია ყარამანი. ჯგებებ საბოლოოდ დარწმუნდა — მამასთან სწავლავს ლაპარაკი მგლის თავზე სახარების კითხვა იყო და ბედს მიენდო. ფოტინემაც გაჩუმება არჩია, თუმცა მის გულში კვლავ ცეცხლი ენთო.

ფოტინემ კარგად გამოაწყო შორგზაზე მიმავალი შვილი. თავისი ხელით მოჭროვილი და შეკერილი ხამის შალის ხალათ-შარვალი და პაკიჭები ჩააცვა; არც ნაბადი დააკლო, არც ყაბალახი, ჩანთაში წიგნების მაგივრად საგზალი ჩაუწყო.

— ჭკვიანად, ღედა გენაცვალოს, უფროსების ნათქვამს დაუჯერე. დამით ტყეში მარტო არ წახვიდე, სადმე კლდეში არ გადაიჩივო, დაუფიქრებლობით თავი არ წააგო და ცეცხლი არ წამიკიდო, შვილო ჯგებებ.

ღედის დარიგებებს ჯგებებ ყურადღებით ისმენდა, საერთოდ თავშეკავებული და წყნარი, ახლა სულ არ იყო ლაპარაკის ხასიათზე, მაგრამ თავს ძალას ატანდა, „მტრის“ ჯინაზე სასოწარკვეთილებას არ ეძლეოდა და ღედას ამხნევებდა: — ჩემზე ნუ იდარდებ, კარგად ვიქნები, ხანდახან წერილებსაც მოგწერო.

— მე კიდევ ჩურჩხელებს დაგახვედრებ, ტუფლებს გიყიდი. ოღონდ კარგად მეყოლე და ყველაფერი შენი ჭქნება, შემოგვევლე!...

— მალე მეც გინახულებ, ჯგებებ. მერე ერთად ვიაროთ ტყეში სახალიროდ, — უფროს მამას გული გაუმაგრა ჯაგუმ.

ღედას დიდხანს უნდოდა შორგზაზე მიმავალ შვილთან ალერსი, მაგრამ ყარამანი ჩქარობდა, ფოტინეს დასამშვიდებლად ჯგებებს ეუბნებოდა:

— გულს ნუ გაიტეხ, ბიჭო, ჩემს ხელში არ იზარალებ. თუ ჭკვიანად იქნები, შვილივით შეგიყვარებ, მეც მადლიერი გეყოლები და შენც ბედნიერი იქნები.

ჯგებებ თავი ჩაღუნა.
— ჩემს სულს გაბარებ, ყარამან ბატონო. ჯერ ერთი ღამე სხვის სახლში არ გაუთეგია და ხომ ხედავ, მე სასიკვტილე სად დასაქარგავში ვგზავნი. შენ იცი და შენმა კაცობამ, — ემუღარებოდა ცრემლმორეული ფოტინე ყარამანს.

— კარგი კარგი, გეყოფა, ბავშვს გულს ნუ უჩუყებ. ვაჟაკი ტყეში უნდა იყოს, კერასთან ნაცრის ქეჭვადი ცეცხლის საქმეა, — მიამძხა ფოტინეს გახამ, რომელიც ცაცხვის ძირას ყარამანის ცხენს მოსართავებს უჭერდა.

ყარამანი ცოლ-ქმარს დაემშვიდობა. ტბილი სიტყვებით ერთხელ კადეგ დაამედა ისინი და თავის ყორანა ცხენს მოახტა. ფოტინემ უკანასკნელად გადაკოცნა ჯგებებ და ყარამანს ცხენზე შემოუსვა, სამგზავროდ შეკრული ნაბადიც მხარზე გადააკიდა.

გახა აჩქარდა, ჭიშკარი გააღო და იქვე მდგარ მაგნოლიას პატარა ტოტი მოტეხა. როდესაც მხედრები მიუახლოვდნენ, ხის ტოტი ჯგებებს მისცა ხელში და უთხრა:

— დაილოცოს, შვილო შენი გზა, ხიფათი და ფათერაკი აგშორებოდეს. იმდენი თხა და ცხვარი გყოლოდეს, რამდენი ღერი თმაც გაქვს თავზე. მოგვემოდეს ჯანის და ტანის სიმრთელე. იყავი სევბედნიერი!..

* დასასრული. იხ. „მნათობი“ № 1.

აქამდე თითქოს უდრეკი და გულჭკვა გახა უცებ მოღბა. გული აუჩუყდა და ცხენზე საცოდავად მოკუნტულ ჯვებეს გადაეხვია. ფოტინემ ვერ გაუძლო მამა-შვილის განშორებას და ცრემლმორიეულმა სახლს მიაშურა.

გახა და ჯაგუ ბექობიდან მანამ გაკუყრებდნენ მიმავალ ცხენოსნებს, სანამ თვალს არ მიეფარნენ...

* * *

შემოდგომა მიიწურა... ნაყანევი ნახირმა მოჯექნა. ხეებს ფოთოლი დასცივიდა. ბაღში ხილი მიილია, ტყეში არც წაბლი იყო, არც კაკალი. ჯვებუს არყოფნით ისედაც მოწყენილი ჯაგუ გარეული ხურმისა და კურკანტელის მეტს ტყეში ვერაფერს პოულობდა თავშესაქცევს. გაუძნელდა ჯაგუს პირველად მარტო ყოფნა. სკოლაში, ტყეში, შინ და გარეთ ძმები სულ ერთად იყვნენ, ერთად დარბოდნენ, ახლა იმ ბედნიერი დღეების მხოლოდ მოგონებალა დარჩა...

მწვავე იყო ჯაგუსათვის მარტოობის პირველი დღეები, იმდენად მწვავე, რომ არც ჰამდა, არც თამაშობდა. გახდა კიდეც. დადარდიანდა, დედას ებრალებოდა მარტო დარჩენილი პატარა ჯაგუ და ხშირად ტყეშიც მიჰყვებოდა, მაგრამ მას ოჯახის მთელი სიმძიმე თავზე აწვა და ყოველთვის ვერ იცლიდა შვილისათვის.

ხანშიშესული ფოტინესათვის ოთხი არ იყო ტყესა და კლდე-ღრეში სიარული. ამას პატარა ჯაგუ გრძნობდა და დედას თავს ისე აჩვენებდა, თითქოს არაფრისა ეშინოდა.

გახაც ძველებურად ამრეხილი არ დადიოდა. მას სოფელში თავი მოჰქონდა იმით, რომ მწყემსი შეილები ეზრდებოდა და ამიერიდან მეჯოგედ იწოდებოდა. ეფერებოდა პატარა ჯაგუს.

— აი, გაივლიან წლები... შენც წამოიზრდები, დიდი ფარა გეყოლება. შორს გაგვარდება შენი სახელი. ისეთი განთქ-

მული მეჯოგე გახდები, როგორც ვარამანია. ჯვებეს კიდეც უამრავი მარობა ეყოლება. სოფელში ორივე საჩვენებელი შეიქნებით.

ჯაგუც თანდათანობით ეჩვეოდა მწყემსობას. მხოლოდ ერთი რამ უკლავდა გულს. მოწაფეები, თავისი ყოფილი ამხანაგები მასხრად იგდებდნენ. ზოგი ნაბადს გადააძრობდა, ზოგი ქუდს უბურთავებდა, ზოგიც მისთვის საგანგებოდ გამოთქმულ საოხუნჯო ლექსით აბრაზებდა. ჯაგუ რამდენადაც შეეძლო უმკლავდებოდა ამ ცუდლუტებს, მაგრამ ხანდახან დაიბრიყვებდნენ და როცა ვერაფერს გახდებოდა, ატირდებოდა. ამ დროს გამოვარდებოდა სახლიდან გაბრაზებული გახა. დამფრთხალი ბავშვები საიდაც ვაიფანტებოდნენ.

— დარდი ნუ გაქვს, შვილო ჯაგუ, შენ საბოლოოდ კაცი გამოხვალ და ისინი ასეთი ლაზღანდარები დარჩებიან — ანუტეშებდა მამა მწყემს შვილს.

ჯაგუმ იცოდა რა დროსაც გამოივლიდნენ მოწაფეები და განგებ ემალებოდა მათ, მაგრამ გაძარცულ ტყეში ფარა თავს ვერ იმალებდა და როცა ჯაგუს ვერ ნახავდნენ, მის თხებს აწვალებდნენ. ზოგი თხაზე შეჯდებოდა, ზოგი ვაცს ცანცარა წვერს აგლეჯდა.

ტყეში ჩამალულ ჯაგუს, რომელიც ბავშვების ამ ოინებს შორიდან უყურებდა, მოთმინება ეკარგებოდა. ხან ქვით, ხან ქოლოკით იგერიებდა მათ, ოღონდ ისინი ბეგრნი იყვნენ და ჯაგუს მაინც ჯაბნიდნენ.

ასე მიდიოდა შემოდგომის დღეები...

* * *

დეკემბრის შუა რიცხვებში ლაკადაზე ჩამოთოვა. აცივდა ბარადაც.

გაძნელდა სოფლად პირუტყვის შენახვა. მით უმეტეს, გახას ჯოგი ამქამად არც ისე ცოტა იყო. რაკი ჯაგუს ერთგულებაში დარწმუნდა, იმედმოცემულმა გახამ დიდის ვაი-ვაგლახით ოცამდე თხა და ცხვარი კიდეც იყიდა

და ამით კიდევ უფრო გამძრავლა თავისი ფარა.

ლაკადისპირა სოფლის მწყემსები თავიანთ ჯოგს ზღვისპირად მიერეკებოდნენ — საზამთრო საძოვრებზე. გახამაც გადაწყვიტა ჯოგი ზღვის სანაპიროზე გაერეკა. ბევრი ეცადა ვინმე მეჯოგეს შეერთებოდა, რადგან ჯაგუს გაუძნელებოდა უჩვევ ადგილას მარტო ყოფნა, მაგრამ ვერავისთან გამოხახა საერთო

ბოლოს გადაწყვიტა თავის დასთან გაეგზავნა ჯაგუ. გახას უფროსი და ეფროსინე სოფელ ანაკლიაში იყო გათხოვილი. ეფროსინეს სახლის გარშემო, კუჩრისა და ნაბადში, ეკალ-ნართი გადამარდნილი ეწრების ახლომახლო უთუოდ შეიძლებოდა ჯოგის შენახვა. ეს აზრი ფოტინესაც კუჩაში დაუჯდა.

და აი, შემოდგომის ერთ დღეს მამა და შვილი თავიანთი ჯოგით გზას გაუდგნენ. პირველად მიდიოდა ჯაგუ ასეთ შორ გზაზე. უძძიმდა მშობლიური კარმიდამოს დატოვება, განსაკუთრებით ენანებოდა დედა, რომელიც მარტოდ-მარტო რჩებოდა შინ. დედასაც გული ცრემლით ევსებოდა, ოღონდ არ იმჩნევდა. იქნებ დარდად წაპყლოდა შვილს დედის ცრემლი.

— ბედნიერი იყავი, შვილო ჯაგუ, ღმერთმა შენი თავი კარგად მიმოფოს; მამიდა ეფროსინესთან უდებობას არ იგრძნობ, შვილო. მეც მალე გინახულე. ჯვებზე იქვე ახლო გეყოლება, ერთმანეთზე თვალ-ყური გეჭიროთ! — დედა შვილს გადაეხვია.

მრავალრიცხოვანი ეჩვენა ჯაგუს ფერდობზე გაფანტული ფარა და თავი ამაყად დაიჭირა. ყველაზე წინ რქაგაბარჯღული ვაცები მიიბიჯებდნენ. მათ ჯოგის თვალს ეძახდა გახა. ვაცების შემდეგ ვერძები მიდიოდნენ, მუდამ ჭიდილით რომ იკლებდნენ ერთმანეთს. მათ უკან კი დანარჩენი თხა და ცხვარი მიჰყვებოდა. ბომბორა ნავაზი — ჯაგუს ერთგული თანაშემწე — ხან შორს ვარბოდა, ხან ჯაგუსთან მიიჭრებოდა და კულის ქიცინით ეალერსებოდა პატარა მწყემსს.

ჯაგუ ზურგზე ხალთამოკიდებული, პატარა ნაბადმოსხმული, ჩამოსხმალის ხალათ შარვალსა და პაჭოქებში გამოწყობილი, როგორც ამ ავღალიდების ბატონ-პატრონი, მიიმედ და ამაყად მიიბიჯებდა. იგი მწყემსური შეძახილებით წინ უბიძგებდა ჩამორჩენილ პირუტყვს. ჯაგუს, მართალია, უძძიმდა ნაცნობ არემარეს დაშორებოდა, მაგრამ ერთი სული ჰქონდა, რაც შეიძლება, მალე ენახათ — სოფელს და განსაკუთრებით ტოლებს — მისი მრავალრიცხოვანი ფარა. ამით სურდა დაებრმავებინა ყველა, ვინც მას დასცინოდა და ჩაგრავდა.

პატარა მდინარეზე გავლის შემდეგ ვაკეზე გასულმა ჯაგუმ ერთხელ კიდევ მოიხედა უკან. იქიდან კარგად ჩანდა ფერდობზე წამოდგმული მისი სახლი, რომელიც ამჟამად ობლად გამოიყურებოდა. ამაღლებულ ბექობზე, ჯარგვლის წინ უძრავად იდგა თავშალმობხვეული დედა. ვინ იცის, მის გულში რა ცეცხლი ტრიალებდა! ჯაგუმ ყაბალახი მოიხადა და დედის დასანახავად დროშასავით პაერში გაშალა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ჯაგუ არც დედას ხედავდა და არც მშობლიურ სახლ-კარს. გრძობდა ჯაგუ დედისა და მშობლიური კარ-მიდამოს დაშორების სიმწვავეს, მაგრამ აბა რა გაეწყობოდა, ბედს უნდა შერიგებოდა...

ნაბადმოსხმული და მხარზე ჯოხგადებული გახა ამაყად მიუძღვოდა თავის ფარას, რომელიც ხან აღმართზე და ხან დაღმართზე მიიზღაზნებოდა. ზოგჯერ, როდესაც უკან მოიხედავდა, მის კმაყოფილ სახეზე დაკვირვებული თვალი ამოიკითხავდა: — „შემომხედდეთ, ყველაფერი ეს მე შეეუთენისო!“..

სოფლის ცენტრის მახლობლად ორი ცხენოსანი შემოხვდათ, გახა მორჩილად მიესალმა მგზავრებს.

— გზა მშვიდობისა, გახა, მაგრამ ჩემი რჩევა რომ არაფრად ჩააგდე, ეს კი მწყინს, იცოდე. — გამოესაუბრა ერთი მათგანი, — კარგა ჩასუქებული კაცი,



საქართველო

რომელსაც მზარზე ტყავის ჩანთა ჰქონდა გადაგდებული და წელზე რევოლვერი ეკიდა.

— მაგას რას ბრძანებ, შენი ჭირიმე, შენ მთელი სოფელი გისმენს და მე ვინა ვარ, რომ არ მოგისმინო. მაგრამ ამ ოხერტიალ პირუტყვსაც მოვლა უნდა. უმეტესად ყურადღებით ერთ დღეს გაჩანაგდება, თვითონ განსაჯე, რა უნდა მექნა, მე უბედურსა, — თავის მოკატუნებით უპასუხა გახამ.

— შენ გეპატრონა, ბავშვებს რას ერჩოდ. მერე მომიფონებ, ოღონდ გვიანი იქნება, — თითქოს ქადილით უთხრა მგზავრმა.

— ის დღე დაიქცეს, რომ მე შენ არ მოგიგონო, იასონ, მაგრამ ალბათ არ იცი ჩემი მდგომარეობა, თორემ ასეთ საყვედურებს არ მეტყოდ.

ჯაგუმ იცნო სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე და დარცხვენით ჩაუარა მას.

— რა უნდა ელაპარაკო იმისთანა კაცს, რომელმაც ასეთი ოქრო ბავშვები სკოლას მოაშორა და ტყეში გაჰყარა, — თავმჯდომარემ თანამგზავრს ჯაგუმზე მიუთითა.

— მამატიე, იასონ, დამნაშავე ვარ, მაგრამ ახლა გზა დამილოცე და სხვა დროს ჩვენ ისევ ვნახავთ ერთმანეთს, — შეეხვეწა გახამ.

— ჩემი დასალოცი რა გქირს, კარგად იცი, არ დამიწყველიხარ და იარე, საითაც გენებოს, — ესა თქვა და ცხენს მათრახი ჰკრა. მგზავრები თვალს მიეფარნენ.

გაოგნებული გახამ კარგა ხანს იდგა გზაზე, თან ფიქრობდა: „რატომ ყველა მე მიჩიჩინებს. სხვებს რად არ ხედავენ, ლეკურით გასაკვეთი ქონი რომ აღვეთ კისერზე“.

მამა და შვილი კვლავ გზას განაგრძობდა.

სოფლის ორღობეებში დიდსა და პატარას მათვენ გვირა თვალი. გზას ულოცავდნენ მწყემსებს, აცილებდნენ და ეთხოვებოდნენ. ფარას აღევნებულ ძაღლებსაც ერთი გნიასი ჰქონდათ.

მზე კარგა შემადლებულფორმით დასაც მამა და შვილი მეზობელ სოფელ ფახულანს მიუახლოვდნენ. გამოჩნდა თუნუქით გადახურული სკოლის ორსართულიანი შენობა, სადაც ჯგებე და ჯაგუმ სწავლობდნენ. ამ სკოლის წინ გავლა ყველაზე უფრო უმძიმდა ჯაგუმს, მაგრამ სხვა გზა არ იყო.

სკოლას წინ მდინარე ჩაუდიოდა. მისი განიერი ეზო აკაციის მესრით იყო შემოკავებული. ეზოს შუაგულში სკოლის ცისფერი შენობა იდგა. ჯაგუმ და ჯგებემ ხუთი წელიწადი ამ სკოლის კედლებში გაატარეს. აი, პირველ სართულზე ფანჯარა რომ მოჩანს, სწორედ იქ იდგა ჯაგუმს მერხი. ვინ იცის, ახლა რომელი მისი ამხანაგი უხის ამ მერხს!

როგორც სკიდან ფუტკრის ბზული, ისე მოისმოდა სკოლიდან მოწაფეთა ყრიაშული. ჯაგუმს გული აუძგერდა. ეს ხმა თუ წინათ ნანასავით ჩაესმოდა, ახლა გულზე ეკალივით ხედებოდა და უნდოდა, როგორმე ჩქარა გაშორებოდა იქაურობას.

როგორც კი სკოლის შენობას დაუპირისპირდნენ, სამჯერ დაიგუგუნა სკოლის ზარმა. მღუმარე ეზო უცებ მოწაფეებით აივსო.

ბავშვებმა ფარას თვალი მოჰკრეს თუ არა, ჭიშკარს მოაწყდნენ. ზოგი ჭიშკარზე გადმოვიდა, ზოგი მესერზე გაძვრა, და გზაზე გამოეფინენ.

ჯერ ვერ იცნეს ყაბალახით პირახვეული პატარა მწყემსი, მაგრამ ერთმა მიყვარა ჯაგუმ მწყემსი, და მოწაფეთა მთელმა გუნდმა ყოიწა დასცა.

— ჯაგუმ მწყემსო, შე ძველო! — გაისმოდა ყოველი მხრიდან.

შეიქნა ერთი ღრიალცელი. პატარა მწყემსი ხელში აიყვანეს. ზოგმა ნაბადი გადააძრო, ზოგმა — ყაბალახი. ზურგზე ხალთა რომ ნახეს, მთლად გაგიჟდნენ.

დარცხვენით ჯაგუმ ვერაფრით ვერ მოიგერია ონაერები. ბოლოს მამა მიეშველა. გახას გამოჩენამ ცოტა დააფრთხო ბავშვები, მაგრამ ხან ერთი და ხან მეო-

რე მაინც მიუხტებოდა პატარა მწყემსს და ეძიძგილავებოდა.

მორიგე მასწავლებელმა დატუქსა გათაებედებული ბავშვები. მწყემსებმა გზა განაგრძეს. სასოფლო საბჭოსთან შემოხვდათ კირილე მასწავლებელი. გახას არ ესიამოვნა ამ ენამწარე კაცის შეხვედრა.

კირილემ აღმაცერად გადახედა გახას და სალამის მიუცემლად გვერდი აუარა. ისედაც უხერხულობაში ჩაეარდნილმა ჯაგუმ მასწავლებლის წინაშე თავი დახარა.

— საითიენ გაგიწევია, მწყემსო? — ორახრონად შეეკითხა კირილე.

— ანაკლიაში, მასწავლებლო, — თავაულებლად მიუგო ჯაგუმ.

— როდის დაბრუნდები?

— ამ ზამთარს იქ უნდა დავრჩე, ასე აქვს მამაჩემს გადაწყვეტილი.

— წიგნები?

— წიგნებიც თან მიმაქვს.

— ის მაინც არ დაივიწყო, რაც გისწავლია, ხშირად განიმეორე. იცოდე — ადრე თუ გვიან, ისევე სკოლაში მოგიწევს ყოფნა.

ჯაგუ კარგა ხანს დამუნჯებულივით იდგა მასწავლებლის წინაშე.

ამასობაში ფარა შორს წასულიყო. გახას ძახილმა გამოაფხიზლა ჯაგუ. წესიერად ვერც კი გამოეთხოვა მასწავლებელს, სირბილით გასწია მამისკენ.

ერთხელ კიდეც მოიხედა ჯაგუმ სკოლის ეზოსაკენ. აივანზე მყოფ მოწაფეობას კვლავ პატარა მწყემსისკენ ეჭირა თვალი.

• •

*

ჯაგუ და გახა მეორე საღამოს ანაკლიაში იყვნენ.

ჭიშკართან ფარა შეაჩერეს. გახამ ფარასთან ჯაგუ დატოვა და თვითონ დის სახლისკენ წავიდა. ჯაგუ პატარა ლელესთან მივიდა. ტვირთი მოიხსნა და გატალახიანებული პაჭიკ-ჭალამნების გასუფთავებას შეუდგა. ჭაობებსა და ტლაპოში ნასიარულევს პაჭიკებზე მიშხე-

ფებოდა წითელი ტალახი. კანის ჩაფულაც სულ ამოსეროდა ტალახში. ჯაგუს რაც შეიძლებოდა წესრიგში მოჰყავდა ფეხსაცმელი, მაგრამ არც ისე იოლი აღმოჩნდა ტალახის მოშორება. წყალიც ცივი იყო, ხელები მოეყინა.

უცებ სახლის კარი გაიღო და დაბნელებულ ეზოში სინათლის შუქი გაიჭრა. სახლიდან ხმაური და აღტაცებული შეძახილები მოისმა. ორიოდ წუთის შემდეგ ჭიკაჭით ხელში ჭიშკართან გაჩნდა მამიდა ეფროსინე და მისი მეუღლე, ძია ერასტო.

— ეს რა გიქნია, გახა, შე კაცო, რამ გადაგრია, ამ შუა ზამთარში ტყეში რომ გაგიყრია ბავშვები. ფოტინეს მაინც რა მოუვიდა? — ჭირვეულობდა მამიდა ეფროსინე.

გახა თავის გამართლებას ცდილობდა, მაგრამ შეუპოვარი ეფროსინე ყველაფერს უჭარწყლებდა.

— შენ რა გესაქმება, ყველაფერში რომ უნდა ჩაერიო! — ჭირდავდა ძია ერასტო ეფროსინეს. ეფროსინე კი ქმარსაც არ ინდობდა თავისი სუსხიანი სიტყვებით.

— საღა ხარ, შეილო ჯაგუ, ხმა გამეცი, შენი სულის ჭირიმე! — სულმოუთქმელად ეძახოდა ფარასთან მისული ეფროსინე პატარა ძმისწულს. სიცივით ატანილი, ტალახში ამოსერილი ჯაგუ მამიდისკენ გაეშურა. მამიდამ სინანულით შეხედა საცოდავად მობუზულ ჯაგუს, და შეუბლსა და თვალებზე აკოცა.

— უი, უი, შეილო, დამიდგეს თვალები, როგორ გაყინულა, რას დამგვანებია ჩემი ოქრო, ჩემი ღვეკაცი! აი წუხანდელი სიზმარი ამიხდა. ოხ, გახა, გახა, შენ რა უნდა ვითხრა, და ფოტინე არ გადამირჩება, — კვლავ ჭირვეულობდა ეფროსინე.

ერასტო აღერსიანად მიეგება პატარა მწყემსს, მერე დატუქსა ცოლი, რომელიც საყვედურებით ავსებდა ისედაც მგზავრობით გალახულ გახას.

ფარა ეზოში შერეკეს. სტუმრებს გამოეგება ეფროსინეს ვაჟი — პატარა ლევანი. ტოლებმა უცებ გამონახეს საერთო

ენა, მაგრამ როცა ჯაგუს ნაბადს თვალი მოჰკრა, ლევანმა სიცილი ვეღარ შეიკავა. ერასტომ იმასაც დაუცაცხანა.

— რა მოგივიდათ ამდღამ დედა და შეიღს. მწყემსი არ გინახავთ? როგორ იქცევით? — წყრომით ეუბნებოდა ერასტო ცალკე ცოლს და ცალკე შეიღს, მაგრამ ჯაგუს შემხედვარე თვითონაც სიცილს ვერ იკავებდა.

ეფროსინემ სახლს მიაშურა, რომ ვახშმის თადარიგს შედგომოდა. ხოლო ერასტო და ლევანი მწყემსებს მიეშველნენ პირუტყვის დაბინავებაში. ერასტოს გრძელი ფარდული ედგა ისლით გადახტრული. ამ სადგომის ერთ მხარეზე შეშა ეწყო, მეორე მხარე კი დათმობილი ჰქონდა ცხენს, ძროხებს და თხებს. გახას ფარაც ამ თხებთან შერევეს და კარი გადაურახეს.

ეფროსინე გაჩაღებულ კერასთან სტუმრებისათვის ვახშამს ამზადებდა. შინ შესვლისთანავე ჯაგუს სველი ფეხსაცმელი და პაჭიკები გახადა. ჩოხის ახალი წინდები ჩააცვა. ერასტო ეფერებოდა ჯაგუს. კეთილი ძიას აღერსით გამხნეებული ჯაგუ მხიარულად იღიმებოდა.

ლევანს კი ჯაგუს ხალთისა და ნაბდისაყენ ევირა თვალი, ეფროსინემ რომ ჯარგვლის კედელზე ჩამოჰკიდა. გახა დასა და სიძეს უამბობდა, თუ რამ აიძულა — ბავშვები სკოლიდან გამოეყვანა.

ეფროსინე ქათამს პუტავდა და თან ამბობდა:

— რომ გითხრა, გეწყინება, გახა, თორემ ძალიან შემცდარხარ. ახლა, როცა ყველგან სკოლაა გახსნილი, მთელი ქვეყანა სწავლა-განათლებისაყენ ისწრაფვის, ასე რამ გაგაბრძოვა! — არ ცხრებოდა ძმის უკმაყოფილო ეფროსინე და ხანდახან სინანულით გადახედავდა სკამზე მოკუნტულ ჯაგუს, რომელსაც ლევანი რაღაცას ეჩურჩულებოდა.

ერასტოსაც არ მოსწონდა გახას ნაბიჯი, მაგრამ ცოლისძმისთვის რომ არ ეწყენინებინა, მის საქციელს ასე ამართლებდა:

— ვისაც სწავლა უნდა, მისთვის სკოლა აუცილებელი არაა. ჩვენს სოფელშია ერთი კაცი, თვალით არ უნახავს სკოლა, მაგრამ მიდი და შეაჯიბრე რომელიც გინდა გიმნაზიელი. რამდენიმე ენა იცის, ხოლო ანგარიშწარმოებაში — ბუღალტერი ვერ აჯობებს. ის რომ განცხადებას დასწერს, ნუ იტყვი, გუბერნატორს მიერთმევა.

— მართალი ხარ, ერასტოს ჭირიმე. ცოდნას მართო სკოლა არ იძლევა. ცხოვრების გამოცდილება სკოლაზე ნაკლები არ არის.

ჯვებემ და ჯაგუმ ცოტა რამ იციან, ფულის დათვლა შეუძლიათ, ბარათს დაწერენ, ნომერს ამოიცნობენ და უფრო მალა ჩვენ მაინც ვერ შეგწვდებით, — დაუმოწმა გახამაც.

— აწი მეტი რაღა გეტქმის, თავი უნდა ინუგუმო — კვლავ უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ეფროსინემ.

ტკილად ივანშემს. ერთმანეთი დალოცეს. ჯაგუს ახალ გზაზე გამარჯვება უსურვეს. გვიან ღამით ოდაში მოისვენეს.

ჯაგუს განთიადამდე თვლები არ მოუხუჭავს. მთელი ღამე ესმოდა ზღვის ლელვა, ძაღლების ყუფა და შორეულ ეწრებში ტურების ზარი.



ღილით ადრე ძია ერასტოს სახლში მოიჭრნენ მეზობლის ბავშვები. მათ ანტერესებდათ პატარა მწყემსის ნახვა. ორი დღის მგზავრობით დალილ ჯაგუს ოთახში ეძინა. ლევანი ბავშვებს უჩვენებდა პატარა მწყემსის ნაბადს, ლაგუჯს, მის ძაღლებს, ჯარგვლის წინ რომ იდრინებოდნენ.

სულწასულ ბავშვებს მწყემსის ნახვა უნდოდათ, მაგრამ მამიდა ეფროსინე ოთახში შესვლის უფლებას არ აძლევდა მათ. მოცდაც არ შეეძლოთ, სკოლაში აგვიანებოდნენ. რაკი მწყემსი ვერ ნახეს, მისი ნაბადი მოისხეს და მიწოდროში გაიჯირითეს. მამიდა ეფროსინე ბავ-

შეებს გაუწყრა. და მათაც ეზო დასტოვეს, ლევანთან ერთად სკოლაში წავიდნენ.

ჯაგუს ადგომამდე ერასტომ და გახამ პირუტყვის მომავალი სადგომისთვის ადგილი ამოარჩიეს, ხოლო როცა ჯაგუს გაეღვიძა, ისაუბრეს, ურემს ხარები შეუბეს და ტყეში გასწიეს, ფარაც თან გაირყევს.

— აი, შენი სანავარდო, — უთხრა გახამ ჯაგუს და ეკალ-ბარდებით მოდებულ ეწერზე მიუთითა.

ჯაგუ გულდასმით ათვალთვრებდა აქაურობას. ლაკადისა და საერთოდ, მთავორიან ადგილებში მიჩვეულ ყმაწვილს უცხოვდ ეჩვენებოდა ზღვის სანაპირო, თვალუწვდენი მინდვრები, სადაც კლდე და გორაკი არსად იყო. ბარდებში წითლად ღვივოდა კურკანტელა. დროდადრო ხოხობივ აფრინდებოდა ხოლმე ტყის შუაგულში.

— თოფი უნდა მიყიდო, ბაბა, ხანდახან ვინადირებ, — შეეხებოდა ჯაგუ მამას.

— ფილთას მე გაჩუქებ, ჩემო ჯაგუ, თონდ, ხომ იცი, იარაღთან სიფრთხილეა საჭირო.

ჯაგუს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ფრთხილად ვიქნებო — დაპირდა მია ერასტოს.

თანდათანობით ღრმა ტყეში შედიოდნენ. წიფლნარი და რცხილნარი მაყვლის ბუჩქებით იყო მოდებული. დამშეული ფარა საძოვარს შეესია, მაგრამ ჯერ დანიშნულ ადგილამდე არ მისულიყვნენ და პირუტყვს ძალით ერეკებოდნენ.

— ერთი რამ მუდამ გახსოვდეს, ჯაგუს ჰირიმე; მხარმარჯენი, შემოღობილი მინდვრები რომ მოჩანს, სიმინდის ყანებია. თუ იქ პირუტყვი შევიდა, უსიამოვნება არ აგცდება. სიფრთხილე გმართებს, — არიგებდა პატარა მწყემსს მია ერასტო.

— ყოჩაღად იყავი, შვილო, უცხო ადგილია, ყანებს მოერიდე, თორემ ერთხელ თუ ავითვალწუნეს. მეორედ სიახლოვეს არ გაგაჰაპანებენ. — უმოწყებდა გახამ.

კარგა ხანს იარეს; ერთ დიდ ტყეს-

თან შედგნენ; ამ ტყეს მარცხნივ პატარა მდინარე ჩამოუდიოდა, მარჯვნივ კი — შუა. წინ ძაღლის ღენასავით ვიწრო ველი ეგლო.

— აბა, ჯაგუ, ფარა ამ ტყეში მიუშვი და თვალ-ყური ადევნე, ჩვენი ახლოს ვიქნებით, შენი ჯოგის სადგომისათვის თხილის წყნელი უნდა დაეამზადოთ, — უთხრა მია ერასტომ ბიჭუნას და ხარებს აპეურები შეხსნა.

დამშეული თხა და ცხვარი ტყეს მოელო. პირუტყვზე თვალ-ყურის დევნება აქ უფრო ძნელი შეიქნა, ვინემ ლაკადაში. იქ რომ ფარა ფერდობზე გაიშლებოდა, ერთი კილომეტრის მანძილზე შეგძლო გეცქირა. აქ კი ორიოდ ნაბიჯზე ვერაფერს შენიშნავდი. ეკალ-ბარდი ისე იყო ერთმანეთზე გადათამული, რომ თავი კუდს ვერ მოიქნევდა. თხები კი — ის ეშმაკის კერძები, მაინც ძვრებოდნენ ამ ღიჯიანებში და ტყის შუაგულისკენ მიიწევდნენ.

მთელი დღე წვალობდა პატარა მწყემსი. საღამოს დასწყევლა თავის ჯოგს და ნოყიერი საკვებით გამოძლარი პირუტყვიც ტყიდან გამოიკრიფა. გახამ და ერასტომ წყნელით დატვირთულ ურემს ხარები შეუბეს და ფარასთან ერთად შინ გამოსწიეს...

• •

თბილ ქვეყნებში გასაფრენად გამოზღებული მერცხლების ყვილ-ხვილს მოგაგონებდათ მია ერასტოს სახლის გარშემო მოზღვაებული ბავშვების ყრიაშული. ისინი პატარა მწყემსის გამოჩენას ელოდნენ.

ანაკლიაში იშვიათი იყო მწყემსი. მხოლოდ ლაკადელი მწყემსები თუ ჩამოივლიდნენ დროდადრო, თორემ ადგილობრივი მოსახლეობა მეჯოგეობას არ მისდევდა. ამიტომაც ენატრებოდათ ბავშვებს ჯოგის ნახვა, და უფრო კი — მწყემსისა.

ჯაგუ სწორედ ბავშვებს ერიდებოდა. ისინი სისხლს უშრობდნენ იქ, ლაკადაში, და აი, აქაც როგორ არიან ჩასაფრებული! მაგრამ ახლა რას დააკლებდნენ,

ერასტო და გაბა გვერდით მოჰყვებოდა. მიუახლოვდნენ ერასტოს სახლის გადმოღმა პატარა მინდორს, სადაც წითელი ყელსახვევიანი ბავშვები იყვნენ გამწკრივებული.

— პატარა მწყემსს გაუმარჯოს! — ერთხმად შესძახეს მათ.

ჯაგუს პირველად დაცინვად მოეჩვენა ასეთი შეხვედრა და სახლისკენ გაიხედა, მაშინდა ხომ არ უყურებს ჩემს ასეთ გამასხრებასო, მაგრამ მაშინდა არსად იყო. ბავშვები კი გაუნძრევლად იდგნენ და პიონერულ საღამს აძლევდნენ ამ სოფლის უცხო სტუმარს.

— გაგიმარჯოთ, შეილებო, გაგიმარჯოთ! თქვენ გაეზარდეთ თქვენს მშობლებს! — მიუგო ბავშვებს ჯაგუს მაგიერ გახამ.

— ეს სულ ლევანის ოინებია, — გადაულაპარაკა გახას ერასტომ.

ბავშვთა მწყრივს გამოეყო ლევანი, და ჯაგუს მკლავი გაუყარა. ბავშვებთან მიიყვანა, სათითაოდ გააცნო ისინი.

— ეს ჯუმბერია, ეს ვაჟა, ეს კიდეე ქეთევანი...

ოცამდე ბავშვს ჩამოართვა ჯაგუმ ხელი. ყველაზე უფრო ქეთევანი მოეწონა. ეს გოგონა სხვებზე მოზრდილი ჩანდა და თან ისეთი თვალით შეხედა ჯაგუს, რაღაც სიხარულის ერთმანეთს დაუთარა პატარა მწყემსს.

ჯაგუ მორიდებულად იდგა უცნობი ამხანაგების წინაშე. არ იცოდა როგორ მოქცეულიყო. ამჩნევდა — თუ როგორ გაკვირვებით მისჩერებოდნენ ბავშვები მის ნაბაღსა და მწყემსურ ტანისამოსს. ისედაც ლოყაფითელ ჯაგუს ახლა ბროწეულივით უღვივოდა ღაწვები.

ბავშვების ყურადღება ახლა ფარამ მიიპყრო. თხისა და ცხვრის ფარა ზანტად მიიზღაზნებოდა გაშლილ მინდორზე. ზოგი კენტრუშით, ზოგი აუჩქარებელი სვლითა და ცოხნით მიიწევდა ფარდულისაკენ. გაღაღებული ვაცები ზანდაზან შეჩერდებოდნენ და ერთმანეთს რქენდნენ.

ერასტო და გაბა დაწინაურდნენ, ჯაგუ უკან გამოუდგა.

ბავშვებმა უცებ სიმღერა შემოსძახეს, პატარა მწყემსმა უკან მოიხედა, ბავშვებს ფერხული ჩაუბამდა და მღეროდნენ:

— ვოსარადა, ჯაგუნა... ჯაგუ, ჯაგუ, ჯაგუნია, ჯაგუნია, ჯაგუნა!.. ვოსარადა, ჯაგუნაა!..

ჯაგუმ შეურაცხყოფილად იგრძნო თავი, ერჩია, სულ არ გამოჩენილიყო ამ მხარეში. მაგრამ გული იმით იჯერა, რომ მის დამამცირებელ ამ სიმღერაში, როგორც შენიშნა, ქეთევანი არ მონაწილეობდა. იგი განზე გამდგარიყო და პატარა ტბას გაჰყურებდა...

ეზოში შესვლისთანავე მაშინდა ეფროსინე გამოეგება ჯაგუს. მისი დაკარული ხელებისა და დაღვრემილი სახის შეხედვამ ცუდ გუნებაზე დააყენა მამიდა. მოეფერა ტყეში ხეტიალით დაღლილ ბავშვს.

• •

რამდენიმე დღეში გახამ და ერასტომ პირუტყვისათვის ჩინებული ფაცხა მოლობეს და გვიმრით გადახურეს. გახას შინ ეჩქარებოდა. ჯაგუ დასა და სიძეს საიმედოდ ჩააბარა, ბიჭუნაც კარგად დაარიგა და კმაყოფილი შინ დაბრუნდა.

ჯაგუ მალე შეეჩვია ტყეში ხეტიალს, მწყემსობას, დამოუკიდებელ ცხოვრებას. თვითველ თხასა და ცხვარს სააღერსო სახელი შეარქვა. ფარაში გამორჩეულ მძლოლ ვაცს ირემას ეძახდა, ზოგს — გიმერას, ზოგს კიდეე სქვერას და ასე ყავდა ყველა მონათლული. პირუტყვიც შეეჩვია ჯაგუს. მისი ხმის გაგონებისთანავე იქით გაქანდებოდნენ, საითენაც პატარა მწყემსი უბნობდა.

მოკლე ხანში შეისწავლა ჯაგუმ ანაკლისს ეწრები. კარგად გაერკვა გზებსა და ბილიკებში. იცოდა, სად იყო ყანები, სად ქაობები, გუბეები. ადგილმდებარეობის შეჩვევამ, ცოტა არ იყოს, გაათამამა, მწყემსობაშიც გვირიანად გაიწაფა და ანაკლიელი ბავშვებიც ახლა პირვანდელივით ველარ ბედავდნენ მის დაჩაგვრას. მით უმეტეს, რომ ახლა ერასტოს

ნაჩუქარი ფილთა ეკიდა მხარზე და ტოლებში, ასე თუ ისე, მონადირის სახელიც ჰქონდა გაეზარდინილი.

ახლადგაცნობილთა შორის ჯაგუ ყველაზე უფრო დაუმეგობრდა ქეთევანს. ამ სიცოცხლით სავეს, ჰკვიან ქალიშვილში ჯაგუმ გულწრფელი ამხანაგი ჰყოფა. თუ სხვა ბავშვები დამათ შორის, ლევანიც, ჯაგუს, როგორც მწყემსს, აბრაზებდნენ, ქეთევანი პირიქით იქცეოდა. პატარა მწყემსს თავი უხერხულად რომ არ ეგრძნო, ყოველთვის ზრდილობიანად და პატივისცემით მიმართავდა. იგი ქირდავდა პატარა ონაერებს, მათ შორის ლევანსაც, ჯუმბერს, ვეას, რომლებიც ჯაგუს უდიერად ეპყრობოდნენ. სწავლაში ფრიადოსანი, ჰკვიანი ქეთევანი თავის სახელმძღვანელო წიგნებსაც ხშირად აძლევდა ჯაგუს, ზოგჯერ გაუგებარ სიტყვებსაც უხსნიდა. ჯაგუ ალტაცებაში მოჰყავდა ქეთევანის ასეთ მოპყრობას და ამიტომ იგი სხვებზე უფრო უყვარდა.

ჯაგუს დიდ სამსახურს უწევდა ძია ერასტოს ნაჩუქარი ფილთა. პირველად ჩიტებზე ნადირობდა, მერე ხოხბებზე მიიტანა იერიში, მაგრამ რამდენჯერაც ესროლა ხოხობს, ყოველთვის აცდინა, რადგან ხოხობი ტოტზე მჯდარი ვერასოდეს მოიხელთა, ხოლო აფრენილს საფანტს ვერ ახვედრებდა.

ერთ დღეს გადაწყვიტა, რაღაც არ უნდა დაჯდომოდა ხოხობი მოეკლა და მისი მეგობარი ქალიშვილის ქეთევანისთვის მიერთმია. სახლიდან ამ გადაწყვეტილებით წამოსულმა ჯაგუმ ფარა იმ ტყეში გაუშვა, სადაც ყველაზე მეტი ხოხობი ეგულებოდა. განგებ სხვა ფრინველს არ ესროლა, მაგრამ მოხდა ისე, რომ ხოხობს თვალი ვერსად მოჰკრა. ხოხობზე ნადირობით გატაცებული ჯაგუ ფარას კარგა მანძილით დაშორდა. პატარა ჭიბჭიებს შემოუარა და გზის პირზე ჩირგენარი შეათვალიერა. გზის გადღმა შხულით გადაიჭროლა ქორმა, სადაც შამვიც აჭახახდა. ძაღლებმაც ყეფა ასტეხეს. ჩირგენარში რაღაცამ გაითფაჩუნა, მერე დაბმულივით აფართ-

ქალდა და ჯაგუს წინ ჰაერში აიჭრა ხოხობი; ჯაგუმ თოფი მოიმარჯვა, გამოუცდელმა უცებ სროლა ვერ მოასწრო და ხოხობი გაუფრინდა. მონადირის გულის მოსაკლავად შორსაც არ გაფრენილა, ასიოდნ ნაბიჯზე, გზის მარჯვნივ იელის ღობესთან ამართულ რცხილაზე შემოჯდა.

ჯაგუმ ფრთხილი ნაბიჯით გასწია ხისკენ. წელში მოხრილი ისე მსუბუქად მიამიჯებდა, ფიჩხსაც არ ამტვრევდა. ჯაგებში გაძვრა, არც ჭიბჭებს დაერიდა, არც ტალახს, რცხილასთან მიცოცდა. ხშირ ტოტებში ხოხობს კარგად ვერ ხედავდა, მაგრამ მაინც დაუმირზა და ესროლა. როგორც ყოველთვის, ახლაც ააცდინა. ხოხობი შეფრთხილდა და გაფრინდა.

— ტყავი არ გააფუჭო, მონადირე, ტყავი! — შემოესმა ჯაგუს ელაცის დამცინავი ხმა.

ისედაც გაწიბლებულსა და დარცხვენილ ჯაგუს გულზე მოხვდა ეს სიტყვა. ღობიდან გზაზე გადაიხედა. სკოლიდან დაბრუნებული მოწაფეები მოდიოდნენ. მათ შორის ქეთევანიც მოანათებდა გალიმებული სახით. რაღაცას ხმამაღლა უყვებოდა მეგობრებს. წინ ორი ნაბიჯიანი მხედარი მოდიოდა. ჯაგუმ მიმაღლა სცადა, მაგრამ ქეთევანმა თვალი მოჰკრა და დაუძახა. ჯაგუსაც უკან დასახვევი გზა არ ჰქონდა, ღობესთან გაჩერდა.

— ეს შენა ხარ, აქ ნადირს რომ გვიფრთხობ? — ხმამაღლა გამოელაპარაკა ერთი ცხენოსანი.

— წრეულს არ გააცივებს იმ საწყალ ხოხობს, ისეთი შიში აჭამა ჩვენმა მონადირემ, — იხუმრა მეორე ცხენოსანმა.

— ამას ნუ ეხუმრებთ, ჩინებული მონადირეა, მაგრამ ახლა ჩვენმა ხმაურმა შეუშალა ხელი! — განუმარტა მგზავრებს ქეთევანმა, რითაც ჯაგუს უხერხულობიდან გამოყვანა სცადა.

— ის მართო მონადირე კი არ არის, მწყემსიცაა, — თქვა ლევანმა.

— მწყემსიო? საიდანა ხარ, ბიჭიკო, — აღერსით შეეკითხა ცხენოსანი.

— ლაკადიდან. — გაუბედავად მიუგო ჯაგუმ.

— ჯვარიდან ხომ არა?

— დიახ, ჯვარიდან.

— აქ როგორ მოხვდები?

— მამაჩემმა ჩამომიყვანა, ბინა ნათესავებთან მაქვს.

— ლობეზე გადმოდი, ბიძიკო, — ნუ გერიდება, ერთი შენი თოფიც ვნახოთ, — მოეფერა ერთი მათგანი. ზოგიერთმა მოწაფემ ეშმაკურად ჩაიციხა. მაგრამ ქეთევანის შიშით ხმის ამოღება ვერავინ გაბედა.

ღარცხენილი ჯაგუ გალახულივით აძვრა ლობეზე და გადასახტომად რომ ისკუპა, ნაბადის კალთა სარს მოედო, დამხრჩვალი იხვივით ლობეზე გადმოეკიდა. ბავშვებს ესლა უნდოდათ. ჯაგუმ ძლივს დაიხსნა თავი უხერხულობიდან და ცხენოსნებთან მივიდა თავჩაღუნული. ნარ-ეკლით დაკაწრულ ხელეზზე აქა-იქ სისხლი მოჟონავდა, ფეხი დასველებოდა. პაპიკები ტალახში ამოსვროდა. სახეზე რაღაც სევდა დაჰკრავდა.

— სად არის, ბიძიკო, ფარა? — შეეკითხა ერთი ცხენოსანი.

— აი, იქ, ტყეში, — მიუგო ჯაგუმ და მარჯვენა ხელი გაიშვირა დაბურული ტყისაკენ. თან შიშმა შეიპყრო, ნადირობით გატაცებულს რამდენი ხანია ჯოგისთვის ყური არ მიუგდია, ვაითუ თვინორესავით აქაც მხეცები დაერიათ.

— რამდენი გყავს თხა და ცხვარი, ბიძიკო!

— თქმადაც არ ღირს, მაგრამ თავს ვიქცევ, სხვა რა უნდა ვაკეთო, — დარდიანად მიუგო ჯაგუმ.

— მწყემსობა შენ თვითონ ირჩიე? — ჩააცვიდა იგივე მგზავრი.

— მე ვინ მკითხა, ბატონო! — კვლავ ნაღვლიანად ჩაილაპარაკა ჯაგუმ. მგზავრებმა ერთმანეთს გადახედეს.

— ეს ჩვენი სტუმარია, ძია ერასტოსთან ცხოვრობს, — ვააცნო იგი მგზავრებს ქეთევანმა.

— აჰა, ერასტოსთან ლაკადელი მწყემსი რომ არისო, ესაა? მე ამის კაი ბიჭობაზე ბევრი რამ მიაშვებს. ოღონდ, მამა-

შენს გადაეცი — გაისად აქ მალე საკომეურნეო ჩაის პლანტაციებზე გაშენდება და პირუტყვის საბალახო ადგილის სხვაგან ეძიე-თქო...

მგზავრებმა ცხენებს მათარახი გადაუქირეს და გზა განაგრძეს. ქეთევანმა ერთი-ორჯერ აღერსიანი თვალით შეხედა ჯაგუს და ამხანაგებთან ერთად შინ წავიდა.

დიღხანს იდგა ერთ ადგილზე სიცივით გათოშილი ჯაგუ. შურით ადევნებდა თვალს სკოლიდან დაბრუნებულ თანატოლებს.

— ახ, ნეტავი თქვენი!... — ნაღვლიანად ჩაიდუღუნა და ტყისკენ შებრუნდა, სადაც ფარა ეგულებოდა.



იმ საღამოს ჯაგუ უხალისოდ დაბრუნდა შინ. პირუტყვი დაბინავა თუ არა, პირდაპირ საწოლს მიამუხრა.

„რა არის ჩემი ცხოვრება, — ფიქრობდა იგი, — ძმას და დედ-მამას მოშორებული საღაღაც ტყეში დავეხეტები ნადირივით. მოვწყდი სკოლას, ამხანაგებს. აქაც მჩაგრავენ, დამცინიან... ერთადერთი ქეთევანია ჩემი მფარველი... ოხ, ქეთევან, ქეთევან“...

ჯაგუმ თავი ასწია და სინანულით გადახედა ქეთევანის მიერ ნათხოვენ წიგნს, ობლად რომ ეგდო მაგიდაზე და ზედ ლამპის მერთალი შუქი დაჰნათოდა.

ღრმა ფიქრებში წასულმა უცებ დედის სურათს მოჰკრა თვალი, აქვე სასთუმალთან რომ ეკიდა კედელზე. მერთალად მოჩანდა თავშალმობურული დედის სურათი, რომელიც ჯაგუს პირდაპირ მისჩერებოდა. იგი თითქოს შეიღბ ეფერებოდა.

— დაიძინე, ნანა, დედა გენაცვალოს, დაიძინე. ხომ ხედავ, რამდენი პირუტყვი გაბარია. ჰკვიანად, ჩემო ბიჭუნავ!

დიღხანს იოცნება ჯაგუმ. ფიქრობდა მშობლებზე, ძმანზე, ამხანაგებზე, წარსულსა და მომავალზე. გვიან ჩასთვლიდა და დაეძინა...

გამთენიის ხანს რაღაც ძახილი ჩაესმა.

გამოფხიზლდა. მის წინ მამიდა ეფროსინე და ძია ერასტო იდგნენ და რალაც დამამშვიდებელ სიტყვებს ეუბნებოდნენ.

— რა იყო, გენაცვალე, ჯაგუ, რატომ კვნესოდი, აეად ხომ არა ხარ, მამიდა გენაცვალოს! — დაყვავებით ეუბნებოდა ეფროსინე.

— ვის ებრძოდი, ბიჭო ჯაგუ, თავი სანადიროდ ხომ არ გეგონა! — ღიმილით ეუბნებოდა იქვე საცვლების ამარა მდგომი ძია ერასტო.

ჯაგუ ვერ მიმხვდარიყო, რას ეუბნებოდნენ. თვალეზი მოიფშენიდა და დარცხენით შეხედა ორთავეს.

— რამე ცუდი ხომ არ დაგესზმრა, ნანა ჯაგუ, მამიდა გენაცვალოს, — კვლავ მოფერებით ეუბნებოდა მამიდა ეფროსინე და თან საბანს უსწორებდა — იქნებ შესცივდაო.

ახლა მიხვდა ჯაგუ, რაშიც იყო საქმე ავ სიზმრებში მყოფს ალბათ აბოდებდა.

— მე და ჯვებე, — დაიწყო ჯაგუმ. — სახლის წინ, ცაცხვის ჩრდილში ვიჯექით და ვმღეროდით, თანაც თვალ-ყურს ვადევნებდით ეზოს გადაღმა კაკლის ძირას მყოფ ფარას. შინ არავინ იყო. მოულოდნელად ძაღლები აყეფდნენ. თხები პეტელით წამოიშალნენ. საიდანღაც გამოძვრა რუხი მგელი და ობოლი თიკანი მოგეტაცა. გამოვეკიდეთ ძაღლებით. მივრბოდით და ვყვიროდით. კარგა ხანს ჩაგვესმოდა ძაღლების ყეფა და განწირული თიკნის პეტელი, ტყესა და კლდე-ღრეში ხეტიალით დაღლილებს ნაბიჯის გადადგმა გვიჰიორდა. შემოგვალამდა. უკან დავბრუნდით.

საიდანღაც ტურების კივილი მოგვესმა. შემზარავი ხმა თანდათან გვიახლოვდებოდა. გადავწყვიტეთ ხეზე ავსულიყავით. ჯვებემ ერთ პატარა ხეზე შემსვა, შეშინებულმა მალლა აცოცება ვიწყე. მაგრამ ხე იმდენად სუსტი აღმოჩნდა, რომ ილუნებოდა და ნიავის პატარა ჩამოჭროლებზე ხან იქით ირწყოდა, ხან აქეთ.

ჯვებემ ხეზე ასვლაც ვერ მოასწრო, ჯოხს სტაცა ხელი და ისე მაგრად შეპკივლა, თითქმის მთელმა სოფელმა გაი-

გონა. ამ ხმაზე ტურებმა პირდაპირ ჯვებზე მიიტანეს იერიში. გაცოფებული მხეცები თვალებით ცაცხლს აყეფებდნენ. ვხედავ, საცაა, ჯვებეს დაგლეჯენ მხეცები.

ამ დროს სად იყვნენ, სად არა, ჩვენი ძაღლების ყეფა შემოგვესმა. თვალის დახამხამებაში ისინი ჩვენთან გაჩნდნენ. მათი გამოჩენა და მგლების გაფანტვა ერთი იყო... ამასობაში თქვენიც გამომღვიძეთ. როგორ მიხარია, რომ ყველაფერი ეს სიზმარი იყო და არა ცხადი, — ჰყვებოდა ხმააკანკალბული ჯაგუ.

— სიკეთისა და გახარებისა, ნანა ჯაგუ, კარგი სიზმარია. ძმებს მტერი და გიმარცხებით, მეტი რალა გინდათ! — ამშვიდებდა მამიდა ეფროსინე.

— კარგის, სიკეთის, ჯაგუ; არაფერია, შენ, როგორც მწყემსს, სულ ჯოგი გახსოვს და ძილშიც ის გესიზმრება. ცუდს არაფერს ნიშნავს ეს სიზმარი, — შიშის გასაქარწყლებლად, დაყვავებით უთხრა ძია ერასტომ.

— სიზმრის არც მე მჯერა, მაგრამ მაძიემისაგან გამოგონია, რალაც წინათგრძნობა არისო. ვინ იცის, იქნებ ჯვებეს უჭირს რამე. მინდა წავიდე ჭურიაში და ძმა ვინახულო. აქედან შორს არ უნდა იყოს ჭურია. გუშინწინ ტყეში ერთი იქაური კაცი შემხვდა და მითხრა დილას რომ ანაკლიიდან გახვალ, შუადღეს იქ იქნებიო.

— მართალი უთქვამს, ჭურია არც ისე შორსაა. თუ გინდა, მამიდასთან ერთად წადი. ერთი-ორი დღე პირუტყვს როგორმე მე მოვუვლი.

ერასტოს ეს აზრი მოეწონათ ჯაგუსაც და ეფროსინესაც. ეფროსინეს რამდენი ხანი ჯვებე არ ენახა და ძალიან ენატრებოდა უფროსი ძმისწული. დათქვეს — მეორე დღეს წასულიყვნენ. ამ ამბით გახარებული ჯაგუ ცქვიტად წამოტალოგინიდან, სწრაფად ჩაიკვა.

გარეთ ბარაქიანად თოვდა...

ანაკლიელები ძველთაგანვე განთქმული იყვნენ მეთევზეობით, წყალჯომარ-

დობით. ანაკლიას თავი მოჰქონდა ტივოსნობითაც ენგურელ მეტივეთა უკანასკნელი სადგური ანაკლია იყო. მეტივეებს ანაკლია უმასპინძლებოდა ზღვის თევზითა და მარილით. ზღვაზე შეჭრილი ფიჭვნარიანი პატარა კუნძულის პლაჟი აღრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე სავსე იყო დამსვენებლებით.

ანაკლიას სხვა ღირსებაც აქვს. ჰალაღიღისა და სირიაჩქონის ტყეების შემდეგ მთელს კოლინაში ბადალი არა ჰყავს ანაკლიის ტყეებს, განსაკუთრებით ჭურჩის ტყეს. ჭურჩია მდიდარია შეშით, სამშენებლო ხე-ტყით და საზამთრო საძოვრებით, უმკაცრეს ზამთარშიც კი, როცა მთა და ბარი თოვლით იმოსება, აქ ოდნავ თუ შეიფიფქება მიწა. ჰაობებსა და ხის ძირებში პირუტყვი ყოველთვის შოულობს საზრდოს. ჭურჩიაში იმდენი სურო, ჰაობის ხაია, ნეკერი და ნარის ბარდებია, რომ პირუტყვს თავის გატანა არ უჭირს. ამიტომ იყვნენ სამეგრელოს სახელგანთქმული მეჯოგეები ჭურჩიაზე შეყვარებული. უკანასკნელად ჭურჩიაში პირველობა ყარამანს ჰქონდა. როგორც ოკეინორეს ტყეში, ჭურჩიაშიც ყარამანი ისე იყო გაბატონებული, რომ სხვა მეჯოგე იქ იშვიათად გაიჰკაცანებდა. ეფროსინეც იცნობდა ყარამანს. ისიც იცოდა, თუ რა უქმური ვინმე იყო ის სულკატინი. ამბობდნენ, შეკამათებისათვის ყარამანმა მთაში თავისი მწყემსი მოკლაო და ჭურჩიაში მიმავალ ეფროსინეს აბა რა იმედი უნდა ჰქონოდა ძმისწულის კარგად ყოფნისა. ჯაგუსაც ბევრი რამ ჰქონდა საფიქრებელი. ხომ არ აუხდებოდა წინა ღამის სიზმარი. ვაითუ მართლა ავადაა ჯგებეგარდა ამისა, ძია ერასტო შესძლებდა თუ არა ასეთ ამინდში ამდენი პირუტყვის მოვლას. გზაში ხან დედას იგონებდა, ხანაც სათნო და კეთილ ქეთევანს. კარგა ხანს იარეს ზღვის სანაპიროებით, მერე ტყეში შევიდნენ. ბაილით გასცურეს მდინარე ჭურჩია და გზა გაზაგრძეს. ტყეში შემოჭრილი ზღვაური უგზო-უკვლოდ დააქროლებდა ფუტკრებივით წამოშლილ თოვლის ფანტერ-

ლებს. მდინარის გაღმა, სადაც შორს, ძაღლების ყეფა და სახერხი ქარხნის ჭრიალი ისმოდა. ეფროსინეს მოაგონდა, რომ სახერხ ქარხანაში მისი ახლო მეზობელი გერსამია მუშაობდა—ქეთევანის ბიძა, ოდესღაც ტყის მცველი და ამის გამო სოფელში ტყაჩოდ წოდებული. ეფროსინემ გადაწყვიტა, სახერხ ქარხანაში ტყაჩოსთან შეეველო. იქ კარგადაც გათბებოდნენ და შესაძლოა, ჯგებებს ამბავიც ვაეგათ.

ხე-ტყის სახერხი ქარხნის ეზოში დაჯორგილი წიფლის, მურყნისა და კობიტის მორებზე ძლივს გადაფორთხდნენ და პირდაპირ ფარდულში შევიდნენ, სადაც თუჯის ღუმელზე ცეცხლი ვარვარებდა. სამი დასველებული მგზავრი ცეცხლთან თბებოდა. ახალმოსულნი ცეცხლთან დასვეს. მალე ტყაჩოც მოვიდა. ტყაჩო ახმავი კაცი იყო, გრძელცხვირა, სქელტუჩა, მწითლური. ეცვა ჯარისკაცის ჩექმა და ცხვრის ქურჭი. ტყაჩო მეზობლურად გამოელაპარაკა ეფროსინეს და ქარხანაში მოსვლის მიზეზი გამოკითხა. ეფროსინემ უამბო, სადაც მიდიოდა. მეტყევე გაოცდა, როცა ვაიგო, რომ ჯგებე ეფროსინეს ძმისწული იყო.

— მაგისთანა ზრდილი და ნიჭიერი ბავშვი ამ ტყეს არ წვევია. მწყემსი კი არა, ჩვენი მასწავლებელია; გვეხმარება, რამდენიმე კაცს წერა-კითხვას ასწავლის; ამბობენ, კარგი მწყემსიც არისო. თუმცა ყარამანთან, ოქროც რომ იყოს, მაინც სულ ერთია.

— ვაი, ჩემი ბრალი! ვის ჩაუგდო ჩემმა სულწაწყმედილმა ძმამ ბიჭი. მაგრამ რა გაეწყობა.

— რა გაეწყობა, და წაართვით ბავშვი მაგ მხეცს, სანამ გვიანი არ არის. ბავშვი ღამის გადაყლაპოს იმ უსინდოსომ. ჯერ იყო და, იმაზე ეღაგებოდა, კარავში სკოლა რად გამიხსენიო. ახლა თურმე საქმეც შეუდგინა, ორი თუ სამი ძროხის დაცემას აბრალებს.

— როგორ თუ აბრალებს! მოჯამავირედ ჰყავს და კიდეც აქეთ ეღაგება?

— ეღაგება, რომელია, დანასისხლად

არიან ერთმანეთზე გადაკიდებული.

— დედაია, ღმერთო, რატომ ვარ ცოცხალი, ეგ რა მესმის?! — შეიცხადა ეფროსინემ, ჯაგუსაც მოსვენება დაეკარგა. იქ მყოფი მეტყვევებიც აღშფოთდნენ.

— ჯგებემ რამდენჯერმე შემომჩივლა თავისი გასაჭირი. მე კი ვურჩიე, ცოტა ხანი მოითმინე, სულ მალე შენს ყარამანს ლაგამს ამრავდებთ-მეთქი!

— როდემდის მოითმინოს, თქვენი ჭირიმი, ბავშვს თუ დამიღუპავს, მერე რალად მინდა რამე?

— ვერაფერსაც ვერ უზამს, ქვეყანა ჩალით კი არაა გადახურული!

— მაინც რას გადაეკიდა ის ქოფაკი, ბავშვმა რა დაუშავა?

— არაფერი, შარს სდებს. ძროხების განგებ დახოცვა თუ დაუმტყიცა, მერე ჭირაში გამოუჭვითავს. ასეთ მამაძაღლობას განა პირველად სჩადის?

ეფროსინეს გულზე ცეცხლი შემოენთო. ტყაჩოს თხოვა ყარამანთან კარავში წაჰყოლოდა. ტყაჩომ ახლო მეზობელს უარი ვერ უთხრა. ქარხნის წვრილმანი საქმეები მიალაგ-მოალაგა და გზას გაუდგნენ.

თოვდა. ბილიკები თოვლს დაეფარა. არც ისე იოლი იყო დათოვლილ ტყეში ქვეითად სიარული, განსაკუთრებით ქალისათვის, მაგრამ ეფროსინე მამაკაცებზე უფრო ვაჟკაცურად მიდიოდა. ტყაჩო ხანდახან მეტყვევთა კარვებისაკენ შეუხვევდა, ტყის მკაფაევებს გაესაუბრებოდა და ისევ გზას განავრძობდა. ტყეში ხან კოდალა გაიკაყუნებდა ფულურო ხეზე, ხან შაშვი ან ხოხობი შეფრთხილდებოდა. ნანობდა ჯაგუ — თოფი რომ არ ჰქონდა თან. იქნებ ხოხობი მოეკლა. მიდიოდნენ... დასასრული არ უჩანდა შეჭირბულ წიფლნარსა და კობიტნარს. რცხილა და თხმელაც ხომ უხვად იყო მიმობნეული.

ტკბილმოუბარი ტყაჩო ზღაპრებს უყვებოდა ჯაგუს. ანაკლიის ლეგენდაც არ დაივიწყა.

ჯაგუს მოაგონდა ქეთევანის ნაამბობი ლეგენდა ანაკლიაზე.

„ანას ცხრა მთის გადაღმელმა ყაჩაღებმა მოსტაცეს შვილი და მე, ვე შეინაჟრმა კაცმა არ დამინდო. რამგელს შეუტყობიზარ, რა მგლისფერ ძაღლსო“, — ფიქრობდა ეფროსინე.

მოქანცულმა მგზავრებმა მწყემსების სადგომი შორიდანვე შენიშნეს. ისლით გადახურულ კარავში კვამლი ამოდოდა, რომელიც ბურუსავით ეხვია ახლომახლო ტყეს. ძაღლები ყეფით გამოიჭრნენ სტუმრებისკენ. მათ ახალგაზრდა მწყემსი მიეგება. ტყაჩომ იცნო ჯგებეს ამხანაგი თომა.

— ესეც ჯგებეს დღეშია, არც ამას ინდობს ის ძაღლი, — უთხრა ეფროსინეს ტყაჩომ და თომას დაკონკილ შარვალზე მიუთითა.

თომას გახუნებული ფარაჯა ეცვა და სვანური ქუდი ეხურა. დაგლეჯილი შარვლის ტოტები პაჭიკებში ჰქონდა ჩატანებული. სტუმრებმა ჯგებე იკითხეს. როგორც თომამ თქვა, ჯგებე დამისი ამხანაგი, ფარნაოზი, ტყეში არიანო, ხოლო ყარამანი გუშინ ანაკლიაში წავიდაო.

კარვის ეზოში ძროხების მიერ მოხეული, თოვლით შეფიფქული ტლაპო ფრთხილად გაიარეს.

კარვის წინ წაბლისფერი ძროხა ახალმოგებულ ხბოს ხაოიანი ენით სლექდა.

თომა კარავში შეუძღვა სტუმრებს. შიგ ნედლი ტყავისა და ახალმოხდილი კარაქის სუნი იდგა. გაჩაღებულ კერასთან გათოშილი ხბო თბებოდა.

თომამ ორი საფეხურით მალა ასწია კაჩხა, გაძლიერებულ ცეცხლს რომ არ გაერუჯა. კახხაზე ღერძილით საესე პატარა კარდალა ჩამოჰკიდა დასუსტებული ხბორების დასანაყრებლად.

ეფროსინე და ჯაგუ ყურადღებით ათვალიერებდნენ ჯგებეს „სახლს“. სახლის კედელი წიფლის გაურანდავი ძელებით იყო ნაგები. ძელებს შორის დარჩენილი ქუჭრუტანები საქონლის ფუნით ამოვლესათ.

კედლის მეორე მხარეს ბეწვგათელილი ნაბადი, გახუნებული ფარაჯა, ჩოხის

პატივ-წინდები და თოფი ეკიდა. კუთხეში სიმინდის ფქვილით სავსე ტომარა და სურსათ-სანოვანე ეწყო. ქვემოთ კი სულგუნის დასამარილებელი სხვადასხვა ზომის ბუყუნები იყო ჩარიგებულნი.

„რა გააძლებინებს აქ ჩემს ჯგებეს, მაგას მოუყვდეს მამიდა“ — ფიქრობდა ეფროსინე.

— ჯგებზე რას მეტყვი კარგს, შენი სულის კირიმე? — დაყვავებით მიმართა ეფროსინემ თომას.

— ჯგებე ჩვენი მასწავლებელია. დღე საქონელს მწყემსავს, ღამე ფიხებს აანთებს, თვითონაც სწავლობს და ჩვენც გვასწავლის.

— ყარამანი არ უშლის?

— ჯგებე მაინც თავისას აკეთებს, რაღაც გამოგონებებიც აქვს.

— ყარამანთან რამე უკმაყოფილება ხომ არ მოსვლია?

— ყარამანს ვისთან არ მოსდის უკმაყოფილება! კარგს გააკეთებ, — გიჟუნებს, ავს გააკეთებ — გიყვირის. ვერ გაიგებ, რა უხარია და რა სწყინს.

— მაინც რაზე ემდურის ჯგებეს?

— ძროხების დახოცვას აბრალებს.

— ძროხები ჯგებემ ძალით ხომ არ დახოცა!

— ძალით არა, მაგრამ მაინც მიზეზი შენა ხარო.

— როგორ თუ მიზეზი!

— წელს საერთოდ ცუდი ზამთარი დაგვიდგა, ხან წვიმები იყო, ხან თოვლი და ქარბუქი. ისედაც ქაობიანი ქურია საქონელმა ცომივით აზილა. ტლაპოში იბრჩობოდნენ დაჯანდაგებული ძროხები. თივა გავვითავდა. ხაიას მოსათიბავად ბაიდებით შევდიოდით ქაობში, ვწვალობდით. ერთ დღეს ყარამანმა გავაფრთხილა — ნეკერი თუ უშველის ჩვენს საქმეს, თორემ მიწაზე პირუტყვი ვერაფერს იშოვისო. ტყეში გაერეეთ ჯოგი. ჯგებემ ერთ დიდ წიფელს შემოკრა ცული. მეც მასზე ცოტა დაშორებით დავიწყე ხის მოჭრა.

— ჩემგან თუ გქონდათ ხის მოჭრის

ნებართვა? — ნახევრად ხუმრობით ჩაურთო ტყის მცველმა.

— რა ვიცი, ყარამანის მშველი ქურია ჩემიო, — და ალბათ, ნებართვაც ექნებოდა.

— იმდენი აშენდა მისი ფაცხა. ის ანაკლიის ბატონობასაც იჩემებს, მაგრამ მალე დავსვამთ ქონიან ნიჩაბზე.

— ღმერთმა ქნას! — ჩუმად ჩაილაპარაკა ეფროსინემ.

— ჰოდა, იმას ვუყვებოდი, — განაგრძო თომამ, — დამშეულმა ძროხებმა როგორც კი გაიგონეს ცულის ხმა, ჩვენკენ წამოვიდნენ. ჯგებემ რამდენჯერმე გარეკა ისინი სახიფათო ადგილიდან, მაგრამ საუბედუროდ, მარცხი მაინც ვერ ავიციდინეთ. წაქცეული ხის ქვეშ ორი დეკეული მოპყვა.

ეს შემთხვევა ყარამანმა ხელზე დაიხვია. ამბობს — ჯგებემ განგებ მომიწყოო. განზრახული აქვს საქმე შეუღდინოს და სასამართლოში გადასცეს. ვფიქრობ, ანაკლიაში თავისი ბნელი განზრახვის გასაჩარხავად უნდა იყოს წასული, მაგრამ არაფერი გამოუვა; არც ერთი ჩვენგანი მოწმედ არ დაუდგება.

გარეთ ძაღლები აყეფდნენ. შორიახლო ძროხების ბღაველიც მოისმა. მახლობელი სადგომიდან ხბორები დედებს ბღაველითვე გამოეხმაურნენ. ცეცხლის პირას მოკუნტულმა გათოშილმა ხბომაც ენა ამოიდგა...

უცებ კარვის ლაფაროსთან რაღაცამ გაიხმაურა. თომამ კარში გამოიხედა. ჯგებე გარეთ იდგა. შეშის მტვერს იბერტყავდა მხრებზე. ფარანოზს, რომელსაც დახოცილი ხონხები მხარზე გადაეკიდებინა, ფთირის კონა მოჭონდა და ნელა მოლიღინებდა.

თომამ სასურველი სტუმრების მოსვლა ახარა ჯგებეს. ჯაგუ კარში გაიჭრა და დიდი ხნის უნახავ ძმას გადაეხვია. როცა სიცივით გათანგულ ჯგებესა და მის დაბეულ ტანისამოსს შეხედა, ეფროსინემ ერთხელ კიდევ დასწყევლა თავისი ძმა და ბავშვი სინანულით გულში ჩაიკრა.

— ცოტა ხანს გაუძელით, ბიჭებო, იმ

ძალს და ოხრად დარჩება ყველაფერი. თქვენი წვალება ძვირად დაუჯდება! — იმედი მისცა ტყაჩო მგზავლული ცეცხლის ირგვლივ მსხდომ მწყემსებს და სათითაოდ გადახედა ჯგებებს, თომას, ჯაგუს, ფარნაოზს.

— მე ყარამანთან გამჩერებელი არა ვარ. მთელი ზამთარი თოვლსა და ყინვაში დავეხეტები, ღამით ნარზე მძინავს და მადლობის მაგიერ მაგ ქოფაკმა სასამართლოს გადამცა, მაგრამ ისე როგორ მოვეკედები, სამაგიერო არ გადავუხადო.

— დამშვიდდი, შვილო, ვნახავთ, ვინ იქნება მტყუანი და ვინ მართალი, — ამშვიდებდა მამიდა ეფროსინე ჯგებებს.

— აჩქარებით და გულუფიცხობით ყარამანს ვერაფერს დააკლებ. დიდი ოხერი ვინმეა, ჩვენც მოგეშველებით, აღრეთუ გვიან, კისერს მოვეუგრებთ მაგ ნაშუსგარეცხილს, — ამბობდა ტყაჩო თავისებური რიხით...

სხვა რა გზა იყო, ჯგებე უფროსების ნებას დაემორჩილა...

სტუმრებმა ღამე ყარავში გაათენეს. მეორე დღეს ტყაჩო ჭურჩის ტყის დასათვალიერებლად წავიდა, ხოლო ეფროსინე და ჯაგუ ანაკლიაში დაბრუნდნენ.

*
*
*

მთელი ზამთარი ანაკლიასა და ჭურჩიაში გაატარეს მწყემსმა ძმებმა — ჯგებმ და ჯაგუმ. უფერულად, უსიხარულოდ მიდიოდა მათი ცხოვრება ზღვისპირეთში. გაზაფხულზე მთას ეწვივნენ, მაგრამ არც მთას შეუტანია მათს ცხოვრებაში რაიმე სიახლე. ბავშვებს კვლავ ბარად, სკოლისაკენ მიუწევდათ გული. ერთ მთაში ჯგებე წვალობდა, მეორეში — ჯაგუ. ერთი მეხბორე იყო, მეორე — თიქნების მწყემსი.

ერთ საღამოს, როცა ჯგებმ თეოზე ხბორები მორეკა, თომამ სასამართლოს უწყება დაახვედრა. ძროხების დახოცვის გამო სამსჯავროში იბარებდნენ,

გულქვა ყარამანი ანაკლიაში ელოდებოდა.

უწყების მიღების მეორე დღეს ჯგებე მეზობელ მთას ეწვია, სადაც ძმა ეგულებოდა. პირდაპირ კარავთან მიიჭრა.

— ჯაგუ! — დაუძახა გარედან.

ხმა არავინ გასცა.

— ჰაი, ჯაგუ!

არსაიდან ხმა.

— კარი გამიღე, ჯაგუ. ჯგებე ვარი კარავში ვილატამ ამოიკენესა და კარს ანჯამა ააძრო.

ზღრუბლთან ფეხდასიებული და გაყვითლებული ჯაგუ იდგა კვარით ხელში.

— რა მოგივიდა, ბიჭო! — შესძახა გაკვირვებულმა ჯგებემ.

— არაფერი გაგიგია?

— არაფერი, რა იყო?

— წერილი გამოგიგზავნე კაცის ხელით, ალბათ გზაზე აგტდა.

— რას მწერდი?

— იმას, რომ მე ქვა მომხვდა, დაეზიანდი და მომშველებოდი, სასწრაფოდ წამოსულიყავი.

— აი, წამოვედი კიდეც, სამუდამოდ წამოვედი!

— რა მოხდა, ახალი ხომ არაფერია?

— ამაზე მეტი რა უნდა მომხდარიყო. — ჯგებემ სასამართლოს უწყება გაუწოდა ძმას.

— ჩვენი ხელით უნდა ჩაძალღეს ის დაუნდობელი, ისა! — დაიყვირა ისედაც ტკივილებით გამწარებულმა ჯაგუმ.

— მარტო ყარამანი კი არა, ჩვენი მამაც! — დაუმატა ჯგებემ.

იმ დღეს მწყემსებმა ბევრი იმსჯელეს. არ მოსწონდათ ჯგებებს ასეთი წინდაუხედავი გადაწყვეტილება. ურჩევდნენ ჯაგუს — არ გაბრიყვებულაყო და ძმის სურვილებს არ აჰყოლოდა. ჯგებე კი უკან არ იხევდა. ჯაგუს აფრთხილებდა გარიყრაზე მზად ყოფილიყო მასთან ერთად ბარში წასასვლელად.

— სად უნდა ვიარო ამ კლდე-ღრეში, ფეხმოტეხილმა! — ბუზღუნებდა ჯაგუ.

— ჩვენი ცხენი ხომ აქ არის, შევკაზ-

მავ, ზედ შეგვიამ და ჰაუბაჰა..

— ტყვილები რომ უფრო გამირთულდეს?

— მოკვდები, მეტი რა მოგივა, მხდალი ნუ ხარ!..

მწყემსებმა დაუშალეს, მაგრამ ჯგებემ თავისი გაიტანა. გათენებამდე წამოდგა. კარავის წინ, ნაკადულს გადაღმა საბალახოდ მიშვებულ ცხენს მიეპარა, ქამანდი ესროლა, დაიჭირა. მოახტა უბელო ცხენს და ელვის უსწრაფესად კარავთან გაჩნდა. უნაგირი გამოიტანა, ცხენი შეკაზმა, ჯაგუს ძველმანები ხურჯინში ჩაალავა, უნაგირის ტახტაზე გადაკიდა და ძმას დაელოდა.

დიდის ვაი-ვაგლახით წამომდგარი ჯაგუ ფარეხში შესულიყო და ცრემლმორეული ემშვიდობებოდა ჯოგს. მათთან სიმწარის მეტი არაფერი უნახავს, მაგრამ ისე შეეყვარებოდა ამ ეშმაკების ხტუნვა და კუნტრუში, რქენა და ჰილილი, რომ უმძიმდა მათთან განშორება. სათითაოდ ეფერებოდა და კოცნიდა გიშერას, სქვერას, სქვარმას.. პირტყვიც თითქოს გრძნობსო განშორებას მოახლოებას, ლოკავდა მზრუნველ ბატონს და ფეხების ბაკუნით აცილებდა.

ჯაგუ მანამ ჩალიჩობდა ფარეხში, სანამ ძმის ძახილი არ გაიგონა. ჯგებემ პირდაპირ ფარეხთან მოუყვანა ცხენი. სხვა მწყემსებიც აქ მოგროვდნენ. ტკბილად გამოეთხოვენ მწყემსებს ბარად მიმავალი ძმები.

როცა პირველ უღელტეხილზე და დაღმართზე დაეშენენ, ჯგებემ ძმა გააფრთხილა:

— შენ, ბიჭო, აქვე კატასავით მოგახრობ, თუ ჩემს ნათქვამზე უარს იტყვი.

— რა იყო? — შეეკითხა ვაკვირებულ ჯაგუ.

— რა უნდა იყოს, კვლავ სკოლას უნდა მივაშუროთ!

— მართალს ამბობ თუ ხუმრობ?

— რა მეხუმრება! აბა, შენ გგონია, ყარამანის სასამართლოზე მივდივართ?

— სასამართლოში ხომ უნდა გამოცხადდე?!

— გამოვცხადდები და იქიდან სკო-

ლაში წავალ.

— რომელ სკოლაში?

— ანაკლიის! მამიდასთან ვიქნები, ჩვენთან ხომ სკოლა შორსაა; სასამართლოდან — პირდაპირ სკოლაში ერთი, ჩემს მტრებს უნდა ვაყურებინო სერიო.

— შე როგორღა მოვიტყე?

— ისე, როგორც მე!

— ჯოგი ვის ჩავაბაროთ?

— ტურას, მგელს!

— მაშის არ გეშინია?

— მაშას ეშინოდეს ჩემი. მე რა მაქვს საშინი.

— ყარამანს რას ეტყვი?

— ყარამანი რომ ბოგინობს იმდენ ხანს, ცივ წყალში ჩავდგები, კულაკების დღე დათვლილია. როგორ გეტყობა, პოლიტიკაში სუსტად ერკვევი!

— მაშ, სკოლაში მივდივართ? —

— მივდივართ, მივდივართ! — აღტაცებით შესძახა ჯგებემ.

ჯაგუს სახეზე ღიმილა გადაურბინა.

— ყველაფერი რომ დავიწყებულ მაქვს?

— გაიხსენებ, არაფერია.

— მივცილებენ სკოლაში? ერთი წელი გავაცდინეთ უკვე.

— რას არ მივცილებენ! მაღლობასაც გვეტყვიან.

— დედას ხომ არ ეწყინება ნეტავი?

— პირიქით, გაუხარდება, მამაც არ იქნება წინააღმდეგი. გაიგო ყარამანის ოინები.

— კიდევ დაფიქრდეთ, ჯგებე, ცუდად არ გამოგვივიდეს და სოფლის ყბადასაღები არ გავხდეთ!

— მაინც რაზე?

— იმაზე, რომ მწყემსობას თავი ვერ გაართვესო, მხდლები არიანო. არც ბარში გამოდგნენ, არც მთაშიო, ჯოგი დალუპესო, და ვინ იცის, კიდევ რა!..

— ვისაც რა უნდა, ისა სთქვას, ჩემმა წისქვილმა კი ფქვასო, ხომ გაგიგონია?..

ამ საუბარში არა ერთი მთა გადაიარეს. კარვა მანძილი განვლეს. ერთ გადასასვლელთან ნაძვის ძირში შეისვენეს, ვეძა დალიეს, ისადილეს. ჯაგუს ძალიან აწუხებდა ტყვილები, თანაც წუხდა

მთიდან მოულოდნელად წამოსვლის გამო, მაგრამ ჯგეხებს ვერ უმხელდა.

კვლავ გზა განაგრძეს. საღამოს მოიღრუბლა. მთები ნისლმა დაფარა. ატყდა ქექა-ქუხილი და კოკისპირული წვიმა დაუშვა. სანამ ნაძვნარს მიაღწევდნენ, მაგრად დასველდნენ. როცა ნაძვნარში შევიდნენ, კუპრივით ღამე ჩამოწვა. ერთი დიდი ნაძვის ძირას დაბანაკდნენ. ცხენს ტვირთი მოხსნეს, მოსართავეები მოუშვეს. ნაძვის ტოტზე აღვირით მიბმულმა ცხენმა დაიფრუტუნა, უცებ რომელიღაც ხეზე ფრინველი დაფრთხა, საღღაც ნადირმა გაიშლივინა. ორივე შიშმა შეიპყრო, მაგრამ ერთმანეთისთვის არ გაუმხელიათ. ჯგეხებს თოფისა და მუხლის იმედი ჰქონდა, ჯაგუ კი ამჯერად ორივეს მოკლებული იყო, მაგრამ მაინც არ ეშინოდა. ჯგეხებმ ფიჩხები მოაგროვა. შეუდგნენ ცეცხლის გაჩაღებას, მაგრამ ასანთი დასველებოდათ, მოულოდნელად წამოსულთ კვესაბედიც დავიწყებოდათ, დარჩნენ უცეცხლოდ. შესცივდათ, სხვა რა გზა იყო, გაშალეს ნაბადი, ხის ძირას მიწვნენ. ტყეში სამარისებური სიჩუმე იყო.

უცებ მახლობლად თხის პეტელი მოისმა.

ჯაგუმ თავი წამოჰყო.

პეტელი სულ ახლოს განმეორდა.

— ჯგეხე, ვიღაცას ტყეში თხა დარჩენია, ცოდეა, დაეჭიროთ!

— ხმა გაკმინდე, ნუ ხარ სულელი! — შეუტია უფროსმა ძმამ.

იგივე ხმა სულ ახლოს განმეორდა.

— ფეხი რომ მივარგოდეს, არ დავიზარებდი, მაღლია! — კვლავ აბურღულუნდა ჯაგუ.

ჯგეხემ არც ძმას ათხოვა ყური და არც უცნაურ ხმას. თითქოს არაფერი იყო, ზვინივა ამოუშვა.

ტყვილებით შეწუხებულ ჯაგუს მთელი ღამე თვალი არ მოუხუტაქს. ყურში განუწყვეტლივ ჩაესმოდა ნაკადულების ხმაური და თხის უცნაური პეტელი — ხან ახლოს, ხან მოშორებით, ზოგჯერ ტყის შუაგულში ატყდებოდა ფრინველთა წიოკობა, თრითინების წრი-

პინი, დროდადრო ცხენი გაახრჭიალებდა კბილებს. შეშინებული ჯაგუ განთიადამდე უსმენდა ბუნების ძლიერხილობას. გამოთენის ხანს ჯგეხე შეირხა და ჯაგუს გამოელაპარაკა.

— შე სულელო, რას ჩამაცვიდი წუხელ, რომელ თხაზე მელაპარაკებოდა?

— აგერ, ჩვენს მახლობლად კიკინებდა. სულ ახლახან შეწყვიტა პეტელი.

— იმდენი რა გითხრა შენ, რამდენიც ის თხა იყო.

— მაშ, რა იყო?

— რა იყო, და თუთიყუშივით მატყუარა ფრინველია. ხან თიკანივით იძახის, ხან ბატკანივით. შენისთანა სულელ და გამოუცდელ მწყემსს ჰგონია, მართლა პირუტყვია, გამოეკიდება, შორს წაიტყუებს და ხიფათს გადაჰკიდებს. ასე მოსვლია ერთ მწყემსს აკიბოს მთის მახლობლად. ღამით გამოჰკიდებია ამ ცთუნებას და ფრიალო კლდეში გადაჩეხილა. დღესაც იმ მთას „მექაცარეში ნადინეფის“ ეძახიან. ამბობენ: ღამით კლდის ძირას სტყენა ისმისო. თურმე დაღუბული მწყემსის კეთილი სული თავს დასტრიალებს უპატრონოდ მიტოვებულ თიკნებს...

თუმცა გათენებული იყო, მაგრამ ჯაგუ წუხანდელზე უფრო მეტად შეიპყრო შიშმა...

დილით აღრე ძმები ტყიდან გამოვიდნენ. შუადღისას უკანასკნელი უღელტეხილი გადმოლახეს და სოფლისკენ მიმავალ გზას დაადგნენ. საღამოს სოფელში იყვნენ. ოკვირორეს ტყეს როგორც კი გასცდნენ, კირილე მასწავლებელი შემოხვდათ.

ძმების გადაწყვეტილებით აღფრთოვანებულმა კირილემ ბიჭები სახლამდე მიაიკლა. შეღამებული იყო, შინ რომ მივიდნენ. ფოტინე ეზოში ძროხას წველიდა. ხბორებს თარჩია დაჰქონდათ მწვანე მინდორზე. მოზღვავებული ციკანათელები ბინდბუნდში ხან გამოანათებდნენ, ხანაც გაუჩინარდებოდნენ. ეზოში ჩამომდგარ მყუდროებას არც ძაღლების ყეფა არღვევდა, არც გორიდან გორზე გადაძახილი...

დღეა ძროხას წველიდა და ცხრა მთას იქით მყოფ შვილებზე ფიქრობდა.

შვილები კი მოულოდნელად თავს წაადგნენ დედას.

— ოი, თქვენ გენაცვალოთ თქვენი დედიკო! — წამოიძახა სიხარულით აღტაცებულმა დედამ და ზეწამოიჭრა, შვილებს გადაეხვია. სულ გადაივიწყდა თავისი საქმე, და კირილე რომ არა, ძროხა ტლინკით წააქცევდა რძით სავსე ნივას.

— შინ შევიდნენ. დედამ მინავლებული ცეცხლი გააჩალა და სინათლეზე ერთხელ კიდევ შეხედა «დაკარგულ» შვილებს, ჯაგუს მტკივნა ფეხზე ხელი მოუსვა. მერე ქათამი გაბუტა, სალომე წყლით სავსე ქვაბი ნაბაზე დაკიდა და ვაზშმის თადარიგს შეუდგა. ცოტა ხნის შემდეგ გახაც მოვიდა.

— კარგი გქნიათ, შვილებო, რომ წამოსულხართ. დღეს კრება გქონდა, მთელი სოფელი კოლექტივში გავერთიანდით. ყარამანს მაგარი ლაგამი ამოსდეს. ეკუთვნის მაგ უსინდისოს! ჩემთან მაინც არ უნდა მოქცეულიყო ასე ღორულად. შხამად შეერგება ჩემი ბაღლის შრომა!

— ვინ ყოფილა, თოლიგე, მართალი, შენ თუ მე? — გამოელაპარაკა კუთხიდან ფოტინე, რომელიც ფქვილით სავსე საცერს დაირასავით ათამაშებდა ხელზე და გაცრილ ფქვილს გობზე ახვავებდა.

— შენ ყოფილხარ, ბატონო, მართალი, შენ! ახლა რაღა გინდა ჩემგან, ჯილდო ხომ არ უნდა მოგცე?

— ჯილდოს არ ვთხოულობ, მაგრამ რომ იჩემებდი, უნდა გცოდნოდა, ვისთან გქონდა საქმე!

— კაცი მეგონა, რა ვიცოდი, თუ ნამუს ვარეცხილი ყოფილა.

— არ გეწყინოს, და შენ აჩქარდი, გახა, ჩვენი რჩევისთვის ყური რომ დაგვგოდ, უფრო მოიგებდი! — პირუთვნელად თქვა კირილემ.

— ახლა კი ვარ ძალიან მოგებული, მთელი ჩემი ნაშრომი და ნაჯაფევი ტყეში უპატრონოდ არის მიტოვებული.

— არც მაგაში ტყუიან ბავშვები, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ, ერთს სასამართლოს უწყება მოუვიდა, მეროვს კიდევ ფეხი აქვს დამალი. მაშ არ უნდა წამოსულიყვნენ? — ამართლებდა შვილებს ფოტინე.

— მაგათ საბაბი იშოვეს და მერე რას გაჩერდებოდნენ?

— გვირჩიე, მამა, როგორ უნდა მოქცეულიყავით, — გაცხარდა ჯგებე. ჯაგუ ისევ დარცხენილი და თავჩალული იყო.

— როგორ მოქცეულიყავით და შეგეტყობინებინათ ჩემთვის, მე ამოვიღოდი მთაში, თქვენ გამოგიშვებდით, პირუტყვი უპატრონოდ არ დარჩებოდა.

— ამდენი დრო აღარ იყო, ერთი დღე რომ დამგვიანებოდა, სასამართლოს ვერ ჩამოვუსწრებდი, ჯაგუსაც ფეხი უფუქდებოდა.

— სასამართლო კი არა, ერთბაშად ყარამანს არ მოუყო!

— სიმართლე როცა ჩემქნაა, ყარამანი რას დამაკლებს?

— სიმართლე მუდამ ძლიერისკენაა, შენ ჯერ ბაღლი ხარ და არ გესმის!

— ჰოდა, ეს ძლიერი მე ვარ, რაღვან მართალი ვარ!

— ღმერთმა ქნას, მეც ის მინდა. შვილის გამარჯვება რომელ მამას არ გაუხარდება!

— სასამართლოს შემდეგ რას აპირობ, ჯგებე! — განგებ შეეკითხა კირილე გახას გასაგონად.

— რაღა სალაპარაკოა, სკოლაში მივდივარ.

— ჯოჯი?

ჯოჯს კოლმეურნეობა ჩაიბარებს ალბათ. უჩვენოდაც კარგად მოუვლიან.

— კოლმეურნეობამ რომ ჩაიბაროს, მერე შენ რა? ამხელა კაცს მოგება-წაგება არ უნდა გესმოდეს? — ხმა აიმაღლა გახამ.

— ღვთის წყალობით ბავშვები ჩამოგივიდნენ და კიდევ უწყრები? მადლობა უნდა ვუთხრათ ღმერთს, ორივეს

თავი რომ გვაღიროს! — ალაპარაკდა ფოტინე.

— ღმერთის მადლობელი ვარ, მაგრამ მე ის მინდა, კაციც კარგად იყოს და საქონელიც.

— კარგად იქნებით, სადავო არაფერი, ბიჭებს გზა უნდა დავულოცოთ! — მოკლედ მოკრა კირილემ.

— ერთი მაინც დარჩეს შინ! — გახა ამ დათმობაზე წავიდა ბოლოს.

გახას სიტყვებზე ფოტინე წამოხტა:

— შენ გინდა, ერთი ძმა ნასწავლი იყოს და მეორე მისი მოჯამაგირე? მე მაგას ვერ ვიზამ, სადაც ერთი, იქ მეორე. მორჩა და ვათავდა!

ბევრი გაწევ-გამოწვევისა და დავიდარაბის შემდეგ ჯგებესა და ჯაგუს საკითხი გადაწყდა, — ორივეს ნება დართეს — განეგრძო სწავლა. გზა დაულოცეს.

ანაკლიაში ჩასული ძმები მამიდა ეფროსინესა და ძია ერასტოს თანხლებით სასამართლოში გამოცხადდნენ.

იმ დღეს, როცა სასამართლო იყო დანიშნული, ანაკლიაში ცნობა მოვიდა, ყარამანი, როგორც კულაკი და შავსიელი, გააციმბირესო...

• •
•

რაკი ჯგებ და ჯაგუ ანაკლიაში სწავლობდნენ, მშობლებსაც გული იქით მიუწევდათ... გახა დაპყვა შვილების ნებას და ისიც ანაკლიაში დასახლდა თავისი სიძის — ერასტო გერსამიას მეზობლად.

მთიელსა და ერთ დროს მთის მოტრფიალეს — გახას ახლა ზღვისპირი და ზღვისავეთ ამობოქრებული ცხოვრება იტაცებდა.

მ ა კ ი ლ ო გ ი

(თხუთმეტი წლის შემდეგ)

რკინიგზის ენგურის სადგურთან ქადრის ჩრდილში წვერმოშვებული, სახე-მოღუშული მოხუცი იჯდა. მოხუცს

თეთრ, მკერდამდე ჩამოშლილ წვერს უწიწინდა მოკლე შარვლიანი, დღეებ-დაეღა ბიჭუნა.

— გეყოფა ჩემი წვალბა, შვილო, ნუგზარ, ოღონდ მომეშვი და აპაჯობი, ცხენივით გააქენ-გამოაქენე.

— ჯობი რად მინდა, განა პატარა ვარ ცხენ-ჯობით ვირბინო? — ბუზღუნებდა პატარა.

— აბა რა გინდა, ბიჭო, რას ვადამეკიდე?

რა და ბურთი მინდა, კრელკრულა, მამამ რომ მიყიდა ისეთი.

მამის ხსენებაზე მოხუცი კვლავ პირვანდელივით მოიღუშა. „მიწა ვაუსკდეს მამაშენის მოლაღატესო“ — ბოღმით ჩაილაპარაკა მან და საეშვს კმუნვით დასერილი სახე მოარიდა...

სად არ მიწვდა მოხუცის ფიქრი... ოცნებით შორეულ ბალტიისპირეთში გაჩნდა, სიდანაც ამ რამდენიმე ხნის წინათ ომში დაღუპული უფროსი შვილის ჯგებეს ძელები ჩამოასვენა ანაკლიაში.

— შვილი, მაგრამ რა შვილი! წვითა და დაგვით გამოზრდილი, დედამამის იმედი!..

ღმერთო, რა შეგცოდე ისეთი, ორი შვილიდან არცერთი რომ არ შემარჩინე. შენ მაინც რად არ შემიბრაღე ბიჭო ჯაგუ, თვალსა და ხელს შუა რომ გომიქრა! დილას ზღვაში სათევზაოდ შედი საღამოს რომ არ დამიბრუნდი?..

ასეთ მწარე ფიქრებში იყო გახა ჯაკონია, როცა მას თავზე წაადგა ქეთევანი — მისი ქვრივი რძალი, ჯაგუს მეუღლე, ოთხი წელი უგზო-უკვლოდ დაკარგულ ქმარს რომ გლოვობდა.

— წავიდეთ, ბაბა. მალე მატარებელი ჩამოდგება. სტუმრებს შენ პირველი უნდა შეხვდე, — ქეთევანმა ხელი გაუწოდა მოხუც მამამთილს რის ვაივაგლახით, რომ ცდილობდა წამოდგომას. მერე შვილი ხელში აიყვანა და რკინიგზის ლიანდაგს გახედა, საითევანაც საცაა მატარებელი უნდა გამოჩენილიყო. გახას და ქეთევანის ირგვლივ მოზ-

ღვაედნენ ახლობლები, ნათესავები, მეზობლები. მთელი ანაკლია სადგურზე გამოსულიყო. ფეროსინეს და ერასტოს ნეკრესის ქართი დახუთული ფოტინეც კი წამოეყვანათ ანაკლიიდან.

ვის მოელოდნენ ასე გატაცებით ფოტინე და გახა? მათ ხომ ორივე შვილი დაკარგეს! გამარჯვების დღეს 9 მაისს კურლანდიის ნახევარკუნძულზე დაღუპული ჯვებე უკვე ანაკლიაში განისვენებდა. ხოლო წყალქვეშა ნავის მიერ ოთხი წლის წინათ გატაცებული ჯაგუს გზა-კვალად არავინ იცოდა. მაგრამ იყო რაღაც მშობლიური ამ შეხვედრაში.

წლისთავზე კურლანდიიდან ჩამოდიოდნენ ჯვებეს ფრონტელი მეგობრები — 9 მაისის გმირები. მათი ჩამოსვლა თითქოს მკედრითი აღადგენდა ჯვებეს, დარდებს შეუშლუბუქებდა გულდამწვარ დედ-მამას.

მატარებელი მოსკოვი-თბილისი სადგურს უახლოვდებოდა, ანაკლიის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ტყაჩო აღისფერ ყელსახვევიან პიონერებს მწკრივში აყენებდა, ხალხს წესრიგისაკენ მოუწოდებდა.

მაღე ელმავალიც გამოჩნდა.

სადგურში ელვის სისწრაფით შემოგრიალდა ექსპრესი.

სტუმრებმა ნელ-ნელა იწყეს ვაგონიდან ჩამოსვლა. მათთან პირველი მივიდნენ გახა და ქეთევანი. სტუმრებს შორის გახამ თვალი მოჰკრა ჯვებეს ფრონტელ მეგობარს, ლატვიელ იულიუს კიმბარსს. გახა ამ ერთი წლის წინათ შეხვედრია კიმბარსს კურლანდიიდან შვილის ცხედრის გადმოსვენების დროს. ძველი ნაცნობები ერთმანეთს ძმურად გადახვივნენ.

კიმბარსმა გახას გააცნო ჯვებეს ცოლი — ნინა გრომოვა, ქიმიური პოლკის ექიმი, ამჟამად დემობილიზებულია. თან შვილის ბედნიერება მიულოცა მოხუცს და მაგრად ჩამოართვა ხელი. სახით ქერას, ოქროსფერთმიან, ტანკენარ ნინას ხელში ეჭირა სახეგაბადრული ბავშვი, რომელიც ფრონტზე ყოფნისას ჯვებესაგან შეეძინა.

გახა დიდი ხანია ნინას შეხვედრაზე ოცნებობდა. მთელს ანაკლიაში და კერძოდ, ჯაკონიების ოჯახში მოუთმენლად მოელოდნენ ნინას ჩამოსვლას. ამ კეთილშობილმა ადამიანმა ჯვებეს გულწრფელი მეგობრობა გაუწია ფრონტზე.

ჯვებემ — გახასა და ფოტინეს თვალის ჩინმა — სწორედ ნინას კალთაზე დახუჭა თვალი; ნინა იყო მისი ყველაზე გულშემატკივარი ჰირისუფალი, მანვე გამოუგზავნა მშობლებს ჯვებეს საფლავის სქემა, შეატყობინა სასიკვდილოდ დაპირილი შვილის უკანასკნელი დღეების ბევრი საყურადღებო წვრილმანი. ამიტომ კურლანდიაში ჩასულმა გახამ პირველად ნინა მოიკითხა, მაგრამ პოლკი, რომელშიც ნინა ირიცხებოდა, სხვაგან აღმოჩნდა გადაყვანილი და საშუალება არ მიეცა უცნობ რძალს შეხვედროდა. დღეს კი უსაზღვრო იყო გახას სიხარული. ვივან, მაგრამ მაინც რომ გაეცნო ამ მისთვის ძვირფას ადამიანს. ოღონდ გახას ერთი რამ აოცებდა — შვილის რომელ ბედნიერებას ულოცავდა კიმბარსი, როცა მას არც ერთი შვილი ცოცხალი არ ეგულებოდა. უხერხულობა რომ არ ჩამოვარდნილიყო, არას ამბობდა, თავს იკავებდა, კიმბარსსაც არაფერს ეუბნებოდა.

გახამ იულიუს კიმბარსი ტყაჩოს გააცნო.

დაიწყო აღფრთოვანებული შეხვედრები...

ასეული კილომეტრებით ერთმანეთს დაშორებული ადამიანები ღვიძლი ძმებით მახლობლები ხდებოდნენ.

ამ შეხვედრას ერთი უცნაურობა თავიდანვე დაჰყვა. როგორც გახა, ისე მისი თანასოფლელები ვერ გარკვეულიყვნენ, თუ რატომ ულოცავდნენ სტუმრები შვილებზე მგლოვიარე მამას შვილის ბედნიერებას.

გახა ფიქრობდა ვინმე მოსულთავანი თუ კი რაიმე მოლოცვის მსგავსს მეტყვის, უთუოდ ვაწყენინებო. მაგრამ ამ დროს გახას თვალწინ სასწაული მოხდა.

ვაგონის კიბიდან ორი თანამგზავრის თანხლებით მისი უგზო-უკვლოდ დაკარგული შვილი, ჯაგუ ჩამოდიოდა, გამხდარი, ფერმიხდილი, რომელსაც გახუნებული, მითელილ-მითელილი ფარაჯა ეცვა.

ვახამ იმისი გაფიქრებაც ვერ მოასწრო, ყოველივე ეს სიზმარი იყო თუ ცხადი... უცებ თვალთ დაუბნელდა, წაბარბაცდა, მაგრამ კი არ დაეცა, რაღაც ნაირად მსუბუქად ჩაიკეცა მიწაზე...

ხალხში ჩოჩქოლი ატყდა, რომელიღაც ქალმა ორ-სამჯერ შეპკივლა კიდევ, ეფროსინე, ან ფოტინე თუ იყო...

გაოცებული მეზობლები ეხვეოდნენ და კოცნიდნენ რამდენიმე წლის წინათ ზღვაში გაუჩინარებულ კაცს, თვალს არ უჯერებდნენ ზღაპარი ეგონათ, რაც მათს თვალწინ ხდებოდა.

მოულოდნელი სიხარულით გულშეღონებულს და ბედნიერი მოჩვენებით ათრთოლებულ ვახას ტყაჩო ყურში ჩასძახოდა: „გამოფხიზლდი, ვახა, შენი შვილი შენთან არისო!“

თვალმიხედული ვახა საღდაც სივრცეში უღონოდ ასავსავებდა ხელებს. რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერაფერს ამბობდა...

ბოლოს, ხალხის ტალღა გაარღვია ჯაგუმ და დევით მიიჭრა გულწასულ მამასთან. ვახამაც რაღაც წინაგრძნობით სწორედ ამ დროს სცადა წამოდგომა...

ბედნიერი მამა-შვილი ერთმანეთს გადაეხვივნენ და თვლებიდან სიხარულის ცრემლები გადმოუცივდათ.

მოულოდნელი ბედნიერებით დაბნეული ქეთევანი თავს ევლებოდა მკვდრე-თით ამღვარა ქმარს.

რის ვაივავლახით გაარღვიეს ხალხის ტალღა ფოტინემ და ეფროსინემ...

დაკარგული შვილის მხილველ ფოტინეს ენა ჩავარდნოდა, უნდოდა შვილს მოეფრებოდა, მაგრამ ვეღარ ახერხებდა. ერთი შვილის ნახვით გამოწვეული სიხარული, მეორე შვილის უბედურებით გამოწვეულ დარღებს გაენელებინა. ფოტინე თავგზაბნეული, კრიკაშეკრული იდგა ერთხანს მოზღვავებულ

ხალხში. ბოლოს კენესის თუ ჩურჩულის მაგვარი აღმოხდა და შვილს უკვლამკერდს მიესვენა გულშეღონებულად...

აეტომანქანებით და მოტოციკლებით ანაკლისაკენ დაიძრა უამრავი ხალხი...

აეტომანქანების ქარავანს წინ მიუძღოდა ანაკლისის კოლმეურნეობის „ზიმი“, რომელშიც ისხდნენ ვახას რძალი ნინა გრომოვა, ჯაგუ, ქეთევანი, იულიუს კიმბარსი, ტყაჩო, ფოტინე და ვახა.

ტყაჩო გაოცებული ეკითხებოდა ჯაგუს მის თავგადასავალს, განსაკუთრებით აინტერესებდა თუ როგორ მოხვდა კურლანდიელებთან.

ლონგეამოლულ, მრავალჭირგადახდილ ჯაგუს ლაპარაკის თავი არა ჰქონდა, მაგრამ ცდილობდა ახლობლებისთვის ეთქვა თავისი მწარე ხედვრი.

— როგორც თქვენ არ ფიქრობდით ჩემს დაბრუნებას, — ძლივსძლივობით მარცვლავდა ჯაგუ, — არც მე მეგონა, თუ გადავრჩებოდი, მით უმეტეს, თუ თქვენ განახავდით, მაგრამ აი, მე კვლავ თქვენთან ვარ.

ალბათ იცით, რა მოხდა იმ საბედისწერო დღეს. სამნი ვიყავით მოტორიანი ნავით ზღვაში. ნაპირიდან სამი კილომეტრის დაშორებით ზუთხზე ვნადირობდით...

საღამოს, როდესაც დიდძალი ნადავლით უკან ვბრუნდებოდით, ჩვენს წინ რამდენიმე მეტრზე ზღვამ ბუყბუყი და დუდილი დაიწყო! ჩვენს გარშემო სულ თეთრად აქაფდა წყალი.

პირველად გვეგონა ზღვის ღორი ან ვეშაბი ამოდიოდა, მაგრამ მოლოდნელად წყალქვეშა ნავმა თავი ამოჰყო და სამმა თოფმომარჯვებულმა გერმანელმა რაღაც უცნაური შეძახილებით გვანინა — მათთან გადაემსხდარიყავით.

სამივე ჩვენგანი, გიმნასტურისა და ტრუსების ამარა, ვაკვირებული მიეჩერებოდით ერთმანეთს. მტრებმა რაკი შეგვნიშნეს, რომ ვაყოვნებდით, თოფის კონდახებით გვეცემეს და ძალით ჩავგრეკეს მათს ნავში. ჩვენი ნავი მაშინვე ააფეთქეს.

თანდათანობით ზღვის ფსკერისაკენ მივიწევდით. გაუბედურებული, ნაცემი და შიშით აძაგაგებული მეთევზეები ერთმანეთს საცრდავად შევეყურებდით... ჩვენმა თვითმფრინავებმა ყუმბარები დაგვიშინეს, წყალქვეშა ნავი მაცდურად შეინიღბა. ანაკლიის ციხესთან, სადაც ენგურის შავ ზღვას ერთვის, ზღვის ფსკერი ძალიან ღრმაა. თანაც ვინაიდან ზაფხულობით ენგურა მღვრიეა, თვითმფრინავი ადვილად ვერ შენიშნავს წყალქვეშა ნავს. აქ დაიმალა გერმანელების წყალქვეშა ნავი, და უთუოდ ამით იხსნა თავი დაღუპვისაგან...

იმავე დამეს ნავი დაიძრა. თურქეთის ტერიტორიაზე როგორც კი ვავიდა, უშიშრად მიიკვლევდა გზას რუმინეთისაკენ.

რამდენიმე ხნის მგზავრობის შემდეგ უკვე ბუქარესტში ვიყავით. როგორც ჩანდა, ჩვენი ჩასვლა წინასწარ იცოდნენ. ნავის ეკიპაჟს საბჭოთა ტყვეების მიყვანისათვის საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს.

დაიწყო გესტაპოს ჯოჯოხეთური გამოძიებები, კარცერები, შიმშილობა და ცემა-ტყემა... ბოლოს, როდესაც ჩვენგან ვერავითარი ცნობები ვერ მიიღეს, ბანაკში გვიკრეს თავი, სადაც დღე ერთი იყო და ვინ იცის, რამდენი ტყვე კვდებოდა შიმშილით, ხოლერით, თუ ცემით... ორივე ჩემი ამხანავი იმ ბანაკში მოკვდა...

ცოცხალ-მკვდარი მალე სხვა ბანაკში გადამიყვანეს, სადაც კიდევ უარესი პირობები იყო. ბანაკს ირველივ შემოვლებული ჰქონდა ეკლიანი მავთულის ორმაგი ღობური და შიგ ელექტროდენი იყო ჩართული. ღობის შემდეგ იწყებოდა თხრილები, სადაც გესტაპოელი ქოფაკები ჩასაფრებულ იყვნენ...

ასეთი იყო ჩემი ხვედრი, სანამ 1944 წლის მარტში — აღმოსავლეთ პრუსიაში მინდვრად მუშაობის დროს არ გამოვიპარე...

ხანგრძლივი ხეტიალის შემდეგ მე შევეურთდი ჩვენს პარტიზანებს, რომ-

ლებიც მტრის ზურგში სადაზვერვო მუშაობას აწარმოებდნენ. მათთან რამდენიმე ხანი დავყავი... მართალია, ხადირივით ტყეში ვხეტიალობდით და ვწინაწალებდით, მაგრამ მაინც თავისუფლად ვსუნთქავდით.

ეს „ბედნიერება“ დიდხანს არ გაგრძელბულა. მალე ჩვენს ათეულს შეტაკება მოუხდა მოწინააღმდეგესთან და უთანასწორო ბრძოლაში ბევრი დაიღუპა, რამდენიმე ჯარისკაცი ტყვედ ჩავარდით...

ომის დამთავრების შემდეგ გერმანიის ამერიკულ ზონაში მოგხვდი, სადაც გერმანულ ბანაკებზე ნაყლებად არ ვიტანჯებოდით. აქ ჩემთან ტყვედ მოხვდა ერთი ქართველი, რომელსაც კურლანდიის ნახევარკუნძულზე უბრძოლია. ომის დამთავრების შემდეგ რამდენიმე დღე მათს ნაწილებს ვლასოველებთან ჰქონიათ შეტაკება და ტყვედ ჩავარდნილი — გერმანიის ამერიკულ ზონაში მოხვედრილიყო.

ქართველმა ჯარისკაცმა, როცა ჩემი გვარი ვაიგო, მიაპზო გამარჯვების დღეს მტრის არაორგანიზებულ ნაწილებთან შეტაკებისას — გვებე ჯაკონიას დაღუპვის ამბავი.

სამშობლოსაგან მოწყვეტილს, შორეულ ქვეყანაში, ოკეანეებსა და ზღვებს გადაღმა გადახვეწილს და იქაც ხელ-ფეხ შეკრულს, ძმის დაღუპვის ამბავიც ზედ დამემატა... თვითმკვლელობაც კი განვიზრახე.

ვოცნებობდი, თუ ოდესმე სამშობლოში დაბრუნება მედირსებოდა, პირველად ძმის საფლავი მენახა და მერე ჩემს გაუბედურებულ მშობლებს ვწვევოდი.

ბოლო ხანებში ტყვეთა ერთმა ჯგუფმა გერმანიის საბჭოთა ზონაში გადმოსვლა მოვახერხეთ. მერე ხელ-ფეხი ვაგვეხსნა სამშობლოსკენ...

მე მაშინვე კურლანდიაში წავიდი. კურლანდიაში ჩასვლის შემდეგ ყოველ ლატვიელს ვთხოვდი — ესწავლებინა ჩემთვის ძმის საფლავი. ისინი თანამიგრძნობდნენ და რითაც შეეძ-

ლოთ, მეხმარებოდნენ.

მაგრამ, ვაი, რომ იქაც ვერ დავიტირე ჩემი ძმა...

მითხრეს: მამამ წაასვენაო მშობლიურ სოფელში, და ბალტიის ზღვის პირას ნასაფლაოვარი მიჩვენეს...

შეიძლებოდა ეს ამბავი ვერ გადამეტანა, მაგრამ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მანუგეშეს და გამამხნევეს. როგორც მერე გადმომცეს, კურლანდიელები ცხრა მაისს, ჯვებებს დაღუპვის წლისთავზე ანაკლიაში მიემგზავრებოდნენ. მეც მათ შევეუერთდი; ხოლო მას შემდეგ რაც ჩემი რძალი ნინა თავისი ბავშვით გამაცნეს, დარდები შემიმსუბუქდა და ჩემს თვზე დატრიალებულ უბედურებასაც თითქოს შევეუბრავდი...

ყვებოდა ნახევრად მკვდარ-ციოცხალი ჯაგუ თავის ფანტასტიურ თავგადასავალს და ბედნიერების მაუწყებელი „ზიმი“ ანაკლიაში შედიოდა.

•
•
•

ანაკლიის ძველისძველ ციხესთან, იქ, სადაც ენგური შავ ზღვას ერთვის, ქვითკირის მაღალ ბურჯებზე შემდგარი დიდი ოღა-სახლი დგას. ხეიარა მცენარეებითა და ვენახის ლერწმებით დაბურული სახლის განიერი აივანი ზღვას გადაჰყურებს. ჭიშკრიდან სახლის კიბემდე გრძელდება კვიპარიისების ხეივანი, რომელსაც კობტად გასხლული, უკვე დაბუჩქებული მზის მწკრივი გასდევს...

გახას ეზოში შესვლისთანავე ნინა გრომოვამ ციტრუსების ბაღში ნაცნობი ობელისკი შენიშნა. ეს ობელისკი

ერთი წლის წინად ფრონტელმა მეგობრებმა აღუმართეს ჯვებებს კურლანდიაში. წუთით ნინას შეხსნიერებაში კვლავ გაიელვა მწარე მოგონებებმა...

ადამიანთა დიდი კრებული ჩუმად, მძიმე ნაბიჯებით უახლოვდებოდა საფლავს. ყოველი მათგანი თავისებურად განიცდიდა ამ წუთების სიმწვავეს... ძმა ძმაზე წუხდა, ცოლი ქმარზე, მეგობარი მეგობარზე, გულდამწეარი მშობლები კი დაუვიწყარ შვილზე.

ცალ-ცალკე და ყველა ერთად ზედ გულს აწურავდა სამშობლოს საყურთხეველზე მტლად დაღებულ ვაჟკაცს.

იყო გოდება... და გლოვის უმძიმეს წუთებში გაზაფხულის მახარობლად მოფრენილი მერცხლის ელურტულივით გაისმოდა ფოტიზე ბებიას გულმკერდზე ჩახუტებულ ჯვებებს ობოლი ბავშვის უღარდელი ტიტინი.

იმ დროს, როცა კურლანდიელები გვირგვინით ამკობდნენ ჯვებებს საფლავს, მოულოდნელად მთელი ანაკლია განათდა.

ახალგაზრდა ინჟინრის—ჯაგუს ხელმძღვანელობით აგებული ელექტროსადგური დენს იძლეოდა. ნათელი ადგა ჯვებებს საფლავსაც და გახას ციტრუსების ბაღსაც, სადაც სინათლე სიზნელეს ფანტავდა და იმედი—უიმედობას.

დღესავით განათებულ ანაკლიაში ზღვის ტალღების ჩუმი ღელვა ისმოდა. თითქოს ტალღა ტალღას, შავი ზღვა ბალტიის ზღვას გადასცემდა ანაკლიის მშობელისა და შობილის დამის ამბავს, თანამოძმეთა გულების ფეთქვას, სიხარულს თუ მწუხარებას.

მთარ ჭილაკი



როდესაც ასე ახლოა გრემი,
მეც მინდა ვიყო უფრო მაღალი,
რომ დაინახონ ჩემში ან ჩემით
რაღაც ახალი, სულმთლად ახალი.

და თუმცა გრემი არის ბებერი,
არის დაღლილი და დანგრეული,
მე მაინც მამღვრევს ეს სექტემბერი,
როგორც საყვარელ ქალის სხეული.

მე მაინც კეთილ ფიქრებით მავსებს
სახეგაპობილ კედლის აღმური
და უკვე ვიცი, რად მიყვარს ასე
ვაზიც, ჩუქურთმაც და სალამურიც.

მე ყველაფერი მომწონს და მიყვარს,
მე ყველაფერი მგონია ჩემი,
როდესაც ასე ახლოა გრემი,
როდესაც ასე ახლოა გრემი.



ვწევარ და ვუსმენ. ქარია გარეთ.
მე ბნელ ოთახში ვწევარ და ვუსმენ:
გრძელ თმებში ტოტებგაჩრილი ქარი
კედლებზე როგორ აქვდება ლურსმნებს

სად გაქრა შენი ფერმკრთალი სახე.
სუნთქვა სიჩუმის და ფოთოლცვენის,
ან ის სიზმრები, ერთად რომ ვნახეთ,
აუბღენელი სიზმრები ჩვენი.

ახლა მჭირდება... შენ არც კი იცი,
შენ ვერც იფიქრებ, როგორ
მჭირდება...
შეეძლო მარტო შენ ბავშვურ სიცილს
გაეცხო სახლი მზით და ჩიტებია.

სად გაქრი... საით გაყევი ქუჩებს...
სად დაგავიწყდი... სად ვიყავ მაშინ...
ან იქნებ ვინმეს მოუნდა უცებ,
ჩემი ყჭირილი გაიგოს ქარში.

საბრალო სული!.. დე, იყოს ასე,
დე გაუკვირდეს ვნებები ჩემი,
მე ყოველ ღამეს, შენი ხმით სავსეს,
ვხვდები ცაბცახით და გულის ცემით.

მაგრამ შენ სად ხარ... ქარია გარეთ.
ისევ ქარია და ისევ ვუსმენ:
გრძელ თმებში ტოტებგაჩრილი ქარი
კედლებზე როგორ აქვდება ლურსმნებს.



გათავდა!.. უკვე ახლოა სახლი,
სადაც სინაზით სუნთქავს აგურიც
და სადაც ცოლი, ძლიერს და დაღლილს
უჩუმრად ელის ვით ნავსადგური.

ანტუან დე სენტ-ეპიუპერის წიგნზე
იმედი ჰქონდეს, იმედი ჰქონდეს,
მას მთვარე უცქერს, მას მთვარე იცავს,
რომ დაუბრუნოს მიწიერ ცოდვებს
კაცი, რომელიც სჭირდება მიწას.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მატარებლებით სავსეა ღამე...
აბრუებს მათი თამამი სუნთქვა
მინდვრებს და ტყეებს, კლდეებს და
ხრამებს
აბრუებს მათი თამამი სუნთქვა.

თურმე რა გრძელი ყოფილა წუთი,
თურმე რა ძნელი ყოფილა ძილი,
როცა ფიქრს, როგორც ცარიელ
ყუთებს,
აქანებს ღამის ვეება ჩრდილი.

ვერ გაიგებენ ვერასდროს სხვები
ჩვენს ერთად ყოფნას — ძალით თუ
ნებით,
ჩვენს განშორებებს — ხანგრძლივს
თუ მოკლეს
ვერ გაიგებენ ვერასდროს სხვები.

და კვლავ მისდევენ ჩრდილებს
ჩრდილები
და ცხელ რკინაზე იმსხვრევა სხივი
და გზები გზებით გადაჭრილები
ვერ იკავებენ ხარხარს და კივილს.

მე მტკვარი მომცემს წყალსა და
თევზებს,
ტყე მომცემს ფრინველს და თბილ
ბალახებს
და როცა მთვარე გადმოვა მთებზე,
ყველაზე სწორე გზებს დამანახებს.

და ჩემთან გულით შემოსულ სტუმარს
მე წავუყიობაგ მთვარიან ღამით

ლექსებს, რომლებიც ჩნდებიან ჩუმაღ,
როგორც შვილები უცნობი მამის.

მე წავუყიობაგ, რომ მიხედეს ისიც,
რას ნიშნავს ჩემთვის მტკვარიც და
მთვარეც,
რატომ ვთვლი ქვეყნის დატყობის
ღირსად
მათ სინათლეში გახელილ თვალებს.

მედიან პარიანი



გაგვმობა მქონდა...

მეგონა ჩემთვის გაჩნდა ამ ქვეყნად
ეს მიწა თბილი,

ეს ზეცა ლურჯი.

მეგონა ასე: მუდამ გამყვება
გული უსევდო და მარად ურჩი.
წითელი ბურთი და მწვანე მდელო,
რიკ-ტაფელა და აბაშის ქალა...
მოვინდომებდი?

გამქონდა ლელო.

მიუღწეველი რამ იყო?

— არა!

ყველას ვუყვარდი...

ჩემი სწორებიც

ლაღად დარბოდნენ ჩემი იმედით.
ცერთ რომ ქამარს შევისწორებდი
მეგონა ღმერთსაც შევაშინებდი.
სასაფლაოს რომ ვიკლებდით, —
ძილში

არ ჩაგვყოლია დარდად სრულებით.
ხის ხმლით გაეფანტეთ უცნობი შიში
და ჩვენს ბიჭობას ვადასტურებდით.
წვიმა და ცხენი...

უბელო ცხენი...

სუეოროვობა გვინდოდა ყმაწვილთ,
ასე ვილოდნენ დღეები ჩვენი, —
ასე რომ ტყბილად ვიგონებთ აწი.
სკოლის ზარის ხმა...

ო, იმ ზარის ხმა

და მასწავლებლის ხმა სანატრელი...

დღესაც... ღმერთმანი, დღესაც არის
სხვა.

ბავშვობა მქონდა ასე ნათელი
და უდარდელი.

მამ გაუმარჯოს...

წამწამებს ნუ ხრი,
თვალეების მწუხრი
მნათობის დარად შემომანათე.
იგი თბილი და სხივებით უხვი
მარად და მარად, ჩემო, თანამდევს.

ნუ დანებდები დარდებს ერთიან,
ამაზე ფიქრი, ჩემო, დაგთენთავს.
რა ვუყოთ მერე თმა თუ თეთრია,
ეს:

სიყვარულში შემოგათენდა.

არც თუ აღრეა... არც გარდასული
საზღვარს მშვენიება თვალით ხილული.
ო, აქ მეტია ახალგაზრდული,
ო, აქ მეტია ქალიშვილური.

მამ გაუმარჯოს ამგვარ თენებას!
მე შენთან მუხლის მოხრა მენება.

.....

თქვენც დაგებდით აი, ამგვარი
დღეთა თენება.

ნიკოლოზ ვიხონოვი



სერგო მთავრი*

ლენინი, თვითონ ლენინი —
და სერგო თვალებს არ ენდო,
ხელი მოხვია, ხალისით
ცეცხლის ალივით აენტო.

სტუმრისთვის უკვე ოთახში
სუფრაა გადაყენილი, —
— სწორედ კარგ დროზე მოგვისწარ! —
ეპატიყება ლენინი.

დიდი არ იყო ვახშამი
დიდებულ მასპინძელისა:
შავ პურს ქაშაპი მოუხდა,
ჩაის — ნაჭერი ყველისა.

დასრულდა სიცილ-ხუმრობა
და საუბარი ფერადი, —
ჩემს სამუშაო ოთახში
გავიდეთ, — ამბობს ბელადი.

გავიდნენ. ხედავს „ოთახი“,
რომ თივის ზვინი ყოფილა,
ჩაწვენენ თივაში და ყველა
ამბავი ამბობინა.

გაუხსნა გული სერგომაც,
განთიადამდე იქ იყო,
მებრძოლი ხალხის სვე-ბედზე
უშალ პასუხი მიიღო.

— დროა, რომ ხალხი აჯანყდეს,
აილოს ძალა-უფლებმა! —
ახსოვს გუშინდელ დღესავეთ
სერგოს ეს გასაუბრება.

ლენინმა დღეც კი დანიშნა
მომავალ ოქტომბერისა...
და ფერიც ახსოვს ლენინის
თვალთა ელვარე ფერისა.

იგი ჰყავს თვალწინ და ახლა,
აქ როცა ქისტმა იკითხა, —
სერგო იმედით განათდა
ისევ ლენინის წინ იდგა!

და მან მიმართა უსუბის
ირგელივ ჩამომსხდარ მთიელებს:
— მერწმუნეთ. ხალხი თეთრი მგლის
ხროვას კვლავ გაატილებს!

ისე ვით მთვარე ამლამით
მთელს კავკასიონს გვინათებს.
ისევე ყველგან მებრძოლთა
თვალეში შეეფრქვია მთებს!

როგორც არდონი, ბაქსანი
თავის დაძაბულ კუნთებით,
ისე ყაბარდო-დაღესტნის
ხევ-ხევ თქვენც აგუგუნდებით!

ცას ელვა-მეხის ღრუბელმა
ვხედავ, რომ გადაუარა,
ჩვენც შეეძრავთ ზამთარს ქუხილით,
გაზაფხულდება თუ არა...

დე, დენიკინმა წარმართოს
მოსკოვისაყენ ლაშქარი,
ჩვენ ყოველ სოფელს, ყოველ მთას
დაეძახებთ: დროა, დაჰკარი!

და დამარცხდება მტრის ჯარი
იქ, სადაც არც კი ელოდა...
მერწმუნეთ, ძმებო, იარაღს
მოგაწვდით საქართველოდან!

აღდგება მტერზე ასი მთა
და რუსი ასჯერ ათასი!
აღდგება მტერზე უთუოდ
გროზნო და ვლადიკავკასი!

კავკასიონთან სულ ახლო
დგას მეთერთმეტე არმიამ!
კმარა, რაც თეთრმა გრიგალმა
მთა-ბარი მიმოარბია!

ვინც აქ დაეცა ბრძოლაში,
მის სიკვდილს ნურვინ ნუ ტირის, —
მუდამ ჩვენს გვერდით ვიგულებთ
ისე ვით ახლა ბუტირინს...

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 1,
1958 წ., № 1.

წამოდგა დინჯად უსუბი,
მღელვარე ფიქრით გართული, —
თქვა: — გვეჯერა ორჯონიძის
ჩვენ გულისძგერა ქართული!

თქვა: — უკეთესი ამქვეყნად
ბედმა რა უნდა გვანატროს,
მთიელთან ერთად კახაკებს
არ უბრძოლიათ არასდროს, —

ახლა კი რუსი, ქართველი
ქისტს ძმურად ესაუბრება,
რომ ერთად შექმნან ძლიერი
საბჭოთა ხელისუფლება!

...თითქოს გულს ჰყრი არ ეყო,
გაადეს ფართოდ კარები,
და გულის ძგერად გაისმა
ნაბიჯი აუჩქარები.

ზნელს მათი მხერა ებრძოდა
ისე ვით ცეცხლის დანთება,
იმათი მხრების ლანდები
თოვლს აჩნდა მთების ლანდებად...

ნაწილი მორაი

I

ცხენი მისი მარჯვედ მიდის,
გზაზე ქროლვით ხედება დილა.
ბალახებში წყალი ჩადგა,
ტევრი უკვე შეფოთილა.

ცა გაბურღულ ტოტებშორის
გაიღვებს ლურჯი ფრთებით,
გაიღვებს ლურჯი ქელიც
თოვლის თეთრი ნაფლეთებით.

და მხედარიც ფიქრს მიჰყვება
ბილიკების ძაფით ნაქსოვს:
მკურნალად რომ გუდაუთში
იყო, ერთხელ, ისიც ახსოვს.

ახსოვს, მაგრამ არა მხოლოდ
საქართველოს დია ზეცა,
მას სპარსეთის მთებიც ახსოვს
და ბრძოლების სიმძაფრეცა!

თეირანსაც მისწვდა მაშინ
მისი გულის ცეცხლი დიდი,
დაჩაგრულთა მხსნელი გახდა,
ღარიბ ხალხის მუშტებიდი!

ქირვარამი აკლდა განა?
ცეცხლზე ცეცხლი დაიმატა,
ქვეყანაზე ჩაუქრობელ
მეამბოხეთ დაიბადა!

სერგოს ახსოვს ციხეების
დასალეწი ქვა და რკინა,
სოხუმიდან თბილისამდე
ციხე იყო მისი ბინა.

შლისელბურგის ცივი ქვეებით
მისი მზერაც ამოჰქოლეს
და ეგონათ ტაიგებში
დამარხავდნენ მის ძალ-ღონეს,

მაგრამ როგორც სისხლი შავი
ბაქოს შავი ძარღვიც ჩქეფდა
და ბაქოდან პარიზამდე
სერგო კვლავ ცეცხლს აჩაღებდა!

ხოლო როცა ხალხის ლეკმას
დაეუფლნენ მტარვალები,
უკრაინას მოველინა
თვით ლენინის დავალებით!

ოთხივე კუთხე მოიარა,
არ გასტეხა სიტყვა ძმური,
მარჯვე ხელით მოაშველა
აჯანყებულ მუშებს პური!

ხან როსტოვში ტრიალებდა,
ხან დონის და ვოლგის მხარეს,
იმ დღეების ნაპერწკლებმა
სერგო ახლაც გაახარეს

ერთხელ, სწორედ ყუბანიდან
გადმოჰყავდა ასე ჯარი,
თერგს მოადგა, იყო თერგის
საგანგებო კომისარი.

როგორც მაშინ, ისე ახლაც
თავის ნაბად-ჩაბალახით
ისევ ისე მთიელია
იერით და ლაპარაკით,

შეჰქურვილა იარაღით,
ცხენსაც მართავს მამაცურად,
და გრძელ-გრძელი უღვაშები
შვენის იმის ნათელ სურათს.

არა, თავს არ შოარიდებს
ბორკილ-აყრილ წყალთა ქუხილს, —

დენიკინმა შეაფასა:
ეჭვს მილიონ ოქროდ უღირს!

დაე, ყველგან ჩაუსაფრდეს,
დაუმიზნოს თოფის ტყვია,
მთებში მისი გზა-და კველი
დღემდე კაცს არ შეუტყვია!

ის ხან ქისტეთს მიენდობა,
ხან ჩენნეთის მაღალ გორებს,
ზელიმხანის კლდეებიდან
ხმას დაღესტანს გააგონებს!

გზას ხმალდახმალ გაიკაფავს,
ასით გასჭრის ათასეულს!
მისი ხელის იმედი აქვს
ნატყვიარს და ნახმლევე სხეულს.

მას მთა იცნობს, როგორც მკურნალს,
როგორც მთიელ ხალხის ბელადს...
დღესაც ერთი მასპინძელი
შეესიტყვა შესაფერად:

— მთებს ნახმლევი რომ აჩნია —
თავგანწირულ ომის არი,
შენ ხომ ჩვენი ბელადი ხარ,
ჩვენი მთების კომისარი, —

მთებს გახედე. იქ შამილის
ბილიყიცი კი წაიშალა,
ჩვენ შამილის ბრძოლა გვახსოვს,
და რუსული ზიშტის ძალა!

დაუნდობლად ვჩეხდით რუსებს,
დაუნდობლად, არ დავფარავთ,
დღეს კი ჩაგვრის წინააღმდეგ
რუსიც იბრძვის მთა და ბარად!

ჩვენ ამ რუსებს გული ვანდეთ,
დავუმტკიცეთ ძმობა ჩვენი,
ერთად ვიბრძვიეთ, რომ ავკუწოთ
დამჩაგვრელთა მტრობა ძველი!

ახლა ჩვენი გამარჯვება
სერგო, შენი ნახვაც არი, —
ჩვენ ხომ სიტყვა ლენინისა
შენ პირველად გაგვაცანი!

ერთი მუჟა გული ქისტეთს
ხეობებით დასერია,
მაგრამ არვის არ დაუთმობს,
ხმალზე ასე აწერია!

შენი დროშის ქვეშ იგულე
ჩემი ქვეყნის გზა და ხიდი.
შეიძლება შენთვის მოგვეკლდე
ცოცხალი კი არ გაგყიდის!..

სერგომ დინჯად მოუსმინა
მასპინძელს და უთხრა მაშინ:
— ვნახოთ, ვნახოთ, რა ძალაა
გაზაფხულის სულისთქმაში!

ვნახოთ, იქნებ გავვიხაროს
გული ყოველ ცისმარ დილით, —
ჩვენ სიცოცხლით გავვითენდეს
გაზაფხული, მტერს — სიკვდილით!

როგორც მაშინ, ისე ახლაც
ცას შეავლო სერგომ თვალი,
გაზაფხულის მეხზე ფიქრობს
ხევის გზაზე მიმავალი.

— ჯერ დაჭრილებს მოეუაროთ,
მთ, ვინც სისხლი აქ დაღვარა,
საჭიროა საქართველის
მთებში მათი გადაყვანა.

სადაც არის დაშვენდება
მაღალ ფერდობს მწვანე მდელო.
და ცოდვია, ნატყვიარი
მკერდი მათ არ გაიმრთელონ!

სიცოცხლედაც რომ დაგვიჯდეს,
მოვალე ვართ ხალხს ვუშველოთ.
დევნილსა და უსახლკაროს
უნდა სადმე გზა ვუჩვენოთ.

შეტყევაზე უფრო ძნელი
ახლა ხალხის დაცვა არი,
ტანჯვით ცისქვეშ იხოცება
ხალხი სახლ-ქარ გადამწვარი!..

ხოლო ვისაც გული ვრჩის,
ადვილია ჩვენი პოვნა, —
არდონიდან ცნობა მომდის,
გზები შეპკრა შერიბოვმა.

და კიროვმაც შემოთვალა, —
რა აქვს მიზნად დასახული,
თბილისიდან კარგი ამბით
გულს მიკეთებს გაზაფხული!

იარაღით ავიჭურვეთ
და საცაა გვეტყვის წუთი,
რომ გავიჭრათ იერიშით
ყველა, ვისაც ხურავს ქული!



მტერს რომ ზურგში მეთერთმეტე არმიასთან ერთად ჩავეკრათ! უკვე ველარ ითარეშებს კაცკასიის დასაჩაგრად...

და გზადაგზა ხედავს სერგო, ტყვერი უკვე შეფოთლილა, ცხენი მისი მარჯვედ მიდის, ჩუმში ქროლვით ხედება დილა.

თბილისში კი უკვე ამდროს სხვა ელფერი აქვს ბუნებას, ელის ალბად ცოლი მისი შინ კეთილად დაბრუნებას.

ელის ალბად მიმალული მეგობრების ჭერქვეშ ქალი და ღამეებს სიზმარივით სწვავს იმედის ნაპერწკალი.

თვალებს ფიქრი მორევია და სიზმარი ათასგვარი, — ვინ რა იცის მეგრძოლ კაცის უბანადრო გზადაკვალი!

ის კი ისევ მარჯვედ მიდის, გზაზე ქროლვით ხედება დილა. ნაბად-გაშლილ მთიელებით მთის ფერდობზე შეფრენილა.

და მის სუნთქვას უერთდება შრიალი და სუნთქვა დილის... თვალთ უნდა მისწვდეს მოსკოვს, უნდა მისწვდეს თვალთ თბილისს!

უხანგებზე ფეხით შედგა ვერ ასცილდა მთებს ოცნებით... შილის სერგო, მიდის მთაში თავის მარჯვე ცხენოსნებით! დენიკინმა რამდენ ოქროდ შეაფასა, ახსენდება, და უეცრად ამდროს გრგვენივით ცის კიდური აენთება!

რა მეხია, რა ქვემეხი?! უცებ გული შეუჩერდათ, — ზეავია თუ კლდის მოსკდომია, ქუხილი თუ ყველა ერთად!

სერგომ მხედრებს გადახედა, შედგა ცხენთა თქარათქური,

თქვა: პირველი ამოსუნთქვით ნიშანს გვაძლევს გაზაფხული! მთა იღვიძებს, თოვლი დნება, წყალი ბორკილ-მსხვრევით მორბის, ლევა ღრუბლის ნაფლეთებში ჩაიკეცა ფრთები ორბის!

ქედი ზოგან მზით გაბრწყინდა, ზოგან ჩაწვა ჩრდილის ბინდი, და სინათლის ნაპერწკლებად ყვავილს ყველგან გაშლის შინდი!

შეესია შუქი მყინვარს, ვით ლაშქარი დაშინანთა, და ხევედახვე შეფოთლილი ტყეც უეცრად ამრიალდა! ალაგ მზე და ალაგ ნისლი, ალაგ ისევ თვალციმციმა წამოვიდა ციდან უცებ გაზაფხულის ჩქარი წვიმა!

დაეფინა ფერდობს ჯანლი დარბეული ფენა-ფენად და მიუშვა სერგომ ცხენი ბილიკებზე გასაფრენად

უმალ მოპყვენ ცხენოსნები, ვით გულისთქმას მიუსაფარს და შორს გაპყვა შეძახილი გრიგალივით აშლილ ფაფარს!

თითქოს იყოს იერიში ხან ელვაა, ხან ბნელდება — და ცხენების ფეხთქვეშ ჯანლი ყრია ნაფლეთ-ნაფლეთებად!

მთებთან ერთად გაიხარეს რადგან მთების გაზაფხული ცხენოსანთა მღელვარ გულშიც იყო ასე ჩასახული!

ასე ვრძნობდა სერგოც ახლა და ამართა მალა ხელი, ღრუბლებსა და ღრუბლებს შორის შეაჩერა კლდეზე ცხენი, —

თქვა: დრო დადგა და ჩვენს თვალწინ სურათია არნახული, — ელის ჩვენი ხმლების ელვას მთელი ქვეყნის გაზაფხული!

თარგმანი ქარლო კალაძისა



ხელოვნების შორეულ ძებნებთან*

ჩვენი გემი შეუპოვრად მიაპოვს ეგეოსის ზღვას, ყველაზე ახალსა და ორიგინალურ ზღვას, როგორც მას ოკეანოგრაფები უწოდებენ. მარცხნივ და მარჯვნივ საბერძნეთის კუნძულები გავიარეთ, შემდეგ კი მივეახლოვდით ატიკის ნახევარკუნძულს — ელადას.

ატიკა გორაკებიანი ნახევარკუნძული უოფილა და ეს ჩვენი გემიდანაც კარგად ჩანს. საბერძნეთის განთქმული მარმარილო სწორედ აქ უოფილა.

გემმა უკვე გაუარა სამრეწველო ქალაქ ლავრიონს და შემდეგ მიუახლოვდა კუნძულ ანდროსს, რომელიც 355 კვადრატული მეტრია. კუნძულზე ამჟამად ცხოვრობს 18.000 კაცი. ანდროსის შემდეგ გამოჩნდა კუნძული გია, ხოლო ხელმარცხნივ — მაკონანესო, რომელსაც სიკედალის კუნძულს უწოდებენ. მარჯვნივ გავუარეთ აქოს ვითრების, ხოლო შემდეგ კუნძულ ეგებეას, მისი მოსახლეობა 54.000 კაცს შეადგენს. ეგებეაც მთავორიანი კუნძული უოფილა, შედარებით მოზრდილი და მწიდროდ დასახლებული. გამოჩნდა მისი მთავარი ქალაქი, ხელკიდა რომ უწოდება. ხელმარცხნივ კუნძული კიროსია, 3500 მცხოვრებით, ხოლო მარჯვნივ მხარეს — ტრაია.

ძალიან კარგად გამოჩნდა შაპას კონცი და ლევნოსის კუნძული, რომელიც იწყის და რომელსაც ოლიმპის მთა ეკუთვნის. კუნძულზე ამჟამად 55.000 მცხოვრები უოფილა. იგი ძველთაგანვე განთქმული იყო თეთრი მარმარილოთი, ყურძნისა და ლეღვის მოსავლით. ეს ღირსებები მას დღემდე შერჩენია. აქ ცხოვრობდნენ თეოფრასტე და ძველი საბერძნეთის ბერი სხვა გამოჩენილი ადამიანი. გვეუბნებიან, დარდანელის სრუტეში შესვლამდე ჩვენ უნდა გავიაროთ კუნძული იგროდი, სადაც ახლა 30.000 კაცი ცხოვრობს.

ღღის სრულ 4 საათზე გავუარეთ მარჯვნივ ლესბოსის, ხოლო მარცხნივ ლემნოსის კუნძულებს, პირველი ძალიან ახლოს ჩანდა, და სიბარული ვიგრაძნით, რომ ლემნოსის კუნძულიც ასევე ახლოს გამოჩნდა. დავიჩახეთ შექერები, მთები, სახლები. თუ ლემნოსის ნისლი ეფარა, სწავიეროდ ლესბოსის ისე გარკვევით ჩანდა, რომ სპეციალურად განათე-

ბული გეგონებოდათ. წარსულის რამდენი საინტერესო ფურცელი არის დაკავშირებული ამ კუნძულებთან, მაგრამ ახლა მისი გახსენების დრო არა გვაქვს და მხოლოდ გემიდან თვალთვლებით უნდა დაგვეყოფილებოდით.

გვეუბნებიან, დარდანელს ვუახლოვდებითო, და ჩვენც ვემზადებით ამ უარესად მწიფე-ლოვანი სრუტის გასაცნობად. იგი ორ ზღვას აერთებს, ეგეოსისა და მარმარილოს ზღვებს. მისთანამდე, მთავრდება ეგეოსის ზღვა, შევდივართ პელესონტში, როგორც ძველად დარდანელს უწოდებდნენ. მეცნიერებსა დაუდგენია, რომ ამ ადგილას, სადაც ახლა დარდანელის სრუტეა, წინათ მდინარე უოფილა. გეოლოგიურ ცვლილებებს იგი სრუტედ გადაუქცევიათ. მისი სიგრძე 65 კილომეტრია, ხოლო სიგანე ცვალებადი. დარდანელს წყლების მდინარეება შეუქსნავია განთქმულ რუს აღმირალს მაკაროსს, რომელსაც ამ საკითხზე მეტად სანატრლო დასკვნები გაუკეთებია. ვიცი, რომ დარდანელის მთავარი პორტია შენაკელ. ჯერ-ჯერობით კი ეს პორტი არსად ჩანს. მივადექით სრუტის ყველაზე ვიწრო ყელს, რომლის განი მხოლოდ ერთი კილომეტრია, ამიტომ ორივე ნაპირს ძალიან ახლოს ვხედავთ. მარცხნივ ჩანს უძველესი ციხე, სახლები, შექერა, მარჯვნივაც სახლები, კოლონები, ისევე შექერა და იშვებო. შემდეგ მარცხენა მხარეს გამოჩნდა პირველი თურქული დაბა მინარეთებით, უძველესი ციხის თავზე რომ შემდგარა ეს აყლავუდა მეჩეთი. მარჯვნივ ვხედავთ შედარებით პატარა ნავსადგურს, რომელსაც არც ძველი ციხე-სიმაგრეების ნანგრევები აქლია, არც მინარეთიანი მეჩეთები და არც სახლები.

შენაკელ ხომ არ არის?
თუ ეს პირველი პატარა თურქული ქალაქია? უოფელშემგვერვო, ადამიანებს გარკვევით ვაძინევთ და ვკრძნობთ, რომ ისინიც ჩვენს გემს უყურებენ. ორგველიც სახლები უმთავრესად სამ სართულიანებია, თუმცა, ვინ იცის, რა არის სიღრმეში და რამდენი ქოხმხობია.

სრულ 6 საათზე ჩვენს გემთან, რომელმაც სვლა შეამერა, ორი კატერი მოვიდა. ბესმენის მთავრივე მსლბლუებით პირველ კატერზე გადავიდა. ჩვენ შევამჩნიეთ, რომ მეორე კატერიდან თურქი ასკერი ამოვიდა, პირველ კატერზე ფები შედგა და ძირს ჩავიდა. ყველანი

* დახასტრული. იბ. „მნათობი“ № 4, 5, 6, 7, 8, 10, 11, 12, 1958 წ., № 1, 1959 წ.

გაფაცივებით ვუყურებთ, რა ხდება, გვანტერსებს, რაშია საქმე, თუცა ვგრძნობთ, რომ რაღაც მოლაპარაკება წარმოებს, ვიღაც იგი გრძელდება, ყურადღებით ვათვლიერებთ კატრებს, მათ ეკიპაჟებს, ვგრძნობთ, რომ ამ აღმაშენებელს ცუდად აცვიოთ.

უცხოა, მოლაპარაკება აღარ თავდება დრო მიღის და მიდამოდ თანდათან შექმნილ ფერს ღებულობს. შორს რაღაც მხალღებელი ადგილი ჩანს, ტერასის მსგავსი, ჩრდილოეთ მიწერილი აქვს „18 მარტი, 1915 წელი“. მის ზევით კი, ისევე მიწაზე, ქვეალის სიღრმეში, ილუმინაციით განათებული.

უკვე ბინდი ჩამოწვა და ჩვენც იძულებული ვართ კაიტივებს მივაშერთოთ, მით უფრო, რომ სანახაო თუ გასართობი უკვე აღარაფერი გვაქვს.

მარშალიოს ზღვა, სტამბოლი, 26 ოქტომბერი

მეორე დღეს პირქვეში დილა გათენდა. ირგვლივ ნისლი და ბინდია. ამ უქმნეთში თითქმის არაფერი ჩანს.

სადღაცა, უნდა ამოვიდეს თურქი ლოკმანი ძველი კონსტანტინეპოლის ნავსადგურში ჩვენი გემის შესაყვანად.

ეს ამბავი დილის სრულ 7 საათზე მოხდა. აზოვანა და სერიოზული გამომეტყველების მქონე თურქმა ლოკმანმა ჩვენს გემზე თავისი ადგილი დაიკავა. მის უკვე მიჰყავს ჩვენი ზომილი, მაგრამ გვიცივარს, თვით „პობედა“-ისე ნელა მიდის, თითქოს ნისლს უფროსილდებოდეს. კერძოდ რომელი უცვლადური პირქვეშად გამოიყურება, მოწვენილად და უღიშამოდ. გვეჩვენება, თითქოს ამჯერად უკეთეს შესვლას არც მოელოდეთ.

სქელ ნისლში ვარჩევთ მხოლოდ მგერეთების მღალ მინარეთებს, შექრებებს ფელსა და 4-5 სართლიან სახლებს, ხოლო ნავსადგურში მრავალ გემს, დიდსა და პატარას. ნაგები იმდენია, ვერ დათვლია. ისინი თევზებოვით ეხვევიან ჩვენს გემს, თითქოს ეღრბებოდნენ და ეთამამებოდნენ. კატრები კი სწრაფად პირდაპირ ელვოსებურად მიმოქრებიან ნაგებობ ტყეში. ეტყობა მათ ტვირთები გადააქვთ.

პირველად ამ სახით ვხედავთ სტამბოლს თავისი საგზაოდ დიდი ნავსადგურის ფონზე. მაგრამ, როცა უფრო ნივთხლოვდით, დავინახეთ მის წილში ამოსული ეკალიც. მე არ ელაპარაკებ ძველი სასიყვარულო სამკეთილდის ალგორითით, როცა ორ მოსიყვარულე იდამიანს შორის შესაშვ, ბორბტი ძალა ეკალვით ამოვდის. ის, რაც ჩვენ დაეინახეთ, ამ გაგებაზე გაცილებით მეტი და შეუდარებლად მნიშვნელოვანი იყო მხედველობაში მჭვს ანა პოეტური აღწერა ან რომანისტული თხრობა.

არამედ, ყველაზე უხეში პროზაში, თანამედროვე კავთარიობას რომ ტანჯავს და აწვლავს. ეს არის გამაღებელი შეიქრებები, საშინელი ატიმური ომისათვის შესაძლებელი მისი საწრებარო რეალური შედეგი. ასე რომ არ იყოს, რა უნდათ ამერიკის ავიოსნებს, რომლებსაც გემბანზე 100-100 სამხედრო რეაქტიული თვითმფრინავი უდგამთ, სტამბოლის პორტი? განა მათ თავისი ნავსაყუდელი არა აქვთ? რამ მოთაყვანა ისინი ასე შორი მანძილიდან? ავიოსნებიც ზომ ტურისტული ლამქრობით არ ერთობიან, როცა ზარბაზნების გამოშვებით ღღობს სტამბოლის ნავსადგურში გამკვლელო გამომგლეობის უხეველებზე? იქნებ დიდი ანუ წყნარი ოკეანე მათთვის პატარაა და ეს პაწაწინა ბოსფორის სრუტე უფრო დიდია? იქნებ ატლანტიკის ოკეანეში ვერ ეტყვიან და აქ, ამ ვიწრო ყელში უფრო თავისუფლად შეუძლიათ გასცურონ? ნუთუ ორი ოკეანე, რომლებიც ამერიკის კონტინენტს გარს ერტყმის, მათთვის ადვილს ვერ პოულობს ლაღობის გამოსაშვებად? აქ კი ავიოსნებზე დადგმულ ზარბაზნებს ღღობი გამოშვებით აქვთ, არავითარი უჭვი არ არის, რომ სტამბოლის ნავსადგურში ამერიკის სამხედრო ესკადრა ავიზიტიო? ჩასული, როგორც ოფიციალურად იუწყებიან ზოლზე. გემები სავსეა მებრძოლებითა. ჩვენ კი, რომლებიც ამ შეთოფ-შეიარაღებულ სანაპიროს ვუკვებით, ამჯერად ფორტაპარატებისა და ბინოკულების მეტი არაფერი გვაგანძნია.

გულსტიციელი ვიგრძენით, რომ სტამბოლის ნავსადგური ასე შეეკვანული დაეგვება. მაგრამ რა გავწყობა. ჩვენ ვიცით, რომ ეს არ არის თურქი მშრომელი ხალხის არც გზა და არც საქმე. მატერიალურად გაქორავებულ ხალხს ზარბაზნები როდი უნდა. ეს მხოლოდ პრამერიკული მთავრობის სურვილია, მთავრობისა, რომელმაც თანდათან დაივიწყა ქვემოთათურქის ანდერძი სამშრობო კავშირთან მჭიდრო მშრომობის შესაბამ.

რაც უფრო ღრმად შევედით ნავსადგურში, მით უფრო თანდათან ბევრი გამოჩნდა ამერიკის სამხედრო გემების ქარავანი თვითმფრინავებითა და ზარბაზნების ღღობით.

როცა გვმახ სვლა შეიანება, თურქი ბოკმანები ამუშავდნენ. მათ ძლივს მიახვს „პობედის“ ევება ტანი ნავსადგურის ლითონის ბოქებს. მივადვქით თუ არა ნამირს, გემბანზე ამოვიდნენ თურქი მოხელეები. ისინი საოცრად ჰგავდნენ ქართველებს და ქართული ტანსაცმელი რომ ჩაეკვით, თურქებად ვერ შეიცნობდით. აღმათ, ბევრი მოთვანი ქართველი იანიჩრების შთამომავალია, — ასე გავფიქრეთ ჩვენ, და გავგახანდა წარსულის ზოგიერთი მძიმე ფურცელი.

სქელი ნისლი ზელს გვიშლის ყველაფერი გარკვევით დაფინახით. მაგრამ სულ მალე მზემ გაპოხანათა, ყოველ შემთხვევაში, 9 საათსა და 30 წუთზე ნისლი იმდენად გაიფანტა, რომ სტამბოლის პორტი მთელი თავისი სიდიდით გამოჩნდა, ზოლო ქალაქი ორივე მხრით — აზიური და ევროპული ნაწილით.

ახლა უკვე პორტში ამერიკის სამხედრო ესკადრის თითქმის ყველა გემი დაფინახით დიდრონი ნორმებით — 703, 880, 915 და ა. შ. ნაევები და კატერები კი, მართლა, ძალიან ბევრია. სტამბოლის პორტის დღევანდელი სახე, ამერიკის სამხედრო ესკადრის გარდა, ნაევებით, თურქული გემებითა და კატერებით დაემახსოვრებდა. ნაევში სხედან ცუდად ჩაცმული ადამიანები, ხელში აწყობები დაუკვებაათ და თევზებს იჭერენ. მაგრამ სტამბოლის პანორამა თუ გინდა სრულად წარმოიდგინო, პირველყოფლასა თვალში გვეცმა მგებთების ტყე მაღალ-მაღალი მინარეთებით, ირგვლივ მთავორაკები და შუაში ბოსფორის სრუტე.

ჩვენ გადმოვდევართ გემიდან, პირველად ვაღებთ ფეხს ძველი კონსტანტინეპოლის მიწის და მივდივართ ვაჯლის წინ განჩრებულ აგრობუსთან ადგილის დასაკავებლად. ეს სტამბოლის ის კვარტალია, რომელსაც ვალატა ეწოდება. გვიმხრეს, აგრობუსში ჩადიო არ არსო. ამიტომ ვამკობინეთ, ვალატას დათვლიერების მიზნით, ძირს ჩამოსვლა.

პირველად თვალში გვეცა მოძრაობის ქოტურობა. სულ ერთმანეთში ირგვა მანქანები, ადამიანები, საჰაანო ტრანსპორტი, ბტლები, ევტრინიანი მუშები, ვახეთის გამკიდველები, მერქონილმანები, ერთი სიტყვით, სულოვარი და უსულო, დიდი და პატარა. რატომღაც ყველა მოღუნულია და სალაპარაკო თემის ვერ პოულობს. ვილაცამ თქვა, აქ ტულეფონი ექვს ციფრიანი ყოფილაო. შერე რა? არავის ეს არ აინტერესებს, ყველა ცივი სახით შესცქერის ვალატას პატარა მოედანზე, ვაჯლის წინ, უწყსრიდო მოძრაობას, ათვლიერებს ათის-გვარი ფერისა და ზომის აგრომანქანებს, თურქულ ტყეებს, მარჯვნივ კი სახლს, რომელსაც ანგრევენ. სახლი დიდი ჩამი, თუმიცა, ტყუობა, ძალიან ძველია. მაგრამ თუ დანანგრეველ გავმეტვს, მხოლოდ იმიტომ, რომ მოედნის გაფართოება აქ მართლაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. ვალატას მოედანი ხომ მუტისმეტად ვიწროა, რომ იტყვიან, ნუმიც ვერ ჩაერთვება, თუ ყოველთვის ასეთი მოძრაობა და ასეთი ხალხმრავლობა იქნება. ვალატაში აგრომანქანები ერთმანეთს გვერდს კი არ უვლიან, პირდაპირ ერთმანეთში ძვრებიან. ისინი ერთი მიმართულებით არ მწყობრად მიედინებიან, მაგრამ ვაი ამ სვლას: ერთმანეთს მიე-

რდი მიხვეებიან. მათ გვერდით მიმოდინ ბოსტნეულით დატვირთული საზღვრება, ძველი და ახალი საბარგო აგრომანქანები მინგრეულ-მონგრეული და ფერგადანსებლები.

ისეთი ვიწრო ქუჩით მივდივართ, რომ გვიყვინს, როგორ ახერხებს ჩვენი მძლოლი დაუჯახებლად წაიყვანოს მანქანა.

მარცხნივ ახალ ქუჩას ავეთებენ და ძველს ანგრევენ, დაუნგრევით ასევე ძველი, დაგოფხილი სახლები.

მიმოდინ ჩადრიანი ქალები და ნამდვილად ტრადიციული აღმოსავლური ქალაქის შთაბეჭდილება იქმნება.

ისევ და ისევ დანგრეულ სახლებს ვხვდეთ, ვიწრო გაუვალ ქუჩებს. ჩამწყრივებულან ხარიზების ვაშავებული დუქნები, წყაროწყობიანი ტყავის წულეების უღიმღამო ვიტრინები. ქუჩები ბანძურია, მალაზიებიც უხუფთაო, ევროპული ქალაქების შემდეგ სტამბოლის ეს უბანი, სადაც ახლა ჩვენა ვართ, პროვინციული, ღარიბი ქალაქის შთაბეჭდილებას ახდენს. თვით ქუჩებში კი აგრობუსი ძლივს ეტევა.

ამ დროს გვაიარეთ ვალატას ხიდი. უამრავი ხალხს მისვება მოედანს, რომელსაც აფიართობენ. მაგრამ მშენებლებს ასაკერ აღემატება უსაქო მყურებელი, რომელიც ამ სანახაობით ერთობა. ვალატას ხიდის შემდეგაც დაუფხული სახლები გამოჩნდა, ისევ დავინახეთ ნაევების ლაშქარი აწყობებიანი მეთევზეებთ. ხალხის აბსოლუტური უმრავლესობა ღარიბად არის ჩაცმული.

ჯერჯერობით ვერაფერი ისეთი ვერ ვინახეთ, რომ საინტერესო ყოფილიყო, ვილაც მოხუცმა კაცმა, ვილცის მოვალეობა რომ უქსრია თუ დავალებით თანამობა მიუცია, ხელ-მარცხნივ დაგვანახა სულთანის დედის პატივსაცემად აგებული ძველი თაღი და მუზეუმი მინარეთით. გვითხრა: მარჯვენა მხარეს ევროპული ბაზარიო, ზოლო რიცვა შევითხვენ, თუ რატომ არის გამოფენილი ამდენი დროშა, გვიასხუბა: 25 ოქტომბერს ათათურქის მიერ დარბეული რესპუბლიკის 33 წლისთავი აღინიშნა, ეს დღე რესპუბლიკის დღედ არის გამოცხადებული და ყოველთვის დიდი ზეინითაც აღინიშნებაო.

მივხვევით პატარა მალაზიებთ სახსე ამ გაუთავებელ ვიწრო ქუჩებს. დაფინახეთ ფონამტი, გავედით სუბლინორტის ქუჩაზე, სადაც მოთავსებულია ვახუთების რედაქციები და გამოცემლობები. ეს ქუჩებიც ვიწროა, აქაც ძველმანები და სილბატეე გერრებთ თვალში.

ერთ ნაგებობას მივაქციეთ ყურადღება. როგორც კი გავიდა შენიშნა, უმაღლ გვითხრა: — ეს დიდი კარბიაო. მაგრამ, თუ ოდესღაც იყ

დიდი ჩანდა, შესაძლოა იმიტომ, რომ ამ ქუჩაზე ძველად დიდი ვეზირები ცხოვრობდნენ, ახლა ძალიან პატარად გამოიყურება. დრო ველოდურს ამცირებს, ალბათ, უსწელო ჭებებსაც, აღბიანურ წარმოადგენებზე ხომ ლაპარაკიც არ შეიძლება. ასევე შეუმცირებია დროთა სვლას ამ სახეობო ვაზების სახეცა და სახეცაც.

შორიდან უცე თვლი მოეკარით წმინდა სოფლის ტაძარს, გავევხარდა ბელორუსის ამ უძველესი ძველის ხილვა, მაგრამ ჩვენს თვალწინ უშალ აღიშართა სამხედრო პოლიციის შენობა და მხატვრული განწყობილება ერთბაშად მძიმე სურათში შესცვალა. შემდეგ კი ყველაფერი ერთმანეთში აირია: თუქველი შადრეფანი, ძველი ზარბაზნების რიგი, წმინდა გლეხის ტაძარი... სულთნის ყველაზე დიდი სასახლე.

მანქანებიდან გადმოვედით და შევედით ოტომანთა დამსხვრეული იმპერიის სარაიში, რომელიც მე-15 საუკუნეშია აგებული. შესასვლელი დიდი, ეზოც ვეებერთელა, შემდეგ კი მარჯვნივ ვედღოთან ჯალათის შადრეფანია ჯალათსავე ნაჯახებით.

ცივად გავტარეთ გვერდი ამ საფრთხილეს, რომელსაც ვინ იცის რამდენი ათასი კაცის თავი მოეშორებია კისრისათვის. მათ შორის რამდენი ქართველისა, და პირდაპირ სასახლეში შევედით.

შესვლის წინ ვეუბნებოდნენ, რომ ჰამი კარი უნდა გაიაროთ, ეიდრე დარბაზებში მოხვედებით. თითოეულ მთავარს თავისი სახელწოდება აქვს, შავალითავე, პირველი კარები სულთნისაა, მეორე — ბედნიერებისა, ბოლო მესამე — თავდახსნისა. ესაა მათი ძველი, დღემდე შემორჩენილი სახელწოდება, რომელსაც ვეუბნებ ამ არის, თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნებოდა.

სასახლეში შესვლისთანავე თავდაპირველად გვიჩვენებენ ამ ვაუქებულად, დღეს კი მუზეუმად გადაქცეულ, სასახლის სამხარელოს. იგი ოდესღაც სულთნებს ემსახურებოდა თავისი საყმაოდ დიდი "შტატი". როგორც ვეითხრეს, თორმე ამ ვეებერთელა სამხარელოში ყოველდღიურად 500 კაცი მუშაობდა, მამასაღამე, ათასი ხელი ტრალებდა სულთნის, მისი ოჯახის წევრებისა და მოწყველი სტუმრების პატრესაცემად და შადის დასაყუფილებლად. სამხარელოს მსახურთა ეს რაოდენობა საყვებით შეესაბამებოდა იმ ვეგემპლრობას, რომლითაც ისტორიაში ასე ეცნობილი არიან ოტომანთა იმპერიის სულთნები. ახლა აქ, სულთნის ყოფილ სამხარელოში, ჩინური მუზეუმია მოწყობილი. მის წინა დარბაზში, ოდესღაც რომ სულთნის დიდი სტუმრების მისაღები ყოფილა, ახლა გამოყენილი სხვა-

დასხვა ქვეყნიდან, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ცნობილ პირთაგან სულთნების საჩუქრად მიღებული ძვირფასი ნივთებიც ნახავთ.

ვათვლიერებთ პირველი დარბაზის ქვეყნიერებებს, მათ შორის კაიხურ ვილქელმ II საჩუქარს სულთან აბდულ მამიდისდმი, შემდეგ ათასგვარ ძვირფას უამებს, ოქროს კურბულულობას, ბრილიანტებთან და ოქროს მოკედელ ქალის წანთან, ოქროსავე ვიდრათის ფიჭურებს, მრავალნაირ სასმისებს, უავის სასმელ მინაქტიან ფინჯნებს, ასევე ოქროსა და ბრილიანტებში ჩასმულ ძვირფასი ქვების შესანიშნავ ყუთებს.

რა არ ჰქონიათ, რა არ მიუტაცნიათ და რა საჩუქრები არ მიუღიათ ვერაგობით ვანოქმელ თურქეთის სულთნებს! თქვენ აქვე ნახავთ წვირლმან, მაგრამ სულ ზურმუხტსა და ბრილიანტებში ჩასმულ სათუთუნებს, ოპიუმის სასმელ მილებს, ბერნეთის კოლოდებს, ნაპოლენ ბონობარტეს ვამოსახულებას ბეკედის თვალში, სხვადასხვა ზომისა და ტანის საათები, მინაქტირიან, საგნებს, ათასგვარ მორთულობას, ძვირფასი ქვებით შემკულ სასახლის მაკეტს, დიდ ზურმუხტს, რომელიც მე-16 საუკუნეში სულთნის ჩალმას წინ ჰქონდა მიკარული. დროთაგან ვადარჩენია აგრეთვე სულთან მერად IV საჩუქრული, ბაღდადის დაჭრობის დროს რომ ეცვა, მისივე ჭმალა და ჯავშანი. ახლა მინის ყუთებშია ჩამოკიდებული სულთანთა ვრძელ-ვრძელი ტანსაცმელი — სულთან სელიმ I, მისი შვილის, სულეიმან დიდის, მუჰამედ III, მერად IV, მუჰამედ II, აბდულ ჰამიდ II და მრავალი სხვა სულთნების იმდროინდელი კოსტუმები. აბდულ ჰამიდ II კოსტუმი სულ წითელია, ის სისხლის-მსმელი იყო, დიდი ცოდვები ჰქონდა, ამიტომ ტანსაცმელიც წითელი ეცვაო, დაუფარავად და სერიოზულად აღნიშნა სტამბოლელმა გიღმა.

შემდეგ იწყება სულთანთა ტახტების რიგი, მათ შორის აბმედ I ტახტი მაირამისა, ძვირფასი მითა და ოქროთი, სულ ზურმუხტებით შემკული. მის გვერდითაა მერად IV ტახტი, სპილოს ძვლისაგან ვაკეთებული და სულ ძვირფასი ქვებით მოკედული. ეტყობა, ამ ტახტებს სულთანები აყეთებდნენ საყვთარი გემოვნებას მიხედვით და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ უცუთესი ტახტი ჰქონოდათ.

ვინ ჩამოთვლის ყველა ამ მამიდის სატყერებსა და საათებს, სულეიმან დიდის ჯავშლებსა და კასეებს, ოქროთი და ზურმუხტით მოკედელ სულთანთა ვეკრთებს, დიდი ვეზირების სამხედრო ტანსაცმელსა და ნივთებს, პირველ დარბაზში იმდენი რამ გამოუყენიათ, რომ მარტო სახელების ჩამოთვლას მთელი ტომი დასჭირდება.

ასეთვე სურათი ვხილეთ მეორე დარბაზ-

ში, სადაც ისმაილის ქრელი ტახტი, ძვირფასი ქვებით, ზურმუხტითა და ლალით მოჭედული, ისე გამოიყურება, თითქოს არ გეტბნებოდეს, რომ უცხო ატმოსფეროშია მოხვედრილი. იგი ოდესღაც ირანის შირვანბეგს ეკუთვნოდა, შემდეგ სულთანმა სულთმა ჩაიფლო ზღვაში და დაიხატა, როგორც ნადევი დიდი ქონება. მის გვერდით ნახავთ ძვირადღირებულ ბურთის კოლოფს, ხელში დასაკეცებელ სარკვებს, მრგვალ მარაგებს, სულთანთა პარამუნების განუყრელ ნივთებს, რომლებსაც, ვინ იცის, რამდენი ხელი შეხებია, რამდენი სახე უბოლავთ, ახლა კი სამუხეუმო ექსპონატებად გადაქცეულან.

ყველაფერი ეს სასულთანს მოგაგონებთ, მკვლარ ბრძოლებს. და არავითარ აღტაცებას არ იწყებს არც ეს ეგვიპტელი, ოქროსაგან ნაქსოვი, მართლაც ძვირადღირებული ხალხია. ამ ეგვიპტელია ხალხიზე სულთნები ლოცულობდნენ. იმე ვეც სულთნისავე კრიოლსანი, გულს რომ აყრუებდნენ ეს სამიში ონაერები ვერაგული ფორტების ან უსაქობის ღრბს. ცალკე დაუდგამთ მთლიანად ოქროსაგან გაკეთებული აკვანი, რომელშიაც სულთნის შემკვრელებს ზრდიდნენ. ვინ იცის, ამ აკვანში რამდენი მტარალი აღიზარდა, რამდენი მოძალადე, რამდენი დამპყრობი, სისხლთ, ცრემლითა და ნანგრევებით რომ ააყოს შემსუსტარი ქვეყნები. შემდეგ იწყება მინანქრიანი საგნების გრძელი რიგი, სულთანთა ორდენები და მედლები, ცენტრში ვილქელმის მარშლის კვართი, რომელიც სულთან აბდულ ჰამიდს საიტქარა მართმევია.

თუ რა მინდობილად აწყობდნენ ოტომანთა იმპერიის შეფუთვული ძალაუფლების მჭონე მმართველები საკეთარ ბინებს, სასახლეების კარნიდამოს, დარბაზებსა და სახელმწიფო დანიშნულების ადგილებს, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ სულთანის მისაღები ოთახის მორთულობით, რას არ ნახავთ ამ მორთულობაში: ოქროს საგნებსა და ლალ-ზურმუხტო შექმულ ნივთებს, ბრილიანტებით აპრულებულ ტანსაცმელს, ბიზანტიურ რელიკვიებს, ფან ბაბტისტის ზღლის გამოსახულებას, ადამიანის თავისქალის ნაწილს, სხვადასხვა სახელმწიფოების ორდენებს, რომლებიც სულთნებს ჯილდოდ მიეღობოდა, მათ შორის რუსეთის იმპერიის ორდენებს, წმინდა გიორგის ორდენს, კარ I საპატიო ლეგიონის ფრანგულ ორდენებს და წარჩინების მრავალ სხვა ნიშანს.

როცა მესამე დარბაზში ოქროს დიდი ყუთი მოწიწებით გვიჩვენებს, ვიფიქრობთ, რომ მასში რაღაც გამსაყურებელი რამ უნდა ყოფილიყო მოთავსებული. და ჩვენი ვარაზობა მართალი აღმოჩნდა. თუკამე ამ ყუთშია მოთავსებული მუსლიმანური სამყაროს ღმერთაკის — მა-

ზადის „ტანსაცმელი“, ვინ იცის საიდან, როგორ ან რა საშუალებით ნახული თუ მოტანილი აქ, მართლაც ამ მკვლარ რჩაუტყუემო მას ისე მოწიწებით ეტყვიან, როგორც ქრისტიანები ქრისტეს სახელთან დაკავშირებულ ადგილებს. მეორე ყუთში ჩაწყობილია ყურანის წიგნები, რომლებიც ძვირფასი ქვებითაა შემკული. შემდეგ ისევე ყურანის სხვადასხვა გამოცემა დალაგებული.

ყველაფერი ეს ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ერთმანეთში იყოს არეული სულთსა და ხორცის საკეთარება. ყურანის წიგნების გასწვრივ აქვე გამოთუფენიათ თურქული პარტიფემერიის ნივთები და მოწყობილობა, მთლიანად ოქროსაგან გაკეთებული დიდი შანდლები, შემდეგ კი სრულიად ცალკე — მუსლიმანთა წმინდა ადგილის — ქალაქ მექას გასაღებები.

ამ გასაღებებს შორეული ისტორიული წარსული აქვთ. ისლამური სარწმუნოების გადმოცემის მიხედვით, მაჰმადი მექაში ყოფნის დროს აერკრებოდა თავის რელიგიურ დოქტრინას, მაგრამ ჩვენი წელთაღრიცხვის მე-7 საუკუნეში, 622 წლის 16 ივლისს, იგი გაუგდათ ქალაქში და გადასულა მეორე არაბულ ქალაქ მედინაში და ცვლავ მთელი ძალით გაუჩაღებია დაწიებული მოღვაწეობა. მაჰმადის ქადაგებამ მთელი არაბული სამყარო მიიყვია, მაშინამა შექმნა მძლავრი სახელმწიფო, რომელმაც მრავალი სხვა ქვეყანა მოარბია, და თუ რა ძალის იყო ყოველივე ეს, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მე-8 საუკუნეში არაბების საქართველოზე ლაშქრობით, გასაგებია, როგორ მნიშვნელობა ექნება მექას გასაღებებს მუსლიმანებისათვის და ამ დარბაზსაც, სადაც ასეთი რელიკვიები მოუთავსებიათ.

მესამე დარბაზიც ისევე საყურა ოქროთი, ზურმუხტითა და ლალით, საერთოდ ძვირფასი ქვებით, როგორც წინა ორი დარბაზი, რამაც ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ თურქეთის სულთნები ზელოვნებასა და კულტურას კი არ ტანებოდნენ, არამედ მოხვედრას, მიტრეებს, სიმდიდრის ზღვაში ჩაგდებებს, ზღაპრულ ქონებას, რომელიც ყველაზე უმაღლეს იმპერატორად მიიჩნდათ.

გამოვიდგინოთ გარეთ და გვეტონებთან, მარჯვენა სულთანის სასახლეს მიბლითუფა არისო, მაგრამ იქ აღარ შევდივართ, რაკი არ გვწყვევენ, სამაგიეროდ გვემატიყებთან იარაღის პალატაში, რომელიც დღემდე ინახავს ოტომანთა იმპერიის დროინდელ საბრძოლო აღჭურვილობას, ყველაფერია აქ თავმოყრილი. შეგვიძლია სრული წარმოდგენა მიიღოთ, თუ რა ტანსაცმელს ხმარობდა ქველი ოსმლო და რა იარაღით არბევდა სხვის ქვეყნებს. ახლა ეს ტანსაცმელი ჩამოკიდებულია გრძელ მინის

ყუთებში, ხოლო იარაღები კედლებზეა მიკრული. აქვეა გამოფენილი ათასგვარი ძველი მახელი, რომლითაც თურქები იზრბოდნენ, კრელ-კრელი გრძელი მოსახამები, თეატრების სცენაზე რომ გვიხსავს, სულამ 1, სულამან 1 და კიდევ შრავალი ასეთი სელემებისა და სულეიშანების ნაჯახები, ისრები, ხმლები, მათ შორის ვერძული ხმლებიც სხვადასხვა დროისა; ასევე ნაირ-ნაირი ზომის შვილიდები, შხაშიანი სასიკედილო ისრები, საალუო თოფები, შესანიღბავი ხალათები, თოფებუ, თურქული ფარები, განთქმული თურქული იათაღანები, მთავარი კარავი, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც სხვა ქვეყნების დაპყრობისა და სხვა ხალხების დამოწმება-გაუღებინათვის სჭირდებოდა ოსმალის, ყველგან რომ ცეცხლითა და მახელით მიდიოდა. აქვე მოთუთავსებით ბიზნისთვის უკანსკნელი მუფის კონსტანტინეს ხმალი, რომელიც ქრისტიანობას იცავდა, მაგრამ შესულმანობამ შეგმურსა.

კიდევ რა უნდა ვნახოთ? სულთან-ნარაი დიღია, მის ყველა ნაწილს ასე სწრაფად ვერ დაათვალიერებ, მაგრამ დრო ჯერ კიდევ რჩება. და შევდივართ იმ დარბაზში, სადაც ახლა ვერცხლის ყუთებში ჩადებული სივანეებია, ფიცით დამტკიცებულნი და შემდეგ უტყურობით დარღვეულნი. ამავე დარბაზში მოუტანიათ ფრანგული საჩუქრები, ახმელის შადრევანის მოწოდებლობა, ვერცხლის მუფალი, უამრავი თუ უთვალავი ჰურბულეულობა, ძვირფასი ქვებითა და მარგალიტებით შემკული, რომელიდაც სულთნის დედის ოქროს ვაზები, თეთიყუნების ძვირადღირებული ვალიები, ვერცხლისა და ოქროს ღამის ქოთნები, ავსტრიული სერვისები, გერმანიისა და ვენეციის შროლის ჰურბულეულობა, ინგლისური თეთმადღირები, 1700 წელს რომ აუთონებენ, ძველი ინგლისის ვაზები, ყარლოს XII ყუთენილი იტალიური და პოლანდიური ჰურბული, ნიკოლოზ პირველის საჩუქარი სულთნისადმი — ისევ ძვირფასი ჰურბულეულობა, ქალაქ ფონტენბლოს ჰურბულეულობა... მათ ხომ თვლა არა აქვთ, შემდეგ ნამოლონ ბონობარტეს საჩუქრები, მისივე გამოსახულებით ცხენზე, ცალკეა პარიზის საჩუქარი, აგრეთვე ძველი ჩინეთიდან და იაპონიიდან გამოგზავნილი ნივთები. ყველა მათგანის ჩამოთვლა ისეთ გრძელ სიას მოგვცემდა, რომ ვერცერთი მკითხველი ბოლომდე ვერ ჩაივთხებდა, ხოლო თუ თავს ვაწირავდა ასეთი სია ჩაუთვალერებინა მისიც, ალბათ, სულს ვერ მოითქვამდა, ამიტომ საგნობრივად აღარ ესახელებთ ამ საჩუქრებს, თუმცა არ შეიძლება ზოგიერთი მათგანი არ მოეხსენიოთ.

მართლაც, ორიგინალური სპილოს ძვლისაგან გაკეთებული საფეხრავო ფიგურები. მათი

მსგავსი დღემდე არსად მიხსავს. მაგრამ უოველგვარ მოლოდინსა და ყოველგვარ ფიქტაზიას აკარბუნს ჩინეთის საჩუქარი. რომელიც თამამად შეიძლება ხელოვნებას მთავრდეს.

რა არის მასში განმაცვიფრებელი, ორიგინალური, ასე მიზმიდველი ან საინტერესო? ყველაფერი, როგორც ვაზარება, ისე თვით შესრულება. შეიძლებაო მისთვის გვეწოდებინა „კარ-მიღამო“ ან შინაარსი ერთბაშად გამკლავდებოდა. მაგრამ, შინაარსის გადმოცემაზე, მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ ჩინელ ოსტატთა ეს ნახელები წარმოადგენს 25 კილოგრამიან ოქროს მასისვისაგან ამტყველებულ ხელოვნების ძეგლს. სწორედ ოქროს — ამ ძვირფასი ლითონის — მთლიანი მასისაგან იშვიათი ოსტატობით არის გაკეთებული ჩინური ლივად ორგანალური სტილით გააზრებული პატარა სასახლე, რომელსაც აქვს ეზო, ბაღი, ხეები უამრავი ტოტოთა და კიდევ უფრო უამრავი ფითლით. ეზოში ღვანან ჩინელი ქალები და ცივაკუნ, ყველაფერი ეს, როგორც აღვნიშნეთ, გაკეთებულია მთლიანი ოქროსაგან, წარმოადგენს ერთ ანსამბლს, იმდენი წყრილობით, რომ გაკვირს: ვინ ან რა ხელმა შეძლო უთვალავი მხატვრული დეტალის დამუშავება, რა მოთინებამ, ძალამ, ნიქამა და ენერგიამ? ან ეს უვავილები, ოქროს ბაღში რომ გააკეთეს? ან ამდენი ბაღები, ეზოს რომ ფარავს, ოქროსაგან როგორ ამოურეს? ქალთა სახეები და ტანსაცმელი? სასახლის ზეჟურთმები და ორნამენტები? მსგავსი, მართლაც, არაფერი გვინახავს. და ჩინელ ოსტატთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ 24 კილოგრამიან ოქროს მასისვისაგან მათ მიერ შექმნილი ეს ნაკეთობა უაქველად ვისღაღიდელი მნიშვნელობის შედგება: იგი გამოფენილი უნდა იყოს მხოლოდის ყველაზე უკეთესი მუზეუმის ყველაზე საუკეთესო დარბაზში, როგორც ნამდვილად გენიალური ქმნილება.

მაგრამ ნაოჭვამია, უკეთესის უკეთესი არ დაიდევია. „კარ-მიღამოს“ გარდა ჩვენ ვნახეთ საკმაოდ მორბილი ძველი იაპონური ვაზა. არ დავფარავთ და პირდაპირ ვიტყვი, რომ ამ უკანსკნელს ნაკლები შთაბეჭდილება არ მოუბღენია. ეს იაპონური ვაზაც ჩვენ წარმოგვიდგა, როგორც ნამდვილად ფასდაუღებელი ნაკეთობა, მე მგონია უნიკალურიც.

შემდეგ ისევ ვნახეთ ათასგვარი ჰურბულეულობა. მათ ვეება კედლები უკავით. ვვეუბნებიან: ეს იმპერატორ კანკინის საჩუქარიო. მეტად უხვი საჩუქარი მიუერთმევა ჩინეთის იმპერატორის სულთნისათვის. როცა მათ ათვალერებ, ხედვდ მართლაც ძვირფასი ჩინურ ჰურბულეულობას, ვეებერთელა კედლებზე აკრულს. იმდენი აქ საერთოდ ჰურბულეულობა, რომ, ალბათ, ვერცერთი დიდი მღაზია

ვერ დაიტყუა. მთელი ეს აურაცხელი ქონება მოთავსებულია სულთნის ყოფილ ძველ სამზარეულოში, რომელსაც, ვინ იცის, რამდენი რამ უნახავს და რამდენი რამ ახსოვს.

დაღლილები გამოდგებიან სულთნის სასახლიდან, ვდგვართ ეზოში, სადაც სარაის წინ ჯალათის შადრევანია და ვონებამი ერთმანეთს ცუდიან აწმყოთან შეჯერებული წარსულის ფერებში.

რატომ ჰქვია ამ ადგილს „ჯალათის შადრევანი“? მართო ამის გამო, რომ აქ პატარა შადრევანია, წყალი ახლაც მოდის, ნაჯახებიც ადგია და ოდესღაც აქ ნამდვილი ჯალათები იდგნენ?

ცხადია, მართო ამის გამო არა, ეს ადგილი ნამდვილად ყოფილა განწირულთა დასახლები იმ სამიწილი სისასტიკით, რომლითაც სულთნები თავიანთ მოწინააღმდეგეებს, ბრალიანსა და უბრალოს, ბაზაროსულ ანგარიშს უსწორებდნენ. აღმაინებს თავს ისე გააღდებიანდნენ სწორედ ამ ქუჩაზე, ამ ნაჯახით, როგორც ქათმის წიწილებს, შემდეგ კი ნაჯახს აქვე მომდინარე წყლით გაწმენდნენ.

მაგრამ ეს საზიზარო სცენა თუ ცერემონია აქ როდი თავდებოდა. ეზოს მარჯვნივ, ბოლოში, ქვის ვახა იდგა, რომელზედაც მოჭრილ თავს დადებდნენ და ხალხს აჩვენებდნენ. ყოველდღე ამის ვახსენება ახლაც ისე შემამჩრუნებლად მოქმედებს, რომ გული გიქუქმება და თანაც ზიზლით გვეცხება.

ვინ იცის, რამდენი ჩვენთან, რამდენი ქართველი პატრიოტის თავიც დაეცემლა ამ სამიწილ ადგილას, რამდენი ტანჯვა და ტყვეობა, გოდება და კვნესა აღმოხდენია განწირულ ადამიანებს? სწორედ ამ სასახლეში, ამ ვეებრთელა ეზოში გიორგი სააკაძესაც ხომ გაუვლია, როცა სიკვდილის კარიბჭესთან იდგა, ბოლო ვერაგულ მკვლელობაზე სულთანთან ერთად მიმოდიოდა სარაის დარბაზებში, ხეივანებში, ჯალათის შადრევანთანაც.

აქტობრის როგორღაც გულში ბოღმას იწვევს.

სასახლის ირგვლივ ძველთა-ძველი ზარბაზნები დაუდგამთ, ზარბაზნებისეუ დიდი ტყვიები ნამოლდაკვებით, ერთი სიტყვით, ძველი „დაცვა“ ისე დაუტოვებიათ.

დღის 12 საათზე ვტოვებთ სულთან-სარაის და წმინდა სოფიის ტაძარში შევდგართ. როგორც მოვასწინეთ, იგი ქრისტიანული ეკლტურის ერთგრთი მსოფლიო ძეგლია, რომელიც იმპერატორმა იუსტინიანემ მე-7 საუკუნეში ააშენა, ტაძრის თავაზზე მთელი ათი წლის განმავლობაში 10,000 კაცი მუშაობდა. ვადმოვლოებ გვეუბნებიან, რომ მუშოთა გინუწყებტლივ გრძელდებოდა, დღითა და ღამითო, მართლაც, მოწამეობრები შრომა გუ-

წევით, სამივეთროდ, მისი შედგეი ვეებრთელა ნაგებობაა, იმავე სტილისა და გააზრებისა, როგორც წმინდა პეტრეს ტაძარი, ეს უყანასკნელი აშეამად მსოფლიოში ერთად ერთია თავისი სიდიდითაც კი, მაგრამ განსხვავება ის არის, რომ „აია სოფიას“ ტაძარი მთელი ათი საუკუნით ადრე აშენდა. როცა ორადე ტაძარს ერთმანეთს შეადარებ, მსგავსება ისე დიდია, რომ გუნვენება, თითქოს პირველი მეორის განმეორება იყოს. ამ მოზუნვენებში ბევრია ტემმარიტება, მაგალიტა კარგად და ნიმუშად დაედო პეტრეს ტაძარს. ვარდა ამისა, მისი გაიღებული სახე მისცეს რომის ნაგებობას, რათა იგი უნიკეში ყოფილიყო.

მთელი რეა საუკუნის მანძილზე „აია სოფია“ ქრისტიანული ტაძრის მოვალეობას ასრულებდა, ვიდრე მე-15 საუკუნეში თურქებმა შეჩეთად არ გადააქეთეს. მათ ვადადენეს ქრისტიანული ფერწერის ნიმუშები, შემტრეს ფრესკები და მოაშენეს ოთხი შინარეთი, აშგვარად, მე-15 საუკუნეიდან „აია სოფია“ მუსლიმანთა ოთხმინდოთიან შეჩეთად იქცა. ასე მოვიდა იგი ათმუშის დროზედ, როცა უკვე პრეზიდენტმა ათათურქმა გადაწყვიტა „აია სოფია“ შეჩეთად გადაეკეთებინათ. ეს გადაწყვეტილება პრაქტიკულადაც განმორციელდა. ახლა „აია სოფია“ მუზეუმს წარმოადგენს, თუმცა ივერ კიდევ ბევრი სამუშაო მუსლიმანური კვალის წასაშლელად და ქრისტიანული სახის აღსადგენად. მუშოთა კი მიმდინარეობს, ხუთი საუკუნის შემტრების შემდეგ ქრისტიანული ფერწერის ნიმუშები დღის სინათლეზე გამოდიან.

რა შთაბეჭდილებას ღებულობს თანამედროვე მინახელი, როცა ამ ერთგრთ შესანიშნავ ძეგლს ათელიერებს? ვადეტაზრებულა შეიძლება თქვას, რომ ვარდნილენ „აია სოფია“, მართლაც, დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. მაგრამ ვარდენული შინიც ის არ არის, რასაც თეთი ტაძარში შესვლის შემდეგ ვანიცდა. მე არ ვლაბარეკობ მართოოდენ ფერწერის ნიმუშებზე. მხედველობაში მაქვს „აია სოფიას“ მთელი შინაგანი ანსაშლი, რომლის მოკლე დახასიათებასაც ახლა შევეუდებები.

როგორც კი ვადაბაიჯებთ კარის ზღერბლს, შესავალშივე თქვენ ხედავთ წმინდა მარიაშისა და ყრმის, მარჯვნივ ბიზანტიის დამარხებულ კონსტანტინეს, ბოლო მარცხნივ — „აია სოფიას“ ტაძრის აღმაშენებელ იუსტინიანეს გამოსახულებებს, თითოეული მათგანი ხელონებას ძეგლს წარმოადგენს, ეს უშეკვლია. მაგრამ ყოველგვარ მოლოდინს აკარბებს ტაძრის მოზაიკური ტერი, რომელიც ისე ანათებს, თითქოს ვარსკვლავებით მოკვდილი და რაფაელის იეს მობატელი ცის თალი დაგვეკტიროდეს. ეს მოზაიკა მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებულია, ძალიან დიდი წარსული

მქონეა, მართლაც, გამაყვანებელ შთაბეჭედლებას ახდენს, და რა უნდა იყოს ვასაკერი, თუ მას სპეციალისტები ასე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ. გელოის ტაძრის განთქმული მოზაიკის შემდგმ ჩვენ პირველად ვნახეთ ხელოვნების ამ დარგის ასე ბრწყინვალე ძეგლი.

გინდა ყველაფერი ღრმად შევიწყო, გაიხრო და დამიხსოვრო, მაგრამ ერთი ნახვით ეს შეუძლებელია. ბევრი რამ გავაწყდება და მხედველობის არეს ეკარგება. დამავიწყდა მავალითად, მთაჭვა, რომ „აია სოფიას“ შრავალი კარი აქვს. ცენტრალური შესასვლელი ბაღში გადის. ეს იმპერატორების კარი ყოფილა. იგი მარცხენა მხრიდანაა და ისე დიდია, როგორც ამ მონუმენტურ ნაგებობას შეეფერება.

შეხვალთ თვით ტაძარში, რომელიც ამდენი საუკუნეა დგას ამ ადგილზე, და სიერციხით განზომილებას, პარშონის გრძნობასთან ერთად, იგი თქვენში აღძრავს ვაიკებასაც. ეს განცდა კიდევ უფრო ძლიერდება მოზაიკური ფრესკებითა და მუდალაონებით, რომლებიც ასე უხვად შეუქმნაათ ძველი დროის ქრისტიანული ხელოვნების ოსტატებს. პირველადვე თვალში გვეცემათ უბრწყინველესი მოზაიკა — კონსტანტინე მეზღვრზე დაჩოქილი დგას მცხოვრის წინაშე. ეს მარტოოდენ მოზაიკა კი არ არის, დიდა ხელოვნებით შესრულებული ფერწარული ნახატია, რომელიც გამოჩენილი მხატვრის შემოქმედებას ღამწვენდება.

თვით ტაძარში ისეთი დიდი სიერციხით ვრძნობა გვეფლავათ, რომ უნებლად დანტრეკსდებით ვაიკეთ, თუ რამდენი მეტრია თალიდან იატაკამდე, ან რა დამეტრია აქვს თვით ამ ევებერთელა თაღს. ჩვენი ინტერესი მით უფრო ძლიერდება, რომ გვერდა შევადაროთ პეტრეს ტაძრისა და „აია სოფიას“ თაღებს. როგორც გვათხრებს, „აია სოფიას“ თაღს შეაგვიღიდან იატაკამდე 57 მეტრი უოჭილა, ხოლო თაღის დიამეტრი — 33 მეტრი. მართლაც, ეს ვაიკლებით უფრო ნაკლებია, ვიდრე პეტრეს ტაძრისა, მაგრამ მაინც დიდ შთაბეჭედლებას ახდენს.

ამ ტაძარში ბევრი რამ არის საინტერესო და ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირებული. აიღეთ თუნდაც „აია სოფიას“ კოლონები. მათ შორის განსაკუთრებული ისტორიული მნიშვნელობა ენიჭება სიჩილიდან მოტანილ პორფირის 2 კოლონასა და დენის ტაძრიდან წამოღებულ 4 კოლონას. მაგრამ ყურადღების მართვს ეს კოლონები როდი იქცევენ. ჩვენი აზრით, უფრო გამაყვანებელი ღირებულება აქვთ მოზაიკურ ფრესკებს მოციქულთა გამოსახატულებით, რომლებიც ქრისტიანული კულტურის ისტორიაში თვალსაჩინო როლს ასრუ-

ლებდნენ. ისტორიულია ეს ადგილიც, სადაც ბიზანტიის იმპერატორებს აკეთობდნენ კლერაფერს ვატყვი ოთხ დიდ შედევრებს: ისინი მოციქულებს გამოხატავენ, მალლიდან დაკავშირბან, შემტერეს ლაქას იმორებენ და სიღლით გამოიჩნევიან სასამოთვნოა, რომ ახლა მათი რესტავრაცია მიმდინარეობს.

უთუოდ ოსტატურია ლეონისმოზაის გამოსახელება, რომლის მარჯვენა მხარეს მთავარანგელოსი დგას. ალბათ, რელიგიის მსახურებში შექმნის ლეგენდა, რომ ეს თავდახარბილ მეფელსტაფერი ბუნებრივად შეიქმნა და იგი ქვის ოსტატის ან მოქანდაკის ხელით არ არის გაკეთებული. ძველთაგანვე დაიჯერეს, რომ შწენებლობის დროს, როცა მარმარილოს დიდი ლოფი ვაჭრეს, თითქოს ბუნებრივად გამოიხდა ბორბოტი სულის ეს გამოხატულება, და აღარ წამოაღეს, ხელუხლებლად დატოვეს, რაკი ლეოს ნებას მოაწერეს.

მაგრამ ლეგენდა აღარ არის „დახურული კარების“ ისტორია. გვიჩვენებენ ამ კარებს, საიდანაც სულთნის დაბრუნების შემდეგ „აია სოფიას“ ტაძრის მღვდელმთავარი გაიქცა, რის გამო ბრძამორეულმა სულთანმა შექმნა 11 სხელებული კარები გააქცია და იგი დღემდე დაკავრულია.

მოთხრობის ყურადღების ცენტრშია ადამიანის სულიერი სამყარო, რომელსაც იგი დაკვირვებით, მაგრამ არა აუღელვებლად სწავლობს. იცვლება და შემდეგ გვამცნობს თავის მხატვრულ დასკვნებს. ჩვენ ვერ ვიტყვი, რომ ეს დასკვნები ყოველთვის მიუყვარებელია. პირიქით, დემნა შენგელაი იმ შემოქმედთა წრეს არ ეკუთვნის, ვისაც გულგრილად შეუძლია ილაპარაკოს ადამიანის შესახებ, მის უმნიშვნელოვანეს სულზე განცდებზე. დ. შენგელაის არ ძალუძს იყოს აუღელვებელი ფიქსატორი ვათამაშებელი მოვლენებისა, მისი კვლევითი პოეტური ბუნებისთვის უცხო და მიუღებელია ფაქტების მხოლოდ დამოწმება, დადასტურება. მისი შემოქმედებითი ტემპერამენტი „სუბიექტურია“ და დაუნდობელია მოთხრობის ყველაზე უფრო სანდოშიანი, საყვარელი პერსონაჟის მიმართაც კი. ვანის, მკაცრი ვანის და შემდეგ მისი სისრულეში მოყვანა, — ამგვარი დემნა შენგელაის მხატვრული პრინციპი. ეს მეტიდ მნიშვნელოვანი მომენტი ქართული ბელეტრისტიკის შემოქმედებაში, უდავოდ, მისი ჩამოყალიბებული გემოვნების ერთ-ერთი გამოხატულებაა და იგი მწავრ დაღს ასევე მის, როგორც მხატვრის, ინდივიდუალობას, უმატებს მის მხატვრულ მნიშვნელებს გზნებას, ციციხლს, ტემპერამენტს.

შეიძლება ამის გამოც იყოს, რომ დ. შენგელაის გმირები ხშირად შეტს განიცდიან, უფრო სწუხან, მეტად უხარიათ, ზედმეტად ჯავრობენ, ან ინფანტილურად აღტაცებულნი არიან. დ. შენგელაის გმირების განცდათა სამყარო ზოგჯერ პიპეტროფიკურად გაღრმავებულია, მაგრამ თითქმის ყოველთვის ისინი ჩვენზე მძლავრად მოქმედებენ და მთელი არსებით შეეყვართ თავიანთ რთულ, მუდამ დაძაბულ გრძნობათა ლაბირინტებში. მწერალი ხშირად თავისი ნაწარმოების გმირს დროებით სტოვებს მხატვრომარტო პირისპირ ბუნებასთან, ან საყუთარ თავთან, ე. ი. მოქმედ პირს საშეალება აღარ აქვს ურთიერთობაში შევიდეს სხვა, მეორე ადამიანთან, საზოგადოებასთან, მაგრამ მას არ უშლის ხელს ეს მდგომარეობა, რათა მძლავრად, პირდაპირ სტაქონური ძალით, განიცადოს მომხდარი მოვლენა. დემნა შენგელაი ფლობს იმ უტყუარ ტალანტს, რომელსაც, თუ ეს საჭიროა, ძალუძს ერთ ადამიანში მოათავსოს მთელი დრამა.

დ. შენგელაის მოთხრობის „ვანის“ გმირები მოქმედებენ ჩვენ დროს, ჩვენ საბჭოთა სოციალიზმში; ისინი სოციალისტური სოფლის მეიერი ვიდეები და წარმომადგენლები არიან. გარეშო, რომელსაც ხატავს მწერალი, დამაჯერებელი, ნაცნობია და მხატვრის მკათი ხელით არის გამოყვანილი. მკათხელი კარგად გრძნობს და არა მარტო გრძნობს, არამედ თვალნათლივ ზედაღს, რომ სოფელი, სადაც ეს მძაფრი ამბავი ვანიითარდა, დასახლებულია საბჭოთა ადამიანებით, მასში ნამდვილი შრომის სუფევაა. დ. შენგელაის მოთხრობაში ოსტატურად არის შეყვანილი მეორე და მეცამეე ხარისხოვანი გმირებიც კი. ისინი ცხოვრობენ ამ ნაწარმოებში და ცუდად არ გრძნობენ მასში თავს. მწერალმა ძუნწად წარმოვივდიგინა ისინი, რათა მათი გამოჩენა უფრო ცოცხალი ყოფილიყო, მკათი შტრინებით დაევიხატა — რათა მათი პიროვნება შეთხვეულიათვის მეტიდ ინდივიდუალიზებული გაეხდეს.

მიუხედავად მდიდარი სოციალური გარემოს, როგორც აღენიშნეთ, ყურადღების მთავარი საგანი მოთხრობაში — ადამიანი მისი შორალური ღირსებებით, მწერლის აზრით, ადამიანის ბუნებასავესა კონფლიქტებით, მალალი გრძნობებით და მასთან ერთად მიუტყუებელი სუსტა

მხარეებით; ადამიანი ბუღოს ბევრი ქვენი ინსტიტუტი და პიროვნება იმარჯვებს მათზე მხოლოდ ამ შემთხვევაში, თუ კი იგი ნამდვილად შეებრძოლება მათ. შვერლის თანახმად, არ არსებობს ცალკე დადებითი და ცალკე უარყოფითი თვისებები; ისინი ერთ მთლიან წარმოადგენენ ადამიანს მდიდარ და უმეტესეულ ზნეობრივ სამყაროში. არსებობს მხოლოდ დიდი, გაუთავებელი, ამაღლებული და კეთილშობილი ბრძოლა ადამიანის შიდაბუნებაში და ეს ბრძოლა არის ერთადერთი საწინდარი ადამიანის მკვლე სულიერი საწყისებისა. ამგვარაა, ჩვენის აზრით, დემან შენგელაის მოთხრობის „განძის“-ჩანაწიქის ერთ-ერთი მოთავარი მხარე.

ადამიანი არ არის ანგელოზი, თითქოს გვემცნობს ავტორი, ადამიანი არც ნახევრადიორტუცია, როგორც ამას ამტკიცებს ბევრი თანამედროვე საზღვარგარეთელი ავტორი. ადამიანი, დ. შენგელაის მოთხრობის მიხედვით, არსებაა, რომელიც ებრძვის საკუთარ უარყოფით თვისებებს, იზრდება, ვითარდება და ერთგვარად აღმატება საკუთარ პიროვნებას. ჩვენს ვართ ის, რასაც ბრძოლით, ნებისყოფით, პიროვნების სიმტკიცით მოვიპოვებთ, ასეთია ავტორის რწმენა. მოთხრობის დიდ მხატვრულ ღირსებას ისიც წარმოადგენს, რომ მასში არ არის „უარყოფითი“ და „დადებითი“ გმირები, ჩვენი სოციალისტური საზოგადოებისთვის მისაღები და მიუღებელი ტიპები. ამ მხრივ, დ. შენგელაია შეუღებულად მაღალ გემოვნებას და ადამიანის ბუნების დაზვეწილ ცოდნას ამჟღავნებს. ადამიანთა ამგვარი ზელოვნური კასტების ჩამოყალიბება მისთვის შეუწყნარებელია. მოთხრობაში „განძი“ მოთავარი გმირი საულია აერაიხელ, მისთვის თითქმის მოუხმარებელი, სიმდიდრეს ითვისებს, საზოგადოებისთვის ვერ იმეტებს (თვალისთვის ახილვა ზდება გაცილებით გვიან...), ჰკლავს ცოლს, ზდება ასოციალური პიროვნება...

ვისაც ეს მოთხრობა წაუციხავს, იგი ვერაფრით ვერ იტყვის, რომ მკითხველის სიმპათიების ნაწილი მაინც არ იყოს შერჩენილი საულის მითხრობით. მკითხველს ბოლომდე უყვარს ეს გმირი — მის მიერ ჩადენილი ყველა სიბოროტის შემდეგაც კი. რატომ? მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ მისმა ავტორმა იგი წარმოვედგინა არა როგორც ბოროტმოქმედი, საღისტი და თავზე ხელაღებული მამაკაცი, არა როგორც საზოგადოების რიგებიდან ამოსული, მანკიერი პირი, არამედ, როგორც ადამიანი, რომელიც სწაღის, მართალია, შეცდომებს, მაგრამ იწინიებს მათ; როგორც ერთი უბირი ცოდვილი, რომელიც საღდაც გულის სიღრმეში მოქონდება, რომ ებრძოლოს თავის ცოდვებ ბუნებას, დასთარგუნოს იგი საკეთისა და უფრო დიდი ბედნიერების მოპოვების სახელით.

მოთხრობაში საულიას ენერჯია ოჯახი, მთელ ახალგაზრდა სიცოცხლეში შექმნილი ბედნიერება ხელაღდა ეცლება, მაგრამ იგი დამარცხებულ.

მორალურად განადგურებულ გმირთა სიკვამლეში არ შეიტანება. მორალურად, ავტორის აზრით, იგი სასტიკად დასჯილია, მაგრამ მაინც განმარჯვებული. ამ მხრივ, ავტორი იცავს თავის მიზნობად მხატვრულ კონცეფციას, რომლის თანახმად ადამიანის ზნეობრივი ჩაგარდნები, მართალია, შეუთარებლად განიზომება და ისჯება, მაინც საკუთარი ბედი, კეთილსინდისიერების დაცვა, მორალური სიმადლებების შენარჩუნება, ძირითადად, მის ზელთა და ადამიანი ყველა პირობებში და ვარიანტში აქვთ უნდა იყოს მოწოდებული. ამდენად, ავტორი საღ, ბუმანისტურ აზრებს აღატრის თავის ნაწარმოებში.

განა რა სენი იმხსებრებს საულის ცხოვრებას, მის სულიერ სიმშვილეს? ეს არის გაუთავებელი, მაგრამ მაინც ადამიანური წადილი სიმდიდრის ზრდისა, უზრუნველი, მფლანგველური ცხოვრების. მოთხრობის მიხედვით იგი პოულობს ჩაფლულ ოქროებს, განძს, რომელიც იქცევა მისთვის ფეტქმად, ანადგურებს მას მორალურად და ფიზიკურად, აცლის კაცურ ღირსებას, აპარტახებს მის კერას და უზნევს გზაკვალს. ასე აფილიად ზდება ადამიანი მონად, ამბობს მოთხრობის ავტორი, ზოგ შემთხვევაში, მართლმსაჯული. ამისთვის საკუთარ არ არის მეორე ადამიანი, ან მთელი საზოგადოება, — განაგრძობს იგი. — ადამიანი ზწირად საკუთარი ინსტიტუტების ტყვეობაში შეიძლება მოჰყვეს...

მაგრამ ადამიანი ვებრძოლი, რვეოლუციური არსებაა. იგი აფილიად არ ურიგდება საკუთარი თავის გაბიატრებას, დაეცობებას. იგი ანგრევს ყოველ ზღუდეს, საეჭვო ბარიერებს და დაბრკოლებებს, რათა არ გახდეს მოწმე საკუთარი პიროვნების განადგურების, გასრესის, ვაცამტვერების. საულია მოთხრობისი ზელს იღებს ამ განზრ, რომელიც უდარბული, უზრუნველი, პირამდე ავსილი ცხოვრების გარანტიას იძლეოდა. იგი უბირი სოფელი გლეხია და მისი მსჯელობის ლოგოკა საღი, მისაწონია: ეს დღევანთი მე არ შეიმქმნია, მისთვის სხვა დღეა — რა ოფლი, — მსჯელობს ის; ამს ვარდა, იგი ვერც მოიხმარს ამგვარ სიმდიდრეს, მაგრამ მოავარი მაინც ეს არ არის. ყველა ადამიანმა, ფიქრობს ქვეცნობიერად ეს ახალგაზრდა გლეხი, უნდა შექმნას რაღაც ღირებულება საკუთარი ძალით, რათა მოიპოვოს. დაიპყიდოს თავისი თავი, არსებობის აზრი ამ ქვეყნად. თუ კი მე არ ვიწრომე, თვითონ არ ვიზრუნე ჩემი არსებობის შესანახად და გასაგრძელებლად, ყველა დანარჩენი გზა, საშუალება ჩემივე თავის უარყოფის, გაბიატრებას უღრის, რაც წინააღმინე გამოირიცხულია მისი ვაეკატური პატოსის ბუნების მიერ. მე არ დამიმსახურებია ეს განძი, — ასე უნდა მსჯელობდეს იგი. მას რომ შესძლებოდა უფრო მეტ განზოგადობათა მოხდენა. — ამ სიმდიდრეს მე ვერ გავძეძვებ; იგი ეკუთვნის ჩემზე უფრო ძლიერ, ჩემზე უფრო დამსახურებულ ძალს — კოლექ...

ტივს, საზოგადოებას, „ქვეყანას“, როგორც იგი ამბობს.

მისი ლოგია (რომელიც, ცხადია, უფრო მოქმედების განეთარებადნა ჩანს) სწორია, მომზადებული, საღი და ვეკაცური. საულის საშუალებით აეტრობა, ერთი მხრივ ხობა უძღვნა იმ მაღალ და ძლიერ საწყისებს აღამი-ანში, რომელიც მას კეთილშობილ და შვენიერ არსებად აქცევს, მეორე მხრივ, აქ მან მოგვეც შემოქმედებითი შრომის პიშვიც, დაპირისპირებული უმოქმედო, უშრომველ, სიბარბელ არსებობასთან. სწორედ ამ საკითხებში მდგომარეობს დღემან შენგელაიას ნაწარმოების ამაღლებული პათოსიკი.

ნაწარმოებში არის რიგი საკვანძო საკითხებისა, რომლებიც თემატურად გამართულნი, მისაღებნი არიან, მაგრამ მხატვრული დამატებლობა კი ვერ შეუძენიათ. ამგვარ მომენტად ნაწარმოებში უნდა ჩათვალოს თვით ძირითადი პრობლემის მხატვრული განხორციელება. იგი სქემატიზმის, გამოგონებულობის ერთგვარ საფრთხეს ვერ გაეკეცა.

როგორც ითქვა, დ. შენგელაიას მოთხრობაში მთავარი საკითხი მაინც ის არის, თუ როგორ ებრძვის აღამიანი თავის აზროვნებად, ვიწროგონისტურ, დაბალ ინსტიტუტებს. ეს ინსტიტუტები ძლიერია აღამიანში, ისინი ხშირად სთარგუნავენ მის პიროვნებას; რამდენადაც ისინი ძლიერნი არიან, იმდენად ძალუშია ბრძოლა მათ შორის, მით უფრო მეტი დრამატიზმით და სიმწვევით არის აღბეჭდილი ეს კეთილშობილი ორთაქილილი. მოთხრობაში საუელი განიცდის სწორედ ასეთ სულიერ კრიზისს. შემთხვევის ძალით მას ხელში უვარდება დიდძალი ოქროები. პირველად, თავისი აღამიანური ბედნიერება საუელიმ ამ სიმდიდრით განაზღვრა, მას გაუტოლა. მას შემდეგ, რაც იგი ჩიიდნის მეორე გამოუსწორებელ შეცდომაში — ცოლს მიყენებს სასიკვდილო შეურაცხყოფას, მისი პიროვნება შეპაწურებულია, იგი ფიხლდება მის მიერ დაშვებულ სიბოროტეთა მთელი წყებისაგან და დგამს პირველ, მაგრამ გაბედულ ნაბიჯს საკუთარი თავის წესბრავში მოყვანისთვის, ორგანიზებისთვის. მოთხრობის ძირითად მხრებს, მთავარ ამბავს სწორედ ეს მოვლენა წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ მთელი ეს მეტად რთული, დაძაბული ისტორია მოკლებულია მის მოქმედებაში ჩვენებას, დინამიურად წარმოდგენას. მკითხველი ელის, რომ ოქროები, საულის მიერ ნაპოვნი ვანიძი, უფრო საინტერესოდ გათამაშდება მოთხრობაში, იგი „ხმარებაში“ მოვა.

წინის გაცილებით უფრო დიდი ნაწილი დათმობილი აქვს მისი გმირების განცდების, მსჯელობათა ვადმოცემას. რაც მეტად უარხად არის ნაწარმოებში წარმოდგენილი, ამიტომ მოქმედება მასში ცოტაა. მიუხედავად ნაწარმოების პირთა მძლავრი სულიერი და ვნებათა ლელისა,

მოთხრობა მაინც სტატიურობის შთაბეჭდილებას ახდენს. ხოლო გამუდმებულ მუღღღერ-წვევებზე და ბოზობრობა, რომელსაც საუელი უფრო ეწვევს მის ორგანოდ დატრიალებული ამბები, ხშირად ისმის არა როგორც დიდი, სამართლიანი სამდურავი, არამედ როგორც წყურთი, გულს-გამწვრილებელი ოხვრა: „მოესვენება რომ დღისით არ ჰქონდა, ვაზაფხულის დამეც ისე დაგრძელდა, ვათენებას არ აპირებდა. იმ ნაძრახ და ოხვრე ადგილზე სტეტივი ფეხი სულ არ დაედგა. ოქრო თავის სიცოცხლემო თვალთაც არ ენახა. ოღონდ როგორმე მოესვენა და მზად იყო სადმე ჯანდაბაში გადაეყარა და თვითონაც გადაეყოლოდა. ეძინა — ოქრო ესინებებოდა, არ ეძინა და ისევე ოქრო ელანდებოდა, წუხდა, ოხრავდა. რა ვიერი დაძინებდა. იეკ, რა მუდრო. მშვიდნი ცხოვრება დაეკარგა იმას რა სჯობდა, სისხამ დილით ცვარი ვერცხლისფრად რომ ციმიმებდა, საულია პირზე ცივ წყალს შეისხამდა და შორს ჰვალეში ჩაბნელებულ ყანებს თავ-მოწონედ გადახედავდა... უყოფალივე ეს საულია თვალწინ ისე აშკარად დაეხატა, რომ სინანულით ამოიხორცა“. ამგვარი პასაჟები ბევრია ნაწარმოებში და იგი მას აცლის კეშმარტი. მძლავრ დრამატიზმს, მაგრამ მთავარი საფრთხე მაინც ამ ინტონაციურ მელოდრამატიზმში არ მდგომარეობს, არამედ იმაში, რომ ნაწარმოების ვმირი ამ ვანიძის პოეტის შემდეგ თითქმის არაფერს აკეთებს, არ მოქმედებს. ის დიდი ბრძოლა, რომელიც უშრომლად გამდიდრების სურვილსა და საღ, ჯანმრთელ მოწოდებას შორის (დიდი სიმდიდრე ეყუთვის ხალხს, ფართო საზოგადოებას) მიმდინარეობს, აეტრობა ცხოვრების რეალური სურათების დახატვის ნაცვლად გადაიტანა საულიას შიგნით, მის სულიერ სფეროებში. ამ კონფლიქტებით საესე ბრძოლის სარბიელად აეტრობა აირჩია არა ცხოვრება, არამედ აღამიანის შინაგანი საწყარო. აქედან მოდის სწორედ ის უხეი ანალიზი და განცდების სიკარბე, მაგრამ ამასვე უკავშირდება ის არასახარბიელო მდგომარეობა მოთხრობაში, რომ დინამიურობა, ამბის ვანეთარება, მოქმედების ფართო-პლანოვანად ვაშლა მწერალმა ვერ შესძლო.

ჩვენ თუ ვაგადვენებთ თვალს ნაწარმოების სიუჟეტურ ხაზს, ამგვარ სურათს მივიღებთ. საულია, რომელიც დილით სათოხარში არ წავიდა და ნალარბაზევის მწვენი ფერდობზე აღიონინდა „ჩას“ ბარავდა, მუშაობის დამთარებინასა, ნაშუაღამებს, წააწყდება ჩაფულ ვანამს. მიღებულ სულიერ ტრავმისაგან იგი ავად ხდება, რაც გრძელდება ერთი-ორი კვირა და რაც გამოხატება იმაში, რომ „არაფერი არ ესაქმებოდა და მაინც იქ იყო. მრუდე ლეღის ქვეშ ბარტო იჯდა. მიწას მთელი დღე ჩასტვროდა და გუნებაში თითქოს რაღაცას ვარაუდობდა. მაგრამ ეს რაღაც, როგორც ჩანდა ქუეში თვითონვე არ მოსდიოდა, ოხრავდა, რაღაცას ბურ-

ტყუნებდა...“ ბოლოს, დიდი სულიერი კრიზისის შემდეგ, იგი ამ ოქროებს მიიტანს კოლმეურნობის კანტორაში.

რაგორც ვხედავთ, ნაწარმოები უფრო მდიდარია, მრავალფეროვანი, უხვი უნდა იყოს მოვლენებით, ეპიზოდებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაუგებარი და ცოტა მომბეზრებელიც ხდება ის დიდი ვანდები, რომლებიც მოთხრობის გმირებს თავს გადახდებთ, დაუჯერებელი ელფერი ვალებია იმ მსჯელობებს და თვითანალიზს, რომელსაც ასე ხშირად მიმართავენ ისინი. მეტი მოქმედება, მეტი გადაადგილება, მოძრაობა, — აი, რისი სურვილი უჩნდება მკითხველს ამ მეტად სინტერესო ისტორიის ბოლომდე ჩაიჭიხებას.

ზედმეტად მსჯელობენ ნაწარმოების გმირები თვით უველაზე კრიტიკულ და საბედისწერო მომენტებშიც. როდესაც საუბრობს ისინი იპოვნის განძს, იგი ჩამოჯდება «დიდრანულ ფესვზე» — და იმწამსვე იწყებს მსჯელობას, იწყებს კამათს, თუმცა გაუგებარი რჩება, რატომ კამათობს. — რის მიწა! — წამოიძახა და ბრაზი უღელში ისე შიშვია, რომ ეგონა, ეს არის, ახლა დაახრბობს... შერე ფეხზე გაბრაზებული წამოიჭრა და დაიძახა:

— რა ვინდა? მოთხარ, რა ვინდა?“

და უზარმაზარ ტლანქ ფეხებით კვახის ყლორტი გაბორბლებით შოსრისა“.

მოთხრობის მკითხველმა უკვე იცის, რომ ეს კვახის ყლორტი ნაწარმოებში შრომის, მიწისაღმად სიყვარულის ერთგვარი სიმბოლე, მაგრამ მაინც ვერ ვერკვება, თუ რამდენად შეუძლია სიხარულით გაბრუნებულ საუბრას ასეთი სიმბოლური მნიშვნელობით აღსავსე ექსტრემის კეთება, პაექრობა, კამათი და ერთგვარად მსჯელობაც კი, თუ რას უნდა მიეცეს ცხოვრებაში პირველობა: შერის პატიოსანად დამუშავებას, თუ იოლი გზით გაძლიერებას, ნებევი არსებობას? აქი შინ იმდენად დაკარგა თავგება, გზაკეალი აებნა და გაოგნებულია, რომ იგი ოქროების დათვლასაც კი ვერ ახერხებს ბრწყინვალე, ისტორიულ შესრულებულ სცენაში ოქროთი სავსე ღერვის თავზე?!

ფსიქოლოგიურ სიმართლეს მოკლებულია ის სცენაც, სადაც ქმარი უშხელს თავის ცოლს უეცარი გაძლიერების საიდუმლოებას. ამ ქალს არ აინტერესებს, თუ საიდან განაღდა აქ ეს ოქროები, ან ქმარმა როგორ მოაკლდა მათ, მაგრამ აინტერესებს, თუ ვის გუთუნია ისინი, ვისი ნაოფლარია და „შერკება“ მას თუ არა... დაუჯერებელია, რომ ამხელა სიმდიდრის აღმოჩენის შემდეგ ობლობაში გაბრდილმა ქალმა უმალ ასე დაიწყოს აზროვნება: კი მაგრამ ვინა ნაობარია? კი მაგრამ, მისი ხომ არ არის? ანდა იმდენი სიმდიდრე რათ უნდოდა? ნაარამი ვის შერკება, რომ მას შერკებოდა? და უცებ მიხვდა, გონი თითქოს ახლა გაეხსნა — ეს სიმდიდრე და ავლადიდება მისი კი არა, საქვეყნო იყო...“

ამიტომ ყალბად მოჩანს ფუნდუს ბრაზინი/ღამობიანი შეცხილები მისი ქმრის მიმართ — „მამ ამას მოხოდი? შე საცოდავო, ამის მხეშალო? ერთი მითხარ, ეს სხვისი ნააზალი რა ოხრად ვინდა?“ — ჯერ კი ერთი ამიტომ, რომ ასე ერთი ხელის დაკვრით შედარებით გაჭირვებული, ობლობაში გამოზრდილი ქალი ვერ უარყოფს ასეთ დიდ სიმდიდრეს და მეორეც იმიტომ, რომ სიმდიდრის დანახვისას აუცილებელი არ არის, რომ ცოლს პქონოდა გააღმასებულ — გაკახსებული ტონი თავისი ქმრის მიმართ...“

ამევე რივის მოვლენად უნდა ჩაითვალოს, ჩვენის აზრით, საუბრას წასვლა სოფლის კოლმეურნობის კანტორაში და ოქროების ჩაბარება. საქმე ისაა, რომ ასეთ აღუღებულ წუთებში, როდესაც მთელი ამ ამბის განვითარებამ კელმინაციურ წერტილს მიაღწია, და ნაწარმოების გმირთა სულიერი ქარიშხალი უველაზე მძაფრი ვახდა, სწორედ ამ დროს აკეთებს საუბრა უველაზე მეტად რაციონალურ, კვლავამჯდარ, ფხიზელ ნაბიჯს — განძი მაქვს კოლექტივის თავმჯდომარესთან, სახელმწიფოსთვის ჩასაბარებლად. კაცმა რომ თქვას, საუბრა მორალურად თითქოს ვერც კი განთავისუფლდა თავის საუნჯისაგან: იგი ფიქრობს, რომ საჯობა შან ეს ოქროები წაუღოს კოლმეურნობას, ჩააბაროს მათ სიყვითისათვის მოსახმარებლად, ხოლო ამ დროს კი მისი საყვარელი ცოლი უკანასკნელ წუთებში სიყვდილს ებრძვის. ვანა უფრო ბუნებრივი არ იქნებოდა, თუ საუბრა იქვე დაჰყარდა (თუ კი შორს არ გადსატყობინებდა მათ...) ამ მეტალს და უფრო მეტად გოგონებული და გულგახეთქილი ყოველივე ჩადენილის შემდეგ გაიქცეოდა თავის ცოლის სანახავად. შან ხომ იცოდა, რომ იგი ფეხშიშვე იყო, როდესაც მას წიხლი ჩაახარა მუცელში? უფრო დამაჯერებელი, მხატვრული და ფსიქოლოგიურადაც გამართლებული იქნებოდა, თუ საუბრას ცოლი არ დაეიწყებოდა (დროებით გადაეიწყებოდა სწორედ ეს ოქროები), დაეტოვებინა თავისი ნაბიჯი განძი უპატრონოდ და ცოლთან პატივებს სათხოვნად გაეცეულიყო.

თუ კი საუბრის მკვდარიც კი დაუხვდებოდა სახლში მისი ფუნდუს ამის შემდეგ უფრო ამაღლებული და ნამდვილი ტრაგედიით აღნიშნული იქნებოდა ის სცენა, როდესაც ოდნავ შემოიღი, დამარცხებული, მაგრამ სულეარად მაინც გაუტყვებელი ვებრი, ოქროებით დაკვირვული მიაღებოდა კოლმეურნობის კანტორას, დასახლებულს იმეამდ ოდნავ გურანდავი, უბირი, მაგრამ პატიოსანი მუშეებით...“

ჩვენ მალა აღენიშნეთ, რომ დავნა შენველია ვერ რჩება მიუცემობებული თავისი გმირების მიმართ; იგი არა მარტო აეტორია, ზოგჯერ მართლმსაჯულიც და, უნდა ითქვას, მეტად მკაცრი. სწორედ ასეთ სისასტიკეს იჩენს იგი საუბრას მორალურად დასჯის დროსაც, როდესაც

ჩვენ ვიგებთ რომ მას ეღუბება ჯერ ისევ დედის საშობივე ნანატრი შვილი, ხოლო ფუნდუს ვადარჩინა — არგადარჩენის საკითხი მეტად საეჭვოდ და ვარკვევად რჩება. ყოველ შემთხვევაში მკითხველის თვალში არც ერთი შანის არ ამოტივტივდება იმის საფიქრებლად, რომ ფუნდუს პირი მოიბრუნა სიცოცხლისაკენ. ჩვენ სწორედ იმის მომხრე ვართ, რომ ფინალური სცენა თავისი მხატვრული განხორციელებით და შეფერილობით კიდევ უფრო მეტი და ერთგვარად კომპარული გახდეს, რომ საულის ტანჯვისაგან ხსნის იმედი გადაუწყდეს და მწერლის ფერადების, მხატვრული ტონების სიმძაფრემ თუ სიმეფრემ ყელში ამოუყვანოს გული როგორც საულის, ისე მისი სვედალი ამბის მკითხველებს. მაგრამ ამგვარი ხელაღებითი განადგურება დედაშვილისა, რომლებიც მომავლის, ოჯახური და საზოგადოებრივი კეთილდღეობის სიმბოლოს და დასაფრდენს წარმოადგენენ, გავმართლებელი არა მარტო მორალურად, არამედ ესთეტიკურადაც.

ავტორის კონცეფცია ამ მოთხრობაში ობტიმისტურია, მტკიცე. მას სჯერა ადამიანის საბოლოო გამარჯვება, ამიტომ არ უნდა წაართვას მას მომავალი, იმედო, შთამომავლობის გაგრძელება ეს კი მას, საულისა მხოლოდ მის საყვარელ ფუნდუსთან შეუძლია განახორციელოს, მაგრამ სხვისთან არაერთან. ასეთ მორალზე არის იგი აღზრდილი. ეს მაღალი შეგნება უნდა ევებადეს მას.

საულისა და ფუნდუს მხატვრულ სახეებთან შედარებით სუსტად არის დამუშავებული ოტია მებუდვის მხატვრული პორტრეტი. მოხუცი ოტია მოთხრობაში გავრცელებული სახეა იმ ლიტერატურული გმირებისა, რომლებიც ყველაფრის მცოდნეებად ითვლებიან, წინააღმდეგ ყოველივე ხედვებთან, ცხოვრებისგან დაბრძანებულნი არიან და მეტად იოლად გამოაქვთ კვიანური დასკვნები. მისი სახე ნაწარმოებში თავისი ორგანული არ არის. მისი გამოჩენა მოთხრობაში დავაფორმებულია ყოველთვის დარიკებების მიცემასთან, გაფრთხილებასა და დეტექტივსთან. ამიტომ იგი არ ცოცხლობს ნაწარმოებში, არ შეაქვს მომხდარ ამბავში დამაჯერებლობა და სიხუსტე, პირიქით, საზოგადოების აზრის, ხალხის ნება-სურვილის, თუ ავტორის შეხედულებათა განყენებულად, ზოგადად გამოხატვას ემსახურება.

დ. შენგელიას მოთხრობა „განძი“ ღრმად ეროვნული ნაწარმოებია. იგი საკმაოდ მდიდარია ზოგადი ხასიათის შემცველი მოსაზრებებით, მაგრამ მათი უდიდესი ნაწილი, როგორც ეს ზევით გვეჩვენა აღნიშნული, გამოთქმულია ცოცხლად, დამაჯერებლად და უაღრესად კოლორატულად. ამ ნაწარმოების მთავარი გმირების მოქმედება თითქმის ყოველთვის ემორჩილება რაიმე გარკვეულ მაღალ აზრს, დიდ ზნეობრივ მამობრივებულ ძალას. მაგრამ მისი გამოსატყა

მწერალმა შესძლო მხატვრულად მღიერ და მდიდარ ფერებით. დ. შენგელიას ტილანტის თავისებურებას სწორედ ის შეადგენს, რომ მკითხველი გატაცებით მიჰყვება მის შინაობის და შეუნდებელი ინტერესის განცდის მისი გმირების ჩამწვლამ და ხშირად სოცრებით აღსავსე ისტორიას.

ნაწარმოების სავსედ და ემოციურ აღქმას მეტად ხელს უწყობს ის კარგი, მადლიანი, ხატოვანი და ლახაობი სავსე ქართული ენა, რომლის ვირტოზულ მფლობელადაც დგმნა შენგელია დიდი ხანია აღიარებულია ჩვენს ლიტერატურაში. მისი სიტყვის ბარაჟი, ხეავი და ფრთხილანობა მხოლოდ ასეთსავე დიდ მგრძობიერობასა და სიტყვის განცდის უნარს თუ შეეძლება. დ. შენგელიასთვის ხალხური ენის ნორმების ხმარებას, იდიომატურ გამოთქმებს, ანდაზურ თქმებს, რითაც შეუდაცრებლად მდიდარია მისი პროზა, შეაქვს მასში ბევრი მეტად საჭირო შტრიხისა და ნიუანსის გამოყენების ეკონომია. სწორედ ამიტომ მწერლის ლიტერატურული მეტყველება, თხრობის ენა საინტერესო უნდა იყოს როგორც მწერალ-პროფესიონალისთვის, ისევე ფოლკლორის სპეციალისტებისთვისაც...



სერგო კლდიაშვილი ახალ ნაწარმოებში — „მუდრო საეანე“ არსად არ შევხვდებით გარკვეული თარიღი, მოქმედების ადგილიც გეოგრაფიულად არ არის დაზუსტებული, თითქოს გამოგონალია. მაგრამ მკითხველი კარგად გრძნობს, რომ ამბავი, რომელიც აქ მოთხრობილია, რეალურების ქარიშხლიან დღეებში განთავარდა, პერსონაჟები, რომლებიც მასში მონაწილეობენ ღვიძლი შეიღებია იმ დაუფიწყარი დღეებისა, ხოლო რაც შეეხება მოთხრობის გეოგრაფიულ ნაწილს, იგი ძველი ქართული პროვინციული დაბა — ქალაქების პირწავარდნილი ასლია.

სერგო კლდიაშვილი ხომ ქართული პროვინციების ტრეზადურია. ძალზე იშვიათია ასე შეუღლომელი, ორგანული აღქმა ქართული დაბა-ქალაქის ბიურგერულ ცხოვრებისა, როგორცაა ამ მწერლის შემოქმედებაში შევხვდებით. მწერალი დაუნდობლად ქირადებს იმ ფილისტერულ რამოკიდებულ ცხოვრებას, რომელსაც ასე ხშირად ეწვეიან მისი გმირები. თითქმის ყველა მოწინავე, პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი, ჩავარდნილი რაღაც შემთხვევის ძალით ასეთ დახატებულ გარემოში, გარბის, თავს არიდებს პროვინციულ სიზანტისა და სიზარმაცის ატმოსფეროს, მაგრამ, უნდა ითქვას ისიც, რომ ბევრი ასეთი ადამიანთაგანი მისგან განშორებისას განიცდის ერთგვარ გულბრტვივლს, ბუნდოვან სიანაღლს. რატომ?

მწერლის აზრით, ამ ქვეყანაზე ორი დიდი მოვლენა არსებობს, რომელნიც ერთმანეთს უპარისპირდებიან. ეს არის დიდი ქალაქის

ცივილიზაცია, მისი ქარხნების, ფაბრიკების ინდუსტრია და ბუნების პირველყოფილება, ხელშეუხებლობა. შეუძლებელია, სერგო კლდიაშვილის აზრით, ამ ორივე მოვლენაში თანაბარი სიდიადით, სიმპლავრით და სიმშვენიერთავე კი არ დაინახო ის, რაც ადამიანის პიროვნებას იზიდავს, ატყუებებს. თუ კი ბუნების სტრუქტურა ჩვენი გვაძლევს თავისი სიმპლავრით, ვაშლიანობით, ვანა ინდუსტრია — ადამიანის ნების და გონების შემოქმედება, ადამიანის სიდიადეზე არ მტყუებულს? ვანა დიდი ინდუსტრიული პეიზაჟი (ღამით — ლამპიონების ციმპიში, თუ დღისით — შეუჩერებელ მოძრაობაში მოუვანობა) ნაკლებ რომინტიკას, ამაღლებულ გრძნობას ზადებს, ვიდრე ბუნების დიდებული პეიზაჟი!

ამიტომაც არის, რომ „მყუდრო სავანის“ ორი მეტად საინტერესო გმირი (თუმცა მეორეხარისხოვანი) ქეთინო და მერაბ თაბაგარები, რომელთაც ურყევი, სიყვარულით და მეგობრობით განმტკიცებული ოჯახი აწვთ, გაუთავებლად დაობენ ერთ რამეზე: — ერთი ახირებული ფიქრით არის შეპყრობილი ჩემი მერაბი, — ქეთინომ თვალს ჩაუკრა ირინეს და ალერსიანი დატყუებით ქმარის ვადახედა. — უნდა მთელი ქვეყანა ვენახად აქციოს. სადაც კი მზიანი თერდობს თვალს მოჰკრავს, ოცნებით ყველგან ვახსრავებს. მის რომ ნება მისცე, დედამიწის დაუსრულებლად ზეარით დაფარავს.

— ნუ ამტკებ, ჩემო კარგო, ნუ ამტკებ, — ჩაიღუდუნა მერაბმა. — არც აგრეა საქმე.

— გამოტყდი, რომ მართალს ვამბობ, — არ ეშვებოდა ქეთინო. — შენ ხომ ვაზის გარდა სხვა არაფერი გწამს!

— შენ ჯობრზე, ჩემო კარგო, შენ ჯობრზე! — გაელტანა მერაბს და მერე ირინეს მიმართა: — ქეთინოს სურვილია აქაურთა ინდუსტრიის ეუთხედ იქცეს, შე კი მინდა ვენახი გაშენდეს. სიცოცხლე — ეს მცენარე და ბალი და არა რკინა და ბეტონი. ახლა თქვენ თქვით, რომელი ჯობს?..

სერგო კლდიაშვილის გმირები ბუნებას სწორედ სამარწველო ცენტრებიდან მოშორებულ რაიონებში უფრო გრძნობენ, აქ განიცდიან აღტაცებას მისი სიმშვენიერისაგან. მაგრამ იგივე გმირები მორალურად დაუქმყოფლებდნენ. უფრო მეტი, — აღმოუთხებლნი რჩებოდნენ ცხოვრების იმ დონით, რომელსაც მათ სთავაზობდა ეს რაიონი. მყუდრო სავანის ერთ უმთავრეს კონფლიქტს სწორედ ძველი ქართველი ინტელიგენტი ადამიანის პროვინციის წარსულ ცხოვრებასთან შედრთვებლობა წარმოადგენს.

„მყუდრო სავანის“ ერთ-ერთი გმირი, რომელიც უდავოდ ავტორის სიმპატიით სარგებლობს წიგნში, პირდაპირ უმღერის სოფლური ღამის რომანტიკას: „ასეთი მთავრე მხოლოდ პროვინციაში იცის. მეც იმ აზრის ვარ, — ამბობს ეს გმირი, — რომ მთავრე პროვინციისათვის არის

გაჩენილი... თქვენ, ალბათ შეჩვეული ხართ დავარ გრძნობთ მის თავისებურებას. აქაური მთავრე მთელ ჩემ არსებას იტაცებს... პროვინცია რომ არ ყოფილიყო, შესაძლოა; მთავრე; სერგოც არ იქნებოდა...“ უნდა ითქვას, რომ ნაწარმოების ეს გმირი, ერთხანს გატაცებული სოფლური ყოფის მშვენიერებით, მოთხრობის დასასრულს, აღმოფთვებული დაბის ზავსმოკიდებულ მტკარებთანავე, დაუბრუნებლად ტოვებს ამ ადგილსამყოფელს.

ამავე დაბა — ქალაქს, პატარხევეს, უკანმოუხედავად სტოვებს ირინე თუხარელიც, ნაწარმოების მთავარი გმირი. მისი მამა — გიორგი თუხარელიც, თუ ძველი თაობის წარმომადგენელი აბისტიკრადი, სავსებით ვერ ემთხვევა პატარხევეს — იგი აქ ნახულობს თავის სამარგს და მხოლოდ ფიზიკურად განისვენებს მის ცოდვით აღნიშნულ მიწაში...

რატომ? რაშია საქმე? ვანა მართლა ყველა სიბოროტე პროვინციის ცხოვრების მოძველებულ წესში არის ჩამარხული?

სერგო კლდიაშვილი ასე მარტივად არ წყვეტს საკითხს. მისი გმირების ბედი ბევრი მოვლენით არის გართლებული, ბევრი მიზეზით შეპირობებული.

„მყუდრო სავანე“ — ეს არის მოთხრობა ოციანი წლების დასაწყისის ქართულ ინტელიგენციზე. პირველ ყოვლისა, უნდა ვთქვათ, რომ ამ თემას არც თუ ისე ხშირად შეხებოან ქართული ბელეტრისტიკა. „მყუდრო სავანე“ ისეთივე ქირღვით აღსავსე ნაწარმოებია 20-ანი წლების შენევიკურად განწყობილ უილაჯო ინტელიგენციასზე, როგორც თუ გნებავთ „ჯაყოს ხიზნები“ მ. ჯაყაბიშვილისა, მხოლოდ უფრო ზომიერი, ნაკლებად პამფლეტური ხასიათისა. ვანა ირინე თუხარელიც, ეს უხეჩემლო, სუსტი ხასიათის ადამიანი, რომელიც ვერა და ვერ გახდა საკუთარი ბედის მჭედელი, თავისი პრინციპების დამცველი და გამტარებელი ცხოვრებაში, ისეთივე მსხვერპლი არ გახდა მისი მამის, გიორგი თუხარელის რბილკანიანობისა, რომლის პარალელსაც ჩვენ, მთავალიად, „ჯაყოს ხიზნებშიც“ ვხედებით? ამიტომ „მყუდრო სავანეს“ მჭირდავი ისარები მიმართულია სწორედ ამგვარი უსუსური ინტელიგენტებისადმი, რომლებსაც საკუთარი არსებობის ბედი საექვო ხელებისათვის მიუღწევიათ, თავდაცვის უნარი შემოსცვეთათ. ეს ადამიანები იღუპებიან ამ მოთხრობაში, და დაღუპვის ძალა მათშივე არის დასადგურებული. მათი განადგურება მათგანვე გაპირობებულია, რადგან მათ არ ძალუძს თავისი ინტერესების დაცვა...

შეშინებული ქალაქელი ინტელიგენტი, გიორგი თუხარელი თავის ქალიშვილთან, ირინესთან ერთად, საბჭოთა ხელისუფლების საქართველოში დამკვიდრების დღეებში გარბის სახლიდან, თბილისიდან... მაგრამ სად, საითყენ, ან ვისი განა? ეს თვითონაც არ აქვს გარკვეული. ბო-

ლოს იგი „შეფერება“ ერთ მოწყვეტილ დაბას, შეკვდილება ერთ ვაუთლეულ ბობოლა გლეხს და თავს ნებს აძლევს (თუმცა იგი რადიკალიზებული არისტოკრატად სთვლის თავს) გასწოის ნახევრად მუქთამკამულა ზიზნის ცხოვრება... სწორედ ამ ანგარიშმოუცემელი, გაუნაღრებელი შიშვიდან იწყება თუხარელების ოჯახის დაცემა. მათი მორალური დაცემა საწყისს იღებს მაშინ, როდესაც ისინი გაურბიან ახლად შემოსულ, ჯერ კიდევ დაუშვიდრებელ ცხოვრებას. გაურბიან იმას, რასაც ჯერ არც იცნობენ.

გიორგი თუხარელი ჰეობეგელის ანტიპათიას იწყებს არა იმით, რომ იგი ან უხეშია, ან ცბიერია, ან უპატიოსნო. იგი ამ წიგნის მკითხველს აღიზიანებს სწორად მისი კრიტიკული რიბობით, რომელიც მერტისმეტად მტკნარ და სტერტილურია, აღიზიანებს თავისი უეშვიკობით, რომელიც გადაიზრდება ერთგვარ იდიოტიზმში, ზიზნს იწყებს არა სიუხეშით, არამედ უნებისყოფობით, რომელიც უსუსურობას, ღონეშინდილობას ემოქნება.

შედარებით რთულად არის ჩაფიქრებული ნაწარმოებში ირინე თუხარელის მხატვრული სახე. ეს ქალი არ არის დაბადებული იმისათვის, რომ მისი ბედი სხვისა საჯიჯგნო, სხვის მიერ წარმართული იქნეს, ირინეს ბუნებაში ბევრი რამ არის, რაც პატივისცემის იმსახურებს, მთლიანი პიროვნების შთაბეჭდილებას კქმნის. ირინეს ცხოვრება არ არის ღარიბი იმგვარი ფაქტებით, რომლებიც მტუფუფებენ მის დამოუკიდებელ ხასიათზე, ნებისყოფის სიმტკიცეზე, პრინციპულობაზე. მაგრამ, სამწუხაროდ, იგი ბოლომდე ვერ არის შეუდრეკელი, ბოლომდის ვერ იჩენს სათანადო სიმტკიცეს. იგი თავისი საზოგადოების, თავისი კლასის მოქმედების მსხვერპლია. ირინე თუხარელი, როგორც ერთგონი უფროდელი თავისი განწირული კლასისა, ნაწილობრივ მარცხდება, რადგან თვით მისი კლასი მარცხისათვის განუთენილი. განათლებული, კულტურული, მაღალი საზოგადოებრივი მოთხოვნილებების პატრონი ირინე თუხარელი მსხვერპლი ხდება თავისივე კლასის — აზნაურ-შენაშვილები ფენის — გამოცელობის.

ირინე თუხარელი გასცეს მისმა ყველაზე უახლოესმა აღამიანებმა. იგი გასცა საკუთარმა მამამ, როდესაც ვერ დაიცვა მისი უფლებები და გააიყა ნამდვილ ცხოვრებიდან პატარხევი გასახლებით, აურია, გაუყალბა პოლიტიკური ორიენტაცია. საოკრად არ დაინდო ირინე მასთან ბეშეობიდან შერზდილმა, საქმრად აღიარებულმა, მასში „თავდაიწყებით“ შეყვარებულმა ქალაქელმა არისტოკრატმა, შემდეგში თეთრმა ემოგრანტმა, გიომი. ვანა შეიძლება იტყვას, რომ სასოწარკვეთილებაში მისული ირინე მისმა მამიდამ და მამიდაშვილმა აღამიანურად მიიღეს, მოუსწინეს გაერკენენ მის მწუხარებაში, გამოიჩინეს საჭირო ჰუმანური თვისებები?

ცხადია, არა! და ასე ყოველი ფენის ნაბეჭე. ამ ქალს თავისი ცხოვრების მეტად დასერილ და დამრეც გზაზე არც ერთხელ არ შეხვდა აღამიანი, რომელიც თუ ეს მხარში არ ამოუღდებოდა მას, მორალურად მინც გამხსნეველდი. სიმტკიცის სულს შთაბერავდა. ამიტომ ირინე გახდა თავისი საზოგადოების თითქმის უღანაშელო მსხვერპლი. იგი ურიგდება თავის შვე ბედს და ეს შერიგება ვაშობიხატება იმას, რომ ცოლად მისყვება ნახევრად პირუტყვ აღამიანს, პატარხევის ბობოლა გლეხს, ენერჯიულ და საქმოსიან სიმონ ბეროშვილს.

სიმონ ბეროშვილი მოთხრობაში მოქმედებს ისე, როგორც მას უქარხახებს მისი ინსტინქტები, ფიზიკური გონება, ვაუთლეული აღამიანის მხვეველი ბუნება. სიმონ ბეროშვილს ხელს უწყობს კიდევ მისი გაუნათლებლობა, არაინტელეგენტობა, ოპიარობა იმასში, რომ უფრო ადვილად მიიღწიოს საწადელს. უფრო შეამოკლეს გზა იმისაკენ, რის დასაუფლებლადაც იგი ილტვის.

მოთხრობაში ხდება ისე, რომ სიმონ ბეროშვილს, რომელმაც ჩააბარა ძალზე დიდი ფულადი თანხა შესახახად ირინე თუხარელს, ხელიდან ეცლება ეს ფულები (მას ვატიციებს ირინეს შეყვარებული გიომი...). ბეროშვილი არც აქ იბნევა. იგი ხედავს, რომ თუხარელების ოჯახს ვერაფრით ვერ შეუძლია აღნაზაურის მას ეს მატერიალური დანაკლისი. ამიტომ იგი ამ შემთხვევას გამოიყენებს იმგვარად, რომ მორალურად აიძულებს ირინეს — გააყენოს მას ცოლად. სიმონ ბეროშვილი „შეუდრო საიანეში“ ხორციშესმამა ყოველფე ამ სიბილწისა, უწმინდურისა და ქუქყისა, რომელნიც ბლომად მოიქმნებოდა რევოლუციის განთიადზე ჩვენ ქვეყანაში და რომელთა აღგავცა უდიდეს სოციოლურ პრობლემად იტყა ჩვენი ქვეყნის არსებობის პირველ ათეულ წლებში. სიმონ ბეროშვილი სწორედ ამგვარი სოციოლური მანერების მხატვრულად დამაჯერებელი სახეა.

სერგო კლდიაშვილი თავის მოთხრობაში ხატავს ქართული პროვინციული დაბის დუბკორ, ნახვერადნული ცხოვრების ბერ უტუეო სურათს. მაგრამ ეს სიღუბეობი, სიბნელე, უფერულობა, დაბავებულია მოდიოდა სწორედ იმგვარი აღამიანებისაგან, რომლებიც ან მტაცებულ და მხვეჭულ, ან ევგეატატიურ, მცენარეულ ცხოვრებას ეწეოდნენ ძველ პროვინციებში. ასე, რომ ავტორის მახელი ორმაგად არის მიმართული. ერთი მხრივ, იგი ვანაქიქმბ ძველ პროვინციულ ჰობიან ცხოვრებას, მეორე მხრივ კი, უხერხემლო, ჩიორა ინტელიგენტების ეფემერულ ცხოვრებას, რომელთაც ახალიაობდათ არა მარტო დაბეჭვილი, მაგრამ მოქველებული მანერები, ცერემონიოლური ურთიერთობა და უნიადგობა, არამედ პოლიტიკური გოლუბრყვილობა და სიბეცე.

(გაგრძელება იქნება)



იოსებ ნონეშვილის პოეზია

ჩემ წინაშე პოეტ იოსებ ნონეშვილის ლექსებისა და პოემების ერთობელი. ამ წიგნის ფურცლებზე პოეტის ოცნხანი შემოქმედებითი ცხოვრება ვრცევა. პირველი ლექსი 1938 წლით არის დათარიღებული — უკანასკნელი გასულ წელს დაუწერია. ოცი წელი ცოტა როდია დღევანდელი ხელოვანისთვის, რომელიც მომხსრება ისტორიის გვიანტური ნაბიჯებისა, მოვლენათა ნათელი და სწრაფი განვითარებისა. ეს ოცი წელი იტევს ჩვენი ხალხის ცხოვრების მნიშვნელოვან თარიღებს; იგი ემთხვევა ახალი ქვეყნის შენებას, სამამულო ომის წლებს, მშვიდობისათვის ბრძოლას; იგი ითვისებისწინებს ახალ პერსპექტივებს, მოიცავს მეტად რთულ, წინააღმდეგობრივ წარსულს; ეს ოცი წელი იყო პოეზიის გამოცდაც და ცოტა როდია ამ თითქოს მცირე მონაკვეთზე ლექსები, რომელთაც ვერ გაუძღეს დროს, მხოლოდ პოეტის პირად არქივებში მოიკალათეს. ეს ოცი წელი ვრცლად მოჩანს ი. ნონეშვილის წიგნში არა მარტო დროის, არამედ სივრცის მიხედვითაც. აქ მოხაზულია პოეტის გზა მშობლიური კარდანახიდან პრაღამდე თუ ბეირუთამდე. აქ არის ლექსები, რომლებიც პოეტს ბავშვების აკვანთან დაუწერია, კარდანახის ბუნებას და ალაზნის ქალებს შთავგონებია, და არის ლექსები ინდივიტზე, ჩეხოსლოვაკიაზე, სომხეთზე, რომელთაც საფუძვლად უდევთ დელის ქუჩებში, ბეირუთის ტაძრებთან, პრაღის ქუჩებში, ბოქემის ტყეში თუ სვეანის ნაპირებთან მდებარე შთაბეჭდილებები. არის ამ წიგნში სულერი მდგომარეობის, განწყობილებების მრავალნიშრობა, არის სიკაბუჯის სიყვარული, სიყვარულის სევდა, ომის დღეების დრამატუზმი, წარსულის ტკივილები. ეს ოცი წელი მოიცავს მრავალ შემოქმედებითს სიხარულს და მოიცავს მარტხაძე, ჩავარდნებსაც. ჩვენც გავყვით პოეტის მიერ ვაწვდილ ამ მეტად საინტერესო გზას, თუნდაც ერთი თვალის გადავლებით აღვადგინოთ მისივე ლექსებით თავისებური შემოქმედებითი ცხოვრება უკვეტური ლექსებიდან მოწოდულ ოსტატობამდე.

ი. ნონეშვილის პირველ ლექსებში სიკაბუჯე და გაზაფხული მღერის. იგი მოვიდა პოეზიაში ალაზნის ქალების და წინააღმდეგის ბალებს მშვენიერებით მოხიბლული, თავისი ხალხის, ქვეყნის დიდი გაზაფხულით გაზარებული. „ნუ გაიკვირებთ, როგორც პაფიზი მუც ყველაფერში ვარ

ჩამარბულიო“, თქვა მან პირველივე ლექსით. მის სულში ხმაურობდა „დისამბიდან ჯერ არანახელი“ გაზაფხული, დარღვენილი სიკაბუჯე, გაუზარავე გულა... ამ დროს ქართული პოეზია რეალისტური მწერლობის ნაცად კალამოტს მიჰყვებოდა და ხალხის სულიერ ცხოვრებაში ახალ ფურცელს შლიდა. ი. ნონეშვილის პირველ ლექსებში თავისი ქვეყნის ადამიანთა ზიარ განწყობილებებს გამოხატავდა და ქართული საბჭოთა პოეზიის თავის ხმას აყოლებდა. იგი არ ყოფილა ქართული ლექსის ნოვატორი, არც შემდეგ უცდია დაპირისპირებოდა წინა თაობის პოეტურ ტრადიციებს, მაგრამ უკვე დადუღებული ქართული ოსტატების ტრადიციათა ერთგულებაში მან ინტონაციური სიახლე, მხატვრული თავისთავადობაც იშთავითვე გამოამტავნა. იგი უნახეს ლირიკულობას კარგად უთავსებდა ომბიან, ვაგაკურ ტონს, არც სენტიმენტალიზმში გადადიოდა, არც რიტორიკულ მალაფარდოვნებაში ეხლინებოდა ხმა. იგი მღეროდა ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით და ამღერების ეშხი, შინაგანი ხმოვნება ვულურფელობას, ექსტაზს, მოძალებულ განცდებს ებჯინებოდა. ომამდე დაწერილ ლექსებში მან მათიოდ გამოკვეთა საერთო პოეტური ფიგურა და ერთხელ მიგნებული თავისთავადობა პოეზიაში დღემდე შეინარჩუნა, თუ ყველა ლექსში არა — უმეტესში მინც.

პირველი ლექსები მას ცივგომბორის კალთებზე, წინააღმდეგის ბალებზე და კარდანახის ეენებზე ათქმევინა. მისი ლირიკული ჩინახატები ყვავილებს, ალაზნის ველის, ყურძნისა და ღვინის სურნელით გაიღვინთა. ბავშვობის შთაბეჭდილებები დღემდე მოკვდა მას, რადგან ბარათაშვილის თქმისა არ იყოს, რაც ცხოვლად დაანსდება სულს, არისოდეს ქრება უკვალოდ. კახეთი — პოეტის პირველი სიმღერა — შორეული გზების გაღლის შემდეგაც ნაცარწყარული ნალევრდალივით ღვიოდა პოეტის სულში. მისი შესანიშნავი წინამორბედის, გიორგი ლეონიძის მსგავსად, „ყვითელი პაემანისა“ და „წინწმინდის დამეს“ ატორიკით იგი კახეთის მომჯადოებელ სილამაზის ხარზად ეწაფებოდა. მის სიმღერის, მის პირველ ლექსებს ამ პოხიერ ნიადავში ჭონდა ფესვები, მაგრამ იგი მინც თავისი თვალით უყურებდა გარემოს და საკუთარი ფერების პოენის ცდილობდა პოეზიაში. ცივგომბორის კალთების, აღზნის პირა ეენახების მხატვარს ახალი

ცხოვრების ერთმეული ესმოდა, თუმურქედუ-
ბიან გლგეკაცოა შრომისა და ბარაქიანობას უმ-
ღეროდა ამ ლექსების ფონად მოჩანდა კაცკა-
სიონის პანორამა, რომელსაც პოეტი აქლემების
ქარავანს ახარებდა. „და აქლემების ქარავანიეთ
მიიზღაზნება კაცკასიონი“ — წერდა იგი. („თი,
კახეთი“).

პოეზიაში ი. ნონეშვილის მოსვლამდე წარსუ-
ლის რომანტიკულ ხილვას უკვე დიდი ძალა
შეაღიეს გამოჩენილმა სიტყვის ოსტატებმა.
„ქართლის ცხოვრებას“ ეს დაიდებული შთაგო-
ნება. გმირული წარსულისა მრავალგზის იყო
დამუშავებული პოეზიაში და აქ რაიმე ახლის
თქმა ძნელი იყო. მაგრამ ნონეშვილის ლექსებს
წარსულზე „მოდი-ნახე“, პომპუსის ხიდი“,
„არსენას საფლავთან“ „მთაი“, „ქუთუფანი“ და
სხვ. თავისებური ფეროვანება და ხშირობა თუ
ახსიათებდა. მიკვნილი პოეტური ფრაზა თუ
გაბედული პოეტური თქმა ამ ლექსებში ხშირად
გაივლებდა და შთელ ღირიყულ სურათს ორი-
გინალობის ბეჭედს ასევედა. წარსულს თემების
დამუშავებაში იგი არა მარტო სახელოვან წინა-
მორბედებს, არამედ თანატოლებს — ღადო ასა-
თიანს და მირზა გელოვანს ეჯობებოდა და
ბევრ რამეს თავისებური მოხილვაობით ამბობ-
და.

„მოათქარუნებს ტალღებს ყვირილა
მთების სიღრმეში ჩიუქედელი.
შესწერებია სივრცეს ირიბად
ჩამოგრებული ციხის კედელი.
ირგვლივ ყუაველინი თვალებს ნაბავენ
და როს დაწვება მთებზე საღამო,
ვაიმრიაღებს, როგორც ზღაპარი,
წარსულზე ფიქრი დაუსაბამო.
(„მოდი-ნახე“)

ციხე კოშკებისა, ეკლესია მონასტრების ნან-
გრევებზე, საფლავების ქვებზე იგი ხალხის გმი-
რულ სულს კითხულობდა, მის სამართლიან
ბრძოლას დამპყრობთა წინააღმდეგ, ფეოდალთა
წინააღმდეგ უმღეროდა და აღიდებდა. ამგვარი
მიდგომა, საერთოდ, ახსიათებდა ქართულ პოე-
ზიას:

ი. ნონეშვილი აქ პოეტური ფრაზის რიხსა და
ძარღვიანობას არ ეყრდნობოდა, იგი უფრო
ღირიყულ ნოველებს წერდა, თქმულებას, ლე-
გენდას, ისტორიულ დეტალს პოეტურ აზბად
გადმოსცემდა. აქ იგი ხშირად იყენებდა სინე-
ტის კანონიერ ფორმას და საკმაო ოსტატობას
აძლავებდა. იგი ისტორიული სიმართლით ხე-
ტავდა დამპყრობელთა სახეებს („პომპუსის
ხიდი“, „შამ-აბასი“) და ხალხური გმირების,
უბრალო გლეხკაცების, მეთორების, გუნთისდე-
ღების უსამართლობის გამო ყაჩაღად გავარდ-
ნილების საქმეს უმღეროდა. („მთაი“, „არსენას
საფლავთან“, „მოხუცი მეციხოვნე“) ამ ლექსებ-
ში იგი ძველისა და ახლის კონტრასტებსაც

მოხდენილად იყენებდა, წარსულის სურათებში
თანამედროვეობის სუნთქვა შექონდა.

„...და, გაიგონ ყველა გზებში რომში...“
მთელი მნათობი მზეც ცაზე იმის წებთ
კეიდას...
...გაივია ეამი, ჩაიქოლა ის გზები ყველა:
მტკვარს საქართველოს მიწაყალზე
სინათლედ გაშლილს,
ახალი ზიდი დასდგომია ვით ცისარტყელა,
და მიაქვს ძველი დაიწყების უძირო
ზღვაში“.
(„პომპუსის ხიდი“)

პოეტმა ამ ლექსებში მონახა მკითხველთან სსა-
უბრო კილი, ნათელი ღირიყული სურათოვნება,
მუსიკალურ სუნას, ლალ მტყვევლებს კარგად
შეუფიარდა. უფრო მტკიცე ამ ლექსებში მან
კომპოზიციის გრძობაც გამოამტკვანა, ლაკონი-
ურობის, ზომიერების უნარიც გვიჩვენა თავისე-
ბურ გონებათმხილვაობასთან ერთად.

„მილიონების ბედიღბალს რომ ფეხქვეშ
მიონებდი,
ბნელ სამარეში სავანძურად რა ჩაგყოლია?!
სისხლიან პოეტს უქედმართი გული
გქონია,
მიტომ უკულმა დაგიწერე მეც ეს
სონეტა“.
(„შამ-აბასი“)

ან:

„შეუნდოს ღმერთმა... ცას შევეუღვათ
ყანწების ბოლო,
შეუნდოს ღმერთმა... მაგრამ რა აქვს
შესანდობარი.
მდიდრებს ართმევდა და ღარიბებს აძლევდა
შხოლოდ“.
(„არსენას საფლავთან“)

დღევანდელი ყოფის სურათებში იგი უფრო
„მოჭნეული სტრიქონის“, პოეტური შედარების
ეფექტს ეყრდნობა. აქაც იგი პირველ ლექსებში
უღად თავისებურად იყო.

„დაღამდა, თითქმის ცაზე დასცალეს
ლალის მტვერებით სავსე კალათა.
აღმა სიღნაღი თამადასავით
და სივრცეს თვალთ გადაანათა“.

ან:

„დაღესტნის ქარმა მშობლიურ ცაზე
გადმოიტანა ღულენი თარის
და ზევით, თითქმის სიმღერის ხმაზე
ღირასავით შეირხა მთვარე“.

ი. ნონეშვილის ამ მეტაფორულ სტრიქონებს,
შედარებებს ყოველთვის ჰქონდა გარკვეული
ეფექტი, რადგან ისინი ბუნებრივი ასოციაციით

ექმნებოდა, ჩვენი ხალხის ყოფაში, მის კოლონობულ ბუნებაში იყო ნაოენი. ასე იმაღლებოდა საღვთოებრივი სათქმელად წამომდგარ თავდასავალი სიღნაღის შედარება ან ხალხის ცხოვრებაში შრომით შექმნილი დიდების ასეთი პანორამულ სსხეში" გამოხატვა: „გახვედრე კახეთს: ახალი არხი უბრწყინავს როგორც ვერცხლის ქაშარი“. („ლაზნის არხთან“).

ბევრი ლექსის შთავორება ი. ნონევილის უშუალოდ მიღლია სიძველეთა ძეგლების თუ სახელეოჲან წინაპართა მახლობელი ნივთების ხელოვნის. სავრამოში დიდი აყელის ზე თუ აჯიის ოთახში გაჩეგრებული კედლის საათი მის თაყვანისცემის სტრიქონებს კარნახობდა, ვრუანტელსა და მღვდლვარებას ვადასდებდა ხოლმეს შეიქმნა შესანიშნავი ლექსები „სათი აჯიის ოთახში“, „ლერმოიტოვის სახლი პიატიგორსკში“ და ბევრი სხვა. მის შესისხლობრივი აქვს ემოციური პოეტური თქმის კულტურა და როდესაც აჯიის საათზე ამბობს: „თუ რამე აღნიშნავს სიყვდილის თარიღს დადუმებულე ფოლადი წვერის“, ან ლერმოიტოვის სახელზე წერს: „მაგრამ ქუდმობილი კაცივით შემხვდა ეს უღერეფნო სახლი პარაია“—მითხველის გულს პოეტური სიტყვა ქვეშაობრივი მხატვრული ძალე ვხვება. ამგვარი სახეები საბოლოო ჯამში ი. ნონევილის შანერას ქმნის. ეს მანერა მის დღემდე შემორჩა.

მღვდლვარე სიკამბლე მსიყვარულიც მოიყოლა და ინტიმურმა თემამ ვრცელი ადგელი დაიჭირა ი. ნონევილის ლექსებში მის პირველ სატრიფალი ლექსებს ი. ვრიშაშვილის ღირისკასთან ნათესაობა ამხნედა, ოდენ აღმოსავლური ელფერი დაკრავს, ფაქიზი, თითქმის სენტიმენტალიზმამდე მისული მგრანობელობა ახასიათებს. ი. ნონევილის პოეზიაში სიყვარულის თემა არ არის დრამატიზმით გამოხატული. მის თითქმის აკლია ფსიქოლოგიური სიღრმე და სირთულე, მაგრამ მისი საუფეთესო ინტიმური ლექსები მ:ზნადევილა პეროგანი სიმშუბუქით, განდევნის სისპეტაკით, შორალური სიწმინდით. თვით პოეტის ხასიათი აქ ძალზე რბილ ტონებშია დახატული და მისი ინტიმური სამყარო უვალელების, შორიალად ნაქვეებისა და მთერაინი ლამის ტრადიციულ ევზობრივ ფონზეა გამოვლენილი. („სახებარი ნაქვეთან“, „გამიგონია“, „არი ლექსი ლელიას“). მის მუნსახებსა და ექსპრომტებში უნაირესაო საყვარელი ქალის შვენიერება ვარვანული ნიშნებით არის გამოხატული. აქ არ არის თვით მოქმედების, ხასიათის სიღამაზე არის მხოლოდ ვარვანული მომზობლობა და ამით მოჯადოებულე პოეტის დამოკიდებულება ამ ლამაზი არსებისადმი. აქ პოეტი თითქმის ზედმეტად დაზობლებულია სიყვარულისაგან. „სუსტი და ფერგადლეული“ პირთვინებაა ეს ქაბანი გრანდებლობა, სიყვარულით „წვა და დავვა“ ცოტათი ტრეებს ბესოისებური ღირაკის ერთგვარი ვაღვენის შთაბეჭდულობა.

ეს თემა უფრო გაცოცხლდა, ვადაშიანტრუძა მას შემდეგ, რაც პოეტი შეეცადა უფრო ნალრამეებობა სიყვარულს, ქალის ურუნქვინებაში მდგრადი ხასიათი, ღროის ნიშნებუქმნის მასში. მხედველობაში მავს ომისშემდგომ დაწერილ ლექსებში „ღლიანა ბაბინას“, „მთამსვლელ გოგონას“, „როცა შენ ცეკვავ“ (ნაიშას, ვეგვიღვლი მოეცეკვე ქალს). აქ საგრანობა ცოცხალი ნატურის ძალი, პორტრეტებიც ცოცხალი პლასტიკურია და მეტი სიყვადე, რეალისტური დამაჯერებლობა გააჩნია, ორმოციანი წლების სატრიფალი ლექსებშიც ასე თუ ისე მოხატული იყო თავნება, ამპარტავანი, თავისთავზე შეყვარებული ქალის რომანტიკული სახე. იგი ხან ნაქვეზე და პოეტის გულზე ამოკვეთდა თავის სახეს, ამით შეყვარებულ ქაბულს ტავილეებს აყენებდა, ხან კი ვატაცებული პოეტი ყვავილებს არქმევდა მის სახელს. („საბობრი ნაქვეთან“, „უხსახლე ყვავილი“). აქ თითქმის უაყოფილი სიყვარულის სეკდა და გულისწყრამა გამოსვევოდა. პოეტი სიღამაზესა და სიყვარულზე ხალხურ ლეგენდას, ხალხურ სიბრძნეს დაესხებოდა ხოლმე და მისი სიჭაბუკის რჩეოლის თავისი კეობით მოამაყვ, მაგრამ ფეხების დამწუნებელი ირმის იგავით ვადაკრულად კოცავდა:

„მხოლოდ იყოდე, იყოდე მხოლოდ,
თუ ქებით უფრო ვადაირევი,
რე სიღამაზე დაგლეპავს ისე
როგორც დაღუბა რქებმა ირემი“.

ინტიმურ ლექსებში იგი ხშირად მიმართავდა თავისებურ არტისტულობას. თვით ღირიკულ ამბავში მოკვეთილი, უეცარი ფინალის სტრიქონებს თავიდანვე გამიზნავდა და ამით ლექსს კომპოზიციურ და ლოგიკურ დასასრულს, წერტილს გამოუნახავდა. („ალბომში მხატვარ ქალს“). ამ ზერხს იგი მომდევნო ლექსებშიც იმეორებდა („მთამსვლელ გოგონას“, „ვადაბმული“) და ამით ერთგვარი შტამის საფრთხის წინაშეც დგებოდა ხოლმე. როდესაც იგი მხატვარ ქალს ეუბნებოდა: „ისეთი ძალია შთაბერის ყალმს რომ შენი სახის დახატვა შექმლის“, ელექტი მიღწეული და გამართლებული იყო. მაგრამ სხვა ლექსში იგვე ვერხბს განმეორება ურე შებლონერია. „ვეგრანობ მე არ ვეუბრები მეც თვალთა არჩევანს და ვხედავ ჩვენს შორის ნაპარლის ვარენას“ („მთამსვლელ გოგონას“) „გატყობ გულიც ვადაგობამს ტრაქტორისტის გულთან“ („ვადაბმული“). მით უმეტეს რომ ამგვარ სტრიქონებს სისადავის, ღირიკული ვონებათმხვილობის პრეტენზია იქვთ, სინამდვილეში კი პრიმიტიულობის დაღი ახით.

ი. ნონევილიც ის ის იყო ვანიცადა პოეზიაში პირველი ამღერების სხიარული, რომ დაიწყე არნახული და არ გავიღიო ომი. მის ღირიკულ სამყაროში უეცრად შეიჭრა ისტორიული ბრძოლების ქარტახილი და სხულოდ უცნობი ხმები

და განწყობილებები მოიყოლა. ლექსებში ადრე მოხაზული ლამაზი ქალის სახე, ვარდებში დარჩენილი ჩანისმწერი წიგნით, მანარაინი მეომრის სიმკაცრით შეიშინა. თბილისის ბაღებში და ქუჩებში პოეტი უწინდელ სიბარულს და ფრიაშულს ვეღარ ამჩნევდა, დაცარიელებული ეზოების სიჩუმეში შორეული გუგუნი ესმოდა («ვარდები»), ინერციით კვლავ ღრიალდა ხმა იგარნობდა მანარაინი პოეტის ლექსებში. მაგრამ დრო და დრო იგი გამოიცივლა. მეომრული შემართებით, ომის სიმკაცრე და სიუხვე შეადგურა მის სიტყვას. აქ იგი მიმართავდა როგორც პოეტური მოწოდების, ყოველის ტონს, ისე ბალადურ სიუჟეტებს ომის გმირების რომანტიკული ფიგურების დასახატავად. ასე შეიქმნა ომის დღეებში მისი ლექსები «ოთხი მზა ღესელით», «სიმღერა ზოია კოსმოდემიანსკაიაზე», «ჩვიდმეტნი». იგი ხატავდა ჩვენი ხალხის სახელოვან შეიღებს, რომანტიკულ-პეროიკულ სტილში პოეტურად გვაშენობდა მათს საგმირო საქმეებს. სწორედ ამ პერიოდში იბადებოდა ი. ნონეშვილის პოეზიაში გმირი ახალგაზრდის თემა და მისი კონკრეტული პოეტური სახე, რომელიც მან შემდეგ განავითარა ზოია რუხაძეზე დაწერილ პოემაში «ამავე ერთი ქალიშვილისა».

«ტრამპლები დღემან შენი
საქმით განაცვირებნი,
მოდიან და შენ საფლავთან
ქუდს იხდიან გმირები.
შენს ქალობას დალოცავენ,
შენს მაჯას და იარას.
რა ბატარამ გამოსცალე
უკუდავების ფილას».

(«სიმღერა ზოია კოსმოდემიანსკაიაზე»)

ამგვარ ლექსებში მიმართებითი ტონი სპარბობდა, ცხარე დღეების პათოსი იგარნობოდა. პოეტი აქ არ ენაშუებოდა, ჭარბ პოეტურ აქციუსურებს არ ეძებდა, უბრალოდ, გულში ჩამწვდომად წერდა ნამდვილ ამბებზე და მის სტილიზაციას თვით ცხოვრება ამბავებდა, როცა დღეს კითხულობთ ი. ნონეშვილის ფრონტულ ლექსებს, შეიძლება ბევრი რამ დაქველდებულად მოგჩვენოთ, მაგრამ ეს არის სიმეფლე ვალმობილი საბრძოლო იარაღისა.

ომის შემდეგ პოეტის შემოქმედებითი პოპოზიონი კიდევ უფრო გაფართოვდა. მოკმე სომხეთში, უახლოესი და შემდეგ ინდოეთში, ჩეხოსლოვაკიაში მოგზაურობამ მისი შთაბეჭდილებები გაამდიდრა, ახალი სიხეები, ფერები შესძინა მის პოეზიას. სევანის ტბისა და «ბიბლიურად ჩაფიქრებელი» არარატის ფონზე მან მოკმე სომხების ახალი ცხოვრება დაიწახა, ისტორიული ძეგლების, მატარის ფერდობებში ქართველებისა და სომხების ისტორიული ბედის ნათესაობა ამოიკითხა. ასე დააწერა ლექსები «ოჯახი, დროშა, ჭეშმარიტება» «ბალადა წყაროებისა», «დამდეგ იყო ოქტომბრისა», «ასე

ნატრობდით», «სოფელი ნორქი, ილევის ჩრდილი», «მატენდარინში». მან საკუთარი თვალთი იხილა ავტოქოსიასიანის ლექსებში; კოსმოდემიანის სიმღერებში და მარტიროს სარაინის ფერებში ამღერებელი სომხეთი. იგარნო შვენიერ საროს და ალაგიახის ფერდობების გაუხუნარი სიტერფე. ვრეენის ქუჩებში, სოფელ ოქტომბრისაში გამართულ რთველზე ახალი ცხოვრების ფრიალული განიცადა. ამან ვაითო ახალი ციკლის ბეერი სტრიქონი. ახალი ფეროვნება და ემში შემოიტანა. აქ იყო იოლად დაწერილი ლექსებიც, შედარებით პათეტიკური, მაღალფარადობანი შემახილებიც; ცოტა ხელოვნური, გახვიაღებული ოპტიმიზმის შთაბეჭდილებას ტოვებს ლექსი «დავა აღუქმანდრე ქვეყანაქმთან ვოგჩის ან სევანის ტბის გამო». მაგრამ მთელი ციკლის სულისკვეთება, ფერების და სხეების სიახლე პოეტის ზრდაზე მიგვანიშნებდა. სომხურ პოეზიაში ორგანულად შეტრიალ არარატისა და არაზის სხეებს, წერის მოტივებს, სევანის გრანდიოზულ პანორამის ფერადოვნება და სურნელება დაჰკრავს. აქ ყველაფერი მეგობრის მართალი გრძობით სუნთქავს და ამ თემას მშვიდობის მოტივები ორგანულად ერთვით, აფართოებს, ავსებს. ამ თემებისა და განწყობილებების გამო-გაფართოება ჩეხოსლოვაკიაზე და ინდოეთზე დაწერილი ლექსებიც.

ი. ნონეშვილის პოეტური ტალანტი ახალის ძალით გამოვლენდა ციკლში «უახლოესი ველებზე». ცნობილმა მწერალმა ალ. ფადეევმა ამ ოთხი წლის წინ ეს ციკლი საბჭოთა პოეზიის მნიშვნელოვან მოვლენად მიაჩნია. აქ გაღმავება მპოვა ჩვენი დროის ახალგაზრდა ადამიანის თემა, რაც მუდამ აღულებდა პოეტს. უახლოესი ყამირებზე გაშლილ შრომასა და ბრძოლაში მან ახლებურად დაინახა ჩვენი ახალგაზრდობის გმირული სული და უმღერა მის. პოეტმა ორი თვე დაჰყო ყამირებთან და ცოცხალ შთაბეჭდილებებზე შექმნა ლექსები: «ქება ადამიანს», «ბიჭო, იქნებ პაპა იყო შენი», «ყიზი-ყიუქი» — დაწიე ქალიშვილს», «აქლემები», «მძები» «მომავლის პოეტს». ახალმა თემამ იქაც ახალი ფერები, ყახაბითის ყოფის ეთნიგრაფიული დეტალები მოიყოლა. პოეტის ფერწერა გაამდიდრა უდაბნოს პეიზაჟებში; აქლემებზე ქარაენების, საქაულის ბუნების, ოღრტების ფონზე გამოჩნდნენ ადამიანები, ამანგლდის თანამემამულეებთან ყოველ კუთხიდან მოსული ახალგაზრდები, ვიადლეეს ყამირელთა ცხოვრების სურათებში. მ. ვარკის უთქვამს ერთგან: «უდაბნოში არ არის სიღამაზე, სიღამაზე არაბის სულშიაო», ი. ნონეშვილი არ ხატავს უდაბნოს ვებოტიკას, იგი ყამირის ამთვისებული ადამიანის სულერი სიღამაზით, მისი რომანტიკული ბუნებით არის მოხიბული.

„არ ქონდა სიერცეს სიგრძე და განი,
 ვჩანდი ტრამალზე როგორც წერტილი.
 თითქოს დაეკარგე სიცოცხლის კვალი,
 ტალღა ვიყავი ზღვას მოწყვეტილი...“

თქვენის ყოვინა უამირ მიწებზე,
 თქვენი ხმა ქარშა შორით მოშებრა.
 და მე უცერად თავი ვიგრძენი
 როგორც ცისა და ქვეყნის შფლობელმა.“
 („ქება აღაშინა“)

ი. ნონეშვილს, როგორც პოეტს, ყოველთვის
 ჰქონდა ცხოვრების მოვლენებთან აქტიური,
 პირდაპირი, მოქალაქეობრივი კონტაქტი. იგი
 ხშირად პირველი წერდა იმაზე, რაც ცხოვრება-
 ში ახლად იზადებოდა, რასაც ლიტერატურული
 ტრადიცია არ განაპირობებდა. იგი ხშირად გი-
 მოდიოდა საღამოებზე, შიაცოლებდა ლექსით
 უამირელებს, ეგებებოდა მათ ცხოვრების შორე-
 ულ გზებზე. რა დასაშალოა, აქ პოეტი ზოგჯერ
 ჩქარობდა, ზოგჯერ აჟარბებდა კიდევ. ბუერს
 წერდა, ხშირად წერდა, ეს ცოტა არ იყოს მის
 პოეტურ ენერჯიას კვალს ამჩნევდა და ზოგი
 ლექსი უფერული, პრიმიტიული, ზერულე გამოუ-
 დიოდა, მხოლოდ ირითღე მოხდენილი სტრუქტ-
 ნისთვის იწერებოდა. ასეთი ლექსებიც საკმარის
 დაგროვებია პოეტს, ერთტომეულშიც თავს იწო-

ნებენ ისინი „ულამაზო შინაბერებზე“, საჭირო
 იყო ამ ლექსებზე მეტი დაფიქრება, მეტი სიმ-
 კაცე მათს ხელმეორედ გამოქვეყნებისას. აქ,
 როცა პოეტის შემოქმედების საუკეთესო ნიმუ-
 შებზე ვსაუბრობთ, თითქოს არ იყო საჭირო
 მათი ვახსენება, მაგრამ ისინი ისე უარბად არიან
 ერთტომეულში, რომ ძალუენებრად თვალში
 გეცემათ. პოეტი, როგორც ჩანს, თვითონვე
 გრძნობს რაოდენ ძნელია ახალ მოვლენებზე წე-
 რა, დღევანდელ დღესთან უშუალო „უღისტან-
 ციო“ შეხმარება. ყახახეთის ციკლში არის
 ერთი ლექსი „მომავლის პოეტს“, სადაც იგი
 სწორედ შემოქმედების სირთულეზე და სიმწე-
 ლეზე ლაპარაკობს. აქ იგი პირდაპირ ეუბნება
 მომავლის პოეტს: „ნუ გაიკვირებ თუ ჩემს და-
 ძახილს ავლია შენი ლექსის ლაზათი, რადგან
 ლექსები, როგორც ბალახი შიშველ ველებზე
 იყო ნაზარდი“. ეს გულწრფელი და მართალი
 სტრუქტონებია.

ი. ნონეშვილი უკვე მოაწიფებული პოეტია.
 მას მოაველშიც დინჯი, აუჩქარებელი შემოქ-
 მედებითი შრომა უწევს, იმისათვის, რათა
 უფრო გაიზარდოს, გამრავალდეროვნდეს, გამ-
 დიდრდეს საუკეთესო მის პოეზიაში, რასაც ჩვე-
 ნი მკითხველი პატივს სცემს და გულწრფელად
 უყვარს.



დიდი აზერბაიჯანელი ღირიკოსი

გასული წლის დეკემბერს საბჭოთა ხალხმა იღვწასწავლა დიდი აზერბაიჯანელი კლასიკოსის, აზერბაიჯანელი პოეზიის სიამაყის მუქამედ ფეხულის გარდაცვალებას 400 წლისთავი. ფეხულის სახელი კარგა ხანია გასცდა აზერბაიჯანისა და ახლო აღმოსავლეთის საზღვრებს. მისი მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა კარგა ხანია აშვეენებს მსოფლიო ლიტერატურის საგანძურს.

მუქამედ ფეხულის ცხოვრების შესახებ ცოტაა ცნობილი. დაბადებული იგი 1498 წელს ბაღდადის მახლობლად მდებარე ქ. ქერბალაში და გარდაცვლილია 1556 წ. ხოლერით იმავე ქალაქში. ბიოგრაფიული ხასიათის ზოგ ცნობას გვაწვდის თანამედროვე და მომდევნო ხანის პოეტთა თხზულებანი და მისივე შემოქმედება. ცნობილია, რომ მამამისი, სულეიმანი, აზერბაიჯანიდან გადასახლებულია ქერბალაში, რომ ბატარა მუქამედი სწავლობდა ჯერ მოლასთან და შემდეგ მედრესეში, სადაც დაუწყია ლექსების წერა. პოეზიით ახალგაზრდობაშივე გაუთქვამს სახელი, მაგრამ კარის პოეტი არასოდეს არ ყოფილა.

ფეხულის შემოქმედებიდან ვეცნობით ავტორის სულიერ ცხოვრებას, შეხედულებებს, სულისკეთებასა და მისწრაფებებს.

იგი არ გასცილებია ერავის საზღვრებს, მაგრამ, როგორც პოეტი, გადიოდა ქვეყნიდან ქვეყანაში და თავის სიოცხლემივე შემოიარა მთელი აღმოსავლეთი. მას ყველგან აზერბაიჯანელი, თურქები, სპარსელები თუ არაბები ზედმოდნენ სიხარულითა და სიყვარულით, რადგან ყველა თავის ენაზე საამოდ, მიწმიდვლად, გულწრფელად და გონიერულად ესაუბრებოდა.

ფეხულმა მდიდარი და მრავალფეროვანი ლიტერატურული მემკვიდრეობა დატოვა. მან სახელი მოიხვეჭა ისეთი პოემებით, როგორცაა „ლეილი მეჯნუნიანი“, „ხაშხაში და ლეილი“, „განდევნილისა და ფუქსავების საუბარი“, „ჯანმრთელობა და სენულება“ და სხვანი, მაგრამ უფრო მეტი დიდება მას ლირიკულმა ლექსებმა მოუტანეს. ფეხულის კალამს ეკუთვნის ლირიკულ ლექსთა კრებული — დივანი სამ ენაზე: აზერბაიჯანულ, სპარსულ და არაბულ ენებზე. ამ სამ ენაზე ქმნიდა იგი თავის უკვდავ ნაწარმოებებს. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი აზერბაიჯანულად აქვს დაწერილი. არაბულ ენაზე ფეხული წერდა ძირითადად ზოტებებს, მიმდინილ წინასწარმეტყველი მუქამედისა და მის შთამომავალთაღმე და, როგორც აღნიშნავს

პროფ. ე. ბურტელსი, ფეხული აქ ავლენს მართოდენ ლექსის ფორმის დიდ ხელოვნებასა და არაბული ენის კარგ ცოდნას; ფეხულის არაბულ ლექსებს ახასიათებთ ცივი ოსტატობა და გრძნობის თითქმის სავსებით მოკლებულნი არიან¹.

ფეხული, როგორც ლირიკოსი, უფრო დიდი, ვიდრე თვით გენალური ნიშანი. ტყუილად არ უწოდებენ მას აღმოსავლური ლირიკის მესა და გულის პოეტს. ლირიკულა ფეხულის მთელი შემოქმედება — ცალკეული ლექსები თუ პოემები, ამას თვითაც აღნიშნავს ერთ-ერთ ლექსში: ჩემგან რაიმეს ნუ შოითხოვთ, მე ამული ვარ და ამულერი სიტყვებიც კი ყოველთვის მზად მაქვსო.

სიყვარულის გარდა, პოეტს აფიქრებდა და აწუხებდა იმ დროის ყველა საცირბორტო საკითხი: შწრომელი ხალხის აუტანელი მდგომარეობა, მეჭყთა უსამართლობა, რელიგიის მახურთა ზნედაცემულობა და სხვ. ყოველთვის ასახებოდა ფეხულის შემოქმედებაში და მეტად თავისებური ელფერს აძლევდა მის ლირიკას, რომელიც ძირითად დაზღუდუნიან² შედგება. პოეტი თვით სატრფიალო დაზღუდუნიც კი ლამაზაკობს ადამიანთა ჩავვრის, ძალმომრეობისა და უსამართლობის შესახებ.

შინაარსის მიხედვით ფეხულის დაზღუდულობა აჯკუფებენ: 1. სატრფიალო დაზღუდუნი, 2. სოციალურ-ფილოსოფიური დაზღუდუნი, 3. აღწერითი ხასიათის დაზღუდუნი, 4. რელიგიური ხასიათის დაზღუდუნი.

მუქამედ ფეხული აზერბაიჯანელი დაზღუდულის წჭოტუბოვარი ოსტატია. მას უყვარს დაზღუდი — „ლაშაში ლექსი“, რომელსაც პოეტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს: მან, სოლამაზესა და სიამოვნებასთან ერთად, ცოდნაც უნდა მიიტანოს მსმენელამდე და უნდა იყოს ყველასათვის გასაგები და მისაწვდომი:

დაზღუდი არის საამო და ლაზათიანი,
დაზღუდი არის ვარდი ცოდნის ბაღისა,
ისეთი დაზღუდი სოჭვი, რომ ეპოქებს
შერჩავს,
რომ მისი წერა და კითხვა იოლი იყოს.

¹ E. Э. Бертельс, Арабские стихи Фуху-ля, ЗКВ, V, 1930 გვ. 61.

² ლირიკული ლექსის ფორმა aa ba ca da რომით (იხ. ალ. ჰაჯიბაბის „მუხამედი უხალი“).



ფუზულის ღირსებაში ჰარბობს სატრფიალო დაზღუდვა. სიყვარულის მგზნებარე მომღერალი რჩება იგი რელიგიური ხასიათის ლექსებშია. სადაც აცხადებს სიყვარულს თავის ამქვეყნიად ცხოვრების ერთადერთ მიზნად. ჭკვეყანა მას სძავს და მხოლოდ სიყვარული (სატრფოსადმი) აკავშირებს მასთან.

ფუზულის მიხედვით, სიყვარული მაღალი, წმინდა და ძლიერი გრძნობაა, იგი აყვითლობილებს ადამიანებს და წარმოშობს ნამდვილ მუგობრობას.

პოეტი თავისთვის, როგორც ერთგულ სატრფოს, აღმოსავლური პოეზიის სასიკაძელო მიჯნურ, სიყვარულით შემოღობულ შეჯუნუნებ მალა აყენებს და ერთგვან აღნიშნავს, რომ მას ძალუქს შეჯუნუნებ უფრო ძლიერი და ნამდვილი სიყვარული.

ფუზული ოსტატურად ათავსებს, მოხდენილად აქოსეს ერთმანეთში სატრფიალო და სოციალურ-საზოგადოებრივი ხასიათის აზრებს:

მე ერთხელ გავწირე სიციცხლე,
 მაგრამ ბედნიერება ვერ ვპოვე,
 გვედრებოდი შეწყნარებას,
 მაგრამ შენი თანაგრძნობა ვერ ვპოვე.
 ო, რომ იცოდებ, როგორ ვიტანებოდი
 მამინ.

მე, უბედური მონა, შევედი სასახლეში,
 მაგრამ მართლმსაჯულება ვერ ვპოვე.

სასახლისა და მის მსახურთა აუცი ბშირია სხვა ლექსებშია. პოეტი სასტიკ შაჰებს მეგლს აღარებს და დასძენს — მეგლისგან მწყემსი ვერ გამოვაო. თვით მიძღვნებშია კი არ გვხვდება შეფთა ძლიერი ქება-დიდება. იგი აიღვალა მყუანის ძველ მმართველებს და თანამედროვეებს მოუწოდებს, მათგან აღონ მგალითი, იყენენ სამართლიანნი და მოწყალენი.

ფუზული ერთ-ერთ ლექსში მეფეს უპირისპირებს პოეტს და ამჯობინებს უყანასკნელს: მეფე ჯარს აგროვებს, სისხლს ღვრის, ათასგვარი ხრიკებით ქვეყანას ეპატრონება და მისი მფლობელობა მტკიცე არ არის, ადვილად შეიძლება შეირყეს და დინგრეს კიდევ; პოეტი კი სრულყოფილია და ლდი სულთანია თავის პოეზიის სამფლობელოში.

ფუზული არ ყოფილა ურწმუნო, მაგრამ მას რამდენადაც სწამდა ღმერთისა და წმინდანებისა, იმდენად ზედმეტად შიანდა ღეთის ამქვეყნიური წარმომადგენლები: შოლები, შეიხები და მეჩეთის სხვა მსახურნი. იგი ნათლად ხატავდა მათს არაბობას და მათი არსებობის ბოროტ შედეგებს.

შუასაუკუნეების მკაცრ ხანაში, ადამიანებით ეპრობის ხანაში მუჰამედ ფუზული გამოდის განსაკუთრებული ძლიერების ჰუმანიზმით, კაცობრივარობის მაღალი იდეებით. ერთ სპარსულ ლექსში იგი წერს:

მე გავხსენ გონების თვალი,
 რათა შეხილა არსი საგანთა
 მე განვეკრიტე სიბრძნის
 და სამეუროში ვერ ენაზე
 უფრო ძვირფასი მარგალიტი, ვიდრე
 ადამიანი.

მისთვის ყოველი ადამიანი, განურჩევლად მდგომარეობისა, ერთნაირად ძვირფასია და შემოფთებულთა აცხადებს:

მათხოვარი და შაჰი ორივე ადამიანი
 და რა საფუძველი აქვთ მათ,
 რომ ერთ-ერთი მათგანი შაჰია
 და მეორე მათხოვარი

ხალხის ეს მათხოვრული მდგომარეობა არ ასვენებდა პოეტს. ეს იყო მისი ჭკვეუნისადმი მღვრვის ერთ-ერთი მიზეზი.

თავისთავად კი არ მცეცია თავზე ჭკვები
 ცის თაღისა,
 ეს მე ჩამოვანგრე იგი ჩემი მოთქმა-
 გოდებითო.

ამბობს იგი. იშვიათად რომ სხვა რომელიმე პოეტს ასე მძაფრად გაბედულად გამოეტანოს სააწარაოზე ღარიბი ხალხისადმი თავისი სიშპათიები სასახლეთა ფუფუნების მძლევარების მკვეთრ ფონზე:

ო, ფუზული, დე, აშინონ სასახლეები.
 ღმერთმა ხომ იცის,
 რომ ღატაკთა თავშესაფარნი ჩემთვის
 უფრო ძვირფასია
 სასახლეებზე.

მას მთელი გულით უყვარდა მშრომელი ხალხი, ღატაკი ხალხი, სადაც ხედავდა ჰუმანიტი პოეტი ნამდვილ-ადამიანებს, მათშივე ეძებდა იგი მეგობარს:

ო, ფუზული, ამქვეყნიად ადამიანთა დიდებს
 სიღარიბეა, მხოლოდ სიღარიბე,
 და ნუ ემეგობრები შენ ნურვის,
 გარდა ღარიბისა.

პოეტის მღვრვის ერთ-ერთი მიზეზი იყო, აგრეთვე, მისი მშობლიური ქვეყნისაგან შორის ყოფილა. სამშობლოზე სევდამ მას „სახეზე ნაოპები გაუძლიერა და ფერი დაუკარგა“.

მე უცხო ვარ ჩემი ქვეყნისთვის, უსამშობლო და უმწყო, — ჩივის იგი.

მუჰამედ ფუზულის ღირსებაში ღირსშესანიშნავია პოეტის შესახებ არსებული შეხედულებების გამოც: პოეტი იგივე მეცნიერია. მან ძალიან ბევრი უნდა იცოდეს. მისი ყოველი ნაწარმოები რაიმე ახალს უნდა ჰპატებდეს მკითხველს ფუზული პოეტისაგან მოითხოვს ენის სისადავს, სტილის სიმარტივეს. ამავე დროს, პოეტს ვრძელი სიტყვის მოყვალ თქმა უნდა ეხერხებ-

ბოდესო. პოეტისთვის აუცილებელია თავისუფ-
ლება, რათა იგი იყოს გულწრფელი, ამბობდეს
იმას, რასაც ფიქრობს. არაგულწრფელ პოეტს
ფუზული არაირად მიიჩნევენ და ამბობს:

უვარგისია არაწრფელი პოეტის პოეზია და
უვარგისია
მისი სიტოცხლეც, რადგან პოეზია პოეტის
სიტოცხლეაო.

იგი პოეტს, ზოგადად და კერძოდ, თავისთავს
აცხადებს პოეზიის სამყაროს ფადიშაჰად, რომე-
ლიც ყოველგვარი ძალადობისა და სისხლისღე-
რის გარეშე იპყრობს ადამიანთა გულებს.

შემომხედე, ეს მე ვარ მბრძანებელი
სიტყვა ძღვეამოსილი ლაშქრისა
ზედაუ? ყოველი ჩემი სიტყვა გოლიათია,
ეს იმიტომ, რომ ჰეშმარიტებით იყვებიება
იგი-

ფუზული ლამობდა თავისი ლექსებით ქაღ-
აქების დაპყრობას და აღწევდა კიდევ მიზანს.

დიდი და მრავალმხრივია ფუზულის მნიშვნე-
ლობა აზერბაიჯანელი ლიტერატურის ისტო-
რიაში. მის საქვეყნოდ აღიარებულ პოემებზე
რომ აღარაფერი ვთქვათ, იგი ითვლება აზერ-
ბაიჯანული პროზის ფუძემდებლად და აზერბაი-
ჯანული სალიტერატურო ენის ჩამომყალიბებ-
ლად.

აზერბაიჯანულ პროზას ფუზულმა საფუძვე-
ლი ჩაუყარა ავტობიოგრაფიული ნაწარმოებით
„შოქაიეთ-ნამე“ („ჩივილის წიგნი“). ეს არის
პოლიტიკური სატირა, სადაც ფუზული კიდევ
ერთხელ აელენს თავის დიდ მოქალაქეობრივ
გამბედაობას. სატირა მიმართულია სულთან სუ-
ლეიმანისა და მისი მექრთამე მოხელეებისადმი.
ხასიათდება მოკლე, შინაარსიანი დიალოგებით.

პოეტის კითხვაზე გაიკმეული ყოველი პასუხი
ოსტატურად ახასიათებს მოპასუხეს.

ფუზული მოხერხებულად ვახვებს დიდიწილის
სულთანს, რომელსაც ეპყრა იმ დროს ბაღ-
დადი. მან არ იცის ხელოვნების ფასი. მის მიერ
პოეტისათვის ბოძებულ პენსიის სიგელს არა
აქვს არაერთიანი ღირებულება, თუმცა იგი ოქ-
როთია მოვარაგებელიო. ფუზულმა სიგელი
შეიტანა კანცელარიაში და მოხელეებს მიე-
სალმა, მაგრამ „მათ სალაში არ მიიღეს, ეს ხომ
ქრთამი არ იყოო“, შენიშნავეს პოეტად, რომელ-
მაც სულთანის მსახურთა წინაშე უმწყოდ იგარ-
ნო თავი, უკან წაიღო სულთანის ბრძანება და მას
„ისე დაეუბრებდი, როგორც დაჭრილ მარტ-
ვილს, ანდა ყურნის გაუქმებულ ლექსებსო“,
მწიარე ირონიას ფუზული შემდეგნაირად ამთა-
რებს: არვის არ ვეჩივი, ფადიშაჰიც წყაროა
მოწყალეების, არისტოკრატებშიც დიდბუნებო-
ვანნი არიან, მოხელენიც ჩინებულად მუშაო-
ბენ... მაგრამ მე არ მწყალობს ბედი. უველაფერ-
ში მხოლოდ და მხოლოდ ჩემი ბედია ადამაშა-
ვეო.

ეს პირველი აზერბაიჯანული პროზაული ნა-
წარმოებია ფუზულის, მთელ დიდფასოვან შემო-
ქმედებასთან ერთად, აყენებს პოეტს მსოფლიო
ლიტერატურის გოლიათთა რიგებში და დღითი-
დღე ზრდის მის დამფასებელთა და თავყანის-
მცემელთა რიცხვს.

ფუზულის პოეტური გენია ყოველთვის
მძლავრად იჩინდა თავს. ვერც ერთ ხანას ვერ
შეეძლო მისი მიჩქმალვა, მაგრამ სათანადოდ იგი
დღემდე არ დაფასებულა. ცხადია, დღეს თავი-
სუფალმა, გაზრდილმა და გალღობულმა საბჭო-
თა აზერბაიჯანმა შეძლო თავისი ღირსეული
შვილის ღირსეული დაფასება. ეს თარიღი სა-
ხალხო ზეიმად იქცა აზერბაიჯანში და ეს ბუ-
ნებრივია: ფუზული ხომ დიდი სახალხო
პოეტი იყო.



ბიოგრაფიული



რობერტ ბერსი

(დაბადებულია 200 წლის გაყო)

იმ ზამთარს საშინელი სიცივეები დაიჭირა აღმოსავლეთ შოტლანდიაში. სიცივე, რომ იტყვიან, ძვალსა და რბილში ატანდა. ახსნად აზიდული თოვლიანი მთებიდან ისეთი სუსხიანი და ძლიერი ჭარი ჰჭროდა, რომ გლეხებს უშინოდათ სახლები თავზე არ დაგვეწვრესო. ბერსი სამი დღის დაბადებულაც არ იყო, რომ ძლიერმა ჭარიშხალმა ლემელის მილი და სახურავი აავლიჯა მათ პატარა, თბის ყედლებიან სახლს, რომელიც საჭორწინოდ ავგო ობი წლის წინ პოეტის მამას. ახალ მოლოგინებულმა დედამ თავისი აყანკალებული ჩვილით კეთილ მეზობლებს შეაფარა თავი...

ასე მკაცრად შეხვდა ბუნება თავისი ერთ-ერთი საუკეთესო მომღერლის ამქვეყნად მოსვლას. ეს იყო 200 წლის წინათ, 1759 წლის იანვრის მიწურულში.

„სიღარიბე ჩემი ცხოვრების თანამგზავრიაო, შენიშნავდა ზოლმე პოეტი დიდი გულსტიკივით და საცხებით სამართლიანად. იგივე შეიძლებოდა ეთქვა ამავე წელს დაბადებულ მეორე დიდ პოეტს ფრ. შილერს. ღუჭირიან ცხოვრებამ ამ ორ დიდ ადამიანს უხვად მომადლებული ნიჭის სრული დაეკავებოდა არ დააყალბა. რა იყო მათთვის ოთხი ათეული წლის სიცოცხლე?!“

შოტლანდიის მომავალ სახალხო პოეტს არავითარი სისტემატიური განათლება არ მიუღია, იგი პატარაობიდანვე შრომის აღმოსაფრთხი იზრდებოდა, ჯერ კიდევ ბავშვი იყო, პატარა ხელებს ვერც კი შემოაწვდენდა პურის კონებს, ვუთანს რომ წინ მიჰქდებოდა, ხნულაში ჩაეფლებოდა ზოლმე, ველარ გადაეკაჯებინა ამოვარებულ ბეღტებზე, მაგრამ სხვა გზა არ იყო, მაინც უნდა წაყალიბდა მამას მინდვრად. საიუშოდ გადიოდა მთელი სოფელი, ნათესავები, მეზობლები. სულ მაწაწიანტელა დებიც კი ამ იყენენ, ერთი მუქა პურის თეთთვის შებრთებოდა რომ დიდ გმირობად მიანდით. მხოლოდ გილბერტს, რომბერტზე ერთი წლით უმცროს მმას, ვერც ნახავდით აქ. იგი დღეს სკოლაშია ხვალ რომბერტი წავა სკოლაში, ის კი მამას მოეხმარება, ასე შორიგეობით სწავლობდნენ პატარა ძმები, სკოლის საიში ხომ ერთი ბერსი არიკებოდა. ოჯახს მეტი შესაძლებლობა არ ჰქონდა და ეს იყო საცხებით ტიპიური მოვლენა XVIII საუკუნის მეორე ნახევრის შოტლანდიისათვის.

15 წლის ასაკში უკვე გამოცდილი გუთნისდედა ბერსი ერთდროულად ეზიარა სიყვარულსა და პოეზიას. მისი პირველი ტრფიალენი და გულბერველიო ლექსების გმირი იყო მასთან ერთად მინდვრად მომუშავე ერთი წლით უმცროსი მშენიერი ნელი — ცოცხალი, შიარული და ანცი გოგონა, რომლის საამო ტიპტიკო განსაყუთრებით კი სიმღერა— a reel—მეტად ხიბლავდა რომბერტს და მის გულში რაღაც უწვეულა და თბილ გრძნობებს იწვევდა. ჰაბუქს გული სულ ნელისაკენ მიუწვევდა, თვლები სულ მისკენ გაურბოდნენ, ეძახდა მის „მომაჯადოებელ ქმნილებას“ და მზესა და ყვევილებს ადარებდა. დარდად მხოლოდ ერთი რამ ჰქონდა ბერსი: ნელის საყვარელი სიმღერის სიტყვები, როგორც ამბობდნენ, ერთი წერილი მემამულის ვაჟს შეეთხზა თურმე თავის საყვარელ ასულზე. ეს კი თავმომწონე ჰაბუქში თავისებურ იქვს იწვევდა. ნუთუ იმ ჰაბუქივით მასაც არ შეუძლია ლექსი უძღვნას მიჯნურს? მერე და რა საამოდ იმღერებდა ნელი ამ ლექსს! და აი, შეყვარებულმა გუთნისდედამ დასწერა პირველი ლექსი „ჩემი ლამაზი ნელი“. „ასე დაიწყო ჩემთვის პოეზია და სიყვარული — იგონებდა შემდეგში პოეტი — აუცილებლად არსებობს უშუალო კავშირი სიყვარულსა, მუსიკასა და ლექსებს შორის... თავის თავზე რომ თქვა, მე აზრადაც არ მომხვლია ვაგმზდარიყუე პოეტი სანამ სიყვარული არ ჩამივარდა გულში. შემდეგ კი რითმა და მელოდია პირდაპირ ამოდრიდა გულიდან.“

სწავლას დასაბრბული ბერსისათვის უდიდესი ბედნიერება იყო უადრესად ნიჭიერი და ენერგიულ ახალგაზრდა მასწავლებელ ჯონ მდერროსთან მეცადინეობა, მან შესწავლა პოეტი ინგლისური და ფრანგული ენები, ვააკნო შექსპირი და სხვა. მაგრამ ბერსისათვის ცოდნის ნამდვილ წყაროდ იქცა ზალხური შემოქმედება, რომელიც ღრმად შეიჭრა მის ცხოვრებაში და აღტურება იგი იმ ყველაზე კეთილშობილური თვისებებით, რაც ოდიოთანვე შეიღვენს შრომის მოყვარე შოტლანდიელი ხალხის ამაყ ბუნებას. ყრმა ბერსი ხარბად დაეწაფა ამ დაუშრეტელ წყაროს... დამოუკიდებლად ბერსმა წაიკითხა ორი წიგნი, რომლებიც საშუაამოდ აღიბეჭდა მის მებსიერებაში: ეს იყო ჰანიბალის ისტორია და უალისის ცხოვრება. ინგლისელი დამპყრობ-

ლებს წინააღმდეგ მებრძოლი შოტლანდიელი ხალხს ლეგენდარულმა გმირმა უალისმა უღი-ვესი ვაგლენა მოახდინა ჰაბუჯ ბერძნულ-ლე-გენდის ტყეში, სადაც ერთ დროს თერმე თავს აფარებდა უალისი, ჰაბუჯი ბერძნი ხშირად და-ხეტიალობდა და საგმირო საქმეებზე ოცნებობ-და უალისის გმირული სახე ბერძნს შუდამ სიკეთისათვის, ხალხს მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდებდა. ამ პატრიოტულ-მა განწყობილებამ თავისებური ფორმა მიიღო ბერძნის პირველ პოეტურ ნიმუშებში, რომლებ-შიაც იგი სასტიკად ილაშქრებდა ფანატიკოს და ვაიძებრა კალენისტური ეკლესიის მსახურთა წინააღმდეგ. თავისი ერეტოტული შესხედლებები ახალგაზრდა ბერძნმა მკვეთრად გამოხატა ლექ-სებში „ორი მწვევსი“, „მიმართვა ეშმაკისადმი“, ხოლო ლექსით „წმინდა ელის ლოცვა“ შოტ-ლანდიელი მკვლევარი ჯალის კ. კარსტელის ზა-ტოვანი თქმით პოეტმა ნამდვილი არტილერიულ-ი იერიში მიიტანა ეკლესიაზე. ბერძნი და ე-ლესია, რომ იტყვიან, „დანასხლად“ გადაე-კიდნენ ერთმანეთს. ღვთის მსახურნი პოეტს მოუწინებდნენ კოდედილ თვლდნენ. წყველ-კრულვას უგზავნიდნენ და უქადაგებდნენ გარ-დევალ ზეტოტს მსჯავრს. ეკლესია ზელსაყ-რულ მომენტს უტლიდა, რათა ჰქუა ესწავლები-ნა ამ უღვთო ერეტოკოსისათვის. ამის დროც მოვიდა. 1785 წელს პოეტს შეეძინა უკანონო შვილი, რომელსაც მებრძოლ გმირობიანე ლექსი უძღვნა. ლექსი ბერძნის საჭვევსოდ აღიარებ-და მის მამობრივ მოვალეობას ზავშვის მიმართ. ეს კი საკმარისი იყო, რათა ეკლესიას ეს „აღ-ვირახსნილი“ პოეტი სამარცხენო საქაზე დაეს-ვა...

შამის გარდაცვალების შემდეგ 1784 წ. რომბერ-ტმა, რომელიც დააწვა ოჯახის მთელი სიმძიმე, ახალი ფერმა აიღო მოსკოლში. სწორედ ამ პე-რიოდში ეზიარა იგი დიდ და სპეტაკ სიყვარ-ტულს, რომელიც ასულდგმულზედა მას და ძი-ლვის ჰმებრდა მთელი თავისი დღეებში ცხოვ-რების მანქალზე. შემდებელი ფერმერის ქა-ლი შვილს, ჯენ არმორს, წილად ზედა ბედნიერ-ება, მისის ბერძნი გამხდარიყო. თავის მხრი-ვაც, როგორც პოეტი აღიარებდა, მისთვისაც უდიდესი ბედნიერება იყო ასეთი მოსიყვარულე და დიდსულოვანი მეუღლე. ჩემს ჯინს ოქროს გული აქვს, იტყობა ხოლმე ბერძნი, მართლაც ოქროს გულის ადამიანს შეეძლო აეტანა ყუ-ლაფერი ის, რაც მას მიანიჭა პოეტის სიყვარ-ტულში — დამცირება, გაჭირება, სიღატაკე. იშ-ვითაი ასეთი სასიყვარულო ისტორია, სასი-მამობი ჯენი გადაშალა სხვა ქალაქში, საიღა-ნიც შვილ ხმა დაირხა, რომ სხვაზე თხოვდებ-ნაო, ამ ამბავმა გული ატკინა პოეტს. პოეტის მორალურ კრახს ეკონომიური ჩავარდნაც დაე-

მატა. მას მოვალეთა ციხე ემუქრებოდა. და, აი, ბერძნმა გადაწყვიტა წასულიყო ინტრიგით და რომელიმე პლანტაციონში ემუშავა მონაწირობედ. მაგრამ, საბედნიეროდ, არ განხორციელდა ეს გეგმა, რომელიც, მისივე სიტყვებით, რომ ეთქვათ მას პლანტაციებში მომუშავე ზანგებზე მონადირის მდგომარეობაში ჩააყენებდა. მიზეზი იყო ის პატარა წილი, რომელიც 1781 წლის 31 ივლისს გამოვიდა კელმარნოკში სათაურით — „ლექსები უმთავრესად შოტლანდიურ დიალექ-ტზე“. წიგნში სულ 35 ლექსი იყო, სხვადასხვა მოსაზრებით, უმარგველს ყოვლისა, პოლიტი-კურათ, კრებულში ავტორის მიერ არ იქნა შე-ტანილი 1786 წლამდე დაწერილი ყველა ნაწარ-მოები. მათ შორის კანტატა „მხიარული ლა-ტყანი“ „წმინდა ელის ლოცვა“ და სხვა.

რადღენ მცირედაც არ უნდა მოგვეჩვენოს დღეს ამ კრებულის ტირაჟი (612 ეგზემპლარი) და პონორარიც (სამთლიან ჯამში პოეტმა 20 ფუნტი სტერლინგი მიიღო) ბერძნის ლექსების პირველ წიგნს უმავალითი წარმატება ჰქონდა შოტლანდიის ლიტერატურის ისტორიაში. „მო-ხუტეები და ახალგაზრდები. — წერს თანამედრო-ვე რ. პენორი — იდებურისი და მდამიონი, სე-რობოზული და მხიარული, სწავლანი და უმე-ცარნი, ყველანი ერთნაირად იყვნენ ილტაცე-ბულნი... თვით მოკვამაგირეები და მსახური ქა-ლებიც კი არ იშურებდნენ მძიმე შრომით აღე-ბულ ფულს, რომელიც მათთვის ესოდენ საჭირო იყო ტრანსპეციის შესაყარად, თუკი ბერძნის წიგნის შესაძლებლობა მიეცემოდათ“. პირველ პირველ წიგნს უდიდესი მორალური მნიშვნე-ლობა ჰქონდა ავტორისთვის, ბერძნმა საკუთარ თავში იგრძნო სახალხო პოეტი, მის წინ გადაი-შალა ფართე ლიტერატურული ასპარეზი, იგი სატატო ქალაქში, ედინბურგში, მიიწვიეს. ამ დროისათვის „მოლაღტე“ ჯენმა ორმავად გა-დაუხადა მას ვალი — ჯინს შეეძინა ტყეში ქალ-ვაჟი, ბიჭს შამის სახელი დაარქვეს, გოგონ-ნას კი დედის... და, აი, ბერძნმა ინახოვრა მეზობლისაგან ერთი ჯაგლავა ცხენი და გამო-ქველიო ჯიბეებით გასწია დედაქალაქისაკენ.

ედინბურგში გატარებული წლები (1786 — 88) მებრძოლ მნიშვნელოვანი პერიოდი იყო ბერძნის ციხებისაგან. მან იცოდა, რომ ეს იყო დროებით მას საარაგო აღტაცებით შეხვდა. მაგრამ ბერძნს თავებრ არ დასხმია ამ საერთო ილტაცების-გან. მან იცოდა, რომ ეს იყო დროებითი მოე-ღვნა, „მორიგი ატაქციონი“. ყვრძო წერილებ-ში იგი გამოთქვამდა აზრს, რომ მისი ტრიუმფა-ლური გასტროლი ედინბურგში მალე დამთავრ-დებოდა. პოეტის წინათგარჩობა გამართლდა. დედაქალაქის არისტოკრატისა, რომელსაც სურ-და ამ პოეტში ნაციონალისტი — რეაქციონერი, სტიუარტების დინასტიის ერთგული დანახა, იგი მალე „მოყვედა“. აქ არათურია ვასაყირო. ბერძნი თავისი დროების მიწინავე, პროგრესუ-ლი იდეების მტარებელი იყო და ამ ახალ სამ-

1 ჩემს უკანონო შვილს „ციხყარი“ № 4 — 1958 წ. თარგმანი დ. ბერძნისა.

უარსში იგი სრულიადაც არ მალავდა თავის პოლიტიკურ შეხედულებებს, რაოდენ არასასიამოვნოც არ უნდა ყოფილიყო ეს — როგორც მისი „გულკეთილი“ მასპინძლებისა და მეცენატებისათვის, ისე საკუთარი თავისთვისაც. ფრთხილი კეთილის მსურველები ამოდ ურჩევდნენ პოეტს მორიდებოდა საშინო თემებზე და ჯანრებს, გაეწმინდა ენა შოტლანდიური „ველგარჩიშებისაგან“, თემატიკა კი — „უხეში ვნებებისაგან“. თითქოს და ამის საბასუხოდ ვადმოისრავა ბერნსმა ეპიგრაფიკისპროზით — „სტერლენგში მეფის სასახლის ნანგრევების ხილვისას დაწერილი სტრაქონები“ პანოევრული დინასტიის წინააღმდეგ, რომელმაც უდიდესი აურზაური გამოიწვია ქვეყნის პოლიტიკურ წრეებში.

მედაქალაქის საზოგადოების თვალში ბერნსმა დიდად გადააქარბა როცა პოეტი სატირიკოსი რ. ფერგიუსონის ხსოვნის დასაცავად გამოვიდა. ეს ნიჟერი შოტლანდიელი პოეტი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობდა და 24 წლის ასაკში გარდაიცვალა საგუფოში. ბერნსმა როგორც იქნა მოსძებნა მსახიობი ველის დახმარებით პოეტის უპატრონოდ მიგდებული სამარხი და საკუთარი ხარჯებით მასზე საფლავის ქვა აღმართა. ამდენ პოეტმა და მოქალაქე ბერნსმა აშკარად გამოიწვია სატახტო ქალაქის საზოგადოება. პოეტსა და ელენბურგს შორის ხილდს ჩატეხვაში არა ნაკლები როლი ითამაშა კიდევ ერთმა გარემოებამ. ეს იყო პოეტის ამჟამი ბუნება, მისი შეუღრტეული ხასიათი „არასდროს არ მინახავს, რომ ადამიანი უფრო თავისუფლად დაეკრიბოს თავი ისეთ საზოგადოებაში, რომლის წევრები მასზე გაიკლებით მაღლა დგანან განათლებითაც და მდგომარეობითაც“ — იგონებდა შემდეგში ბერნსზე ვალტერ სკოტ, რომელიც პირადად შეხვდა პოეტს ელენბურგში. ელენბურგის პერიოდში ბერნსმა განახორციელა თავისი დიდი ხნის ნატერა, ვრძობდა რა თავისთავში სახალხო პოეტს, მან მოიარა მთელი შოტლანდია, საკუთარი თვალთი ნახა „მთების თოვლიანი წვერები“, „მწვანით დაფენილი სერები“, „მალაი ჩანჩქერები“. გაიცნო მშობლიური ქვეყნის ბუნება, ისტორიული ძეგლები, გაიზიარა მთიელი ხალხის ჰერო და ლინი. სწორედ ამ დროს შექმნა თავისი შესანიშნავი ლექსი „გული მთებისკენ მიიწეეს“¹, რომელიც ეროვნული ჰიმნისა სოციალური უკუღმართობის გამო სამშობლოდან გადახვეწილი ყველა შოტლანდიელისათვის.

1788 წელს ბერნსმა საბოლოოდ უარსკო ელენბურგზე, იჯარით აღიწერა ველისლენდში და დაქორწინდა ჯინ არშორზე (რა თქმა უნდა სიმამრის სურვილის წინააღმდეგ) მაგრამ ფერმამ იმედები ვერ გამართლა და იგი, 1789

წელს იგი იწვევს აქციზის ჩინოვნიკებს, რათა გამოეცხადოს ცოლშვილი. ამ ფაქტს თითქოს დისონანსს შეაქვს მის ბიოგრაფიაში. მაგრამ ბერნსი თვითონვე შეინიშნავდა თავისთავზე ველის ტკივილთ — ბერნის დაბადებით ლატაიი იყო აუცილებლობით კი ჩინოვნიკი. ეს იყო მეტად მძიმე სამუშაო, მას ყოველ კვირა, ყოველგვარ ამინდში უნდა გაეგლო 200 მილი და შეემოწმებინა ლედისახადები, ლენის სარდაფები და სხვა. პოეტის ერთი ბიოგრაფისი არ იყოს აი, ვისთვის ვერ გამოინახა ქვეყნად უკეთესი საქმე, ვიდრე ბრძოლა კონტრანდისტიკებთან და მეღვინეებთან, ლედის კასრების ზომვა-გასინჯვა და სხვ. არა ადამიანურმა შრომამ და ზეტილობამ მას შესაძლებლად განუვითარა ძლიერი სენი, რომელმაც საბოლოო ჯამში გამოიწვია მისი ნაადრევ სიკვდილი. შორეულ მგზავნიდან დაღლილ დაქანცულ ველისლენდში ვერ შეეგებებოდა თავისი სათაყვანო ჯინი და ბავშვები, არც თბილი ბუხარი დახედებოდა. თვალდაპირველად ბერნს ფერმეში სახლი არ ჰქონდა და ცოლშვილი ისევ სიმამართან ჰყავდა მოსვილში. ჩამოჯდებოდა პოეტი თავის ნესტიან და ცვალით გამკვარტლულ ფარდულში, რომელიც ქარსა და წვიმას დარჩენიდა სათარეშოდ, და მხოლოდ ფიქრი და ოცნება საყვარელ ჯინზე და ბავშვებზე ასულდაგმულზედა მას ამ საშინელ მარტობასა და არა ადამიანურ მდგომარეობაში. სწორედ ამ დროს შეიქმნა საუკეთესო ლექსები ჯინზე. ერთ-ერთ მათგანში პოეტი ქუება-დიდებას ასხამს დამავლეთის ნიასს, რომელიც მოსვილენდს ამოქრის და მას საყვარელი მეგობრის შესახებ ეტრატულდება.

1791 წელს ბერნსი მთელი ოჯახით გადასახლდა ქ. დამფრიზში და ნავსადგურში მოეწყო აქციზის ჩინოვნიკად. ეს იყო წლები საფრანგეთის ბრეტანაზელი რევოლუციისა, რომელსაც ბერნსი უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა. ბერნსს, ეროვნებით შოტლანდიელს, რომლის სამშობლო საუკუნეების განმავლობაში ინგლისელი დამპყრობლების ფეხქვეშ გმინავდა, არ შეეძლო არ გამსპვალეული თანატარბობით თავისუფლები-სათვის მებრძოლი ყველა ხალხისადმი. თავის აღფრთოვანებას იგი არსად და არასდროს არ მალავდა. ერთხელ, დამფრიზის თეატრში ორკსტრი ოფიციალურ ჰიმნს — „ღმერთო ჰეარვიდე მეფისა“ ასრულებდა. ბერნსმა მუსიკოსებს ხმაშალა შესძახა უკეთესი „Ca ira“ და ეტყობათ. ხოლო 1792 წლის თებერვალში, რაცა მისი მეთაურობით განიარაღებულ იქნა კონტრანდისტიკული ზომადები „როზამუნდი“ ბერნსმა შეისყიდა ამ ზომადის ქვეშეხები და ისინი საფრანგეთის რევოლუციურ მთაურობას ვაუტუზავდა. ქვეშეხები, რა თქმა უნდა, ინგლისელებმა დაკავეს დუვრში; ხოლო ბერნსი ადგილობრივმა ხელისუფლებამ დამფრიზში არსებული ანტისახელმწიფოებრივი პარტიის მეთაურად მიიჩნიეს. დაიწყო გამოძიება, დაკითხვები, ახსნა-

¹ „გული მთებისკენ მიიწეეს“ მწათობი № 1 — 1939 წ. თარგმანი გ. ვაჩეჩილაძისა.

განმარტებები, პოეტმა ძლივს შეინარჩუნა თავისი ადგილი... საფრანგეთის რევოლუციის დაუწყებარ დღეებს უძღვნა პოეტმა ცნობილი ლექსი „თავისუფლების ხე“, რომელშიც იმედს გამოთქვამდა, რომ ეს ხე თავის ფოთლებს ოდესმე ბრიტანეთშიც გაშლიდა. ამავე პერიოდს მიეკუთვნება უაღრესად პატრიოტული ლექსი „ბერსი — შოტლანდიელებს“, ლექსი წარმოადგენს თავდადებული შეფის მიმართვის თანამემამულეებისადმი.

„შოტლანდიელნო, მკვიდრო ძენო გიბრ
უალისის
თქვენ, ვისაც ოში ბრუსი გუყვება მხენ
წინამძღოლად.
ან გამარჯვება მოიპოვეთ უბრწყინვალესი,
ან ბრძოლის ველი გაიხადეთ შედვი
საწოლად“¹.

ამ ლექსს ხშირად უწოდებენ „შოტლანდიის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ჰიმნს“, „შოტლანდიურ მარსელიოსას“.

...სიცოცხლის ბოლო წლები მერად გაუმწარდა ბერსსი. იგი ძალიან დასუსტდა, ვახლადევი ძნელი საყნობი იყო. მეგობრები გრძობოდნენ, რომ მათ წინ მომავლადი პოეტი იდგა. „პოეტის ძველი თანამგზავარი სიღარიბე — წერდა ბერსი — ვეფიქრობ რომ საფლავამდე გამოცილებსო“. მართლაც შოტლანდიის სახალხო პოეტს სიყვდილის წინ იმის საშუალებაც არ ჰქონდა, რომ გადაეხადა ერთი ტუტეტი მკერავის ვალი, სულ რაღაც 7 ფუნტი. და ამ მომავლადემა ბერსსმა პირველად დაიმკირა თავი და 5 ფუნტი თხოვა შოტლანდური სიმღერების გამოცემელ ტონსონს, რომელსაც იგი თავის ლექსებსა და სიმღერებს უსასყიდლოდ უგზავნიდა. მხოლოდ უკიდურეს გაჭირვებას შეეძლო აქამდე მიეყვანა პოეტი.

16 იელის საეგზეთ დაუძღვრებელი და მისუსტებული დაბრუნდა იგი საზღვაო ამაზანებლიან. უკანასკნელი წერილი მისწერა სიმამრს, თხოვდა ეხრუნა ჯიხზე, რომელსაც დღეს-დღეზე უნდა მოელოგინებინა. 21 იელის, ვანთაილისს იგი ხმამაღლა უხმობდა მამა ვილ-ბერტს და წამოდგომა სურდა. მალე მომავლადევის ოთახში შეიღობა შემოიყვანა მამასთან გამოსათხოვებლად, მაგრამ ვეინა იყო. ავად მყოფმა გონება დაკარგა და დილის 5 საათისათვის განუტევა ტანჯული სული. ჯიხ არმოტემა სწორედ იმ დღეს შობა მეხუთე შეილი, რომელიც პოეტის სხეული მიწას მიიბარეს.

მეფარაი ისეთი ჭეშმარიტი სახალხო პოეტი მსოფლმხედველობით, მხატვრული ენითა და მეთოდით, და რაც მთავარია, პირადი ცხოვრებით, როგორც ბერსსია. ამიტომ სამართლიანად უყვამ ბ. პოლვეიომ — „არა მგონია თავის ხალხში პოპულარობის მხრივ რომელიმე პოეტთავანი, თვით უდაღესიც კი შეედრებოდეს ბერსსს“.

ბერსი შოტლანდიელებისათვის უფრო მეტად ვიდრე უდაღესი პოეტი“. მის წიგნებს ხალხოფრეცლებად ხედა, იტაცებდნენ ამ ფრეცლებს, კითხულობდნენ, ზეპირობდნენ, შემდეგ კი ერთმანეთს უცვლიდნენ, ხოლო ვესლიან სატირებსა და ეპიგრამებს გზის პირა ეკლანი ბუჩქებზე აკრავდნენ რათა ყველა გამვლელს ეცინა გულქვა შემამულეებისა და ეკლესიის მსახურებზე. პოეტის კუბოს 12 ათასი შოტლანდიელი გვლენ-კაცი მიაცილებდა. ვინ იქნებოა აწი ჩვენი პოეტი კითხულობდნენ გულმოკლული გვლენები.

ხალხმა აღზარდა ბერსი, აღზარდა თავის პოეტად. ამიტომაც სწორედ ხალხს მიუძღვნა მან მთელი თავისი პოეტური მადლი, მთელი თავისი ხანმოკლე სიცოცხლე. მისი პოეზიის გმირი უბრალო გვლენ-კაცია, პოეტთან ერთად რომ გადიოდა მინდვრად სამუშაოზე. საღამოობით კი მასთან ერთად შემოუჯდებოდა ერთ ჭიქა ლუღს სამიკტანოში, მზიარულობდა, სეამდა, ცეკვავდა და სიცოცხლისა და სოფლის ფეხშიშველა გოგონების სიყვარულს უმღეროდა. აქ უშუალოდ ხალხის გულში მინდვრად მუშაობისა თუ საღამოობით მზიარულების დროს იჭმენებოდა მისი პოეტური ნაწარმოები, რომლებსაც იქვე ზეპირობდნენ და მღეროდნენ. ნოემბრის ერთ საღამოს პოეტი სამიკტანოში იჯდა და იქ მუხედვრად მზიარულ საზოგადოებას შესუქვაროდა. ვის არ ნახავდით აქ; მოხეტიალე ტაემასხარას, წვერებიან მვეიოლენს თუ დასახირებულ ჯარისკაცს. მათმა მზიარულებამ და ოპტიმიზმმა აღაფრთოვანა პოეტი და რამოდენიმე დღეში მან შექმნა ცნობილი კანტატი „მზიარული ლატანი“. ბერსი არა მარტო მსოფლმხედველობითაა სახალხო პოეტი, მისი მხატვრული მეთოდიც მკვიდრო კავშირშია ხალხური შემოქმედების ტრადიციებთან. იგი ხშირად ახალსიტყვებს სწერდა უყვე არსებულ და ცნობილ ხალხურ მელოდიებზე. ან ზეენი ვეასი არ იყოს საკუთარ პოეტურ ქერამი გადაამუშავებდა ხალხურ თქმულებებს. გულმხურვალე პატრიოტი ბერსი დიდი ენთუზაზმით მონაწილეობდა ხალხური საუნჯის შეგროვება-გამოცემის საქმეში.

ასლანიშნავია ბერსის როგორც პოეტის მეტად ორიგინალური მეთოდი. (ჩვენი ღრმა რწმენით, ამის ვაერყე წარმოუდგენელია პოეტი. ასეთი მაღალი ენება). სახალხო პოეტის ყოველი ლექსი უნდა იქცეს სიმღერად. ასე სწამდა ბერსსს. ამიტომაც იგი ყოველთვის მუსიკით იწყებდა. ამოირჩევა რომელიმე მელოდიის ან თვით შეთხზავდა და კარგა ხან ლიღინებდა თავისთვის. მუსიკალურ ვადამღერებაში ხედავდა ლექსის რიტმის ფუძეს. „სანამ მე სავსებით არ დავისწავლი მელოდის და არ ვიმღერებ ისე, როგორც კი მე შემიძლია საერთოდ სიმღერა, მანამდე ვერც ლექსს დაწვირო. იტყოდა ზოლმე პოეტი. ამიტომაც არის მისი ლექ-

¹ თარგმანი ვენერა ურუშაძისა.

სები ასე მელოდიური. ბერნისის ლექსს არ სწორდება რაიმე მუსიკალური ფონი, იგი ისედაც საამო მოსასმენია, რადგან როგორც ჩვეულებრივი მუსიკალური ნაწარმოები თავის თავში მოიცავს საკმაოდ ხმატკბილ ქლერადობას. ამაში ყველა დავკეთაანხმება ვისაც შეუძლია სახედნიეროდ ორბიანაში ვაეცნოს მის ლექსებს. ამიტომ მდერთან შოტლანდიელები დიდი ერთგული სიახაყის ბერნისის სიმღერებს. ამ მხრივ ბერნისი მათთვის იგივეა რაც ბერანდე ფრანგებისათვის, პეტრევი უნგრელებისათვის.

ბრენის ღრმად სწამდა იმათი, ვისაც უმღეროდა. მას ღრმად სწამდა ხალხის დიდი შემოქმედებითი ძალა (ლექსი „ჯონი ჭერის მარცვალი“) ამიტომ წარმოდგენილი ჰქონდა კაცობრიობის უახლოესი ნათელი მომავალი. („პატიოსანი სიღარიბე“) პოეტი უმღეროდა სიყვარულს. როგორც უდიდეს ბედნიერებას შერთმელი კაცის დუხპირ ცხოვრებაში. ჭემა-დიდებას ასხამდა სოფლის გოგონებს, რომლებიც შთელი დღე მუშაობდნენ მინდვრად, საღამოობით კი ხედებოდნენ თავიანთ გულის სწორებს, უყვარდათ ისინი თავდათქვებით და არც მალავდნენ ამ სიყვარულს.

„სამარადისოდ დამტოვე, ჯემი
მარტო მიმტოვე
ჯემი, ცოდოა თბლობა ჩემი

ჩემი სიმარტოვე“ 1.

ზოგჯერ ასე სევდიანად მღეროდა პოეტი, მაგრამ რა იქნებოდა სიყვარული ამ სევდისა და კაემანის გარეშე!

ბიოგრაფიული

ბერნისის პოეზიის ღრმა ემოციურობამ და ლირიზმმა ერთნაირად მოხიბლა მარტისი, გოეთე, ბაირონი, ჰაინე, ლერმონტოვი, შევჩენკო და სხვები, რომლებიც მოგადოებულნი იყვნენ მისი გენით და ამ „ეიერელ გუთნის დედას“ უდიდეს პოეტად აღიარებდნენ. ერთმა პატრიცემულმა ჭარბველმა პროფესორმა თავის ლექციების კურსში ბერნისს შოტლანდიელი ვაჟა-ფშაველა უწოდა. მართლაც რამდენი საერთოა მთის ამ ორ შვილში, ამ ორ დიდ პოეტში.

ბერნისი და ვაჟა — კარგა ხანია ეს ვალი აწვეს ჩვენს ლიტერატურას და დროა მოვიხადოთ იგი.

რა შესანიშნავად თქვა ტურგენევი — ბერნისი პოეზიის ანკარა წყაროა.

გაიარა წლებმა ახალი თაობები ხარბად დაეწაფნენ ამ წყაროს.

გავლის წლები. იგივე განმეორდება, მაგრამ ეს მაღალქემანური პოეზიის დაუშრეტელი წყარო მარად იზუხუხებს ამაყად აზიდულა მთების გულიდან, სანამ აღაშინს არ დაუკარგავს მზის და სიცოცხლის სიყვარული.

1 ქართულ ენაზე ეს ლექსი შესანიშნავად თარგმნა ფ. ბერიძემ. იხ. „უცსკარი“ № 4, 1958 წ.



„ტოლდოელი ებრაელი ქალი“

(ლიონ ფოიბტვანგერის გარდაცვალების გამო)

1955 წელს დასავლეთ გერმანიაში როვოტის გამომცემლობამ გამოაქვეყნა ლიონ ფოიბტვანგერის რომანი — „ესპანური ბაღადა“. 1956 წელს იგივე რომანი დემოკრატიული გერმანიის გამომცემლობამ — „აუფბაუმი“ ტოლდოელი ებრაელი ქალის¹ სახელწოდებით დაბეჭდა. ლიონ ფოიბტვანგერის ნაწარმოებებს ჩვეულებრივ ორი, ზოგჯერ უფრო მეტი, სათაურიც აქვთ ხოლმე. ასე მაგალითად, ერთსა და იმავე რომანს სხვადასხვა გამოცემის მიხედვით ჰქვია: „იარალი ამერიკისათვის“, „ამაყი განგება“ და „მეღვინე ვენახში“; ერთი და იმავე ავტობიოგრაფიული ნაწარმოების სახელწოდება: „უხიავი საფრანგეთი“ და „ეშმაკი საფრანგეთში“ და ა. შ.

ერთ-ერთ წერიალში, რომელიც მე ფოიბტვანგერს გავუგზავნე, ვკითხებოდი მას ამ საქმიან უცნაური ვითარების მიზეზს. მწერალმა ასეთი პასუხი გამცა: „ჩემს წიგნებს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სახელწოდება რომ აქვთ, ამის მიზეზი ისაა, რომ ყოველი გამომცემელი ისეთ სათაურს ირჩევს, რომელიც მას თავის ენობრივ სამყაროში ყველაზე მკაფიოტრად და გასაგებად მიაჩნია“.

...„ტოლდოელი ებრაელი ქალის“ სიუჟეტურ საფუძველს წარმოადგენს ისტორიულად დადასტურებული ფაქტი: ტოლდოელი ებრაელი ქალის რაკელისა და კასტილიის შეფის, ალფონსო მე-მ-ის სიყვარული. ეს სიუჟეტი ლიონ ფოიბტვანგერამდე მრავალ მწერალს დაუშვავებია. არსებობს ალფონსო ბრტენის ქრონიკა (1284 წ.), შემონახულია, აგრეთვე, რომანები ამ სახელისწიურ ტრეგემაზე, მაგალითად, ლორენსო დე სეპულედასი (1551 წ.). ეს ამბავი თავისი ნაწარმოებების სიუჟეტად ადღიათ ზუან პავტისტა დამანტეს (დრამა „ტოლდოელი ებრაელი ქალი“, მე-17 საუკუნე), ვინტე დე ლა პერტას (ტრაგედია „რაკელი“, მე-18 საუკუნე), ფე კასოტს (შემონახულია მე-18 საუკუნის ამ ფრანგი მწერლის ნოველა რაკელისა და ალფონსოს მიჯნურობის თემაზე). მაგრამ ყველაზე ცნობილია ლოპე დე ვეგასა („მშვიდობა ხელმწიფეთა და ტოლდოელი ებრაელი ქალი“) და ფრანც გრილბარცერის („ტოლდოელი ებრაელი ქალი“) დრამები.

თითქმის ყველა ზემოდასახელებული ნაწარმოები სიუჟეტს ქრისტიანული თეატრისტიკის მიხედვით ამუშავებს: მეფე ისჯება ილარკოსთან ბრძოლაში დამარცხებით (1195 წ.) იმის გამო, რომ ის ებრაელ ქალს დაუჯავშირდა, ლოპე დე ვეგა ცდილობს ეს შეცოდება შეარბილოს; იგი მომავლად რაკელს ქრისტიანობისკენ მოაქცევს, ლოპე დე ვეგას დრამის მთავარი გმირი ალფონსოა და ნაწარმოების ძირითად შინაარსს მისი დაქვამა და მორალური „აღდგომა“ შეადგენს.

ფრანც გრილბარცერის ტრაგედიის მთავარი თემა ზნეობასა და მგრძობილობას, კონუნებასა და გრძობას, მოკალეობასა და პირად სიამოვნებას შორის განილი კონფლიქტი: აჭაი ცენტრალური პერსონაჟი ალფონსოა.

ლიონ ფოიბტვანგერის რომანის მთავარი გმირი რაკელის მამა, იეჰუდა იბნ ეზრა 1, ბრტენი პორტიკოსა, ფინანსისტი და ვაჭარი, და ნაწარმოების ძირითადი თემა იეჰუდას ბრძოლა მშვიდობისა, ინტერნაციონალიზმისა და რეკლამურიწარებლობისათვის, რაც ვგოდენ დამახასიათებელია ლიონ ფოიბტვანგერის დადებითი პერსონაჟისათვის, საერთოდ.

ნაწარმოების ძირითადი თემისა და ცენტრალური პერსონაჟის შეცვლამ ძირითადი ცვლილებები გამოიწვია თვით პერსონაჟთა ხასიათში. ლიონ ფოიბტვანგერამდე ყველა ავტორი, თუ შეიძლება, ასე ითქვას, ალფონსოს მხარეს იჭერდა, და მისი ინტერესების პოზიციებიდან გამომდინარე, ფოიბტვანგერმა პირველმა დაუქვია მხარი რაკელს და მამამისს. ამან გამოიწვია ის, რომ თუ სხვა ავტორთა ხელში რაკელი მაკდონრი, პირად ზედწინებამასა და სიამოვნებაზე მზრუნველი ქალია, ხოლო მამამისი ტრადიციულად შემწვავებული ხარბი, ძუნწი, წუწურაჭი, ჯაბანი ებრაელი ვაჭრის ტიპი, ფოიბტვანგერის

1 იმ დროს, როცა ყველა ზემოჩამოთვლილ ნაწარმოებში ებრაელ ქალს რაკელი ჰქვია, განსხვავებულია რაკელის მამის სახელი: დამანტეს დრამაში, აგრეთვე კასოტის ნოველაში, მას რუბენს ეძახიან, ლოპე დე ვეგა ებრაელი ქალის მამას დაუიოს არქმევს, ხოლო გრილბარცერის ტრაგედიაში ებრაელ ვაჭარს ისაიას უწოდებენ.

რომანში რაცელი კეთილშობილ, ჰეილი, უაღრესად სიმპათიურ ქალად, ხოლო იეპედო სულგრძელ, ბრძენ, დარბაისელ, ხალხისა და ქვეყნის ბედზე მზრუნველ სახელმწიფო მოღვაწედ იჭყა.¹

...ტოლენჯოელი ებრაელი ქალის² მოქმედების არე მე-12 საუკუნის მიწერულის ესპანეთში, კასტილია, ქალაქი ტოლედო. კასტილიის მეფე ალფონსო მე-მე ჩაუქი და კისკასი რაინდა, მეომრის სიქველე მის შამაქაის უდიდეს ღირსებად მიანიდა, ომში გამარჯვება — უდიდეს პატივად. არის რაღაც ალფონსო მე-მისა და საერთოდ, რაინდთა პირიქეებებში მომხიბლველი და მაცდუნებელი, ეს, ალბათ, მათი დარღვევად და ჩასაძნობაა, მათი უგონო სიმამაცე, თავზეხელაღებული და ანგარიშმოციემელი გამბედაობა ანდა თეთი უყოღრესი ვანსაცუდელის, თუ შეჭირვების ეაშს ოზრულობის უნარის შენარჩუნება. რომანში ასეთი ამბავია მოთხრობილი: დასტაქარის მავლადზე წევს ცნობილი ტრუბადერი და რაინდი, თავზეხელაღებული აშკა და დაუნდობელი ქილიკი ბერტრანდ ბარდა. მის ხელი უნდა მოქვედონ... მოთხრობის დამწერარი ხორკის სენი დგას, ტრუბადერს ეამიდან ეამზე გული უღონდება, ყვირილსა და კენესას ძლივს იყავებს, არაადამიანური ტყეობლი ტვის უბერტეს და მაინც თავის საუბრეულ-მტირთველს ახალი ლექსის სტრიქონებს კარნახობს...

...ქრისტიანულ ტოლედოში მგობრანულ სევდიდან მოდის ებრაელი ვაჭარი იბრაჰიმი, რომელიც ალფონსოს ფინანსთა მინისტრი ხდება. აქ იბრაჰიმი, რომელიც 40 წლის ვანსაცულობაში იძვლებული იყო ყოფილიყო შამადანი, უბრუნდება ებრაელთა რჯულს და იბრუნებს თავის ნამდვილ სახელს იეპედლას. მგობრამ 40 წლის მუსლიმანობამ თავისი კვალი დააჩინა იეპედო იბნ უზრას, მრავალი რამ შამადაიანური, კულტურისა, რელიგიისა და ადამ-ბევეებისა მან შეისახლბორცა და შეითვისა. თვითონ იეპედო აშბობს ვრთავს, რომ ზოგიერთი შამადაიანური წეს-ჩვეულება მეორე კანონით ვადამეკარაო. ღიონ ფიოტვანგერს, საერთოდ, უყვარს

ორ კულტურას, ორ რელიგიას შორის მდგარი აღმართის ტრაველიც ასახვა. ებრაელ და რომაულ კულტურათა და რელიგიათა შეჯახზე მერყეობს და იტანჯება იოსებ ფლავიუსი („იოსების“ ტრილოგია). ისრაელისა და ებრაელობის შორის გაორკებას ვანიცდის იეფთაე („იეფთაე და მისი ასული“). იეფთაელი ქერქში იოსებ ბენ შათაის რომელ რელიგიას იღებს და იქცევა იოსებ ფლავიუსად, ბოლოს კვლავ იეფთაელობას უბრუნდება. ასევე, იეპედოც ებრაელობიდან შამადაიანობაში გ:დავია, ბოლოს კვლავ ებრაელობას მიუბრუნდება.

ღიონ ფიოტვანგერს უყვარს თავის რომანებში, აგრეთვე, სიტუაციების გამეორება. იოსებ ფლავიუსის ვაჭი, პაუღუსი რომელი ოფიცერი და უკიდურესი ანტირემიტი ხდება იოსებ ფლავიუსი იტანჯება, რომ თავისი შეილი ვერ აღზარდა ინტერნაციონალიზმის სელისკვეთით. (იეპედას ვაჭი, ალაზარი ქრისტიანობას მიიღებს, რაინდად ეყრთხება და „ურჯულთა“ წინააღმდეგ ბრძოლაში იღუპება. იეპედო იტანჯება, რომ თავისი ვაჭი ვერ აღზარდა სისხლისღვრისა და რაინდული ცრუ პატივმოყვარობის საწინააღმდეგო სელისკვეთით.)

...იეპედო იბნ უზრა ინტერნაციონალური და ტოლერანტული განწყობილებების სახელმწიფო მოღვაწეა. აგრეთვე, მის სუჯრა, რომ შოლოდ მშვიდობიანი თანაცხოვრება იყავებებს სახელმწიფოებს როგორც ეკონომიურად, ისე კულტურულად. ის შეგნებულ, პრინციპულ და თანმიმდევრულ სამშვიდობო პოლიტიკას ატარებს. იეპედას წყალობით კასტილიაში ვითარდება ხელისნობა, მრეწველობა, სოკლესი მეურნეობა, სწორდება ქვეყნის ფინანსური მდგომარეობა. მაგრამ ფინანსთა მინისტრის ღონისძიებანი წინააღმდეგობას იწყებდა ხოლმე: იეპედას ცხოვრება უხდება ადრეულ შუა საუკუნეებში, რაინდობის ხანაში, ღიონდალურ კონკაობათა და შინაომების ეპოქაში. თვით მეფე, ქვეყნის პირველი რაინდი, სომარ სიქველესი შამაქაის ყველზე დიდ ღირსებად რომ მიიჩნევს, ასე იოლად არ დათმნდება ხანგრძლივ მშვიდობასა და უომრობაზე. ის ბორგავს, დრტეინავს, ვერ შეგუდება ასეთ „უმოქმედობასა“ და გულზედუჯრევილობას³, ყველანი „წმიდა ომში“ (ჯვარისნულ ლაშქარბაში) არიან ჩაბმულნი, ის კი დიაციით დამჯარა სახლში...

... მაგრამ ქვეყნის სასარგებლოდ ხდება ისეთი რამ, რაც კასტილიის ერთხანს, დროებით მაინც დაავსენებს ომებისა და ბრძოლებისაგან, ალფონსო მე-მ შეგნდება იეპედას უღამაზეს ასულს-რაიკლს, რომელსაც ზედმეტ სახელად ფერმონას (შვენიერს) ეძახდნენ, და იგი თავზე მეტად, ქვეყანაზე მეტად, თვით რაინდულ

¹ თუმც, სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ ფიოტვანგერი არ ახდენს იეპედას მეტისმეტ იდეალიზაციას: მისთვის მთლად უცხო არაა პატივმოყვარეობის, გულზედალობის, ტრაზების, ვარკვეული ეგოიზმის, საკუთარი თავის გამოჩინების ცდუნება.

² როცა აჭრელები შემოიპრენ ანდალუზიაში, ებრაელები ქრისტიანულ ესპანეთში გიბიზნენ. ასევე მოიქცნენ იეპედას ნათესავები, მაგრამ 13 წლის ყმაწვილი იეპედო სევილაში დატოვებს, დაეაღებს შამადაიანობის სივლიდა და ამით ქონების შენარჩუნება.

პატრესა და სიჭეღაღე უფრო შეუყვარდება. კასტილიის მეფეს დაიფიქრებდა საყუთარი თავი და ისიც, რომ იგი რაინდია, დაიფიქრებდა სხ. ხელმწიფი, პოლიტიკა, ხელისუფლება, აწმინდა ომი“ და ყველაფერი, რაც რაკელთან არაა დაკავშირებული.

სიყვარული ამქვეყნად სებადასება აღმზანს სხეიდასხეაგვარად ეწვევა ხოლმე. ზოგს იგი ანახლად, მოულოდნელად და ერთბაშად შეეფრთება ამოვარდნილი ქარისხალივით და ღაღარავით შემოვრთება ბრძნე. ზოგს კი თანდათანობით, შემპარავად მოედება სიყვარულის ნელი ცეცხლი აუგზგიზებლად... ასე დაეპარათა აღფონსოდაც. ებრაელი ქალისადმი ტრფობა მის სამუშაოვით არ დასჯებდნენ, სიყვარული მას ზღვის თბილი, ნელი ტალღებივით შემოედო... რომანოს პირველ ნაწილს ეპიგრაფებად უძღვის ნაწყვეტი აღფონსი ბრძენს „შთავარი ქრონიკადან“ და ლორენცო დე სებალვედას რომანსი, რომელნიც ქმნიან ნაწარმოების დასაწყისის ძირითად განწყობილებას:

„მეფეს გზნებით შეუყვარდა ერთი ებრაელის ქალი, რომელსაც „ფერმოზა“, „შვენიერი“ ერქვა და მეფემ დაიფიქრა ცოლი თვისი“

„ტოლდოს მიღიოდა აღფონსი დედოფალითურთ, ახალგაზრდა, შვენიერი დედოფალითურთ, შავრამ ტრფობა კაცს აბრმავეს,

და მას შეუყვარდა ებრაელი ქალი და ქალს ერქვა ფერმოზა. დაიბ, ფერმოზა ერქვა მას — „შვენიერი“, დაიბაც ღირსი ამ სხეილის და მის გამო მეფემ თვისი დაიფიქრა დედოფალი“.

...იგუბდა ახერხებს გარკვეული კანონების გამოშვებით ფეოდალთა უფლებების შეზღუდვას გლეხებისა და მოქალაქეების სასარგებლოდ. ფინანსთა მინისტრი, ცხადია, მდგომარეობას უფრთხობს ებრაელებს. რასაკვირველია, იეჰუდა ფეოდალურს გადაიმტერებს, უწინარეს ჯოჯოსა კი, დედოფალს, დონა ლეონორს, რომელსაც ქმარი წარსტაცა მისმ, ქალიშვილმა.

რაკელი ღირსეული შეიღია მამისა: დანჯი, აუნქარებელი, ინტელექტუალური, განმსჯელი, შავრამ ის ქალია მინც და შობიბლება აღფონსის უძეილი, ფიცხელი, ოდნე ავანტურისტული, ოდნე დემონური ბუნებით. აღფონსის შვედურ თავგანწირვაში, მის, ზოგჯერ უმზინო, გმირობაში არის რაღაც მიწიბდეული, რაღაც იდუმალი, გაუცნობიერებელი სიშპათის აღძვრელი. — მით უმეტეს, ქალისათვის... და შეუყვარდება ერთმანეთი ქრისტიან მეფეს, ქრისტიანი რაინდთა მეთაურს და ებრაელ-ქალს, „ურჯულო“ ფერმოზას.

რომანოს შკოტე ნაწილს ეპიგრაფებად უძღ-

ვის აღფონსო ბრძენისა და ლორენცო დე სებალვედას ეს სტრაქონები:

„და ებრაელ ქალთან ჩააცვტა დონს აღფონსო შეიღი წელი და აღარ უტყპრის/სტატობთ თავზე, არც სახელმწიფოზე, არაფერი აღარ ენადლეუბოდა მას“.

(აღფონსო ბრძენი „შთავარი ქრონიკა“).

„შეიღ წელს იყო ჩაყვტილი დონ აღფონსო ქალთან ერთად, ერთმანეთს არ შორღებოდნენ, და უყვარდა მეფეს ქალი ისე ძლიერ, რომ აღფონსომ სახელმწიფოც, თავის თავიც ერთიანად დაიფიქრა“.

(სებალვედას რომანსიდან).

იგუბდა იმ ეზრა მეფეს სთავაზობს მშვიდობიანობის, რელიგიური შემწყვარებლობის და ინტერნაციონალიზმის გზას, ხოლო ფეოდალები აღფონსოს ომებისა და დაპყრობებისაკენ უბიჭებენ. იგუბდას შმარს უღგანან ქრისტიანი მღვდელი როდრიგო და მაქსადიან ეჭმი მუსა. განსაკუთრებით საინტერესო პიროვნებაა მუსლიმანი მუსა იბნ დ'აუდი. მუსა უაღრესად განსწავლულია, ბრძენი და სულგატელი. ის მთლიანად განათავისუფლებულია ნაციონალიზმი, რელიგიური და რასობრივი ცურწყმენებისაგან. მისი რელიგიური ტოლერანტობა ათეიზმს უახლოვდება. მუსასათვის უმაღლესი ნეტარება ამქვეყნად შემეცნებისაგან მონიჭებული სიამონებაა. ის ერთგან ამბობს: „დაიდა საბარული სიყვარულსა, მეგრამ ეს მინც ყრუ, დაშული სიამონებაა, ვერ შეეღება სიყვარულის ტებობა, ძიებისა და შემეცნების ნათელ ნეტარებას“.

როგორც ცნობილია, ლიონ ფოიბტენგერი თავის რომანებში ჩვეულებრივ ასახავს კონფლიქტს აზროვნებასა და მოქმედებას „სულსა“ და „საქმეს“, მჭერტელობასა და პრაქტიკას შორის. თავის ბოლო ნაწარმოებებში მწერალი ცდილობს მიაღწიოს სინთეზი „სულსა“ და „საქმეს“, აზროვნებასა და მოქმედებას შორის. ასეთ პარზონიულ პიროვნებად გვევლინებიან, შავალითად, ბომარშეს („მელიები ვენახში“), გოია („გოია“), იაკობინელები („რუსო“), შავრამ მინც ლიონ ფოიბტენგერს თავისში მთლიანად ვერ აღმოუფერია სიშპათი ცალმხრივი სულიერობისა და მჭერტელობისადმი. ასე, შავალითად, ბომარშეს საპირისპიროდ ავტორის განსაკუთრებული სიყვარული სარგებლობს ფრანკლინი („მელაბი ვენახში“), რომელიც უფრო აზროვნებასა და „სულიერობის“ კაცია, ვინემ მოქმედებისა და საქმისა.

ასევე საგანგებო სიბოთი აღწერს ფოიბტენგერი მაქსადიან ფილოსოფოსსა და სწე-

ლულ მუსსა, რომელიც პასიურობის, უმოქმედობის, მკერტელობის, ცალმხრივი სელიფრობის მომხრეა. რომანში საქმის, მოქმედების კაცდ აღფონსო მე-8-ე ვეველინება, რომლისთვისაც უცხოა მკერტელობა და აზროვნება. „საქმისა“ და „სულის“, მოქმედებისა და აზრის სინთეზი თითქმის იეპუდა იზნ ეზარშია მიღწეული. მაგრამ, იმ დროს, როცა აღფონსო უამრავი ადამიანური ცოდვილებითა და ნაკლოვანებებითა აღსავსე, და არც იეპუდა არა მთლად თავისუფალი ზოგიერთი ბიწიერებისა-გან, სამაგიეროდ, „სულის“, აზროვნების კაცდ მუსა ზნეობრივად სრულიად სუფთაა, გონებრივად ამაღლებული და გრძობებით დახვეწილი.

• მისამადამე, მიუხედავად იმისა, რომ ლიონ ფოიბტავაგერმა ადამიანში უდიდეს მიღწევად აღიარა „სულისა“ და „საქმისა“, მოქმედებისა და აზრის სინთეზი, მაინც მისი ფარული, შეუსაძლოა, გაუცნობიერებელი, სიმპათია „სულის“ ადამიანების, მკერტელების, უმოქმედო მოაზროვნეების მხარეზე დაჩნდა.

...როგორც სამართლიანად აღნიშნავენ, „ტოლედოელი ებრაელი ქალი“ ლესინგის „ნათან ბრძენსა“ ეხსიერება. ორივე ნაწარმოებში ასახულია ჯეგაროსნული ომების ემოქა და ორივეგან უკიდურესი რელიგიური ფანატიზმისა და შოეინზმის ეითარებაში გამოყვანილია ბრძენი ებრაელი მოხუცი, მშვიდობისმოყვარე, ხალხთა შორის თანამშრომლობისა და თანხმობისათვის ემბრძოლი, რელიგიური შეწყყნარებლობის მომხრე და ჰუმანიტი. „ნათან ბრძენის“ უბეველ ასოციაციას იწვევს მუსა იზნ დ'აულის შემდეგი ნათქვამი:

„მე 3 რელიგიის შორწმუნე ვარ... ყოველი იათგანს აქვს თავისი კარგი მხარე და ყოველი მათგანი ზოგ ისეთ რაიმეს გვასწავლის, რის რწმენისაც გონება ეურჩება“. ისევე, როგორც „ნათან ბრძენში“ გამოყვანილია 3 რელიგიის 3 სხვადასხვა წარმომადგენელი (ნათანი, სულადინი და რაინდი), „ტოლედოელ ებრაელ ქალშიც“ იუდაიზმს, მამულიანობასა და ქრისტიანობას იეპუდა, მუსა და როდრიგო წარმოადგენენ.

• „ტოლედოელ ებრაელ ქალშიც“ წარმოებულს დავა, თუ რომელი რელიგიაა ყველაზე უკეთესი.

„ნათან ბრძენის“ ერთ-ერთი პერსონაჟის, ფანატისკოსი, შოეინისტი, კაცთმოძულე ებრაელისათვის პატრიარქის პარალელური პერსონაჟია ფოიბტავაგერის რომანში ტოლედოს არქივისკოპოსი დონ მარტინ დე კარდონა.

და ბოლოს: ნათანის ნაშევილებ ვაგონის რეხა ჰქვია, რაცელის მოსაფერებელი სახელი შინაურობაში რეხია იყო. ეს, რასაკვირველია, შემთხვევითი დამთხვევაა, მაგრამ მაინც შეი-

ძლება გამოდგეს „ნათან ბრძენისა“ და „ტოლედოელი ებრაელი ქალის“ მკერტეულური ტანების დამამთავრებელ დეტეფოდლე...

...ბოლოს და ბოლოს ფეოდალები, დედოფალი დონა ლეონორი, ტოლედოს არქივისკოპოსი და რომის პაპი ძლევებს იეპუდას, როდრიგოსა და მუსას წინააღმდეგობას, რომლებსაც სწამთ, რომ მშვიდობიანობა აუცილებელი პირობაა პროგრესის, კულტურისა და ადამიანობისა, ბოლო ომი ანგრევს და ანადგურებს ადამიანთა შენაქმის და ნაღეფს.

ფეოდალები, რომელთა აზრით, ახალი მიწების ხელში ჩაგდებისათვის, გამდიდრებისათვის ომი აუცილებელია, კვლავ ადამთებენ აღფონსოში ბრძოლის ეინს, რაინდული პატივმოყვარეობის გრძობას და რაცელის აღერსით გულმოუკრებელი მეფე ისევე საომარი ენთუზიანითაა აღესილი.

აღფონსო ემბეჭა ჯეგაროსნულ ომში, მაგრამ აღარცისონს სასაღმისათვის, გამდიდრებისათვის ომი ხალხი ომში დამარცხების მიზნებს ეძებს იეპუდასა და მის ასულ რაცელში, რომელშიც „შეაცილინა“, „მოაჯადოვა“ კასტილის მეფე.

„ამის შემდეგ ვადწევიტეს გრანდებმა, მოკვლათ ებრაელი ქალი. ისინი გაეშურნენ იეთიენ, სიკა ქალი იმყოფებოდა, და მოაკვდინეს იგი თავის ოთახში და ამოხოცეს ყველა, ვინც კი იქ იყო.“

(აღფონსო ბრძენის „მთავარი ქრონიკა“).

• და გრანდებმა გაადწევიტეს, აელავმით უმსგავსობა, მეფეს სიტყვების რომ აქმეველ. გაეშურნენ სასახლისკენ მინაღრობა, სადაც ქალი, და იბრეეს ებრაელი უბწყინვალეს ესტრადამე. მოაკვდინეს სწრაფად იგი და ყველანი მის გარშემო“

(სებულვედას რომანსიდან).

აღფონსო ბრძენისა და სებულვედას ეს სტრიქონები აქვს წამმღვარებელი რომანის მე-3-ე და უკანასკნელ ნაწილს, რომელშიც რაცელისა და იეპუდას მოკვლაა აღწერილი.

კოტა რამ წინამდებარე რომანის ტექნიკისა და მხატვრულ ხერხთა შესახებ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ლიონ ფოიბტავაგერს თავის რომანებში უუვარს სიტუაციითა და ვითარებათა გამოვარება (ერთი ასეთი მიაგალით უკვე აღინიშნა, იეპუდას ეთეს აღსაზრსა და ითსებ ფლავიუსის შვილს პულერუს რომ ეხებოდა). ისე როგორც გოია (რომანი „გოია“) სინდისის ქენჯნას გრძობს და პერციოგისქალ აღბასთან თავისი კავშირის გამო სსსჯელად მიიჩნევს ვაეიშვილის დასნეულდებასა და გარდაცვალებას, ისევე აღფონსოც ინფანტ ენ-

რიოს მოულოდნელ დაეადებასა და სიკვდილს ებრაელს-ქალ რაკელთან თავისი ტრფობისათვის მოყვნილ ღვთის რისხვად აღიქვამს. უფვარს ფოიბტენგერს, აგრეთვე, ანალოგიურ ვითარებაში დაახლოებით ანალოგიური შედარების გამოყენებაც. ასე, მაგალითად, „ტოლდოელი ებრაელ ქალში“ აღფონსოზე, რომელიც შეიტყობს, რომ იეჰუდა და რაკელი დედოფლის ბრძანებით იქნენ მოკლული, ნათქვამია: „აღფონსომ დაიწებტუნა, როგორც დაქრილმა ცხოველმა“ (გვ. 419).

„იეფთაეა და მის ასულში“ იეფთაეს ცოლზე, კერტრაზე, რომელიც ზედაეს, თუ როგორ მიჰყავს იეფთაეს შათი საერთო ქალიშვილი მსხვერპლად შესაწირავად, სწერია: „კერტრა მიჰყავდა მათ შორიახლო, როგორც დამფრთხალი ცხოველი“.

ორივე შემთხვევაში დრამატული დამატულება კელმინაციას აღწევს, ორივეგან ტრაგიზმის განცდა უკიდურესია.

ჰანს მაიერმა ლიონ ფოიბტენგერის ერთ საინტერესო თავისებურებას მიაქცია ყურადღება: მის რომანებში გარკვეული აღამიანურა ტიპები დაახლოებით ერთნაირად აჩიან დახასიათებელი, მათ ერთნაირი ლაპარაკის მანერა და ქცევა მიეწერებათ. ასე, მაგალითად, „უსახურ პერტოვის ქალში“ კაცის მკვლელი ბარონ კონრად ფონ ფრაუნენბერგი თითქმის ზუსტად ისეა აღწერილი, როგორც რომან „რუსოში“ რუსოს მკვლელი, მეფინიბე ნიკოლა. გამოვარებულია თვით ხმის ასეთი დახასიათება: „quäckend“ (წრიახანა). „ტოლდოელი ებრაელ ქალში“ იე-

ჰელას მკვლელზე, გერტერზე და კასტროზე აღნიშნულია, რომ მას აქვს „quäckende Stimme“ (წრიახან ხმა).

შეზღოროთქსს

„ტოლდოელი ებრაელ ქალში“ ლიონ ფოიბტენგერი იყენებს ვეროპულ პროზაში არცთუ ძალზე იშვიათად ხმარებულ ხერხს მე-3 პირიდან მე-2 პირში გადასვლისას, რაც ეპიკურ თხრობაში ჩართული ლირიკული ლექსის შთაბეჭდილებას ახდენს. მაგალითად, „ასეთ მდგომარეობაში იყო იეჰუდა იბნ ეზრა. მაგრამ როგორ ხარ შენ, რაკელ? ფერმერთალი, მღვმარე დაბორილობ აქეთ-იქით, ამაოდ ელი სასიყუთო ამბავს. შენ გრძნობ მაშინ შემწოთებულ, სათეთ შურას, მაგრამ ეს ვერ განიქვებს ვერც სითბოს, ვერც ნუგეშს. შენ განპის გუდიას შიშნარევი ტიკტიკი და მისი ლაებობა გულს არ ვკარება...“ (S.231) ანდა მეორე ადგილი: „აი, დგაბარ შენ, დონა რაკელ იბნ ეზრა, მშვენიერი, ლა ფერმოზა, სატანას წარმოგზავნილი, აღფონსო კასტილიელის ხარქა, დავითის შთამომავალი, იმანუელის დედა. შენი თვალისებური სახე უფრო საზრიანად გამოიყურება, ვიდრე ოდესმე და თუ ახლი მას შიშის ფერაც უნდა აჩნდეს, ის იფარება შენი კინის სიშვევრემანით...“.

ეს ადგილები საოცრად ჩამოკავს ლირიკული ინტონაციითა და თხრობის ტონით ჰ. მაინის „ანრი მეოთხის“ ანალოგიურ ადგილებს. საბაე მე-2 პირში მეფე ანრი კატრის უგულოთაუქია განცდები და განწყობილებები გადმოცემული და რაც წარმოადგენს ავტორის თავ. ებურ ემოციურ კონტაქტს თავის პერსონაჟთან.



ქართული იურისტები

ქართული და საქართველოს სინამდვილეში მოღვაწე სხვა ეროვნების იურისტები ყოველთვის ინტელიგენციის მოწინავე ნაწილს წარმოადგენდნენ და მათ შორის ბევრი ისეთი მოღვაწე იყო, რომლებაც ფართო საზოგადოებრიობის სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობდნენ და ღირსეულად იმსახურებდნენ გამოხენილი იურისტების სახელს.

ქართულ იურისტებს დიდი დამსახურება მიუძღვით ჩვენი ეროვნული კულტურის განვითარებაში, ხალხში ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების გავრცელებაში, მეფის თვითმპყრობელური წყობილების და მენშევიკური ნაციონალისტური ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ რევოლუციონერების დაცვის საქათბში.

მრავალი ქართველი იურისტი თვით ეწეოდა აქტიურ რევოლუციურ მოღვაწეობას, დიდი წვლილი შექმნდა მშრომელთა განთავისუფლების საქმეში, განიცდიდა შერაცხული ობიექტის, ფანდარშინის, პოლიციის და მენშევიკური „განსაკუთრებული განყოფილების“ დევნას.

ქართველი იურისტები რევოლუციური მოღვაწეობისათვის იდეებობდნენ საქართველოს ფარგლებს გარეშე. ბევრი მაგალითი მოგვეპოვება, როდესაც ქართველ იურისტებს საიმპერატორ სასამართლოები, სამხედრო ტრიბუნალები ასამართლებდნენ და ისინი წლობით პატიშრობაში ატარებდნენ, ან იძულებული იყვნენ, სამშობლოდან შორს გადახვეწილიყვნენ და სხვისი პასპორტით და საბუთებით არაღვგადურ მდგომარეობაში ყოფილიყვნენ.

ქართველი იურისტები, როგორც წესი, პოლიტიკურ პროცესებში უსასუიდლოდ მონაწილეობდნენ.

დიდა ქართველ იურისტთა მოღვაწეობა სოციალიზმის მშენებლობის საქმეში, საბჭოთა იუსტიციის ორგანოების — სასამართლოს, პროკურატურის და ადვოკატურის განმტკიცების და საბჭოთა იურიდიული მეცნიერების განვითარების საქათბში.

მრავალი ქართველი იურისტი კეთილსინდისიერად ემსახურება საბჭოთა იუსტიციის ორგანოებს და პირნათლად ასრულებს სახელმწიფო მოღვაწეობის მაღალ ვალდებულებას.

იუსტიციის ორგანოები სახელმწიფო მმარ-

თველობის ორგანოების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ და მათი არსებობა უშუალოდ სახელმწიფოს არსებობასთან არის დაკავშირებული.

საქართველო უძველესი სახელმწიფოა. უძველესი ისტორიის მქონეა ქართული სამართლის ინსტიტუტი და ქართული იურისტები ძველთაგან ცნობილი. საქმარისია გაიხსენოთ ბაგრატ III-ის კარზე მოღვაწე სამართლის დარგის და საერთაშორისო საკითხების სპეციალისტები ან და XVII — XVIII საუკუნეებში მოღვაწე „სწავლულ კაცთა“ ინსტიტუტის ისეთი წარმომადგენლები, როგორიც ვახტანგ VI (კანონმდებელი) და ცნობილი მეცნიერი ვახუშტი ბაგრატიონი იყვნენ, რომ ნათლად წარმოიდგინოთ ქართული სამართლის და ქართველი იურისტთა მოღვაწეობის დიდი ისტორია.

როდესაც საკითხი იურისტებს შეეხება, არ შეიძლება წარმოვიდგინოთ იურისტთა ვიწრო წრე, რომლებმაც თავისი მოღვაწეობა მხოლოდ იუსტიციის ორგანოებში ან იურისპრუდენცია-საღში სამსახურით ამოწერა, უშუალოდ ამ დარგს მიუძღვნა. იურისტებს, მოღვაწეობის ეფრო ფართო ასპარეზი აქვთ ვიდრე სხვა დარგის სპეციალისტებს და შემთხვევითი არ არის, რომ სშირად იურისტები სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეობის ხედიან, ფილოსოფიურ, ეკონომიურ ისტორიულ და სხვა პეშანდარულ მეცნიერებას ეუფლებიან, საუცხოოდ ერკვევიან ხელოვნების სხვადასხვა დარგში, კარგად იცნობენ მშობლიურ და უცხოურ ლიტერატურას და თავისი წვლილი შეაქვთ ახალი მხატვრული ლიტერატურის, შექმნის და განვითარების საქათბში.

მრავალი ქართველი მწერალი, დრამატურგი, საზოგადო მოღვაწე სპეციალობით იურისტები იყვნენ და მთელ მათ მოღვაწეობას წითელ ზოლად დასდევს ამ დარგის ზედმიწევნით კარგად ეოდნა და ზეგავლენა.

ცნობილი დრამატურგი სემბათაშვილი (სემბათოვ-იუენინი), მწერალი და შექმნარის ქართულდ მთარგმნელი ივ. შანაბელი, ბელეტრისტი და დრამატურგი ია ვეალაძე და მრავალი სხვა, სპეციალობით იურისტები იყვნენ. მწერალი ანტონ ფერცელაძე დიპლომირებუ-

ლი იურისტი არ იყო, მაგრამ მან კარგად შეისწავლა სამართლის დარგი და თვითგანვითარებით მიღებული ცოდნა ფართოდ გამოიყენა გლეხთა ინტერესების დასაცავად თავდაზნაურობასთან მათი სასამართლო დაცვის განხილვის დროს. ნაო ნიკოლაძეს სამართლის დარგის ცოდნა დიდ დახმარებას უწყევდა მის საზოგადოებრივ მოღვაწეობაში და საშუალებას აძლევდა ადვილად დაეცვა თავი რეაქციული ხელისუფლების მიერ არა ერთხელ წამოყენებულ ბრალდებებთან.

იურისტება: ქართველი კრიტიკოსი ბესარიონ ქვციანი და ხელოვნების დამსახურებელი მოღვაწე ალ. თაყაიშვილი, რომლებსაც ამ დარგში პრაქტიკული მოღვაწეობის ისტორია იქნებოდა. იურისტი იყო ცნობილი საბჭოთა თეატრალური მოღვაწე სერგო ამილახვარი და ბერი სხვა.

არ შეიძლება მოკლედ არ შევხებით ილია ქვიციანი, რომლის მოღვაწეობა, როგორც იურისტის, მეტად საყურადღებოა. ალია — როგორც ნაფიცი ვეპილი, ილია — როგორც მოსამართლე, ილია — როგორც ბრალდებული, ილია — სიყვლით დასჯის წინააღმდეგ მებრძოლი, ეს ჯერ კიდევ სრულიად შეუსწავლელი თემებია, მაგრამ თემები ვარკვეული და ქართული ეროვნული კულტურის ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობის მქონეა.

ილია დიდი იურისტი იყო, სამართლის დარგის ზედმიწევნით კარგი მკვლევარი და მისი ღრმა გამოცემა, ილიას სამართლის დარგით თვითნაწევრი დაინტერესება და მისი სრულყოფილი დაუფლება შემთხვევითობას არ წარმოადგენდა. ილიას ნიჭის მრავალფეროვნება, შემოქმედების მრავალსახეობა — ენციკლოპედიურ ხასიათს ატარებდა და იგი ვერ გახდებოდა ეროვნულ განმანათლებლებელი მოძრაობის წინამძღოლი, თუ კარგად არ ეჩვენებოდა შესწავლილი ერის ისტორია, კულტურა, ცხოვრება, სოციალ-ეკონომიური საფუძვლები და მისი მდგომარეობა არსებულ პოლიტიკურ სისტემის პირობებში. თუ როგორ იყენებდა ეს პოლიტიკური სისტემა მოქმედ კანონმდებლობას თავისი ბატონობის გამამტკიცებლად, ნაციონალურ-გამანათლებლებელი მოძრაობის ჩასამშობად.

ილია 1861 წლის სტრუდენტთა გაფიცვაში მონაწილეობისათვის პეტერბურგის უნივერსიტეტიდან დათხოვეს, სადაც იგი იურიდიულ ფაკულტეტის უკანასკნელ კურსის მსმენელი ირიცხებოდა. 70-ან წლებში იგი ამოღვენიმე წელს დუშეთში მომხრებელ მოსამართლედ მუშაობდა. როგორც თვით ილია აღნიშნავდა, მან მოსამართლედ იმუშავა, რათა „განათვის-უფლებულ“ ფაქტიურად კი მოტყუებულ გლეხთა ხედარი შეემსუბუქებინა. „განათვისუფ-

ლების პირველი დროის სცენები“ ილიამ დუშეთში შექმნა. იქვე შეკრიბა „მასალები კოლხაანთ ქვრივისათვის“ და სხვა ნაწარმოებები-სათვის.

მეორე მხრით, ამ საკითხზე მსჯელობისას საპირობა ერთხელ კიდევ გავიხსენოთ და კარგად გავითვალისწინოთ ის, რასაც საუცხოოდ ითვალისწინებდნენ საქართველოს პოლიტიკური მოღვაწენი. მართლაც, როგორც უკვე აღნიშნული იყო, რუსეთი სულ უფრო და უფრო მოიწვედა ამიერკავკასიისაკენ. მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს ეს ყველა რეალისტრიად მოაზროვნე ადამიანისათვის დღესავით ნათელი იყო. საბელმწიფოს ეკონომიური და სამხედრო-პოლიტიკური ინტერესები უკარანახებენ რუსეთს დამკვიდრდეს ამიერკავკასიაში, რომელსაც უზვი ბუნებრივი სიმდიდრე გააჩნდა და ამასთან ერთად საუცხოო პლაცდარმს წარმოადგენდა ოსმალეთისა და სპარსეთის ასაღმავად.

უოველივე ამს კარგად ამჩნევდნენ საქართველოს ხელისუფალნი. „ნუ დიაფიყვბ... ჩემს სიტყვას, — გადაპკრით ეუბნებოა ერეკლე მეორე თავისი ქვეყნის მსაჯულს სოლომონ ლუონძეს, რომელიც დადი პატრიოტის მგზნებარებით აკრიტიკებს მეფის პოლიტიკურ ხაზს, — რომ

¹ ალექსანდრე უვკვაიძე, საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა XIX საუკუნის პირველ ნახევარში. ტურნ. „ქართული მწერლობა“, № 10, 1926 წ. ოქტომბერი.

დღეს იქნება თუ ხელ იქნება, ქართლსა დაი-
ცავს რუსთ ხელმწიფებასა¹.

ამრავად, რუსეთთან საქართველოს შეერთე-
ბა ისტორიული აუცილებლობით იყო ნაყარნა-
ხვეი. შვიგნი რა ეს აუცილებლობა ერეკლე
მეორე თავისუფალი ვახდა თავის მოქმედებაში,
როდესაც მან აიღო ერთადერთი სწორი პოლი-
ტიკური გეზი, რუსეთთან საქართველოს ნება-
ყოფლობით საფუძველზე შეერთების გეზი.
ქართული ანდაზა ამბობს: ჩათრევეს ჩაყოლა
სჯობიაო². ეს კარგად გაითვალისწინეს სა-
ქართველოს პოლიტიკურმა მკვლევრებმა.

რუსეთთან საქართველოს შეერთების ისტო-
რიული აქტი განხორციელდა იმ-რომ, რომ
ეგი უძველეს შეესაბამებოდა ორივე ქვეყნის
ინტერესებს. შეუძლებელია აფთხაქის სასწო-
რე იმის აწონვა, თუ რომელი მხარისთვის მტრად
ყო სავიროს ეს შეერთება. ერთი რამ კი ის-
ტორიული ფაქტია, ფორმალურად (არსებით
დოკუმენტების მიხედვით) შეერთების ინიცია-
ტივა ყოველთვის საქართველოდან მომდინა-
რეობს. ეს გარემოება აშკარად დადასტებს თუ
როდენ მძიმე იყო მისი მდგომარეობა. ვინაი-
დან კლასობრივი საზოგადოების მთელი ისტო-
რიის მანძილზე მსოფლიოში არ ყოფილა სა-
ხელმწიფო, რომლის მესვეურებს ნებაყოფლო-
ბით უარი ეთქვათ თავიანთ სახელმწიფოებრივ
სუვერენიტეტზე. ცხადია, საქართველოს სა-
ხელმწიფო მოღაწეთ არ შეეძლოთ შემთხვე-
ვით დაშვით ასეთი საოცარი გამონაკლისი.

რაც შეეხება რუსეთთან საქართველოს შეერ-
თების ნებაყოფლობით ფორმას, ესეც აგრეთვე
სასწებით შეესაბამებოდა ორივე მხარის ინტე-
რესებს. შეერთებული ინარჩუნებს გარკვეულ
უფლებებს. შემართებელ, ე. ი. ძლიერ მხარეს
კი ვერაინს უყარნებს აგრესიობას. პირიქით
იგი, ამ შემთხვევაში, გამოდის პატარა ქვეყნის
მფარველსა და დამცველს როლში. ეს გარე-
მოება უაპეკლად ხელს უწყობდა ერკელის
საერთაშორისო ავტორიტეტის ამაღლებას.

რუსეთთან საქართველოს შეერთების პრო-
ცესის მეორე ეტაპი იწყება 1800 წლის შეპოდ-
გომიდან, როცა მფარველობითი ტრაქტატის
ნაცვლად მეფე გიორგი XII-მ რუსეთის იმპე-

რატორს ქვეშევრდომობით ხელშეკრულება
შესთავაზა. ამ ხელშეკრულებით ქართლ-კახეთის
სამეფო რუსეთის სახელმწიფოს დამოკიდებულსა
როგორც საგარეო პოლიტიკის, ასევე ქვეყნის
შინაგანი მმართველობის საქმეშიც. საქართვე-
ლოს მეფის უფლებები ნომინალურად ვახდა.

ასეთი ვეროლბა ისტორიულად გარდევალ
შეიქმნა ჯერ ერთი იმ-რომ, რომ საქართველოს
სახელმწიფოს შინაგანი საქმეები მერისმეტად
გართულდა. ჯერ კიდევ ერეკლე მეორის სი-
ციოცხლეში ფეოდალურმა რეაქციამ ყველაფერი
შთანთქ და სახელმწიფო კატასტროფამდე მი-
ყვანა. ამის შედეგი იყო ის, რომ ვერაელ
მეორე, რომლის სიციოცხლში შინაგანი გაერთიანე-
ბული და ძლიერი საქართველოს სახელმწიფო
შეადგენდა, 1792 წელს იძულებული შეიქმნა
დაექვემდებარებოდა ქართლ-კახეთის სამეფო და
საუფლისწულო მამულების სახით დაეყო თავი-
სი ურთიერთ მტრობასა და ბრძოლას უნდაჩაინ
და ქვეყნის საერთო ინტერესებზე აღებრავინ
ზრუნავს. ფეოდალური პარტიკულარიზმის მკენე
შედევებმა განსაყუთებებით იჩინა თავი მტარ-
ვალ აღამამახანთან ომის დროს, ერეკლე მე-
ორის გარდაცვალების შემდეგ ბატონიშვილთა
ურთიერთ ბრძოლა კიდევ უფრო მწევევება,
ხოლო ფეოდალური პარტიკულარიზმი და რე-
აქცია ძლიერდება.

ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 1783
წლის ტრაქტატში გარკვეული მიზეზებისა გამო
სრულიად ვერ უზრუნველყო საქართველოს
გარეშე მტრების თარეშისაგან, რაც კიდევ
უფრო გაძლიერდა. ერთი რამ აშკარაა. ვიდრე
საქართველო დამოუკიდებელია თავის საშინაო
საქმეებში და რუსეთთან მხოლოდ მფარველო-
ბით კავშირშია, რუსეთის სახელმწიფო შინე
და შინე თავს არ იწუხებს საქართველოს სა-
მხეცრო თავდაცვის უზრუნველსაყოფად. ეს
სრულიადეც არ არის გასაკვირი, რუსეთის
თეთიშპყრობელური იმპერია ისე იყო აგებელი,
რომ არ შეეძლო თავისი ქვეყნის შვიგით შრეთ-
მინა სახელმწიფო, რომელსაც დამოუკიდებ-
ლობის რილაც ატრიბუტები კიდევ გააჩნდა.
ეს კარგად ესმოდათ საქართველოს პოლიტიკურ
მეფეურებს, რომელთაც თავისი ქვეყნის მდგო-
მარეობა უყარნახებდა გადაედგათ შედევვი ნა-
ბიჯიც, შესულაყვენენ რუსეთის სახელმწიფოში
როგორც მისი ქვეშევრდომი.

1 ჩვენი შრომის ხასიათი საშუალებას არ
გვაძლევს ვრცლად გაამეფოთ ეს საკითხი.
1783 წ. ტრაქტატის ამ მხარეს საფუძვლიანად
ამუქებს დოკ. შ. აღეშვიფელი, წიგნში
„რუსეთ-საქართველოს ისტორიული ურთიერ-
ობის საკითხებისათვის“. წიგნში გამოთქმულ
მოსაზრებებს ამ საკითხზე ჩვენი ენიარებთ.

1 ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებანი, 1945
წ. გვ. 60. როგორც ცნობილია ს. ლეონიძე არ
ინიარებდა ერეკლე მეორის მიერ რუსეთზე
აღებულ გეზს მაგრამ ამას მისთვის ხელი არ
შეუძლია დირსეულად დაეფასებოა მისი დიდი
ღეშული. იგი „მკვლავ მეფეს“ უწოდებდა რე-
კლე მეორეს, რომელმაც „სა-გაო აქა ადიდა სა-
ხლო, ადიდა გვარი თავისი, ადიდა სიმენე
თქვენ ქართველთა ცათამდე“ (მ. სოლომონ
ლიონიძე, სიტყვა თქმული ერეკლე მეორის
დაკრძალვაზე, 1957 წ. გამოცემა, გვ. 36).

„მეფე გიორგი XIII ფიქრობდა, — სავსებით მართებულად შენიშნავს აკად. ფე. ჯავახიშვილი, რომ დაპირებული დაცვა საქართველოს შტრესბასგან რეალური იქნებოდა მხოლოდ მაშინ, თუ იგი უარს იტყობდა თავის შრავალ პოლიტიკურ უფლებებზე და თავის სურვილებს მინიმუმამდე შეკეცდა“¹. სწორედ ასეთი იყო 1800 წლის 17 ნოემბერის ნოტის („ПРАСИТЕЛЬНЫЕ ПУНКТЫ“) შინაარსი. იგი რუსეთის იმპერატორს საქართველოს ხელშეწყობა და თვითმპყრობელად აღიარებდა.

ამიერიდან ქართლ-კახეთის მმართველობა სავსებით ექვემდებარება რუსეთის იმპერიის კანონებს და ამრიგად მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობიდან აღარაფერი დარჩა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მეფის ფორმალურ არსებობას, მეფისა, რომელიც ჯავახიშვილის საღაროდან იღებს. როგორც ცნობილია, სულ შვირე ხნის შემდეგ საქართველოს მეფის ეს ნომინალური არსებობაც არ ექნა შეწყვეტებული და 1801 წლის იანვარს პეტერბურგში, ზოლო 16-17 თებერვალს თბილისში გამოცხადდა მინისტრთა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და თბილისის გუბერნიის სახით მისი რუსეთის იმპერიაში შესავლის შესახებ. ქართლ-კახეთის ეს ხვედრი შევლგომ წლებში მთელმა საქართველმა გაიზიარა.

ასე დასრულდა საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობის მრავალხანკონოვანი ისტორია. მაგრამ ქართველი მშრომელი ხალხი გულში მუდამ ატარებდა იმის იმედს, რომ იგი აღადგენდა თავის დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოდ არსებობას. დაახლოებით 120 წლის მანძილზე იბრძოდა იგი თავისი სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის. ეს ბრძოლა ძველამოსილად დაგვიტოვებდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ — 1921 წლის თებერვალში, როდესაც საქართველოში გაიმარჯვა სოციალისტურმა რევოლუციამ და საქართველომ ახალ საფეხველზე ნამდვილად აღიძვინა თავისი დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო. ყოველივე ეს თავისი გენეზისით დაკავშირებულია იმ ისტორიულ აქტთან, რაც რუსეთთან საქართველოს შეერთებით გამოიხატა.

ამ ისტორიული მოვლენის სწორად გაგებას და შეფასებას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეცნიერული გაგება-შეფასებისათვის საქართველოში როგორც XIX საუკუნის მთელ მანძილზე, ასევე 1905 — 1907 წლების რევოლუციის პერიოდში.

ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მოწინავე საზოგადოებრიობა რუსეთთან საქართველოს შეერთებას ყოველთვის პროგრესულ მოვლენად მიიხსენებდა. მას ესმოდა, რომ რუსეთი მთელი აღმოსავლეთის, და მასთანაღმე, საქართველოს მიმართ „პროგრესულ საქმეს აკეთებდა“ (ფ. ენგელსი). ამით აიხსნება, რომ საქართველოში მუდამ უმნიშვნელო და აზარაობამდე სუსტი იყო საუკრატისტული „მოძრაობა“, რომელსაც საქართველოს საზოგადოებრიობისა და მთელი ხალხის მხრივ არასოდეს არ ჰქონია სერიოზული მხარდაჭერა.

რუსეთთან საქართველოს შეერთების პროგრესულობაში შემდეგი ძირითადი მომენტები იგულისხმება: რუსეთის დახმარებით გაარღვია საქართველომ საუკუნოების მანძილზე არსებული სპარსეთისა და თურქეთის მტრული ვარემოცვა, რომელიც საქართველოს წინაშე ემტკებოდა. რუსეთის დახმარებით ბოლო მოკლე ზეინ ქვეყნის იმ ფეოდალურ დამიხულობას, რომელიც მას წინაშეის გზას უღშობდა; შეუერთდა რა ისეთ ძლიერ ქვეყანას, რომელიც კაპიტალიზმის განვითარების გზაზე იდგა, საქართველომ მოიხვეწა უცხოელ დამპყრობთა ველური თავისუფან, თანდათანობით წელში გასწორდა და მტკიცედ დაადგა ეკონომიური და კულტურული განვითარების გზას; რუსეთთან შეერთების შემდეგ მოხდა საქართველოს მეტეროსავან მიტაცებული რაიონების შემოერთება დაიწყო ქვეყნის ტერიტორიული გაერთიანება, ფეოდალური დაქაჩულობის ლიკვიდაცია, კაპიტალიზმის განვითარება, ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაცია; XIX საუკუნეში დაიწყო და სულ უფრო და უფრო გაიზარდა რუსეთის ცარიზმის — ამ ისტორიული ბრძოლების — წინააღმდეგ მიმართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელმაც ახალი შინაარსი და გაქანება მოიპოვა მეუხარამეტე საუკუნის დასასრულსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში, როდესაც ბრძოლის სარბიელზე გამოვიდა მუშათა კლასი და მისი მეუხარამე ავანგარდი — მარქსისტული კომუნისტური პარტია.

აქვე უნდა ხაზი გავუსვით იმ მეტად საყურადღესო მოვლენას, რომ საქართველოს მშრომელთა ბრძოლა სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის მუდრო კავშირშია რუსეთის მშრომელი ხალხისა და მისი მოწინავე ადამიანების განმათავისუფლებელ ბრძოლასთან, რომელიც პირველყოფილსა ცარიზმის წინააღმდეგ იყო მიმართული. ამასთან უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტს, რომ რუსეთის მოწინავე საზოგადოებრიობა ცარიზმის მხრივ კოლონიალური ჩაგვრის წინააღმდეგ იყო და

¹ ფე. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეხუთე, გვ. 101.

ყოველთვის ცნობდა განაპირა ქვეყნების, მათ შორის საქართველოს ერთგული დამოუკიდებლობის უფლებას.

ამით რუსეთის მოწინავე საზოგადოებრიობა მხარს უჭერდა საქართველოში იმ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომელიც წარმართა რუსეთის ყველა მშრომელეთთან ქართველი ხალხის დაახლოებას და ყველა მშრომელთა ერთობლივი ბრძოლით რუსეთის ცარიზმის — ხალხთა ამ საპყრობილის — დამხობისაკენ.

ყველა ერის, მათ შორის ქართველი ერის ნებასურველია სრულყოფილი გამოსატრეულია მხოვად ბოლშევიკური პარტიის ღვინვურ ერთგულ პროგრამაში, რომელიც აღიარებს ყველა ერის თვითგამორკვევის უფლებას, გამოყოფაზე და მოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნამდე. მარქსისტულ-ლენინური პროგრამა ნაციონალურ საქონთში საქართველოს მშრომელთა ერთგულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დროშის წარმოადგენდა რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში.

რუსეთთან საქართველოს შეერთებას ხალხი აღფრთოვანებით შეხვდა. განუწყვეტელი დარბევა-აწიოკებით გაწამებული ხალხი არაფერს ისე არ შეტრფოდა როგორც მშვიდობას. ამით იყო გამოწვეული ის დიდი აღტაცება, რომლითაც ხალხი შეხვდა საქართველოში რუსეთის ჯარის შემოსვლას. ჯარისა, რომელსაც ქართველი ხალხი უყურებდა როგორც მშვიდობის გარანტიას.

ქალაქი თბილისი სახეიმოდ იყო შორთული, ათითასზე მეტი კაცი რუსეთის ჯარის ქალაქგარეთ შეეგება. თბილისში სახლების აივნები და სახურავები საესე იყო თეთრად გამოწყობილი ქალებით, რომელთაც სავანებოთ სურდათ ენახათ ჯარის შემოსვლა.

ყოველივე ეს იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს პოლიტიკურ მესვეურთა რუსეთზე აღებული გეზი იყო ერთადერთი სწორი გეზი, რომელსაც ხალხი იწონებდა. ცხადია, რუსეთთან საქართველოს შეერთებას მრავალიცხოვან მომხრეებთან ერთად ჰყავდა მოწინააღმდეგენიც. ეს იყო მცირერიცხოვანი, მაგრამ გავლენიანი პირთა ჯგუფი, რომელიც იკრიბებოდა ბატონიშვილებისა და თავადების წრიდან. ამ პირთა დიდ უმრავლესობას მხოლოდ თავიანთი პრივილეგიების შენარჩუნების ინტერესები ამოჩაყვებდათ, ხოლო ჩვენი ქვეყნისა და ქართველი ხალხის ინტერესები ჩირადაც არ უღირდათ.

ქართველი გლეხობა რომ თავისი მდგომარეობის გამოსწორების იმდენ რუსეთზე ამყარებდა, — აღნიშნავდა აკად. ივ. ჯავახიშვილი, — ეს კარგად ჩანს თუნდაც ერთ-ერთი ყმა გლეხი ქალის წერილიდან, რომელიც მან რუს მო-

ხელეს გაუგზავნაო. წერილში ნათქვამია, რომ იგი ეს „გლეხი ქალი, როგორც ყველა გლეხი, რუსების ერთგულია, ხოლო თავადებსა და აზნაურებს ისინი სძულს“¹.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართველი ხალხი, მისი მოწინავე აღამიანები მუდამ ატარებდნენ გულში იმედს, რომ რუსეთთან დაკავშირებული საქართველო წელში გასწორდებოდა, მოლინიერდებოდა და ისევე მოიპოვებდა დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობას, რაც იძულებული იყო დროებით დაეთმო იმის გამო, რომ სხვა შესაძლებლობა საქართველოს იმჯერად არ გაჩნდა.

ისტორიული აუცილებლობა, რომელმაც საქართველოს გზა განსაზღვრა, კარგად ესმოდა ჩვენი ქვეყნის ყველა ნამდვილ მოქირახულეს. ამასთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძე წერდა: „როგორც სპარსეთმა, ისე ოსმალეთმა კარგად იცოდა, რომ დიდი საქმეა საქართველოს ხელში ჩაგდება მისთვის, ვინც დაასწრობს. ვინც საქართველოში ფეხს მოიმაკრებდა, იგი დიდს ზემოქმედებას იქონიებდა მთელს დასავლეთს და მცირე აზიაში და სვედები აზიის შესახებ პოლიტიკისა ხელთ ჩაუვარდებოდა სხვათა შესახებთავე. გარდა ამისა, არც სპარსეთს უნდოდა, რომ საქართველოს დაქვრივთ, ვინმე სხვა სახელმწიფო ახლო მსხველიდა, არც ოსმალეთს, რადგანაც საქართველო ამ ორხელ სახელმწიფოს საზღვრად და გზად ედგა. თუმცა რუსეთისაგან შიშს ეს ორივე სახელმწიფო ერთად უნდა ემოქმედებინა, მაგრამ ასე არ მოუხდამთ. სპარსეთს უნდოდა მართოს სპეროდა საქართველო, ჯერ ვითარცა კარი რუსეთიდან აზიაში შემოსევისათვის და აკეტრი და მერმე ვითარცა გზა ოსმალეთის შესაღებულს. ამასვე უპასუხებდა ოსმალეთი და სპარსეთს არ ანებებდა საქართველოს დაქვრას, თვით სწყუროდა ეს კარი და გზა თითონ ჰქონებოდა და სპარსეთისათვის მუქარად ხელთა სკეროდა“².

ასეთ ვითარებაში საქართველოს პოლიტიკურ მესვეურთა ორიენტაცია რუსეთზე, — რომელიც, როგორც უკვე ითქვა, „ნამდვილად ასრულებს პროგრესულ როლს აღმოსავლეთის მიმართ“³ — ერთადერთი ისტორიულად გამოართლებული ორიენტაცია იყო და მის მხარს უჭერდა ხალხის ფართო მასები.

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეხუთე, გვ. 104. „აქტები“, ტ. 11, გვ. 303.

² ილია ჭავჭავაძე, თხ. სრული კრებული, ტ. IV, 1955 წ. გვ. 208.

³ K. Маркс и Ф. Энгельс, Соч. т. XXI.

საქართველოს ამ დროს მშვიდობა ესაჭიროებოდა ისე, როგორც ყოველ ცოცხალ არსებას პაერს, უროლოსოდაც მას სიკვდილი — გაჭირება მოელოდა. ასეთ კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში ზენი ქვეყანას იძულებული ხდება დროებით შეიზღუდოს თავისი უფლება, რაც ყოველი ადამიანისა და ხალხისათვის უშაღვეს იდეალს წარმოადგენს.

საქართველოს ასეთი ვითარება ბრწყინვალედ ასახა გენიალური პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტურ შედევრებში.

ლექსში „საფლავი მეფე ირაკლისა“ ნ. ბარათაშვილი მაღალ შეფასებას აძლევს ერეკლე II-ის მოღვაწეობას და განაგრძობს:

„გახსოვს, სიკვდილის ემას რომ უთხარი
ქართლს დაობლებულს?
აჲ აღსრულდა ხელმწიფური აჲ ახრი შენი,
და ესპმთ ნყოფსა მისგან ტბილსა აჲ
* * * * * შენი ძენი.
სადაც აქამდინ ხმლით და ძალით ზღვობდა
ქართველი,
მუნ სამშვიდობო მოქალაქის მართავს აჲ
ხელი“ 1.

უკვდავ პოემაში „ბედი ქართლისა“, ნიკოლოზ ბარათაშვილმა საფუძვლიანად და ყოველშხრივ განიხილა რუსეთთან საქართველოს შეერთების საკითხი და, როგორც დიდმა რეალისტმა მთაბროვნემ, სასუბთით გამოთვლებულია, ისტორიულ აქტუალებობად მიიჩნია ერეკლე მეორის მიერ გადადგმული ნაბიჯი, რომლითაც ახალი ეპოქა დაიწყო საქართველოს ცხოვრებაში. ორი პოზიცია ამ პრობლემის გარშემო, რომელსაც ასე მკვეთრად გვიხატავს პოეტი საუცხოოდ ასახავს არსებულ სინამდვილეს. ორი მხარე — ერეკლე მეფე და სოლომონ მსაჯული „ქართლისა ბედსა განსამართლებენ“ ორივე მხარე გარკვეული არგუმენტაციით ასაბუთებს თავის პოზიციას. აბსტრაქტიულად ვინც მიუდგება საკითხს შეიძლება სოლომონ მსაჯულის პოზიცია გამოართლოს. მაგრამ საკითხისადმი არა აბსტრაქტული, არამედ კონკრეტულ-ისტორიული მიდგომა საქარო. ზოლო ასეთი მიდგომისას ერეკლე მეორის პოზიცია ერთადერთი სწორი პოზიციაა, რომელსაც საბოლოო ანგარიშით მოპირდაპირე მხარე — სოლომონ მსაჯულიც კი იზიარებს. ამას მოწმობს სოლომონ

ლიონიდის (იგივე მსაჯული) კონკრეტული პოზიცია — წარმოთქმული არკვეულ მოტივებს დატვირთულია.

მხარეთა პოეტრობის მოკლე სურათი ასეთია: შესანიშნავად და ზედმიწევნით ესმის რა ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა ერეკლე მეორემ გადაჭრით გადაწყვიტა საქართველო დაუკავშიროს, შეუერთოს დიდ რუსეთს, რომელთანაც.

„დღი ხანი გვაქვს ჩვენ ერთობა,
მტკიცე კავშირი, — სარწმუნოება, —
მას მინდა მიეცე მემკვიდრეობა,
და მან მისცეს ქართლს კეთილდღეობა“.

ერეკლეს ეს გადაწყვეტილება, რასაც წინ უძღოდა ამ საკითხზე ფიქრში დაღუღული აურაცხელი უძილო ღამეები, უველსათვის საეხებით გასაგები როდი იყო. იგი ერთბაშად ვერ გაიგო ვერც ისეთმა განათლებულმა და ბრძენმა კაცმა, როგორც იყო სოლომონ მსაჯული.

სოლომონი ვერ ურავდება ამას, რომ საქართველო, რომელმაც მრავალსაუკუნეთა ქარვარაში გამოატარა თავისი სახელმწიფოებრიობა, ახლა ასე უეცრად უნდა დაეარგოს იგი-სოლომონ მსაჯული განციფრებულმა მეფის განზრახვით და ემუდარება მას:

„ნუ გააგონებ მაგ ხმას ქართველით,
ეზდენ შენზედა მსასობელთა!
ჯერ სამაგისო რა გვემართება,
რომ განეისყიდოთ თავისუფლება?“

სოლომონ მსაჯული მკვეთრად გვიხატავს ქართველთა თავისუფლებისმოყვარებას. „ქართველებს არად მიაჩნიათ უბედურება თუ აქვთ თავისი ჰერტვემ თავისუფლება“. ამბობს იგი. მას არა აქვს სათანადოთ გათვალისწინებული სიღრმე საფრთხისა, რომელიც ჩვენ ქვეყანას ემუქრებოდა და რომელიც ასე საუცხოოდ ესმოდა ერეკლე მეორეს. სოლომონი ფიქრობს, რომ ჯერ საიმისო არა გავკვირვებით, რომ „განეისყიდოთ თავისუფლებაო“ და მეთითებებს იმ სიძნელეებსა და ტრაგიკულ ხვედრებზე ახალ ვითარებაში რომ მოელის საქართველოს.

სოლომონ მსაჯული თავისი მეუღლის პირით პირდაპირ აცხადებს, რომ თავისუფლების დაკარგვას სიკვდილი სჯობთო.

„უჩინამე დღე კი დამელევა მე!
უტეობაში რაა სიმე,
სადაც ვერ ვის იყარებს სული
და არს უფისო, დაობლებული?
რა ხელს ჰყარს პატავს ნაბი ბუბუელი,
გალიამია დატყვევებული?“

2 ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხულებანი, 1945 წ., გვ. 36.

სოლომონ მსაჯული და მისი მეუღლე გზენ-
ბარე პატრიოტები არიან. ისინი სიკვდილს
არჩევენ თავისუფლების დაკარგვას. ეს ფანა-
ტიკოსამდე მისული თავისუფლებისმოყვარეო-
ბა ამაღლებულია, მაგრამ იმ კონკრეტ ვითარე-
ბაში გონიერული როლია. ჯერ ერთი, საქმე
ეხებოდა არა პარტოვნებს, არამედ მთელი
ერის ბედს, საკითხს მისი ყოფნისა და არ
ყოფნის შესახებ.

გარდა ამისა, მრავალ ბრძოლებში ნაცადმა
ერეკლე მეორემ მშვენიერად იცოდა, რომ
ყოველგვარი თავდაწირვა გმირობა არ არის.
შას უფრო გონიერულად მიაჩნდა საქართვე-
ლის დროებით დაეთმო თავისუფლება იმ
მიზნით, რომ კატასტროფისაგან გადარჩინა
ქვეყანა, აღედგინა მისი სასიციოებლო ძალები,
რათა კვლავ მოეპოვებინა დაკარგული თავის-
უფლება.

სოლომონ მსაჯულის მოსაზრებანი ახალი
რამ არაა ერეკლე მეორესათვის, რომელსაც
თავისი პოლიტიკური ნაბიჯი მრავალმხრივ
ჰქონდა გაზომილი. ამიტომ იგი თავის მსა-
ჯულს უბასტებს: „მე ვე ვოველი არ ვიცი
განა?“ მაგრამ ამჯერად ქვეყნის გადარჩენის
სხვა გზა არ არსებობსო.

„სულ მართალია, ჩემო სოლომონ, მაგრამ
აბა თქვე, ქართველთა რა ჰყონ ამ უბედობის
და ღარღვევის დროს?.

ია ხომ ნახე აწ შავალითი,
რა ქნა ამ ერთმა დამარცხებამან!
კარგი, რომ კიდევ აღა-მამამდ-ბან
ქალაქი დასჯერდა განძვირებული,
სხვითი არ აღავსო მან საწყაული!“

„ახლა კი დროა, სოლომონ, რომა
მშვიდობა ნახოს საქართველოში“.

და, ამ ამ ისტორიული პიროვნებათა პაექ-
რობა დამთავრდა ერეკლე მეორეს პოლიტი-
კური გეზის გამარჯვებით. სოლომონ მსაჯუ-
ლი არსებითად დაეთანხმა მეფეს, როცა თქვა:
„მაგრამ ეინ იცის! იგი იქნება

უკეთ ფიქრობდეს რაც გეპირებება:
ბევრჯერ ღვთიურნა ზრუნვასა მელის
გონება უმათა ვერა მხედობს“ 1.

ასე ბრწყინვალედ იცავს ნიკოლოზ ბარათა-
შვილი ერეკლე მეორის პოლიტიკურ ხაზს.
პოეტი ამჯერად მშვიდობას უპირატესობას
ანიჭებს, მას ყველაფერზე მაღლა აყენებს,
არა იმტომ, რომ იფიქვებს ჩვენი ქვეყნის
სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტს. მის ერთ-
ნულ თავისუფლებას. სრულიად არა. ნ. ბარათა-

თაშვილს მშვიდობა სურს იმისათვის, რომ
საუკუნეების მანძილზე თითქმის განუწყვეტე-
ლი და სწორად უთანაბრო ბრძოლებში სისხ-
ლიდან დაცილიმა საქართველომ კრილობები
მოიშუშოს, მოასვენოს, რათა აღსდგეს და
ძლეამოსილად განვითარდეს როგორც თავის-
უფალი ქვეყანა, სუვერენული სახელმწიფო.
ამიტომ არის, რომ დიდი პატრიოტი პოეტი
ზოლით იხსენიებს ყველა ისეთ გადაგვარე-
ბულს, რომელიც გაძახის:

„ჯანი გავარდეს აწ შვილსაც, მამულს,
ოლონდ ვაამთ ჩვენს საყეთარ გულს;
რის ქართველობა, რა ქართველობა
ვითომ რას გვაწუნებს უცხო ტომობა?“

ნიკოლოზ ბარათაშვილი ღრმად იყო დარწ-
მუნებული თავისი სამშობლოს უკეთეს მერ-
მისში, შას მტკიცედ სჯეროდა, რომ საქართ-
ველო აღადგენდა თავის სახელმწიფოებრივ
დამოუცილებლობას. ამიტომ პოეტი სრულიად
დაე ამ ძლევა პესიმისტს როცა სწერს:

„მწუხარ გელისა — სევდა გელისა
წუგეშსა ამას შენგან მიიღებს,
რომ გათენდება დილა მზიანი და
ყოველ ბინდსა ის განანათლებს!“ 1.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ეს საღი ოპტიმიზ-
მით გამსჭვალული სტრიქონები იმას მოწმე-
ბენ, რომ გენიულურ პოეტს, რომელიც საუე-
ხოოდ გამოხატავდა ქართველი ხალხს გულის-
ნადებს, შის პოლიტიკურ მისწრაფებებს,
მტკიცედ სჯერდა საქართველოს უკეთესი მომავ-
ალი, გარდევალად მიაჩნია მისი აღდგენა
თავის ისტორიულ უფლებებში.

ჩვენ საესებით სწორად მიგვაჩინა პროფ.
ნ. ბერძენიშვილის მიერ ამ საკითხზე გამოთქ-
მული შეხედულება, რომ ნ. ბარათაშვილის
„...ბედი ქართლისა“ და „საფლავი მელის ირა-
კლისა“ — ესაა ოცდამორმეტობაზედ მო-
წინავე ნაწილის მხრით დამსაბუთებელი პასუ-
ხი საკითხზე, თუ როგორი უნდა იყო ქართ-
ველი საზოგადოების პოლიტიკური კურსი“ 2.

ეს პოლიტიკური კურსი ახალ სოციალ-
დემოკრატიულ ვითარებაში განაგრძებს სამოციან-
ნელთა ბრწყინვალე პლეადამ, რომელსაც
ილია ჰეკავიაძე შეთავრობდა.

პოემაში „ბედი ქართლისა“ და ნ. ბარათა-
შვილის მთელ შემოქმედებაში განვითარებული
ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების დია-

1 იქვე, გვ. 7.

2 ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის-
ინსტიტუტის შრომები, ტ. 1, გვ. 482.

1 ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებანი,
გვ. გვ. 58, 59, 60, 62.

დი სწუხის საქართველოში თავისი წინამორბედი ჰყავდა. გენიალური პოეტის წინამორბედად შეიძლება მიჩნეულ იქნას იოანე ბაკრატიონი, რომელმაც თავის თხზულებაში „კალმასობა“ ამხილა და არსებითად დავით კიდეც ჩვენი ქვეყნის ფეოდალურ ბატონყმური ცხოვრების უარყოფითი მხარეები.

ნ. ბარათაშვილის რამდენიმე წინამორბედიც და თანამედროვეც იყო ზრიგოლ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, გრ. ორბელიანი „იყო თავისი დანიავრული მამულის ძლიერის სიტყვით მოტრფილი, ეროვნული იდეის პოეტურად გამოხატულები, დროთა „სიზნებერ გამჭრალთა“ ჰერას-დუვარი, საქართველოს დიდების კვლევა დაბრუნებისათვის ზემთავარსებელი“.

ნიკოლოზ ბარათაშვილის წინამორბედია შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ცნობილ რანონინელს და პირველ ქართველ განმანათლებელს, შესანიშნავ მოაზროვნეს და ფილოსოფოსს — სოლომონ დოდაშვილს, რომელიც ბარათაშვილის მასწავლებელი იყო. მაგრამ მისი როლი მხოლოდ ხაზების სწავლებით როდი შემოიფარგლებოდა. ს. დოდაშვილი ნ. ბარათაშვილის ნამდვილი მომდგარი იდეური აღმზრდელი იყო. მან ჩაუნერგა ნ. ბარათაშვილს ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეები, ესა უჩვენა მის უდიდეს ტალანტს.

საუბროდ შენაშნა პოეტმა ვახტანგ ორბელიანმა: „ნიკოლოზ ბარათაშვილი გამოიწერა სოლომონ დოდაშვილთან... თუ სოლ. დოდაშვილი არ ყოფილიყოს, მაშინ შეიძლება არც აქ ნიკ. ბარათაშვილი ყოფილიყოს, ნიკ. ბარათაშვილი იყო წმინდა სამთელი, რომელიც საქართველოს სიყვარულით ქართველი ერის წინაშე იწოდა“.

ამიტომ ჩვენ სრულადაც არ მივგანწივთ ვაჭიადებულად ზ. ჭიჭინაძის მიერ გამოთქმული შეხედულება ამ საკითხზე. ს. დოდაშვილის ზეგავლენით — წერს იგი, — ნიკ. ბარათაშვილი მალე იქცა შეგნებულ მამულის-შვილად და აქან თავის ლექსებსაც მალე მისცა მამულისშვილური კილო. მაშინ თურმე ეს პირველი მთელი იყო, თუ არა ეს სოლომონ დოდაშვილი და მისი ქადაგება, უამისოდ ნიკ. ბარათაშვილის პოეზია უიდეო იქნებოდა...

თეთ ნიკ. ბარათაშვილიც სოლ. დოდაშვილს დიდად აფასებდა ამიტომაც იყო, რომ ნ. ბარათაშვილი სოლ. დოდაშვილთან ყოველ დღე დაიარებოდა, როგორც სახლში, ისევე „თფი-

ლისის უწყების“ რედაქციაში, სტამბაში და ვეჯლან, სადაც კი სოლომონ დოდაშვილი იქნებოდა“.

პროგრესული იდეები, რომელსაც ს. დოდაშვილი ასე გულმოდგინეთ წერდა ახალგაზრდობაში, დაეხმარა ნ. ბარათაშვილს განთავისუფლებულიყო აღმოსავლეთის იმ პოეზიის გავლენისაგან, რომელიც ლენინისა და ქალაქ ავადმყოფური კულთით იყო შეპყრობილი და რომლის გავლენასაც იმ დროს ზოგიერთი ქართველი პოეტიც განიცდიდა.

საქართველოში დაბრუნებისთანავე ს. დოდაშვილმა ფართოდ გაშალა მუშაობა ახალგაზრდობაში. ჩამოაყალიბა მოწინავე ახალგაზრდობის წრე, სადაც ხისტიკატორად ატარებდა ლექციებსა და საუბრებს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა საკითხებზე. საუბრების ლეიტ-მოტოვს შეაღებდა პატრიოტიზმის გაღვივება ახალგაზრდობაში, ზრუნვა საქართველოს ბედზე, მის უცუთეს მერმისზე.

ამთ აზნუნება ს. დოდაშვილის უდიდესი ავტორიტეტი და გავლენა ახალგაზრდობაში, რომელსაც იგი დაბეჯითებით მოუწოდებდა: „ახალგაზრდებო, ვაპირებთ თქვენ და დანებებთ არსიულ ლექსების და ბიათების წერას თავი, ლექსები სწერეთ საქართველოს შესახებ, ქართველი ერის წარსულზედ, რომ ქართველმა ოდესმე კიდეც დაიბრუნოს დანაკარგი“.

თავის მძალი ავტორიტეტით, სამართლიანად წერს ზ. ჭიჭინაძე, — ს. დოდაშვილი დიდს გავლენას ახდენს იმ დროის ქართველს მოწაფეებზე. მის წრეებში დაიარებიან ნ. ბარათაშვილი, დ. ყოფიანი, გრ. ორბელიანი, ვ. ორბელიანი, ალექსანდრე ორბელიანი და ბევრიც სხვანი, მათ უნერგავს ვეჯლანს მამულისშვილობის და საქართველოს აღორძინების სიყვარულს, მათ ყოველ კრებაზე ს. დოდაშვილი ლაპარაკობს მარტო საქართველოს შესახებ, ქართველების დაწინაურებასა და ამაღლებაზე“.

ს. დოდაშვილის კეთილმყოფელი გავლენით ჯერ კიდევ სკოლაში დაიწყო ნ. ბარათაშვილმა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ხასიათის ლექსების წერა.

ამ ლექსებს ჩვენამდის არ მოუღწევია. ავტორმა ისინი დაწვა და ამით თავი დააღწია იმ მძიმე რეპრესიებს, რაც 1832 წლის შეოქმულების გაცემის შემდეგ საქართველოში მივიწვერებდა.

1 ვახ. ივერია: „შინაური მიმოხილვა“, 1883 წ. მაისი.
2 ზ. ჭიჭინაძე, სოლ. დოდაშვილი და ნიკ. ბარათაშვილი, გვ. 15.

1 იქვე.
2 იქვე, გვ. 11.
3 იქვე, გვ. 5.

თი რას მოგვეთხოვს გენერალი გრიგოლ გურული ამასთან დაეყოფილებით:

„ნიკ. ბარათაშვილი და მე ერთ სკოლის სკამზედ ვიჯექით. ნიკ. ბარათაშვილმა წინეთ შეიტყო, რომ მას განხრებდნენ. მას ბევრი ლექსები იჭვნდა რუსის მთავრობის წინააღმდეგ ნაწერი, იგი მალე წაიხიდა საბჭოში, მეც თან წაიხივენი, ყველა ეს ნაწერები ბუხარში შევიარა და ცეცხლს მისცა. ის იყო დანიწია და გამხრეკვენი მოვიდნენ. სასტიკად განხრებიც ყველაფერი...“

ხარკვა ვათავდა და ნიკ. ბარათაშვილს უთხრეს, რომ შენ დაბატონებულ ხარ როგორც სოღ. დოდაშვილის შვილობილი... ორი კვირის შემდეგ ნიკ. ბარათაშვილი ვათავისუფლეს¹.

„ქართლის ბედი“, რომლისთვის ზარუნეს შეალია შთელი თავისი სიციცხლე სილომონ დოდაშვილმა ნიკ. ბარათაშვილს სახით იბოვა გენიალური მოწყაფე, რომელმაც ბრწყინვალედ მოამარჯვა პოეზიაში სამოქალაქო-პატრიოტული მოტივები და თვით ქართული პოეზია უდიდეს სიმაღლეზე აიყვანა.

საქართველოს ბედზე, მის აწმყოზე და მყოფობაზე ზრუნდა, აი რა უნდებოდა თავის მოწოდებასა და თანამებრძოლებს სოღამონ დოდაშვილმა, რომელმაც ნიკოლოზ პირველს შეაბნეო რევიმის წინააღმდეგ ბრძოლაში სამშობლოსაგან შორს ზრდილობითი უღბოოდ დალია ხელი ისე, რომ ბოლომდე არ მიეცა საშუალება გამოველინებია თავისი დიდი შემოქმედებითი პოეტისა.

ს. დოდაშვილი ერთი პირველთაგანია, რომელმაც უმაღლესი განათლება პეტერბურგში მიიღო, ვინმესკვალა იმ განმათვისსუფლებელი იდეებით, რომლებმაც რუსეთში დეკაბრისტული მოძრაობა წარმოიშვა, 1827 წელს დაბრუნდა რა საქართველოში ს. დოდაშვილმა თავის ვარშემო შემოაკრიბა მოწინავე ახალგაზრდობის წარ და დიდი ენთუზიაზმით შეუდგა ხელოვანობაზე მოღვაწეობას სამშობლო ნიდავზე.

ს. დოდაშვილზე დეკაბრისტების გავლენის შესახებ ჯერ კიდევ ზაქარია კუჩინაძე მიუთითებდა იგი წერდა: „ს. დოდაშვილი პეტროგრადში ხალხით ეწაფება დეკაბრისტთა ცნობას, იგი მოუხს, უნივერსიტეტის სტუდენტთა შორის პროვებს მგობარებს, ზოგი პროფესორთა შორისაც და ზოგიც უნივერსიტეტის გარეშე სხვადასხვა წრეებში. ესეც პირველი მავალითა ქართველს კაცისაგან დეკაბრისტთა ვარშემო“².

საუცხოო ფილოსოფიური ერუდიციით და

იმ დროის მოწინავე იდეებით აღჭურვილი ს. დოდაშვილი კარგად იცნობდა ქვეყნის სახელმწიფო მოწყობის რესპუბლიკურ-დემოკრატიულ პრინციპებს და კიდევ იზიარებდა მათ. მაგრამ ისიც კარგად ესმოდა, რომ იმდროინდელ საქართველოს სახელმწიფოებრიობის ამ პრინციპებზე დაფუძნება არარეალური იყო ფინანსური არა იყო. ამიტომ იგი იბრუნის რა სუბარატინისა და საქართველოს განცალკევების დროში, არამედ რუსი და ქართველი ხალხის თანამეგობრობას და ცარიზმის წინააღმდეგ ერთობლად ბრძოლას ქადაგებს. რუსეთთან საქართველოს შეერთება მას ჩვენი ქვეყნისათვის დიდ საკეთოდ მიაჩნდა. ს. დოდაშვილს საუცხოოდ ესმის, რომ საქართველოს ისტორიულ მტრებს არ სძინავთ. „სპარსნი, თათარნი, ოსმალინი და მთიურნი, — წერს იგი, — მარადის... იყუნეს საქართველოსათვის ვითარცა ღოთფნი და გუნენი გვრომისათვის, ე. ი. წყველიათ განათლებასა გინა სწიულულებასა“¹.

თვალისწინებდა რა საქართველოს ასეთ მდგომარეობას ს. დოდაშვილი პირდაპირ აღიარებს, რომ ჯერ კიდევ საქართველოს რუსეთის მფარველობის ვაგრეფ არსებობა არ შეუძლია².

ასეთ ვითარებაში ს. დოდაშვილი, როგორც თავისი ქვეყნის მგზნებარე პატრიოტი თვლიდა იბრძოდა თვითმპყრობელობის კოლონიური ჩაგვრისაგან საქართველოს განათვისსუფლებლისათვის. იგი დაუღალავ მუშაობას ეწეოდა ახალგაზრდობაში პროგრესული სოციალ-პოლიტიკური იდეების შეტანისა და გავრცელებისათვის.

მიუხედავად შკაიტი საცემწურო პირობებისა ს. დოდაშვილი განმათვისსუფლებელ იდეებს ქადაგებდა მის მიერვე დაარსებულ ჟურნალში, რომელსაც „ტფილისის უწყებებს“ დამატება — „სალიტერატურო ნაწილი“ ეწოდებოდა. ჟურნალის მიზანი და აგრეთვე ის, თუ რა დღეები პირობებში ხდებოდა მისი გამოცემა, კარგად ჩანს წერილიდან, რომელიც ს. დოდაშვილმა ფილაფელფოს კონამეს გუგუზაგან:

„სხვათაჲ მსობოვე და კიდევც ეცადევი რათა ხელი მოაწერონ, ლე ფრიად დამაჯალუბო, ამისთვის რომელიც ცოტანი არიან ხელის მომწერნი და ხარჯი მრავალი უნდა, თუ დიდგეს დაბეჭდვა მთავრობისაგან, ქართველთათვის სიარცხილია.

როგორ არ უნდა ვისტრეოთ ენის გამდიდრებისათვის, მამულის დიდებისათვის და გო-

¹ იქვე, გვ. 17.

² იქვე, გვ. 3.

¹ „ივერია“, 1867 წ. № 227.

² ცსსა, ფ. 1457, რკ. XXIV, ფურც. 4825.

ნების განათლებასათვის ესრეთი სასარგებლო საქმე¹.

ს. დოდაშვილი პირველ განმნათლებელი საქართველოში, რომელიც ღირსეულად დგას ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეებისა და მოძრაობის სათავეებთან. მისა იდეური ხელმძღვანელობით შექმნილმა ახალგაზრდობის გუნდმა, თავისი საზოგადოებრივი მოღვაწეობის მიზნით „მამულის დიდებისათვის და გონების განათლებასათვის“ ბრძოლა რომ დასძახა, პირველმა დაარწია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აყვანი საქართველოში. ამ გუნდის პროგრესული იდეები თანდათან იყვანვენ გზას ქართულ საზოგადოებრიობაში. ეს იდეები დაახლოებით მინც სწორად არის ასახული გრ. ორბელიანისა და ი. აფხაზის შორის 1831 წელს გამართულ დიალოგში, რომლის შინაარსი გადმოცემულია გრ. ორბელიანის წერილში, რომლის სათაურია: „მოგზაურობა ჩემი თბილისიდან პეტერბურგამდის“.

საქართველოს აღორძინებისა და მისი სახელმწიფოებრიობის აღდგენის პერსპექტივა ამ წერილში შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: „თქვენ, ახალგაზრდებო! თქვენ უნდა ეცადნეთ ყოველის ღონისძიებით მამულისათვის. პირველად უნდა ისწავლოთ, გონება განინათლოთ და მიწინ დაინახეთ და გამოართათ ნაკლოვანებათა და ამა მიზეზით ვიპოვო, რომელი ღმერთიანს ნუ იხებთ საქართველოს დაცემა რუსთავან ას წლამდის; მაშინ აღარ შეშინის, ამისთვის, რომელ საქართველოს ეყოლება მას დროსა მრავალი სწავლულნი კაცნი, საზოგადოება შეიკვლება, იგრძნობს ყოველსა საქართვებასა, და ყოველი კეთილი, ახალი სასარგებლო დაწყებულობა ადვილად აღსრულდებინს...“

საქართველო არს ღარიბი სამეფო და სხვა რომელი სახელმწიფო გვენდობა ჩვენ ვალად ვარდა ამისა, საქართველო არს დაგლეჯილი ნაწილ-ნაწილად. აღიქმანდრე მეფის შემდეგ, რომელმანცა განსჯეულად ვანსყო საქართველო ქართული, კახელი, იმერეთის, სიათაბავო, ვურია... — მისი დროთა აქომამდე იყვნენ ურთიერთს მტერნი და სისხლი ინთხოვდა მოუწყვებელ. აწ ძლავს შეერთდენ და ამიერთვან უნდა შეერთობოდენ და შეადგინონ ერთი მრთელი: წებოთი მიკრული არ დაღვების დიდხანს, თუ მზე არ შეაერთებს და არ შეადუღებს მას. ჩვენი მზე არის დრო. დრომან უნდა გაგვიანალოს, ვგასწავლოს ურთიერთთა და მამულის შეუვარება და შეგვეერთოს ერთითა გულითა, ერთითა ფიქრითა

ყოველი ნაწილი ძველისა საქართველოსანი. მაშინ იქნება, თუმცა არა ურთოდ მტერი, ვითარცა სხვანი სახელმწიფონი, და ვარა შემაძლებულ დავად თვისისა სამხლერისა. გარე შემობლდულ არს რა საქართველო მტერთვან, ჯერ არს რათა ყოველი ქართველ აღინათოს მამულის სიყვარულითა და თვითუღმან აღირჩიოს გზა ღონისდისა...“

კვალად ვამბობ, რომ დრომ უნდა აღადგინოს საქართველო².

როგორც ცნობილია, ს. დოდაშვილი და მისი თანამოაზრენი მოწინააღმდეგეები 1832 წლის შეთქმულებაში. ამდენად და მხოლოდ ამდენად, თუნდაც ეს პარადოქსით ჩამოგვართვან, ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას საქართველოში თავისებურად ეხმარება ეს ე. წ. თავდაზნაურთა შეთქმულება³.

როგორც გამოჩნევი მიზეზებით, ასევე თავისი მიზანდასახულობით 1932 წლის შეთქმულება არსებითად განსხვავდება გლეხთა იმ აჯანყებისაგან, რომელიც საქართველოში ჰქონდა ადგილი მეცხრამეტე საუკუნის პირველ მეოთხედში. თუმცა არა უშუალოდ, მაგრამ რამდენადმე მაინც შეთქმულება განაპირობებული იყო მისი წინამორბედი გლეხთა ამ აჯანყებით, რომელიც უპიკვალად შეიცვალნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთგულებს (ამ საკითხზე ქვემოთ გვიქნება მსჯელობა). ხალხში დაგროვილი უკმაყოფილება, გლეხთა აქტიურობა პროტესტებში გააბედინეს ბატონიშვილებსა და თავადებს გადაეღვათ ასეთი საჩისყო, იმ დროისათვის უთუოდ ავანტიურისტული ნაბიჯი.

რამდენადმე შეთქმულთა უმრავლესობა ვარაუდობდა რუსეთიდან საქართველოს ჩამოშორებას, სპარსეთსა და თურქეთზე ორიენტაციას და ამ ნაბეზრადზარბაზოსულ სახელმწიფოთა დახმარებით ბავარიონთა დანასტის ხელახლა გამეფებას, ამდენად შეთქმულება რეაქტიული წამოწყება იყო. და, ცხადია, მისი დეკლარირება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან არ შეიძლება.

მაგრამ მისაღების უბრალო გაცნობაც კი ნათელსა ხდის, რომ შეთქმულნი არ შეადგენდნენ ერთ მთლიან და ერთფეროვან მანკს.

¹ ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებანი, გვ. 58-59.

² 1832 წლის შეთქმულების ისტორიის განხილვა ჩვენს ამოცანას არ შეადგენს. ამ დარგში ჩვენი ისტორიოგრაფია არცთუ ისე ღარიბად გამოიყურება. ამიტომ შევჩვენებთ საკითხის პრინციპულ მხარეს, მოვლენის შეფასებას და ისიც მხოლოდ ჩვენი თემის ფარგლებში.

¹ „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, წიგნი 1. 1935 წ. გვ. 318—319.

შეთქმულთა შორის აშკარად მოსჩანს ორი მაიმინაობა. მათ შორის სერიოზული უთანხმოება და ბრძოლა. მაკალითად, როცა ს. დოდაშვილს შეთქმულებაზე გული გაუტყდა და აღარ სურს მემოაბა, მასთან მიღიან მემარჯვენე ბანაიკიან და სიკვდილით ემეტქებოიან¹.

ისიც მართალია, რომ ამ ორი ბანაიკიან ბეერად უფრო ძლიერი იყო რეტროგრადთა ბანაიკი, რომელიც თავის ეგოისტურ კლასობრივ მიზნებს ყველაფერზე მაღლა აყენებდა და მხოლოდ დაკარგული პრივილეგიებისა და ტახტზე განბატონებისათვის იბრძოდა.

მაგრამ შეუძლებელია იმის დაიწვევა, რომ შეთქმულთა შორის იყო მეორე — პროგრესული ნაჯადიც, რომლის სოციალ-პოლიტიკური იდეები საუცხოოდ ეხმარებოიან ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას საქართველოში. ამ პროგრესული ნაჯადის მეთაური იყო სოლომონ დოდაშვილი, რომელიც, კაცმა რომ თქვას, „შეთქმული“, ამ სიტყვის უარყოფითი მნიშვნელობით, არც კი იყო. იგი, თავის თანამოაზრებელთან ერთად უშეუბღა ეურნალს, წერდა პროკლამაციებს და ძალ-ღონეს არ იშურებდა, რათა მოძრაობისათვის მსოსობრივი ხასიათი მიეცა. ხოლო როცა ამის განხორციელება არ მოხერხდა და შეთქმულების მემარჯვენე ფრთამ გაიმარჯვა, ს. დოდაშვილი არსებობდად ჩამოშორდა მას.

ს. დოდაშვილი კარგად იცნობდა დეკაბრისტების იდეებს. რიდიევის ცნობლი მთქოდება: «Но где, скажи, когда была Без жертв испулена свобода?».

მან თავისი ბრძოლის დევიზით გამოაცხადა, მაგრამ როცა შეთქმულებამ არა სწორი მიმართულება მოიღო და არსებობდად ავანტიურად იქცა, იგი ჩამოშორდა შეთქმულებას.

ს. დოდაშვილი არა მარტო თავისი სოციალური მდგომარეობით, არამედ, რაც მოთავსარია, თავისი იდეებით არ შეიძლება შეფის ტახტისათვის მებრძოლი ყოფილიყო. და, თუ მართლაც, ოქროპირ ბატონიშვილს მასთან საუბარია ჰქონდა საქართველოში რესპუბლიკური მმართველობის დამყარების შესახებ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ თეთი დოდაშვილი ატარებდა და იზაარებდა ასეთ იდეას.

ამ შემთხვევაში ოქროპირია სრულიადაც არ გამოხატავს საერთოდ ბატონიშვილების იდეებს. ისინი ბუნებრივია საქართველოში შეფობის აღებულებად დარჩნენ. მაგრამ საფრანკეთის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ, რომელმაც ამ დროინდელი მსოფლიო შესძრა, არა-

ფერია გასაკვირი იმაში, რომ პეტერბურგში გაზრდილ რომელიმე ქართველმა ინტელექტუალს თენდაც პროპაგანდისტულ მუშაობაზე სურდა. შეილთან საუბარი ჩამოვედო საქართველოში რესპუბლიკური მმართველობის შემოღების შესაძლებლობის შესახებ. შესაძლებლობის მსოლიდ ვაშობობთ იმიტომ, რომ მისი პრაქტიკული განხორციელების პირობები ბატონიშვილთა საქართველოში იმ დროის არ არსებობდა. ხოლო ასეთი ხასიათის საუბარი, რომ ნამდვილად ყოფილა ოქროპირ ბატონიშვილია და დოდაშვილს შორის, ეს დასაბუთებულა სათანადო დოკუმენტებით, რომლებიც 1935 წელს გამოაქვეყნა პროფ. გოზალიშვილმა².

საკითხი ს. დოდაშვილის რესპუბლიკანელობის შესახებ ჩვენს თემასთან პირდაპირ არაა დაკავშირებული, იმიტომ მის გაზრდში ფართო მსჯელობა არ გვექნება. საქირთო მთავარნია მხოლოდ აღენიშნოთ, რომ დოც. მ. გოცაძემ ნარკვევში ს. დოდაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ახალი მასალებით დაიდსტერა, რომ ასოლ. დოდაშვილი რესპუბლიკის შესახებ ნამდვილად მსჯელობდა³. ეს სასებულო დამაჯერებელია და ჩვენ ავტორის ამასი ვეთანხმებით.

მაგრამ მ. გოცაძე ამით არ კმაყოფილებია. იგი საკითხს უფრო კონკრეტულად აყენებს და ცდილობს გაარკვიოს თუ რა სახის რესპუბლიკური წყობილების დამყარება ჰქონდა განზრახული ს. დოდაშვილს მეტრამეტე საუკუნის ოქტობრითანი წლების დასაწყისში.

ასოლ. დოდაშვილის წარმოდგენით, — წერს მ. გოცაძე, — შეიძლება რუსეთის იმპერიაში საერთოდ მონარქიული წყობილება არსებობდეს, ხოლო კერძოდ საქართველოში კი მმართველობის წესი შეიცვალოს და რესპუბლიკა დამყარდეს, ე. ი. ერთმანეთის გვერდით ერთი დამივე სახელმწიფოს ტერატორიის საზღვრებში არსებობდეს რესპუბლიკა და მონარქია³.

მრავალმხრივი მსჯელობის მიუხედავად, მ. გოცაძის ნარკვევში ზემოთმოტანილ ცატატაში გამოთქმული შეხედულება დამაჯერებლად დასაბუთებულა არ არის. ჩვენის აზრით ასეთი შეხედულების დასაბუთება თითქმის შეუძლებელიც არის.

ავტორია კარგად იცნობს ს. დოდაშვილის მიერ ვანელილ მოკლე, მაგრამ უაღრესად შინაარსიან და მძიმე ცხოვრების გზას, მის შეხედულებათა ევოლუციის, იცნობს მას როგორც გამოცდილ პოლიტიკურ მოღვაწეს, და იმიტომ,

¹ გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, 1935 წ. გვ. 90-93.
² მ. გოცაძე სოლომონ დოდაშვილი, 1955 წ. გვ. 92.
³ გოცაძე, სოლომონ დოდაშვილი, გვ. 94.

¹ ამ საკითხს უფრო ვრცლად აშუქებს დოც. გ. გოცაძე. იხ. მისი ნარკვევი „სოლომონ დოდაშვილი“, გვ. 110-115.



პირდაპირ საოცარია, როცა მას წარმოგიდგინეს გულბრყვილო შეოცნებებთ, რომელსაც საჯერა ნიკოლოზ პირველის მონარქიული წყობილების პირობებში რესპუბლიკური წყობილების დამყარება საქართველოში. სინამდვილეში საქმე ასე როდია. ს. დოდაშვილი იზიარებს რესპუბლიკურ იდეებს, თავისი სამშობლოსათვის მმართველობის ამ ფორმას მისაღებათ თვლის, მაგრამ მისი განხორციელება შეუძლებლად მიაჩნია არა აწმყომი (ნიკოლოზ პირველის რეჟიმის პირობებში), არამედ მომავალში.

ხლო ყოველივე ის, რისი განხორციელებასათვისაც რეალურად იმ დროისათვის ს. დოდაშვილი იბრძვის, წარმოადგენს არა რესპუბლიკის, არამედ საქართველოს ეროვნული თვითმმართველობის მოთხოვნას. ამას მოწმობს ს. დოდაშვილის მთელი საზოგადოებრივი მოღვაწეობა, ამასვე მოწმობს თუნდაც მისი საგანმომხიბლო ჩვენებები შეთქმულებაში მონაწილეობისათვის წყევნებულ ბრალდებათა გამო. ს. დოდაშვილი საქართველოს ბრესთისაგან ჩამოშორების წინააღმდეგია, იგი იბრძვის არა სეპარატიზმის დროშით (სხვაგვარად საქართველოში რესპუბლიკის განხორციელებაზე ფიქრი კი ცარიზმის დროს ფუჭი ოცნება იქნებოდა), არამედ იმისათვის, რომ ზვენი ქვეყნის მართვაგამგეობაში, აღმინისტრაციაში, სასამართლოში, სკოლაში და სხვ. ყოფილიყო ეროვნული კადრები, ისეთი ადამიანები, რომელთაც გაეგებოდათ ქართველი ხალხის ჯიფიცხობება და ზენეველება, ვნა და ქცტრება.

ყველა ეს მოთხოვნა თავისუფლად თავსდება ეროვნული თვითმმართველობის ცნებაში. შ. გოცაძის შრომაში მოტანილი მასალაც მხოლოდ ამას აღსატრებს. ამიტომაც მისი დასკვნა თითქოს ს. დოდაშვილი იმ დროს რესპუბლიკის მოთხოვნას აყენებდა დამაჯერებლად დისაბუტებელი არ იარს.

1832 წლის შეთქმულთა იმ ნაწილის შესახებ, რომელსაც ს. დოდაშვილი შეთავაობდა ჩვენ უფრო მართებულად მივცანია პროფ. ა. კაკვიძის მსჯელობა.

„ერთი ნაწილი ფარული საზოგადოებისა, წერს იგი, — უფრო ფართო მიზანს ისახავდა. შეფხის ბიუროკრატების ბატონობაში ეს წრე ხედავდა ქართველი ხალხის ჩავგრას და ხმას იმადლებდა მჩავერდი ძალის წინააღმდეგ, რათა ბიუროკრატულ, აღმინისტრაციულ და სასამართლო დაწესებულებებს რუსეთის სახელმწიფო უფლებას ქვემ გაერთიანებულ საქართველოში ადგილი დაეთმო ქართველი დაწესებულებებისათვის. საქართველოს ჰქონდა თავი-

სი შინაშეართველობა. ეს ჯგუფი იბრძოდა იმისათვის, რომ დაეცვა სამშობლომ¹ ტენა-ხენე-ჩეველება, ქცტრება, თავისი ეროვნული ტრადიციები. ფარული საზოგადოების ამ ერთი ნაწილის საუკეთესო წარმომადგენელია სოლომონ დოდაშვილი, შეთქმულთა ორგანიზაციის ერთ-ერთი მეთაური, დიდად განათლებული მოღვაწე, ფილოსოფოსი და ლიტერატორი“.

თვითმპყრობელობის მოხელეები როცა ს. დოდაშვილს დაიგნებთ უყენებენ ბრალდებას რესპუბლიკის ანუ სეპარატიზმის გამო, ეს საყენებით გასაგებია. მათ ს. დოდაშვილი, როგორც პლებების წარმომადგენელი, თვითმპყრობელობის უკლებზე სამში მტრად მიაჩნიათ და ამგვარი ხრატებით სურთ გაადიდონ მისი ბრალდებების ხარისხა.

1832 წლის შეთქმულთა შორის ს. დოდაშვილი ყველაზე უფრო მკაცრად დაისაჯა იმტომ, რომ მთელ თავის მოღვაწეობაში იგი ყველაზე უფლო ესარტყებოდა ხალხის დაბალ ფენას — გლეხობას (მასალბიდან ნათლად ჩანს თუ რა დიდი გავლენით სარგებლობს ს. დოდაშვილი გლეხობაში, განსაკუთრებით კახეთში).

ბარათში, რომელიც მან საგამომხიბლო ორგანიგებს გადასაცა, ს. დოდაშვილი ჩვენი ხალხის ატრანელ მღვდმარეობაზე მიუთითებს.

მოციტანით რამდენიმე ადგილი ამ მეტად საუფრადლებო დოკუმენტად.

„მაქვს ბატყი მოგასხენით შემდეგი იმ ჩავგერა შევიწროებათა შესახებ, რომელიც მე ქართველთაგან მომხსენია:

- 1. სახელმწიფო დაწესებულებებში საქმეები ძალიან ნულა კეთდება და არ ეფარდება არც ხალხის ხასიათს, არც ზენიველელებს; კანონს უკუღმართი აზრით ხსნიან და საქმეები ფრიალ არასწორად მოავრდება.
- 2. საქმეები ასეთ ადგილებში მხოლოდ ქალალებზე მოავრდება და მათ გადაწყვიტილად სთვლიან, თუმცა იშვიითია, რომ ვინმეს დამკამყოფილებელი პასუხი მიეღოს.
- 3. წუთიერ და მყირებნიშვნელოვან საქმეზეც კი ნაბრძანება იხოვნა ლერბიან ქცტრადლე იქნას შეტანილი.
- 4. საქმე, რომელიც შეიძლება სიტყვიერად და ძალიან სწრაფად გადაწყდეს, ნაბრძანებითა შეტანილ იქნას სასამართლოში, სადაც ძალიან დიდხანს გრძელდება.
- 5. მომზიენითაგან, როგორც მართალი, ისე მტყვანი მხარე, უფრო მეტს ხარჯავს, ვიდრე თვითონ საქმე ღირს, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე არ იქნება მოსმენილი და არც არასოდეს დამთავრდება.

¹ კორექტურული შეცდომაა ილბათ, უნდა იყოს „ქმონოლა“ ან „უნდა, ქმონოლა“.

¹ აკცივიტ, საქართველოს ისტორია, 1954, ვვ. 183.

... მაგალითად, ერთი ღარიბი მოხუცი დედა-კაცი, რომელიც მამაკების გეზობლად ცხოვრობდა სოფლად, 1813 წლიდან ცდილობს დაბარუნოს თავისი ძროხები, რომლებიც იქაურ მცხოვრებს გაურკვევია... როგორც მან გვიამბო, დღემდე ვერ შეძლო მან პასუხი მიეღო ოქტის უფროსისაგან.

ერთმა გლეხმა, ვილაც ავალიშვილმა, 1817 წელს აღმასრულებელ ექსპედიციას მისცა თხოვნა 180 მანეთის შესახებ და მას შემდეგ ეს კაცი სიარულით დაიღალა და პასუხი რომ ვერ მიიღო გასულ წელს მე მომეჩაბათა...

ამგვარი საქმეები უამრავია. ეს ძალიან ამძიმებს მცხოვრებლებს და ისინი ზშირადაც ჩივიან, სხვები სიღარიბის ან ენისა თუ კანონების უცოდინარობისა გამო სრულიად ხელს იღებენ თავიანთ უფლებებზე.

...ერთი სიტყვით, ქართველთა შთელი საზიარო სახელმწიფო დაწესებულებებთაგან ჩავ-ვრა-შევიწროებაზე არის დამყარებული. მათ შესამსუქებლად... შემდეგი საშუალება არსებობს.

მართვისათვის საჭიროა შერჩეული იქნეს ადამიანები სახეებით მცოდნე ხალხისა და რაც შეიძლება მეტად არჩეულდნენ საქმეს სიტყვიერად, რასაკვირველია შერჩეულ უნდა იქნეს მიუკერძოებელი და კეთილი ადამიანები.

გლეხებს ის უზარიათ, რომ მოუღმინონ და სსამართლობს გაიყვებ მოარბიონ, ანდა დამნაშავე, თუკი აუცილებელია დაისაჯოს. მაგრამ სასამართლოში ნუ მისცემენ. სასამართლო, — მგრძობიარე, შეიძლება ითქვას, კეთილი და გულწრფელი ხალხისათვის, — სამინელი ტვირთია¹.

ს. დოდაშვილი გადაჭრით აღნიშნავს. რომ ქვეყნის მართვაგებობა არ შეუძლიათ ამ პირებს, რომელთაც არ იციან ჩვენი ხალხის ენა, ფსიქოლოგია და ზნეჩვეულებათა. მაშინაც კი რაცა იგი ბრალდებულის სკამზე ზის ს. დოდაშვილი გზობს თვითმპყრობელობის ბიუროკრატიულ სასამართლო აპარატს, რომელიც ხალხისათვის სატანჯველად გადაიქცა. ს. დოდაშვილი გადაჭრით მოითხოვს ყველა ამ უმსგავსოებათა აღმოფხვრას და ამისათვის საჭიროდ მიაჩნია, რომ ჩვენ ქვეყანას მართავდნენ „აღამიანები სახეებით მცოდნე ხალხისა“.

ასეთი 1832 წლის შეთქმულების პროგრესული ნაჯდის (ანუ მემარცხენე ფრთის) სამოქმედო პროგრამა, რომელნიც დემოკრატიული საფუძვლები გააჩნია, იგი, ეს პროგრამა ნამდვილად გამოხატავს ქართველი ხალხის ინტერესებს, მის პოლიტიკურ მოწრაფებებს. ამ პროგრამის სრული უფლებით შეიძლება ვეწოდოთ საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებე-

ლი მოძრაობის პროგრამის პერველი. მაგალითი მონახაზი, რომელშიც განვითარებულ პროცესებშიც ვხვდებით ხანში, ხოლო სამოციან წლებში სრულყოფილი პროგრამის სახით ჩამოყალიბდა.

შეთქმულებაში ასეთი პროგრესული ნაჯდის არსებობის შემდეგ მისი ზეგავლენით და პოლიტიკურ რეაქციულ მოვლენად გამოცხადება ჩვენ შეედომად მიგვიჩინა. შეუცდომად მიგვიჩინა აგრეთვე მისი უარყოფა, რომ შეთქმულება (მისი მემარცხენე ფრთის სახით) თავისებური ფორმით, მაგრამ გარკვევით ეხმარება საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. ამიტომ არ არის მართალი, როცა ზოგიერთი მკვლევარი 1832 წელს ისე უუერებს, როგორც საქართველოს ისტორიის შავ წერტილს, არ შეიძლება იგვიარობის ნიშანი დავსვათ 1832 წლის შეთქმულებასა და ამ შეთქმულების ამ რეაქციულ ფრთას შორის, რომელიც ფეოდალურ-მონარქიული ნაციონალიზმის ნიადაგზე იდგა და სპარსეთისა და თურქეთის დამპყრობით ლაშობდა ბაგრატიონთა გამეფებას და დაკარგული დიდების აღდგენას. არ შეიძლება იმის დაეიწება, რომ შეთქმულებაში მონაწილეობდა მემარცხენე ფრთა, რომელსაც სათავეში ედგა დიდი საზოგადო მოღვაწე და განმანათლებელი ს. დოდაშვილი, რომელსაც მხარს უჭერდა ან თანაგრძობდა შეთქმულთა მიერ, მაგრამ პროგრესული ნაწილი. ზოგიერთი მკვლევარი შეთქმულებას სახეებით და მთლიანად რეაქციულ მოვლენად აქხადებს და ამით ნებით თუ უნებლიეთ ჩრდილს აყენებს ისეთ მოღვაწეებს, როგორც იყვნენ ს. დოდაშვილი ა. ჭავჭავაძე, ს. რაზმაძე, ი. აფხაზი, ვ. ორბელიანი და სხვ., რომელთაც ამ საქმეში წილი ედგათ და ამისთან არ იზიარებდნენ ფეოდალურ-მონარქიულ „ნაციონალიზმს“ წარმომადგენელთა რეაქციულ მზნებს.

ასე მაგალითად, ხომ ცნობილია, რომ ალ. ჭავჭავაძე ბოლოს ჩამოშორდა შეთქმულებას და მასთან მიგზავნილ ღ. ორბელიანს უთხრა: „ჩვენ დაეიწებებით, სპარსელები და თურქები რუსებზე უარენსი არიან, ვიჩივით წყნარად გაუხმარებლად გაათოდ ეს საქმეო“¹.

საინტერესოა აგრეთვე ი. აფხაზის პასუხი კითხვაზე, შეუძლია თუ არა ამგვარად საქართველოში დოციანთა თემი შესლმინაველი სამყაროს შემოსვენისაგან. იმ როგორ უქმსებებს იგი: „არა ძალუძს ამისათვის, რომელ პოლიტიკური მდგომარეობა მესახლერეთა სახელმწიფოთა ძიასა შინა ფრთად შეიცვალა. ვის უხილავს ყიზილბაშისა და ოსმალთს ესრეთი განწყობილი ჯარი და ესრეთი თოფხანა. საქართველო იქნებოს რა დატოვებულ რუსთაგან, ვითარ

¹ ცხსა, ფ. 1457. რეველი V. ფურც. 809-810.

¹ აბელ კივიძე. საქართველოს ისტორია, 1954, გვ. 173.

წინააღმდეგობის მათ. და ამა მიზეზით ვამბობ, რომელ ღრმერთან წე იხებოს საქართველოს რატოვება რუსთაგან ას წლამდის... ზვენი მზე დრო არის... დრომ უნდა აღადგინოს საქართველო" 1.

ასეთია საქართველოს უკეთესი მერმისისათვის, მისი ეროვნულ-პოლიტიკური აღორძინებისათვის ამ მებრძოლი ჯგუფის კრედი, რომელიც მონაწილეობდა 1832 წლის შეთქმულუბაში. ამ ჯგუფის მეთაური იყო ს. დოდაშვილი და ამიტომაც მისი ხვედრი გახდა ტანჯვით სიკვდილი შორეულ ციხეში, სადაც იგი გადასახლეს, როგორც თავისი სიმშობლოს თავისუფლებისათვის თავდადებული მებრძოლი, თავისი დროის გამორჩენილი რევოლუციონერი დემოკრატი.

უპიკვლად საინტერესო და მნიშვნელოვანი ფაქტია ის, რომ ს. დოდაშვილი ვადისახლებაში ვაეცნო და დაუმეგობრდა დიდ რუს განმანათლებელს ა. ი. გერცენს 2, რომელიც, როგორც ცნობილია, მზურგაულდ თანაგრძობობდა რუსეთის იმპერიაში ყველა ჩაგრულ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. ასე მაგალითად, სლავიანოფილებს როცა აყრიტყებდა გერცენი ხაზგასმით და თანაგრძნობით აღნიშნავდა:

„ეროვნება, როგორც დროში, როგორც საბრძოლო ძახილი მხოლოდ მაშინ შეიმოსება დიდებით, როცა ხალხი დამოუკიდებლობისათვის, უცხო უღლის დამხობისათვის ბრძვისო“ 3.

სწორედ ეროვნული დროშისათვის ასეთ მებრძოლად მიანდა ა. გერცენს ს. დოდაშვილი. ეს იყო მათი ვაეცნობისა და დაახლოების იდეური საფუძველი.

ს. დოდაშვილის ანდერძის ყველაზე მკაფიო და ბრწყინვალე გამოხატულებას მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში წარმოადგენს მისი გენიალური მოწოდების ნ. ბარათაშვილის უკუდავი პოემა „ბედი ქართლისა“, ეროვნულ-

განმათავისუფლებელი იდეების ეს დიდებულო პიშია.

დაიდა საწყისი ეროვნულ განმათავისუფლებელი იდეოლოგიისა, რომელიც სსუ. ნათლად მონახინს ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში, შემდგომ განაეითარეს და ახალ ეტაპზე აიყვანეს სამოციანი წლების დიდმა მოღვაწეებმა საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მდღეროშეებმა ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა და მათ თანამებრძოლთა შესანიშნავმა პლეადამ.

ამრიგად, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიის, რომელიც სპიოლოლო მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებში ჩამოყალიბდა, თავისი ღირსეული წინამორბედები ჰყვარდა იმავე საუკუნის პირველ ნახევარში. მათ შორის პირველი ადგილი უეირავთ დიდ საზოგადო მოღვაწეს და განამანათლებელს სილომონ დოდაშვილს და გენიალურ პოეტს ნიკოლოზ ბარათაშვილს. ისინი დგანან საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სათავეებთან. მათი შემკვიდრებობა განაეითარა და ახალ ეტაპზე აიყვანა სამოციანელთა დიდებულმა თაობამ, რომელსაც ილია ჭავჭავაძე ედგა სათავეში.

შემთხვევითი როდია, რომ ორი თაობის ამ მემკვიდრეობითი კავშირზე თვით ილია ჭავჭავაძე მიუთითებს. ვაეცნო „დროების“ ათი წლის თავთან დაკავშირებით გამართულ შეკრებაზე მან თქვა: „... სამართალი ითხოვს, რომ ყველას თავისი მიეწყოს. თუმცა ამ დროშაზედ, რომელზედაც უფ. მესამა მოიხსენა, ესლანდელთა „დროების“ მოღვაწეთა თავისი მიმართულება ზედ წანაწილად, მკარამ თვით დროშია ეი მიმკვიდრეობით ვვაქვს გადმოცემული განსვენებულ დოდაშვილის გან, ვიორგი ერისთავისგან. საუკუნოდ იყოს ხსენება მათი ზვენი“ 4.

ილია ჭავჭავაძის ამ მიითებამ გვიარჩნა მიმოგვიხილა ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეებისა და მოძრაობის ის დიდი საწყისები, შესანიშნავი ულორტები, რომელნიც მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში აღმოცენდნენ. ყველაზე დიდებულნი ამ მიმართულებით მიუძღვით სილომონ დოდაშვილს და ნიკოლოზ ბარათაშვილს. ამიტომაც მათ როლზე ნარკვევში განსაულოებთ შევჩერდებით. ეს აუცილებელი პრაკედურაა, რომელიც გვეხმარება სამოციან წლებში ახვირთებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მუნიერულ გააზრებასა და გამუქებაში.

1 ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებანი, 1945 წ. გვ. 47-48.

2 ა. ი. გერცენი წერდა, რომ ს. დოდაშვილმა „ვერ აიტანა მკაცრი ჰევა და საშინელ ქლექში ჩავარდა, მე ის ვინახულე სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე. მის სიციოტლის ნიშანწყალი აღარა ჰქონდა, მკარამ მაინც დრმა რწმენით თქვა: „ოღონდაც ვახაზებულზე არ გაეხდებ უფრო ცუდად, თორემ მართლა ქლექად გადაიქცევაო“ (Герцен А. И. Полн. собр. соч. II писем, т. III, стр. 19).

3 А. И. Герцен, „Былое и думы“, 1946 г. стр. 284.

4 ვაბ. „დროება“, 1876 წ. № 24.



ღევ ტოლსტოი და ქართული საზოგადოებრიობა

რუსი ხალხის იმ დიდ მოღვაწეთა რიგს, რომლებშიც მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი ჩვენს ქვეყანასთან, გეტყვინის გენიალური ლევ ტოლსტოი.

აღსანიშნავია, რომ ლევ ტოლსტოის საქართველოსთან დამოკიდებულების საკითხით თავის დროზე დაინტერესებულა დიდი რუსი მწერლის ცნობილი ბიოგრაფი და პირადი მეგობარი ბირიუკოვი. იგი ერთ-ერთი დამაბრუნებელი და ხელმძღვანელი იყო ტოლსტოის სახლმუზეუმისა პეტერბურგში. ბირიუკოვი ტოლსტოის გარდაცვალების წლის თავზე ქართველი კორესპონდენტის საშუალებით, ქართულ საზოგადოებას შემდეგს ატყობინებდა: „საქართველოს ტოლსტოი მუდამ დიდი სიყვარულით იგონებდა. აქ აქვს მას დაწერილი თავისი პირველი ნაწარმოები „ბავშვობა და ყრობა“. იგი ვაფასობდა იმდენად თვალყურს გუროის ვლენთა მოძრაობას, ყუდა და შეგობრები, როგორც ილია ნაკაშიძე და აქ მოძღვა ვინმეს თქვენში ტოლსტოის წერილი ან სხვა მასალა ჰქონდეს... ენობო ვისაც კი შეუძლია ამგვარი მასალის მოწოდება, მოგვეხმაროს, რომ კაცობრიობის მოყვარულს და ჩაგრულთა მოღვაწეს ღირსეული პატივი ვცეთო“¹.

ბირიუკოვის ამ ცნობას, რომ ტოლსტოი დიდი სიყვარულით იყო დაკავშირებული საქართველოსთან, ადასტურებს აგრეთვე გამოჩენილ რუს მწერალთან დაახლოებული მეორე პირი დ. მაკოვიცი, რომელსაც თავის „ისწავლიან-ნერ ჩანაწერებში“ სიტყვა-სიტყვით მოყავს ტოლსტოის სიტყვები ქართველების შესახებ: „ეს — უმშვენიერესი ხალხია, ქართველები, პეტიაინებია, უწყინანნი, კეთილები...“²

ლევ ტოლსტოი სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე თავისი ლიტერატურული ბიოგრაფიით მჭიდროდ დაუკავშირდა საქართველოს. 50-იან წელში ლ. ტოლსტოი საქართველოში გატაცებით შემოიბოძა თავის პირველ თხზულებებზე, რომლებშიც უპირადად არის ასახული ავტობიოგრაფიული ელემენტები. თბილისიდან გაგზავნილ წერილებში იგი საქართველოს უწოდებს „სიყვარულის ქვეყანას“.

პირადი მიმოწერა და მწერლის დღიურები მეტად საინტერესო მასალას გვაწოდებს მწერლის

პირველ შემოქმედებით განზრახვებზე და აგრეთვე იმ დიდ სულიერ გარდაცემაზე, რომელიც მწერალში მოხდა საქართველოში ყოფნის პერიოდში.

საქართველოში ლევ ტოლსტოი ჩამოვიდა 1851 წლის ნოემბერში. ჩანს, საქართველოს სამხედრო ვზის ზვიადმა ბუნებამ მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. იგი სოფელ ყაზბეგში ყოფნის დროს იმდენად დაინტერესებულა ელასიური ქართული ხელოვნების შესანიშნავი ძეგლით „წმინდასამების“ ტაძრით, რომ როგორც მისი ძმის ნიკოლოზის ერთი ბარათიდან ირკვევა, ლევ ტოლსტოი რამდენიმე ქართველის თანხლებით შალა მთაზე ასულა და დაუთვალა ირგებია ეს „საუცხოეო სანახაობა“, რომელსაც ორი ათეული წლით ადრე აღტაცებული ლექსი მიუძღვნა ზუჟუკინმა.

ილიას კრიტიკა განადგურება იყო თვით იანოვსკისა, რომელსაც ილიას წერილში მოტანილი საღი პედაგოგიური აზრები უნდა მტკიცედ ჰქონოდა მიღებული და სახელმძღვანელოდაც უნდა ვეზადა ილ. ჭავჭავაძე ამ წერილით ანადგურებს, აბათრებს იანოვსკის, როგორც სწავლა-აზრდის შეუფერებელ ხელმძღვანელს. მაგრამ არსებითად, რა თქმა უნდა, ის ურტყამს მეფის კოლონიალურ სისტემას, რომლის ერთგული გამტარებელიც იანოვსკი იყო, ცენზურის რისხვა რომ იტღინოს, წერილი რომ შიგთანოს შეითხველან, ილია სარგებლობს შემდეგი ხერხით: ვითომც ის იანოვსკის დიდად აფასებს, ამ წერილით მას არ უნდა არც იანოვსკის ავტორიტეტის შელახვა, არც მის მიერ შექმნილ სახალხო სკოლებზე აყურების ხალხს გული და წერილის ნამდვილ მზიანდსახულებაზე ცენზორს რომ აუხვიოს თვალი, ილია ასეთს მოხვედრს გააკეთებს: „ჩვენ ვედებში გულახდილად და თამაზად წარმოვსტკვით ამ სავანზედ ჩვენი აზრი. იმედი გვაქვს, რომ არავინ დაგვწყაობს — ხალხს გული უნდა ააყურეინონ ჩვენს მოქმედებაზე. იმედი გვაქვს, რომ ამ უმართებულო და უკადრის ფარხმალს არ მოჰკიდებს ხელს იმისთანა კაცი, როგორიც ბ-ნი იანოვსკია“ (იქვე, გვ. 274).

ილ. ჭავჭავაძე სარგებლობს შემთხვევით და უნდა თქვას, რომ არიან, და, სამწუხაროდ, არა იშვიათადაც, მოხეტელები, შეიძლება განათლებულულებიც, მაგრამ ქვეყნის კეთილდღეობით, რაც მათთვის მთავარი უნდა იყოს, ისინი არ არიან დინტერესებულნი. ასეთია იანოვსკიცოც, უნდა თქვას ილიამ, და ამას შემდეგი ნართაულით ახერხებს: „თუმცა ბ-ნი იანოვსკი, როგორც მრავალ მხრით განვითარებული კაცი, უშეველად კეთილის განზრახვით არის აღძრული და ასურს იმ ადგილს და საზოგადოებას, სიკეთე მოიხილოს, მაგრამ მისგან არჩეული გზა, ჩვენი ფიქრით, სრულებით არ შეეფერება არც მის განზრახვას და არც მის სიკეთის სურვილს“ (იქვე). ილ. ჭავჭავაძის ნამდვილი აზრი შეთხვევლამდე მტკიცედ დაიდოდა, მას აფხიზლებდა, ზრდიდა სათანადოდ ამოქმედება კიდევ.

ილ. ჭავჭავაძემ კარგად იცოდა, რომ ციხე შეიგნინდა ტყულება, კარგად იცოდა, რომ ბიარველ რიგშიც ერის ცხოვრება უნდა გაიწმინდოს

შინაგანი ნაკლისაგან, რაც ერის აღორძინებას, განმტკიცებას, წინსვლულობას უშლის ხელს. ამიტომ ილ. ჭავჭავაძე ეროვნულ-განმათავსებლულებელ ბრძოლას ერთდროულად ~~წარმოუდგენს~~ ორი — შინაური და გარეშე — ფრონტი.

ილია კარგად ხედავდა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრებას აძარბუზზე ჯერ კიდევ გაბატონებულ კლასად ჩრებოდა საკმარისად დარღვეული, დინაიებული თავადაზნაურობა, რაც ერის ცხოვრების გაჯანსაღებას, წინსვლულობას აბრკოლებდა. ვაბედულადაა გამოხატული უოველივე ეს ნაწარმოებებში „ბედნიერი ერი“, „რა ვაეთეთ, რას ვვერბოდი“ „გამოცანები“, „კიდევ გამოცანები“ და სხვ.

არის ცნობა, რომ სტუდენტ ილიას უნახავს ქართველი კანფოლების ვარჯიშობა, რასაც შთაუფონებია მისთვის დაეწერა ეს ლექსი, რომელიც თავდამირველად აბარებდა სახელწოდებას „კანფოლი“. ლექსის მე-12 სტრიქონი ასე იკითხებოდა: „შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამღუპველ ჩრდილოეთსა“, მაგრამ ცენზურული პირობების გამო შეუცვლია სათაურიც და ურტყმევია „იანიჩარ“ და მე-12 სტრიქონიც ასე გაუზიხავს: „შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამღუპველ ოსმალეთსა“. ოსმალეთის ნაცვლად შეითხველს ესმოდა ცარიზმი.

ასევე მოცემული ქარაგმა ლექსში „ბაზალეთის ტბა“ „ოქროს აყენს“ სახით, რომელსაც „ერს თავისი ცრემლები ტბად ზედ კარავად ვადუხრავს“. ვინ აწვევია აყენში? პოეტის შეითხველის მისახვედრად ასეთ ქარაგმას ხმა-რობს:

იქნებ? აყენში ის ყმი წიეს,
ვისიც არ თქმის სახელი,
ვისაც ღლე და ღამ ნატრულობს
ჩემის ნატრითა ქართველი?

პოეტმა იცის, რას ნატრულობს „ჩემის ნატრითა ქართველი“. ქართველი შეითხველიც კარგად ხედებოდა ამ ნატრებს, რაც პოეტის ნატრ-რაც იყო. ეს ნატრცა ერის განთავისუფლებაა მეფის კოლონიალური პოლიტიკის ნაგერისაგან. ეს იყო ლტოლვა თავისუფლებასაყენ. რომ ეს ნატრცა საჭიროა განხორციელდეს, პოეტის ფა-ვის დამოკიდებულებას ასე ამცლავებს:

თუ ესე არის, ნეტა მას
ვაყვაცსა სახელოვანსა,
ვისიცა ხელი პირველად
დასწედება იმა აყენსა!

ამიტომ იყო, რომ მეფის დამქაშებს, ჩვენი ხალხის წინსვლულობის ხელისშემშლელი

1 ილ. ჭავჭავაძე, ტ. I, რედაქტორის კომენტარი, გვ. 386-387.

ილია ჭავჭავაძე დაუნდობლად, გაბედულად ებრძოდა შინ თუ გარეთ. ამისი მშვენიერი ნიმუშია მისი „გამოცანები“ და „კიდევ გამოცანები“.

არც შინაურ და არც გარეშე მტრებთან ბრძოლა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ფრონტზე არ იყო დაუბრკოლებელი. მაშინდელი ბიუროკრატიული ხელისუფლება ცენზორის საშუალებით ხომ თავისუფალ მთესვე აზრებს— იქნებოდა ეს პოლიტიკური, სოციალური თუ ეკონომიური ხასიათისა— შთასახვეისთანავე სპობდა. საჭირო იყო შწერას გამოყენებინა იგავური სტილი.

ილ. ჭავჭავაძე, როგორც სხვა თერგდალეულებიც, ქართველი ხალხის კეთილდღეობის საფუძვლად თვლიდა ქართველი ხალხის გაერთიანებას და გაერთიანებელი ძალეებით თავისუფლებისათვის ბრძოლას ბიუროკრატიულ-პოლიციური ხელისუფლების წინააღმდეგ.

საჭირო იყო ამ მიმართულებით მკითხველში ეროვნული გრძნობის გაღვივება. ილ. ჭავჭავაძემ ეროვნული გრძნობის გასაღვივებლად, არსებული წყობილების მიუხედავად, და აქედან გამოსავალი გზის ჩვენების მიზნით, შესანიშნავად გამოიყენა ჩვენი ისტორიული წარსული.

საქართველოს წარსული, რომელიც განუწყვეტელი ბრძოლა იყო საქართველოს თავისუფლებისათვის, მე-19 საუკუნის ქართველ მწერლებს, კერძოდ ილ. ჭავჭავაძეს, გამოყენებული აქვთ როგორც ნიღაბი. მათ მთერ წარსულის ანაღებში ამოკითხული და ასახულია ჩვენი ისტორია: წარსულში ქართველი ხალხის უმკაცრიესი შევიწროება, უსამართლობა, ძალმომბრებობა... წარსულის მოგონებები აღვივებდა არსებულ წყობილებასთან შეურთიყვებლობის თესლს, ამასთანავე, მკითხველს აჩვენებდა განთავისუფლების გზას გაერთიანებული შეთანხმებული ძალების შემწეობით, როგორც ეს იყო წარსულში. ამ მიზანდასახულობათა შექმნა ილ. დრამატული პოემები: „ქართველის დედა“ და „მეფე დიმიტრი თავდადებული“.

ილ. ჭავჭავაძე საქართველოს წარსულის სურათის დახატვით, იგავურად, გადატანით საქართველოს აწმყოსა და მომავლის სურათს ხატავდა. ამას დამაჯერებლად ადასტურებს „ქართველის დედის“ შთამბეჭობელი შენიშვნა, სათაურს ფრჩხილებში რომ აქვს დართული — „სცენა მომავალი ცხოვრებიდან“ და, აგრეთვე, წინასიტყვაობის მავიერ დართული ორი სტროფი, მოძღვნილი პეტრე ნაყაიძისადმი, მოვიტან ამ მოძღვნიდან ერთ სტროფს:

მყოფადს ავხადე ერთი კუთხე დიდის ფარდისა და ეს ეიხილე — მომიტრევე მე სითამამე... ეს არს ნაყოფი აწმყოსაგან შობილ დარდისა, ამით მიმართლე, მიილე და ნუ გამკიცხავ მე.

„ქართველს დედაში“ მოცემული წარსულის სურათით ილ. ჭავჭავაძე თავის დაინამდვილებელ მკვეთრად აგრძნობინებს სიხარულს, აღფრთხვანების, სიყვარულის, კმაყოფილების, წუხილის, განცვიფრების მთელ გამას.

მომავლად მოხუცს დედას, ერთადერთი შვილის პატრონს, მამულსადმი სიყვარული შვილისადმი სიყვარულსაც კი უკან დააყენებინებს, როცა გაიგებს, რომ ხალხი აღდგა ქვეყნის გასათავისუფლებლად და აი, რას ათქმევინებს:

ის დღეა დღეს, რომ მამულს ეუძღვნა ძის სიყვარული, ან ძეს შევიწროთ სიყვარული დიდი მამული... ამ ორის გრძნობის ბრძოლა გულშია ვით დასთმოს? ძის სიყვარული, თუ მამულის, — რომელი დასთმოს?

მაგრამ, როდესაც დადგება განკითხვის ეამი, მომავლადი დედა მტკიცედ იტყვის:

ემა, ამ დღისთვის გავიზარდე, მამულო, შეილი, სიციცხლე მივეცი, რომ შეიძლოს შენთვის სიყვდილი

იგია ზემო სიციცხლე და სიხარული, იმათი მიღვა უძღურს ტანში უძღურის სული, ჩემს სიბერის მისაყრდომად ისდა შშენია, მაგრამ, მამულო, წაიყვანე დღეს ის შენია!

დედა, როგორც იტყვიან, „სულისა და ხორცის“ გაყრის მომენტში, როცა დედის გულში „ჯოჯოხეთი ტრიალებს“, კვდება და სიყვდილის ეამს ომში მიმავალ შეილს მინც ამხნევებს და მტკიცედ ეუბნება:

მე ვწუხვარ მარტო მასზედ, რომ ზემს სიბერესა საწუგებლად მხოლოდ ერთი მოეცა შეილი, მე ვწუხვარ მასზედ, რომ ჩემს მამულს ამ ნეტარ დღესა მხოლოდ და ერთი შეაყვდება ჩემგან შობილი...“ (იქვე, გვ. 152)

ილ. ჭავჭავაძე მკითხველს შთაგონებს, რომ თავისუფლება „კაცთა ნათესაყდარებს, როგორულის, წვალებულის წმინდა საფარია“, რომ თავისუფლება „მშვილობა და სიამართლეა ამა ქვეყნისა“ და „აღმზრდელი ღვათაბამდე კაცთ ბუნებისა“, რომ თავისუფლებისადმი მისწრაფება კაცისათვის იმდენად საჭიროა, მიზნდევლია, ბუნებრივი მოთხოვნისადა, რომ მომავლად მოხუცს დედასაც კი უვლასა და უვლადურს გააწირვინებს, ერთადერთ შვილს ომში ისტუმრებს და წუხს:

ვაი რომ ჩემი სიცოცხლისა მზე მაშინ ჩადის, როცა ამოდის ჩემი ქვეყნის მზეი დიადი ვაი რომ ბნელი დღეთა ჩემთა სიკვდილის მიჭადის,

როს ჩემის ხალხის დიდებისა სჩანს განთიადი (იქვე)

ამ სიბრძნეს, მაღალ პატრიოტულ იდეებს და ცხოველ სახეებს, ცენზურისათვის მიუღებელს, ილ. ჭავჭავაძე ასე მოხდენილად და მიზნიდევლად აქსოვს მოგონილ „ისტორიულ“ ამბავში, რათა ეს იდეები მკითხველთა მასებამდე მიიტანოს, თავისუფლებისა და ეროვნული თავისუფლების იდეები მკითხველთა შორის დანერგოს. ილ. ჭავჭავაძის გავებით, სწორედ პატრიოტული გრძნობა აძლევს უოველ მოქააქვეს ძალას, უნარს, შესაძლებლობას ვეკაცობის გამოჩენისას. „მეფე დიმიტრი თავდადებულში“ უოველი სოციალური თენა ერისა — დაწყებული დაუძღვრებელი მოხუციით და გათავებული მეფით — პატრიოტული გრძნობითაა გაღოქმაცებული, საბრაყო თავდადებულობის გამოჩენილი. განა ქვეყნისადმი სიყვარულით გაბრწყინებული შარავანდედით არ არის მოსილი დაუძღვრებელი მოხუცი, რომელმაც თავისი სიცოცხლე სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაწვა, როგორც ჩალი ახლა, ამ საბედისწერა მომენტში, დაუძღვრებული მიდის იგი ქედმოსახრებად გამზადებულ მეფესთან, მოითხოვს, თავისუფლება დაიყვას ბრძოლით, წიყიყანოს მისი შეილებიცი, ახეენოს მტერს — რა ლომებს ზრდის ქართლის ბუდე, „უომრად ნუ დაეპარცდებით და, თუ ვერ ვწლეთ, დავიხოცნეთ სახელითა და დიდებით“... ასეთივეა ბრმა მეფანდურე, რომელსაც არ უნდა დაეპაროს იარაღი, სამშობლოს უნდა დაეპაროს განსაცდელის ეამს და „შვილებში“ — ახალგაზრდებში შემდეგს გრძნობებს აღვივებს:

ტბილისა ძქმუნ დედა შეილსა იმ იმედით აწოვებდა, რომ სიცოცხლით არ სიკვდილით ის მამულს ასახელებდა...

მამულისთვის ვის ასსოვდა განსაცდელი განსაცდელში! ტრფობა გვექონდა გულში აბჯრად და საატერად — ხმალი ხელში. (იქვე გვ. 179).

ამ გზით, თითქოს წარსულის სურათს აღადგენდა, სინამდვილეში კი საიდუმლო ნართოული გზით ესოვს ენით ილ. ჭავჭავაძე მაქსიმიზულურად ახერხებდა პატრიოტული გრძნობისა თუ მოვალეობის მკითხველთა შიტანას; ამით იგი ხალხს რამზავდა და ვაშლილ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ფრონტსაც აფართოებდა და აძლიერებდა.

ილ. ჭავჭავაძე მთელი თავისი შეგნებით ყვენებს პრობლემას, თუ რა გზით წავიდეს ხალხის განახლებული საზოგადოებრივი ცხოვრება ბუნებრივია, ილია. ნასაზრდოები ქართული ცხოვრების სინამდვილით, აღზარდილი 60-იანი წლების რუსი განმათავისუფლებლების რადიკალურ-დემოკრატიულ იდეებზე, თხოვლობს ხალხთა თანაწრობუფლებიანობის აღიარებას; იგი ქვეყნის მმართველობაში ხალხის უშუალო მონაწილეობის იდეას უქერს მზარს.

ამ საიკთებზე აშარად წერა მონარქიულ-პოლიციურ რეჟიმის დროს, ისიც საქართველოში, სადაც დამორჩილების, დამონების პოლიტიკა სიშინლად მძინენარებდა, შეუძლებელი იყო. ილ. ჭავჭავაძე ამ შემთხვევაშიც ქარავმის, ვადაკრულის ხერხს სიშინლად მოხვედსთან ილიას საუბარში ეს ვარემოება მკაფიოდ აგრძნობა: აქაც ილ. ჭავჭავაძის ვითომც წარსულზე აქვს ჩამოგდებული გულბრწყვილი საუბარი, ნამდვილად კი განზრახული აქვს ქვეყნის მმართველობაში ხალხის აქტიური მონაწილეობის პროპაგანდა.

ამ განზრახვას ის ასე აფორმებს: ილ. ჭავჭავაძის შეიკთხვაზე, რა მონასტერია სტეფანწმინდის პირდაპირ, მოხევე უპასუხებს, რომ ის სამების საყდარია, რომელიც უწინდელ დროში „განთა საფარი, ერთა საბჭო იყო“. ილიას ახალ შეიკთხვაზე: „საბჭო რაღა არის? — მათ შორის გაიმართება შემდეგი — დილოგი: „საბჭო? იქიად არნ სენაყ, სად სამართალი ბჭეთაგან იბჭოდის. რაიც მინმა ბჭერი ავარდის, მუნ იბჭობიდნეს.

— ვერ მეტყვი, როგორ იყო ეგ ბჭობა და რახედი უფრო მოხდებოდა ზოლმე?

— „რაოდ ვერ გეტყვი? რაიც ვუწყო შეგასმენ. როდეს ასტყლის ერობაში დიდ-დევა დიდ-საქმე, დიდ-არჩენიანი, ერობას იქიად გამართვინ, აირჩიენ ბჭედა ბრძენბერ-კაცნი, ბეიტრობით სახელდებულნი, დასხვიან მათ იმ სენაყი საბჭობად. რაიც მეგრედ სამების სახელით, ხთისგან მთავრენილ მადლით იგნ ბჭერი ჰესტეშიან, გადაბჭრან, არენ შეშლიან, არაგინ გადავლიან.

— შენ მოსწრებულხარ მაგისთანა ბჭობას? „რაოდ შევესწროდი? აღრინდელ თქმულებას გიზრახვენ.

— ეხლა რატომ ხერხ არის იგვი?

— „აინა? ...

„ჩაფიქრდა ჩემი მოხევე და პასუხი კი არ მომკა“. მოხევე გააჩუმა ექვმა. ის ილიას ქართველობაში დაიჭედა, რადგანაც ქართული ტანი-სამოსი არ ეტყა. მაგრამ ილიას შეიკთხვაზე — „ეხლა რატომ აღარ ბჭობენ სამების სენაგინი? — მოხევე ასე უპასუხებს: „აინა ვველი ვაეუდდის, ვველი გუქმდის. სამების ძირჩი სოფელ ვერგეთ არნ. იქავე კაცთ მეფეთა შეუთქვეს სახტრის დარაგობა... ვერგეთულ აინიც სახ-

ტრის დარაჯობას თავ-დებულობენ, მვარამად რუსობანი თარხნობა გაეუღდის, მეფეთ გუჯარს რუსობამ ყური არ ათხოვის... გაუქმდის ადრინდელ დაწყობი, ხთის მთხაყენლ მადლითი ბჭობაიე სამეზარი ვადეარდის.

ილია განაგრძობს: „მამ უწინდელი დაწყობა და დრო უტეთესი იყო? მოხვედრე ვარკვეულადა და ურყევად უმასუბებს: „რადე არა!“ და კვლავ ილიას დაყენებით კთხვავზე: „ერთი იყო უტეთესი? მოხვედრე უტრო გაამიშვლებს თავის ზრახვას (რაც, რა თქმა უნდა, თვით ილიას ზრახვა): „ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენს ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს, შით იყვის უკედ“.

აი, ამის თქმა უნდოდა თვითონ ილ. ჰავკვაიძეს: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“. გრძნობდა რა მეფის რუსეთის კოლონიალური პოლიტიკის უსუსუ დამოლობა, გრძნობდა რა, რომ მეფის რუსეთი საპრობილე იყო მისში შემავალი ერებისათვის, ილ. ჰავკვაიძემ, როგორც ერთ-ერთი ასეთი დამაგრული ერის წარმომადგენელი, აუცილებელ საპრობილად თვლიდა მცირე ერთა უფლებათა პატივისცემის კანონიერების, ერთა თვითმპორკეების პრინციპის გატარებას ცხოვრებაში. ამის თქმა აკრძალული იყო. ილიამაც ეს, ვითომც შემთხვევით, ფარულად მიაწერა მოხვედრე, როგორც პრიმიტიულ მთიელს, ძველის მორტფილეს, ფაქტიურად კი გამოთქვა თავისი და მოწინავე მოაზროვნეთა განწყობილება. ამ გზით ის შთამაგონებლად მიიტანა მკითხველამდე.

ი. ჰავკვაიძის რადიკალურ-დემოკრატიული მსოფლმხედველობის ძირითადი მამოძრავებელი პრინციპები სათანადო სიმკვეთრილია გამოხედვებში ასეთი ქარამებებით, წართაულებით, ორანზროვანი, დაფარული ვნით, რაც მას საშუალებას აძლევდა ეპოქისათვის მოწინავე იდეები და, მასთან, არსებული შეხედულებათა კრიტიკა ცენტურის კლანჭებისათვის აუცილნი და მკითხველამდეც ადვილად დაეყვანა.

ილ. ჰავკვაიძემ ასევე მოხდენილად იყენებდა ამ საშუალებებს უცხოეთის ცხოვრების „მიმოხილვებში“. მისი ყურადღება განსაკუთრებით გამახვილებულია მცირე, დამაგრული, შეიწროებული ერებისადმი.

მრავალეროვანი ავსტრო-უნგრეთი და მისი შინაგანი წყობილება ილ. ჰავკვაიძისათვის, როგორც რუსი დემოკრატი მწერლებისათვის, სინონიმი იყო მონარქიულ-პოლიციური მეფის რუსეთისა. ამიტომ, როცა ილია ლაპარაკობს ავსტრო-უნგრეთში შემავალი ერების ბრძოლაზე დამოუკიდებლობისათვის, მხედველობაში აქვს მეფის რუსეთი და მასში შემავალი მცირე ერები, უწინარეს ყოვლისა, ქართველი ხალხი.

ილ. ჰავკვაიძემ თავის „მიმოხილვებში“ ხაზს უსვამს იმ ვარკვეობას, რომ მცირე ერების თვითგამორკვევისათვის ბრძოლა-მე-19 საუკუნეში ფართოდ გაიშალა. „1852 წლის შემდეგ — წერს ილია, — პოლიტიკაში წამოიწია ევროეზოდებტლმა ეროვნებამ, ნაციონალიზმმა, გვარტომობამ ერისამ: იტალიამ — ვაგერთთანდა, გერმანიამ — გერმანიამ და ამ სახით დაქსაქსულ ერს ერთის გვარტომისას ერთად მოუყარა თავი თავ-თავის ადვილსა“.¹

აღნიშნავს რა ამ მოვლენის დადებით ხასიათს იტალიელთა და გერმანელოათვის, ილ. ჰავკვაიძემ ქართველ მკითხველს წინასწარ აფრთხილებს ამგვიარი ბრძოლისათვის გამხრეების მიზნით, რომ ასეთ ვაგერთანებას ახლავს სიძნელებები და ამიტომაც საჭიროა ბრძოლაში ხასიათის სიმტკიცის გამოჩენა, წინადადებულა. ილია განაგრძობს: „ეს იტალიას და გერმანიისათვის უტრო ადვილი იყო, რადგანაც ამთში ან სულ არ ურევიან სხვა ტომის ხალხი ან თუ ურევიან სხვა ტომის ხალხი — იმდენად ცოტანი არიან, რომ ვაგერთების საქმეს წინ ვერ გადაელობებოდნენ. სულ სხვა ამბავი დემზარია ავსტრიას, საცა ნემეცეებიც არიან, ვენგრებიც და სლავიანებიც რომენიც ცალ-ცალკე იმდენად ღონიერი არიან, რომ ერთი მეორეს ადვილად წინ ვერ წაუვა, ადვილად არ უთმობს უპირატესობას ეროვნებისას“ (იქვე, გვ. 3).

ილ. ჰავკვაიძის ფარული მიზანია, მკითხველს სანიმუშოდ და სამომავლოდ მისცეს ავსტრო-უნგრეთში ეროვნულ-განმთავისუფლებელი ბრძოლის გზა. ილია აღნიშნავს, რომ, სანამ ბისმარკი ავსტრიას გერმანიიდან გამოაქეცებდა, უნგრელი გერმანელების წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლას აწარმოებდნენ თავისი ეროვნების დაცვისათვის, ცდილობდნენ, არ დამონებოდნენ გერმანელებს. ზოლო, როცა ავსტრიელები ბისმარკმა გერმანიიდან გამოაქეცა, მასში ვარკვეობა შეიცვალა.

ექვს ვარკვევა, აქ. ილ. ჰავკვაიძეს მიზნად აქვს მკითხველამდე ფარულად დაიყვანოს აზრი, რომ საჭიროა ეროვნული უფლებებისათვის ბრძოლა, რომ მრავალეროვანი სახელმწიფოში, როგორც იყო ძველი რუსეთი, შესაძლებელია იარსებონ ხალხებმა თანასწორუფლებიანობის აღიარებით. ეს ვარკვეობა ყოველ მათგანს დააკმაყოფილებს, ზელს შეუწყობს მათს აყვავებასა და აღორძინებას.

ილ. ჰავკვაიძემ ცდილობს მკითხველში განამტკიცოს იდეა ერთ სახელმწიფოში ერის თანამშრომლობისა და თანაცხოვრებისა, გაბატონებული ერის მმართველნი პატივისცემით მოეყრობიან მცირე ერების ინტერესებს.

¹ ილ. ჰავკვაიძე, ტ. II, გვ. 27 — 28.

¹ ტ. 10, გვ. 3, 1929.

ამვე მიზნით, ილიას თავის „მიმოხილევებში“ თითქოს მხოლოდ უცხოეთის ამბები აინტერესებს, ენერგიულად ამოწმებს გლადსტონის პროექტს ირლანდიის შესახებ, — არსებითად კი ძველი რუსეთის სინამდვილე, მასში შემავალი მცირე ერების მდგომარეობა და, განსაკუთრებით, საქართველოს ბუდი აინტერესებს შწერას, ავტორს ქართველი მკითხველისთვის აქვს გამიზნული წერა.

ირლანდიის შეეფრთება ინგლისის მიერ (როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიურ სფეროში), ილ. ჯავახიშვილს არა ერთხელ აქვს გამოყენებული, რათა დამაგრებელ ერებს, განსაკუთრებით ქართველ ხალხს, აჩვენოს, შწეავედ აგრძობინოს მცირე ერთა უზადრუცი მდგომარეობა, ამასთანავე, განუმტყიცოს ბრძოლის სურვილი და გამარჯვების რწმენა.

ამ მიზნითვე ილია ჯავახიშვილს არა ერთხელს ზედმეტი ევროპის ისეთი პატარა ერების საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე, რომლებიც, გონიერულად ითვალისწინებენ რა თავიანთ მდგომარეობას, მთელ თავის შემოქმედებით ძალგებს ანდომებენ „შინაურ საქმეებს, შინაურობის წარმატებას და კეთილმოწყობის გაძლიერებას“. ამიტომ, წერს ილ. ჯავახიშვილს: „სანატრელია იმათი მუდრო, გულდინჯი, აუღმურველი დღეთა მდინარება. ერთი მაღლობელია თავის მთავრობისა, მთავრობა მაღლიერია თავისი ერისა; ამბობი, შედილი, არეულობა უცხოებისა ამ ბედნიერთა სახელმწიფოთათვის. თუ რამ აუტრადებით შინ თეითელს მთავანს, შინვე მშეიდობიანად, ერთმანეთში მორიგებით, საზართლიანად ათავებენ.“¹

ამრავად, ილ. ჯავახიშვილს მცირე ერთა ბრძოლის, ისტორიული ცხოვრების გზის შენახვა-გაყვალვის ცოცხალი მაგალითების ზეენებით, ამ ბრძოლის დადებითად შეფასებით მკითხველს ამხნეებდა, აჩვენებდა განთავისუფლების ბრძოლის გზას და მისი განმორციელების შესაძლებლობას. ასეთი ფარული, საექვიტენტურო სტილის შემეგობით ილ. ჯავახიშვილს აჩვენებდა მკითხველთა მჭიდრო კავშირის გაზრდა, მის გაითვალისწინებრებას, აღზრდას, დარაზმას.

ამითვე აიხსნება, რომ ილ. ჯავახიშვილს ენერგიულად ეხმარებოდა და ექომაგებოდა კრიტიკის კუნძულზე ბერძენთა მოსახლეობის აშლილობის ოსმალეთის წინააღმდეგ. კრიტიკების მდგომარეობაში ილ. ჯავახიშვილს მკითხველთა ფარულად, მაგრამ შთამაგონებლად აჩვენებდა და აგონებდა ქართველი ხალხის მდგომარეობას თურქეთის საზღვრებში.

ილ. ჯავახიშვილს სამართლიანად მიაჩნია კრიტიკების მისწრაფება, შეუერთდნენ საბერძ-

ნეთს, რადგანაც ისინი „სულითა და ხორციითა, — ამბობს ილია, — ეეთუფინან საბერძნეთის და სრულიად უცხონი არიან უსმელდროსეთის“, რაც დიდ პატივსაღებ საბუთს აძლევს კრიტიკებს.

ითვალისწინებს რა კრიტიკების კანონიერ მოთხოვნილებებს, სურვილს საბერძნეთთან შეერთებისა და ამისთვის მათ მიერ წარმოებულ უშედეგო ბრძოლას, ილია მკითხველთა ვასამხნეებლად, ხოლო ძლიერ სახელმწიფოებს გასაკიცხავად, დასკვნის: „გრძნობა სამართლიანობისა, რასაკვირველია, ამ შემთხვევაში კრიტიკლთა მხარეზე არის და ამ მომხრეობას თხოულობს თვით ქვეშაირი და განწმენდილი ზნეობაც, მაგრამ რას იზამთ, როცა ევროპის პოლიტიკაში არც სამართლიანობას, არც ზნეობას კეთვნილი ადგილი არ უქირავს და ყოველივე გამორჩენასა და ანგარიშს ექვემდებარება. მტრობა, ჯიბირი, ცილობა, ხარბობა, რომელიც დღეს ამოქმედებს პოლიტიკას სხვადასხვა სახელმწიფოსას, სევ-ბედს დასაგრეულის კრიტიკას ჰუთავს, ამოაკილებს და ხელიდამ არ აცლის ოსმალეთს, რომელიც — რაჟი ესეა — ყურსაც არ იბერტყობს, რომ კარგის გამგეობით და პატრონობით კრიტიკებსაც შეღავათი მიეცეს აღმანიერად სულის ბრუნებისა, აღმანიერად ცხოვრებისა, მათის ერთნულ ღირსების დაუნაკვრელად და შეუბუთვლად.“ (იქ. გვ. 179).

ილია ჯავახიშვილს სარგებლობს შემთხვევით და კრიტიკლთა ტრაგედია, ქართველი ხალხის ტრაგედია რომ აგონებდა მას, უფრო მეტად გააშინებლავს, რათა მკითხველი უფრო ახლო მიიყვანოს პოეტის დაფარულ ზრახვასთან: „მართალია და, რა იმისთანა დანაშაულებაა, რომ კაცმა თავისი ძმა, ტყვედ-ქმნილი, ძალით შეართმეული, მიტაცებული, სულის აწლდომივად მიღწეული, — იძიოს, რომ ისევე თავისთან იყოლოს, შეივრდომოს, შეივრტოს, ძმას ძმურად მიეშველოს, შეეწიოს. გრძნობა ადამიანობისა, ქრისტიანობისა, მაღალზნეობისა — სხვა რა არის, თუ არ გულის-ტყვილი ყველასათვის საერთოდ და ძმთათვის განსაკუთრებით. აი ეს, სწორედ ეს გრძნობაა ის ღირე უღონოობა, ის შეესაძლებლობა შეუძლებელისა, რომელიც სასწაულად აქვეყნიებს ხოლმე ადამიანს და რომლის საოცარი მაგალითები ძლევაშისილობისა არა ერთი და ორია ისტორიაში“ (იქვე).

ექვს გარეშეა, დამაგრული კრიტიკებისადმი ასეთი გაზისარჩლებით ილ. ჯავახიშვილს ფარულად, მაგრამ ენერგიულად ესარჩლება დანაშაულებულ ქართველ ხალხს, დედამამშობლოსაგან მოწვევითლ ლაბებს, აქარლებს და სხვებს, რომლებიც ოსმალეთის ხელში ასევე იჩაგრებოდნენ. ილიას სურს მკითხველში გააღვიძოს და გააღვივოს ამ მიტაცებული ნაწილების დედისაქართველოსთან გაერთიანების საჭიროების,

სამართლიანობის შეგნება და მკითხველს საბრძოლო ამოცანა დაუსახოს. ილიას ფარული მხარი მკითხველის გონებასა და გულში მძლავრად იქედებოდა, რაც ეროვნულ-განმათავისუფლებელ ფრონტს საგრძნობლად აძლიერებდა.

ილ. ჭავჭავაძე, როგორც მკითხველის წარმომადგენელი და მისი ინტერესების დამცველი, კარგად აფასებს დიდი სახელმწიფოების იმპერიალისტურ პოლიტიკას, სარგებლობს შემთხვევით, რათა მათ ნიღაბი ახადოს. ის, როგორც ჰუმანიტარი სამოციანელი, მკითხველს უნერგავს დემოკრატიულ დევიზს: „დიდს არ ვავეძლეინებით და მხარს მივცემთ პატარასა“. ¹ ამიტომ იგი ყოველთვის დაიჯარულის მხარეზეა.

ილ. ჭავჭავაძის ამ მიზანდასახულობით ახსენება, რომ მან მაგრად ჩასვიდა ხელი გლადსტონის მოღვაწეობას, მის პროექტს და მას ხშირად უბარუნდება. ილიას მტკიცებით, გლადსტონის პროექტის გამარჯვებას ყოველი გონიერი კაცი „სულთ და გულთ ნატრობს“ და, მოქალაქე პოეტის ვაგებით სწორედ იმიტრად, რომ „გლადსტონი იძიას, რომ სამართალმა და კაცთმოყვარეობამ უნდა განავოს ქვეყნიერებათ და მისი წინააღმდეგნი კი ჰყვირიან: მუშტი უნდა იყოს ქვეყნის გამგებელით. ერთი ნუგეშის მცემელია და შვირცეკრისა“. ²

დაწარული, სუსტი ერების უფლებების გაბეღვად მზადდებელი ილ. ჭავჭავაძე გლადსტონის პროექტს იმიტომ უჭერს მხარს, რომ, მის მიხედვით, სამართალმა და კაცთმოყვარეობამ უნდა მართოს ქვეყანა და, ილიას გავეპოთ, მხოლოდ ასეთს პირობებში კაცი და კაცთა შეგარება-ერი, ერის ცხოვრება და მოქმედება შეიძლება იყოს საღი, სამართლიანი, სასარგებლო როგორც თავისთვის, ისე სხვისთვის.

ილ. ჭავჭავაძე, როგორც დიდი პროპაგანდისტრი ჰუმანიზმისა, ასე განმარტავს გლადსტონის პროექტის ღირებულებას: „გლადსტონის პროექტი წარმომდინარებს იმ დედაბრიდან, რომ სამართალი ძალა, რომ ყველაფერში, ყველგან კაცმა წინ სამართალი უნდა გაიმძღვაროს... ღობე, მარტო იმ მიზნით, რომ დახალა, არსადროს არ უნდა გადალახულ იქნასო, ყველასა აქვს ღვთის ნიჭი არსებობისა და ამ ნიჭსაგან არაიენ არ უნდა იყოსო გამოკლებული. მარტო იმ მიზნით, რომ მე ღონიერი ვარ და ის კი უძლურიო. აქ შუამავალი მოციქული მარტო სიბართლე და სამართალი უნდა იყოსო და არა სხვა რამე“ (იქვე, გვ. 238).

რა თქმა უნდა, გლადსტონის ჰუმანური პროექტის მოწონებით, იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მუშტის ლოგიკის უარყოფით ილია

ფართლად ამთარახებდა ძველი რუსეთის იმპერიალისტურ ზრახვებს, მის კოლონიალურ პოლიტიკას, რომელიც ასე მძიმედ აწვევს ქართველ ხალხს.

ილ. ჭავჭავაძე სარგებლობს ყველა შემთხვევით, რომ ძლიერ, კოლონიალურ სახელმწიფოთა მკითხველებსაღმი გულგრილი, ანვარებიანი, არსამართლიანი დამოკიდებულება მკითხველს შთამაგონებლად გაუშუქოს.

ენობილია, რომ სამეგზოა შევიწროება და ძლერა გამძიმვარებული იყო ოსმალეთში. ენობილი იყო ევროპის დიდ სახელმწიფოთა დიპლომატიის პირმოთნე განცხადებათ: „ერთიერთის დახმარებით ყველამ იმოქმედის ოსმალეთზე ამ აღმამოთებელი საკითხის გამო“.

ილია აღმფოთებელია ამ ცარიელა განცხადებით, მაშინ როდესაც, ილიას თქმით, „საქმედება და დღე შეუდდება, სისხლის დერა ძლიერდება, არეულობა მატულობს“. ილია აღელვებულია, რომ ევროპის დიდ სახელმწიფოთა თანხმობა ამ საკითხში არა ჩანს: „ერთი რიხიანი სიტყვა ევროპისა, — წერს ილია, — და მაშინვე ენა შეცვლია ჩაუვარდება ოსმალეთს შიშითა“. მაგრამ ყოველი შთაგანი, განავარობს ის, „უეჭველია, ვარეთ ერთს ლაბარაქობს და შინ კი, ფარდებს უკან, სულ სხვას ფიქრობს და სხვაგვარად არის საქმე“ (იქვე, გვ. 172).

ილ. ჭავჭავაძე ანალოგიურ მოვლენებს შინაც, მეფის რუსეთშიც, ხედავდა. შათზე წერა, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო, ცენზურა ამის საშუალებას არ იძლეოდა. უცხო სახელმწიფოში მომხდარი მოვლენის აღნიშვნა და უცხო სახელმწიფოს გაიკცხვას ცენზურა არა კრძალავდა. ილია იძულებული იყო, რომ ფართული, ქარავმული საშუალება ეხმარა.

ილიას მიერ ოსმალეთის ბარბაროსული პოლიტიკის გამოამყარებება მაშინდელი მეფის რუსეთისთვისაც — სხვადასხვა პოლიტიკური მოსაზრებით მისაღები იყო, ამიტომ ცენზურამ ადვილად დართო ნება ილიას, რომ იკის-სხვებს გამოქომაგებოდა. მაგრამ ამ აზრთან ილიას დაფართული აზრიც — მკითხველმა გაამახვილოს ყურადღება ანალოგიურ მოვლენებზე შვენიტ, ჩვენშიც და სათანადოდ შეფასოს, ასევე აქტიურად და ადვილად დადიოდა ფართო მკითხველმდე.

ილ. ჭავჭავაძე იგავური სტილის სხვა საშუალებებსაც იყენებს.

ენობილია, რომ ილ. ჭავჭავაძის მხატვრულმა შეიმოქმედებამ, უბედციტრის ხასიათის წერალებმა და პრაქტიკულმა საქმიანობამ, რაც გამოქვეყნული იყო სამშობლოს აღორძინებისა და ხალხის კეთილდღეობის დაუძლეველი მისწრაფებით ძველ თაობაში, წარსულს განწირულის სულსკვეთებით რომ ეჯავჯერებოდა, გამოიწვია ილ. ჭავჭავაძის მიმართ საშინელი წინააღ-

1 ტ. 1, გვ. 16.
2 ტ. 10, გვ. 240.

მღვდობა, თავშეუვალებელი ღანღვა-გინება, ცილისწამება.

ილ. ჭავჭავაძე კი ამ გარემოებას ყურადღე-ბას არ აქცევდა. ის გარკვეული, მტკიცე, ურყევი განწყობილებით გაბედულად, თამამად განაგრძობდა თავის გზას — ქვეყნისათვის სასარგებლო საქმიანობას. თავის ასეთ ღრმა იდეურ განწყობილებას ილ. ჭავჭავაძე ახორციელებდა შესანიშნავ ლირიკულ ლექსებში. გვიხსენით: „ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვირდ ტამი“ და სხვ.

ეს იყო დევიზი ილ. ჭავჭავაძისა: „ქართლის ზედის“ სიყვარულით გაყვნილი პოეტი მახვილი თვალით აფასებს ავსაც და კარგსაც, დაბრკოლებას, ბრყვეთა ღანღვას, ცილისწამებასაც არაფრად ავღებს, ყველაფერს წირავს სამშობლოს კეთილდღეობას, რადგანაც „პარტი ვაშლი“ მის მოღვაწეობაში „სცნობს ამ სიმღელეში რაოდენად სიყვარულია“.

ეს ლექსი თითქოს მხოლოდ პირადი განწყობილების გამოხატველი იყო, არსებითად კი პოეტის განზრახვა ასეთია: მას სურს დაუმტკიცოს მკითხველს, მტკიცედ შთაგონოს, რომ სინამდვილეში ყველა შეგნებელი ღრსეული მოჭალავე სამშობლოსადმი ასეთ ურყევი სიყვარულს უნდა ატარებდეს და არავითარ ყურადღებას არ აქცევდეს საზოგადოების შეუგნებელი ნაწილის მისდამი უარყოფითს, მტრულ დამოკიდებულებას. ეს განიცდ პოეტისა მართლ პირადი კი არ არის, არამედ საყოველთაო სახელმძღვანელოა. ასეთი ფარული მიზანდასახულობა ილ. ჭავჭავაძის მთელი რიგი ლირიკული ლექსებისა.

ილ. ჭავჭავაძე მიწარქველ-პოლიციური წყობილების ცენზორის მიერ გამუდმებულ შეზღუდვას განიცდიდა. მისი ნაწერები წლობით იყო აკრძალული: რაც იბეჭდებოდა, ისიც დაუნდობლად დაფლეთილი, დამხინჯებული სახით მიდიოდა მკითხველამდე. მის ნაწერებში ყოველთვის იგრძნობოდა რაღაც დაუმთავრებელი, ცენზურის მიერ დასახინჯებელი, ართქმული.

ილ. ჭავჭავაძის ბუნებრივად ებადებოდა მოთხოვნილება, მკითხველისათვის ემეცო, რა ჯოჯობითა მოზარდონე მოქალაქის, განსაკუთრებით შწერლის გულში, ეს მიზანი მკითხველამდე ილ. ჭავჭავაძის დასკვნას ირბი ვალი, ქარაგმით, ვადკურთხე. ამ გზით ილ. ჭავჭავაძე არა მარტო შწერლის ტრავედიას ავებინებდა მკითხველს, არამედ, აგრეთვე, იმ ღუბუბირ საზოგადოებრივ პირობებსაც, შწერალს და ყოველივე შეგნებულ მოწინავე მოქალაქეს რომ ზორკავდა, გასაქანს რომ არ აძლევდა, რაც მკითხველს ბუნებრივად ილუქრავდა ბრძოლის სურვილს შეშუთავი პირობების დასამზობად და უყუთესი პირობების დასამყარებლად.

აი, ერთი ნიმუში:

11. „მნათობი“, № 2.

„იქნება არ დაიჯეროთ და ერთი სთქვარო, უცნაური სენი დამჩემდა. ამბობენ ეს სენი მარტო მე არა მკირს. თურმე ნუ იტყვიოთ, ვედიას, ვისაც ჭკვასთან რაიმე საქმე იქვს, იმთაოც ის ემართებოთ, რაც მე. დავფიქრდები რაზედმე თუ არა, ან ჩავეყვირდები რასმე და ტვინის ძაღვები მოძრაობაში შევლენ, ერთი რაღაც სულთამბუთავი ამეტრებოდა თვალწინ და არა მშორდებოდა. ეხლაც ამ ყოფაში ვარ, თუმცა თქვენც ხედავთ, რომ ჭკვასა და ამ ნაკვანბნს ერთმანეთში ახაფერი კავებოთ აქვთ. ეხლაც თვალწინ მიდგა და საშინელს ჯადოს მიყუთებს. მე ერთის თქმა მინდა — ის სულ სხვას მალა-პარკებს, ენა ჩემი იძვრის, — სიტყვა იმისია, კალამი ჩემი სწორს — აზრი იმისი გამორის. რა შემიძრათება, არც მე ვიცი. ჭკვეყანა ჩემ თვალწინ როგორღაც უხეიროდ, წაღმა-უყუღმა ტრიალებს, თითქო ღერძი გაუტყდა და საცა არის ტალახის გუნდასავით დაეცემა და დაიშხვრევაო. მე ემიზობ და ვცანკალებ, მართლა ეს მოხდება მეთვის, ის, ჩემი სულთამბუთავი კი თავს მაღა და იღრბებოდა-იციენ... ფუ, ეშმაკო-მეთქი, დავიყვირე, მაგრამ ვერც ამან გასტყრა. პირჯვარი დავიწერე, შენც არ მომიყვედ არც ამან მოაუცვლევინა დეხი. რა ყოფილა, თქვენი ჭიბრით! ესე ამ ყოფაში ვარ ხოლმე. მანამ მამალი იყუთებს. რაჟი ის დალოცული წამოყუთებს ხოლმე, სულთამბუთავი უცხად თვალწინ გამიფრთხება, გაჭრება, როგორც ქარისაგან ბოლი. ეხლა კი საათი ჭკვეყნისა მოშლილია და არ ვიცი ამ ყაზად მამლის ყიფილამდე ბევრი დრო დარჩა კიდევ თუ არა. ვნებარ და შევეურბო სულთამბუთავი, ვნებარ ლოდინი დაღლილი და ენატრობ მამლის ყიფილსა. როდემდის უნდა ველოდინო, როდემდის! შე დალოცული მამალო, რაღას უყურებ და არ დაიყუთებ!“¹...

მკითხველსაც კარგად ესმოდა, რომ აი, ეს სულთამბუთავია (ბიეროკრატულ-პოლიციური რეჟიმის დამცველი ცენზორი) რომელიც მაჯ-დაჯუნდასავით დასწროდა, სავრთოდ. მოქალაქის, კერძოდ, ილ. ჭავჭავაძის გრძნობასა და გონებას, გასაქანს არ აძლევს, აზრს ურყევს, გრძნობას უწამლავს. ამიტომაც, რომ ილ. ჭავჭავაძის აზრებიც შემოარკილია.

ილ. ჭავჭავაძემ მკითხველს აუხსნა თავისი მოჯადოებელი მღვდმარობა ქარაგმების, გადაკრულებისა და ნართაულების საშუალებით და ამით მას უნდა უჩვენოს, რაშია ცხოვრების აზრი და საგანი. რაჟი პოეტის სურვილს მისივე კალამი ეურჩება, რაჟი სულთამბუთავი თავს ადგას, მკითხველს ამცნობს: „ჩემგან ნაჩვენებ ბარდებში ბილიკი თქვენ თითონ გაიგნეთ. მე კი ვღმუღმები და ვიდრე მამალი დაიყუთებუდეს და ეს სულთამბუთავი გამოფრთხებოდეს.“

¹ ტ. VII, გვ. 80-81, 1928. წ.

მე ჩემსას არას ვიტყვი და ისევ სოლომონ ბრძენს ვალაპარაკებ, არც საშიშია, არც საყრ-
ძალეული (იქვე, გვ. 81). სოლომონ ბრძენი,
გ. ა. არაყი, იგავი, — სწორედ ის სტილია,
რომელსაც მწერალი იმარჯულებს.

ილ. ჭავჭავაძეს მოჰყავს სოლომონ ბრძენის
აზრი (იგავის ფორმაში ვინახიხერებულს), რომ
ცის ქვეშ ყველაფერს თავისი დრო და ფაზა
აქვს. ილიას უნდა მკითხველს გააგებინოს, რომ
იმ აზრის გასხნა არსებულ პირობებში (სულ-
თამხუთავის ვაშო) საბიუტოა, — „თავი ზომ
არ მომძულდება, რომ დასახრჩობად გამოვიმე-
ტო“, და მოკლედ ასე ასკვნის: „მაზრი ცხოვ-
რებისა იმაშია, რომ შეიტყო, შეიმეცნო ფაზა
რას ითხოვს: ტირილსა და სიცილსა, გაყრას
თუ შეკრებას, დუმილსა თუ მეტყველებას, სიყ-
ვარულსა თუ სიძულვილს, ბრძოლასა თუ
შშვიდობას და სხვათა და სხვათა ამისთანათა,
რაც ჩამოთვლილია სოლომონ ბრძენისაგან.

დროსა ჰსჭვრიტე, ფაშა რა მოაქვს?

რას ისხამს, რა მოისთვლებს...

...ამიტომაც იმ ამოცანას ამისთანა პასუხს ვაძ-
ლევ და ზედ დავართავ:

თუ ფაშს აქვს ზეღთ ისარბო,

შენცა ხელთ გქონდეს ფარბო (იქვე, გვ. 82)

აზრი ამ წართაულისა, ფარული ენისა მკით-
ხველამდე ადვილად და მკაფიოდ დადიოდა,
ამით ილ. ჭავჭავაძე მკითხველს მტკიცედ ეუბ-
ნებოდა: ფხიზლად იყავ, ფხიზლად დააცივრდი

ცხოვრებასა და, რასაც დრო და გარემოება მოგ-
თხოვს, შენც მოზადებულად შეხვდი და ისე
მოიქციე.

იგავური სტილი ილ. ჭავჭავაძის მსახურად
ერთ-ერთი მძლიერი საშუალებაა, რომლითაც
პოეტი — მოქალაქე აფხიზლდება, ათვითენ-
ბიერება, რაზმავდა ფართო მკითხველს, მიჰ-
ყავდა ის სინამდვილისა და ადამიანთა მასობ-
რივად გაირღვენის გზით პუნქტურ-დემოკრა-
ტიულ საფუძვლებზე.

ილ. ჭავჭავაძეს ურყევად სწამდა ხალხის
ძალა, ნიჭი და უნარი, სწამდა მისი ბრწყინვა-
ლე მომავალი მისთვის უცხო იყო იმედის
დაკარგვა, ფარ-ხმალის დაყრა. ილ. ჭავჭავაძის
ცხოვრება და მოღვაწეობა, თვით იგავური
სტილი მისი შემოქმედებისა ნათელი დამადას-
ტურებელია იმ გზისა, რომელსაც თხოულობ-
და მომავლისათვის ბრძოლა ამიტომაც, რომ
დღესაც ასე ცხოვრად ქლერს მისი შემოქმე-
დება, მის მიერ შექმნილი სახეები, მისი ძარ-
ღვიანი სიტყვა.

ამიტომაც ილ. ჭავჭავაძის შემკვიდრებობა
წარსულს არ ვადისცემია, ის შვიდროდ ექსო-
ვება ჩვენს თანადროულობას, მისი შემოქმედე-
ბა თავისი მრავალფეროვანი სტილური ნიშნე-
ბით, რევოლუციური დემოკრატიული იდეებით,
ჩვენს დროშიც შთაგონების ძალასა და მიზნი-
ველობასაც ძალუდად ინარჩუნებს.



ბრ. შანიძე



მრავლობით რიცხვშიც თავისი ვინმეა რომ თუ თავიანთი?

ქართულ მწერლობაში (და ზემოპირველდებულშიც) მხოლოდობით რიცხვში თავისი, მრავლობითში კი, განსაკუთრებით უკანასკნელ ხანებში, თავიანთი იხმარება და მტკიცდება კიდევ, რაც, ჩემი აზრით, საფუძვლიანი არ არის და მხოლოდობისა და მრავლობით რიცხვშიც უნდა ვიხმაროთ კუთვნილებითი ნაცვალსახელი თავისი (თვისი), როგორც ისტორიულადაც გამართლებულია.

უდავოდ საფუძვლიანია ამ მხრივ თვალახინო მკვლევარ-გრამატიკოსის სილ. ხუნდაძის შემდეგი მოსაზრება: „ახალ მწერლობაში, ამბობს მკვლევარი, ხშირად მრავლობითი რიცხვის ქვემდებარესთან ნაცვალსახელი თავიანთი იხმარება; ისინი თავიანთ საქმეს აკეთებენო, და სხვ. ამის მაგიერ უმჯობესია მხოლოდობით რიცხვის ფორმა თავისი ვიხმაროთ: ისინი თავის საქმეს აკეთებენ, თავის შეილებს ზრდიან, და სხვ.“ (იხ. ჩემ მიერ გამოცემული მისი „მართლწერისა და სწორების ძირითადი საფუძვლები“, 1927 წ., გვ. 12).

ძველ მწერლობაში V — XVIII ს.ს. ნაცვალსახელი თავიანთი თითქმის არ გვხვდება და როგორც მხოლოდობის, ისე მრავლობითი რიცხვის ქვემდებარესთან თავისი (თვისი) იხმარებოდა.

ძველ ენაში გვაქვს როგორც ძველი წყობა (სახლერულ-მსახლერული, მაგ კაცო კეთილი), ისე ახალიც (მსახლერულ-სახლერული, მაგ. კეთილი კაცი). საშლეთო წერილში მსახლერული სიტყვა თითქმის ყოველთვის სახლერულს შემდეგაა ნახმარი; მაგალითები: 1. „იგი მიდგომილ არს ძესა სიბერესა თვისსა“ (იხ. ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, 1949 წ., გვ. 62); 2. „და მოუხდეს მას მოწიფენი თვისნი“ (იქვე, გვ. 55); 3. „ამჟინ პრქუა მოწაფეთა თვისთა“ (იქვე, გვ. 5);

4. „უბრძანა... ბორკილთა შესხმად ფერკთა მისთა“ (იქვე, გვ. 151), და სხვ.

საერთო მწერლობაში კი იშვიათად გვხვდება ძველი წყობა, ე. ი. როცა სახლერული მსახლერელის წინ ზის; მაგალითები: 1. „ორთვე ხელი მოკიდეს და ისე დასვეს ტახტსა თავისსა“ (იხ. „ვეფხ.“, გვ. 183) 2. „მეხო დაქება მშობელთა თვისთა“ (იხ. სიტყვათაშემული მწერლობის (XVI — XVIII ს.ს.) ანთოლოგია, 1928 წ., გვ. 210); 3. „მოუწოდა ძეთა თვისთა“ (იქვე, გვ. 15), და სხვ.

როგორც ვამბობ, საერთო მწერლობაში ძველი წყობა ძალიან იშვიათად გვხვდება. იქ უპირატესად ახალი წყობაა გაბატონებული, ე. ი. მსახლერელი სახლერელის წინა ზის; მაგალითები: 1. „მომძულა თვისთა ტომთა“ (იხ. ანთოლოგია, 1928 წ., გვ. 43); 2. „ხეარაშს მივა სამენისხლოდ, უქადებდა დიდთა იშთა“ (იხ. იქვე, გვ. 154); 3. „თვისთა ერთგულთა მღენი დარისა“ (იქვე, გვ. 159); 4. „მრავალთა სენთა მშობელი“ იქვე, გვ. 10); 5. „ვერ მოხმარეს თვისთა აბჯარი“ (იქვე, გვ. 203); 6. თვისს სადგომსა მივიდა“ (იქვე, გვ. 25); 7. „გაათვეს თვისთა თქმული“ (იქვე, გვ. 105); 8. „ყოველნი თვისისა წესითა...“ (იქვე, გვ. 154); 9. „ესრე ცნობათა მიკადა მისითა სურვილითა“ (იქვე, გვ. 244); თავის სიცილითა აღრა მოსვენეს“ (იქვე, გვ. 8) 11. „თავის მღლებელთა უბრძანა“ (იხ. „ვისრამიანი“, გვ. 25); 12. „პრქუა თვისა დიდებულთა“ (იქვე, გვ. 24); 13. „ნებით შეიქმნენ უბრძოლად თავისა მტერთა მღველნი“ (იხ. ანთოლოგია გვ. 196);

14. „თავის დიდებულთა ანგარიში არ ჰქონდა“ იქვე, გვ. 83), და სხვ.

ამ მაგალითებში 3 შემთხვევია აღსანიშნავი:

1. როცა მრავლობითი ნიშნითაა წარმოდგენილი მსახლერელი (თვისთა) და დამატება, 2. როცა მსახლერელი (თავისი) და დამატებაც მხოლოდობითა და 3. როცა მსახლერელი მხოლოდობითა (თავისი) ზოლო დამატება მრავლობითში. ეს უკანასკნელი, ჩვენი აზრით, ენის გამარტივებასთან უნდა იყოს დაკავშირებული,

იხებდება კამათის წესით. რ ე დ.
1 თავიანთი, თავიანთმა, თავიანთს...
წარმოების მხრითაც უკანონო ფორმაა, ისე როგორც მაგ., თავისიანთი, თავისიანთმა, თავისიანთს..., ხელთანთ, ხელთანთმა, ხელთანთს..., და სხვ. მაგ. ფორმები.

რადგან, ძველი ენის კანონით, როცა დამატება მრავლობით რიცხვში იყო ნახშირი, მსაზღვრელი სიტყვა მრავლობითის რიცხვის ნიშანს მოითხოვდა.

ამ საგულისხმო იხილეთ, რომ მსაზღვრელი თავისი მხოლოდობითი და მრავლობითი რიცხვის ქვემდებარებასთანაა წარმოდგენილი, ე. ი. თავისი მრავლობითი რიცხვის ფუნქციასაც ასრულებს. მაგ. 1. „ეს იმ კაცთა თავის პირით მოთხრეს“ (იხ. „ეისრაჲნი“, გვ. 84); 2. „მზემან მთვარემან თავისა ლაშქრითა დასაველეთისავე ილაშქრეს...“ (იქვე, გვ. 35); 3. „გაათავეს თავისი თქმული“ (იხ. ანთოლოგია, გვ. 105), და სხვ.

ძველ მწერლობაში, V—XVIII საუკუნეებში, თითქმის არსად არ შემხვედრია თავიანთი თავი, უველგან წარმოდგენილია თავისთავი, მაგ. „თავითმან თვითა ჩაიციეს, თავისთავს გამოსცდიან“ (იხ. „ეფთხ.“ გვ. 163); „პირში ეტებო და თავისთავს უთხრა“ (იხ. ანთოლოგია, გვ. 91), და სხვ. მხოლოდ მე-18 საუკუნის ძველში ერთბაშად შემხვედა თავიანთი თავი. მაგ. გურამიშვილის შემოქმედებაში: „თავიანთ ნიშნებს ზედა მოუსვენს“ (იხ. 1955 წ., გვ. 328) და თეიმურაზ II-ის „თიშხარიანიში“, მაგ. „... თავიანთი ნება სრულევენს“ (იხ. ანთოლოგია, გვ. 182)

როგორც აღვნიშნეთ, ძველი ენის კანონით, როცა დამატება მრავლობით რიცხვში იყო ნახშირი, მსაზღვრელი სიტყვა მრავლობითი რიცხვის ნიშანს მოითხოვდა¹, მაგ. „თანა წარსიყვანანა ცოლი და შვილი და მონამხებელი მისნი“ (იხ. ქართული ენის ეტიმოლოგია, 1949 წ., გვ. 24), „ჩემნი ჭირანი დამაიწყნა“ (იხ. „ეისრაჲნი“, 1938 წ., გვ. 137), „ვისის მამაყარან მოკლეს მტერთა მისთა...“ (იქვე, გვ. 24), და სხვ. ასე იყო თვისის (თავისის) მიმართაც, მაგ. „მამინ პრქვა მოწაფეთა თვისთა“ (იხ. ქარ. ენის ისტ. ქრესტ., 1949 წ., გვ. 51); „და მოუხდეს მას მოწაფენი თვისნი“ (იქვე, გვ. 55)

არს ენა მუდმივით, ტურფა ჰერით, თვისთა ერთგულთა მფენი ღარსა“ (ანთოლოგია, გვ. 159), და სხვ. შერამ მისნი, მისთა, ჩემნი, თვისნი, ცალკე აღებული, დამატებასთან დუკავშირდება, შინაარსით მხოლოდობითი რიცხვის აღნიშვნელი არიან, მრავლობითი კი იქნება მათი, ჩვენი, და არა: თვისნი, ვიმეორებ, თვისნი, თვისთა დამატებასთან დუკავშირებულად არ შეიძლება მრავლობითი რიცხვის შინა-

იგრძობა: როცა დამატება მრავლობითში იყო ნახშირი, შემსამუნელს მრავლობითი ნიშანი (6) შუაში დეკრთოდა, მაგ. „მეფემან ისმინა ევზირნი“ (ეფთხ.); „თვალნი დახუნა“ (იხ. წიგნი სიბრძნე-სიკრუსის), და სხვ.

² უნდა იყოს: „წარიყვანან... მონამხველნი თვისნი“.

ვენებელი იყოს. ამით დამოუკიდებლად მრავლობითის ფორმა არ ვაჩინიათ, და თვისნი (თავისი), როგორც კუთვნილებითი ზედსართავი სახელი, სხვა ზედსართავი სახელებსავე შემთხვევაში არ გამსხვავდება და სხვა სიტყვასთან (საზღვრულთან) ზედსართავის ფუნქციას ასრულებს, ე. ი. თავისი (თვისი) მხოლოდობისა და მრავლობითშიც იხმარება. ჩემნი, შენნი, ჩემთა, მისნი და მსგ. სხვ., როგორც ემბოზ, მხოლოდობითის შინაარსისაა, თუმცა მრავლობითი რიცხვის აღნიშვნელი ნიშნები აქვს. ასეა ფორმით თვისნი, თვისთა, მაგრამ შინაარსით მხოლოდობით რიცხვს მიეუბნება. ანალოგია რიცხვისა და რიცხვის აღნიშვნელ სახელებში, მაგ. ორი და ორნი, ზოგნი და ზოგნი და მსგ. სხვ. მრავლობითის ნიშანი (6) შინაარსს არა ცვლის. და თავისი (თვისი) მე-18 საუკუნემდე სუბიექტს (ქვემდებარეს) როგორც მხოლოდობითში, ისე მრავლობითშიც თანაბრად შეეწყობოდა. თავისი (თვისი) მრავლობითი ფორმით (თვისნი, თვისთა) მხოლოდ ობიექტთან შეწყობის საჭიროებით იყო გამოწვეული არც მეტი და არც ნაკლები. და გრამატიკოსი მ. ჯანაშვილის ქართულ გრამატიკაში წარმოდგენილი მხოლოდობისა საბ. I თვისი (თავისი), საბ. II თვის-ში, ნათ. თვის-ის...) და მრავლობითში (საბ. I თვისნი, საბ. II თვისთა, ნათ. თვისთა...) ამ ნაკეალსახელის კანკელდება (იხ. 1906 წ., გვ. 38), მსგავსად მისი (მოლი) და მათი (მრავლ). გუდაგებრობად უნდა მივიჩნიოთ, რადგან, ვიმეორებ, თვისნი, თავისთა მრავლობითში მხოლოდ ობიექტთან დაკავშირებით იხმარებოდა, როგორც საერთოდ ზედსართავი თესხვ. სახელები.

როგორც ვამბობ, თავისი (თვისი) — მსაზღვრელი საზღვრულს მრავლობით რიცხვშიც უკავშირდებოდა, მაგ. „თავის მხლებელთა უბრძანა“ (ანთოლოგია, გვ. 25); „თავის დიდებულთა ანვარიში არ ქონდა“ (იქვე, გვ. 83); „პრქვა თავისა დიდებულთა“ („ეისრაჲ“, გვ. 24), და სხვ. და როგორც წინათაც ვამბობ, თავისი ქვემდებარეს როგორც მხოლოდობითში, ისე მრავლობითშიც შეეწყობოდა, მაგ. „გაათავეს თვისი თქმული“ (იხ. ანთოლოგია, გვ. 105); „მზემან და მთვარემან თავისა ლაშქრითა დასაველეთისავე ილაშქრეს...“ (იხ. „ეისრაჲ“, გვ. 35); „ეს იმ კაცთა თავის პირით მოთხრეს“ (იხ. ანთოლოგია, გვ. 84); „გულით არიან გახარებულნი თავის სახლკარადა, სხედან აშკარადა“ (ანთოლოგია, გვ. 208), და სხვ.

და ამ შემთხვევაში თავისი (თვისი) ფრაზაში, როგორც საზღვრელი და მსაზღვრელი

სიტყვა, ჭარბული ვნის განვითარების ისტორიულ პროცესში სხვა საზღვრულ-შისაზღვრელი სიტყვების მსგავსად იცვლებოდა. როგორც ცნობილია, ძველ ენაში სრული ფორმები იხმარებოდა როგორც ძველი წყობით (მაგ. ნადირი დიდი, ნადირისა დიდისა, ნადირისა დიდისა... ნადირნი დიდნი, ნადირთა დიდთა...), ისე ახალი წყობითაც (მაგ. დიდი ნადირი, დიდისა ნადირისა, დიდსა ნადირისა... დიდნი ნადირნი, დიდთა ნადირთა..., მაგ. ევეფხის-ტყაოსანში: „დიდსა (ივლისსხმება ნადირს — ახალი წყობა) ვერ მოვლენ, ხელად აქვსთ ზოცა ნადირთა შვირეთა“ (ძველ წყობა). ახალმა ენამ ეს ფორმები ვაიმარტივია. განსაკუთრებით — ახალ წყობაში, მაგ. დიდისა ნადირისა-დიდი ნადირის, დიდითა ნადირითა დიდ ნადირთ... ძველ წყობაში მხოლოდ ემფატიკური ნიშანი ჩამოშორდება, მაგ. ნადირის დიდისა-ნადირის დიდის... ნადირთა დიდთა-ნადირთ დიდთ... და, მაშასადამე, ახალ ენაში მისაზღვრული სიტყვა მრავლობითშიც მხოლოდობით შიდა დასშული (დიდი ნადირთა). ასეა მიღებული თავისიც (თვისიც), მაგ. „შომამძულა თვისთა ტომთა-შომამძულა თვის (თავის) ტომთ“, „შომობელთა თვისთა-შომობელთ თვის...“ და თავისიც ახალ წყობაშიც, როგორც კეთონილებთან ზედსართავი, მრავლობით საზღვრულთანაც მხოლოდობით რიცხვში დაისმის. და როგორც საჩოთირთა და გაუმართლებელიც დღევანდელ მწერლობაში მრავლობითი მსახვრელის საზღვრულთან ხმარება, მაგ. ისინი დიდი ნადირთ (ნადირებს) ზოცავენ, ასე გაუმართლებელიც და საჩოთირთაც უნდა მივიჩნიოთ თავიანთის, როგორც მსახვრელის, საზღვრულთან ხმარება, მაგ. ისინი თავიანთ საქმეთ (საქმეებს) აკეთებენ. და უნდა ვხსნაროთ ასე: ისინი დიდ ნადირთ (ნადირებს) ზოცავენ და ახინი თავის საქმეთ (საქმეებს) აკეთებენ.

რომ უკეთ გამოირკვეს კეთონილებთან ნაცვალსახვრელის ბუნება და ფუნქცია, ფრაზებში მოვათავსოთ ისინი, მაგ. ის თავის (მის, მათს, ჩემს, ჩვენს; შენს, თქვენს) საქმეს აკეთებს, მაგრამ არ ითქმის ის თავიანთ საქმეს აკეთებს. ახლა მრავლობითში: ისინი თავის, თავიანთ (მის, მათს; ჩემს, ჩვენს; შენს, თქვენს) საქმეს აკეთებენ. აქედან ჩანს, რომ თავისი როგორც მხოლოდობის, ისე მრავლობითი რიცხვის ფუნქციას ასრულებს, თავიანთს მხოლოდ მრავლობითის რიცხვთან შეუძლია დაკავშირება, მაგ. ისინი თავიანთ საქმეს აკეთებენ. თავისი (თვისი) უშუალოდ სუბიექტანაა (ქვემდებარესთან) დაკავშირებული და მის კუთვნილებას განმოხატავს, რიცხვზე დამოუკიდებლად ზოლო დანარჩენები კი ობიექტთან (დამატ-

ბასთან და სხვის კუთვნილებას აღნიშნავს, და თავისი (თვისი) როგორც მხოლოდობის, ისე მრავლობითი რიცხვის ქვემდებარესთან ერთნაირი ვაზარებით იხმარებოდა, ორივე რიცხვის ფუნქციის შესრულებას კისრულობდა მე-19 საუკუნემდე და ჩვენს დროშიც ეს ფუნქცია (მოვალეობა) მას უნდა დაეკისროს. თავიანთ თავისი (თვისის) რიცხვობრივ მოპირდაპირედ ვერ მივიჩნევთ ისე როგორც: მისი და მათი, ჩემი და ჩვენი, შენი და თქვენი. და ამ ფრაზებს შორის; ისინი თავისთავს იცავენ და ისინი თავიანთ თავს იცავენ, ან: ისინი თავის საქმეს აკეთებენ და ისინი თავიანთ საქმეს აკეთებენ შინაარსის მხრივ არავითარი განსხვავება არ არის, ერთი და იგივეა. ამ ფრაზებში თავისი და თავიანთი სუბიექტანაა (ისინი) დაკავშირებული და ერთნაირად განსაზღვრავენ იმას, რომ ისინი საკუთარ საქმეს აკეთებენ, და არა — სხვისას (სხვების) არც მეტი და არც ნაკლები. და თავიანთში მრავლობითის ნიშანი თ, თავისთან შედარებით, აზრობრივად ახალ რამეს არ იძლევა. და რადგან ახალ ენაში მსახვრელი საზღვრულთან (ე. ი. ზედსართავი არსებით სახელთან) ყოველთვის მრავლობითშიც მხოლოდობით რიცხვში და ისმის (მაგ. დიდი საქმეები, დიდ საქმეებს...), ამიტომ მსახვრელის როლში მხოლოდობით და მრავლობითი რიცხვის ქვემდებარესთან თავისი (თვისი) უნდა ვიხსნაროთ, და არა: თავიანთი. თავისი (თვისი), როგორც ვამბობ, მე-19 საუკუნემდე მხოლოდობისა და მრავლობითი რიცხვის ფუნქციას ასრულებდა და აზრიც არ აქვს არ არევი, და ჩვენს დროშიც ეს ფუნქცია მას უნდა შერჩეს, იმიტომ რომ ვერ ვთქვით: თავისი (თვისი), როგორც მსახვრელი ი ზედსართავი ფრაზაში საზღვრულთან მრავლობითი რიცხვის ქვემდებარესთანაც მე-19 საუკუნემდე იხმარებოდა, შინაარსობრივად გამართლებულია დღესაც; მეორე — ზოგ კეთონილებით ნაცვალსახვრელს მრავლობით რიცხვში, მაგ. ჩვენს, თქვენს მრავლობითი ნიშნები) არ აქვს, მაგრამ აზრს მრავლობითის მნიშვნელობით გადმოგვიცემს, მაგ. ჩვენ ჩვენს თავს ვიკავით, და სხვ. და მინცდამინც რა აუცილებლობას წარმოადგენს მრავლობითი ნიშნის შქონე თავიანთის ხმარება, როცა მას მრავლობითი ნიშანი თ აზრობრივად არაფერს არ მატებს? შესაშვ ისიც, რომ თავიანთი მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში იხმარება, დასავლეთ საქართველოდან გამოსული მწერლებისა და დიალექტებისათვის იგი უცხოა და იქ თავიანთის ნაცვალად ისტორიულად

სრულიად გამართლებული ფორმა თავისი
იხმარება ორივე რიცხვში;¹
მართლებული ფორმა თავისი იხმარება
ორივე რიცხვში;¹

მეთხუთე — თავიანთი თავისებურა დე-
რივაცია თავისა-იან სუფიქსით წარმოქმ-
ნის, მაგრამ ამავე სუფიქსით წარმოქმნილ-
ნისგან არსებობდა განსხვავებული და, მესხ-
თე — ნაცვალსახელი თავისი (თვისი) უფრო
მარტივია, ვიდრე თავიანთი.

ასევე ერთნაირ ფუნქციას ასრულებს საზღ-
ვრულთან რთული კეთვნილებითი ნაცვალსახე-
ლები — როგორც მსაზღვრელები: თავთავისი
და თავთავიანთი, მაგ. ისინი თავთავ-
თავის თავს იცავენ და ისინი თავთავიანთ
თავს იცავენ, ან: ისინი თავთავის საქმეს
აყეთებენ და ისინი თავთავიანთ საქმეს
აყეთებენ (ორივე მხოლოდ მრავლობითი იხ-
მარება).

აქვე უპირატესობა ნაცვალსახელს თავთავ-
ისის უნდა მიეკუთვნოს, და აი რატომ:

მრავლობით რიცხვში ძველ მწერლობაში
(V — XVIII საუკ.) თავთავისი იხმარებო-
და, არა თავთავიანთი; მაგალითები:
1. „ყველა თავის თავისა (ახლა: თავთავისა
გრ. შ.) ნებისა და გამოსვენებისა მძებნელია“
(იხ. „ეისრაჰიანი“, გვ. 21); 2. „მით ოთხივე
თავის თავის (ახლა: თავთავის გრ. შ.)
ძღვენსა სწორად მიაბრძინდეს“ (იხ. „ვეფხისტ-
ყაისანი“, გვ. 188); 3. „მუნ მოვიდნენ, დაუ-
ტყვეს თავთავისი სამყოფელი“ (ანთო-
ლოგია, გვ. 84); 4. „თავთავისი ალავე
უჩენია ყველას“ (იხ. გვ. 84), და სხვ. თავ-
თავიანთი მხოლოდ ერთხელ შემხვდა „ეის-
რაჰიანიში“ და ისიც, ვიტიკობით, ვადამწერს ან
გამომცემელს უნდა მივაკუთვნოთ: „თავთავ-
იანთ შინა ერთმანეთსა მებრძოლნია“ (იხ.
გვ. 315).²

აქედან ჩანს, რომ ძველ მწერლობაში V —
XVIII საუკ. განმავლობაში თავისი და თავ-
თავისი იხმარებოდა და ახრტიც სწორად
გადმოცემოდა. ჩვენს დროშიც ესენი უნდა
ეიხმაროთ და არა: თავიანთი და თავ-
თავიანთი.

ფრაზებში: ისინი თავთავის საქმეს
აყეთებენ და ისინი თავთავიანთ საქმეს

¹ მაგ. აკაის „ბაში აბუჯი“ ვკითხულობთ:
ყველამ გამოამეღვენა მოკლედ თავისი თავ-
გადასაჯალი“ (გვ. 77); „ქართულ სათამაშოებს
ბავშვები თავის ხელით აყეთებენ (იხ. „ჩემი
თავგადასაჯალი“, 1955 წ., გვ. 12), და სხ.

² აკაი წერს: „დაუსვე შევეყრი; დარბაზს...
ორივემ თავთავისი საკადრისი პასუხა
მიიღოს“ (იხ. მისი „ბაში აბუჯი“, 1933 წ., გვ.
33). და სხვ.

აყეთებენ — არავითარი აზრობრივი განსხვავება არაა თავთავისსა და თავთავ-
ლები, როგორც მსაზღვრელები: თავთავისი
უნდა მიეკუთვნოს იმ მოსაზრებითაც, რომ
თავთავიანთი ფრაზაში მხოლოდ მრავ-
ლობით რიცხვში პიროვნებით ნაცვალსახელებს
(ისინი, ესენი, ივინი, ევენი) და მრავლობითი
ფორმით რიცხვის აღმნიშვნელ სიტყვებს (ყვე-
ლანი, ზოგინი...) შეეწყობა, მაგ. ესენი თავ-
თავიანთ საქმეს აყეთებენ; ყველანი თავ-
თავიანთ საქმეს აყეთებენ, და მსგ. სხვ.
ხოლო თავთავისი, რომელიც ფორმითაც მარ-
ტივი ა და რომელიც 13 საუკუნის შინაძღვ-
სათანადოდ ემსახურებოდა ჩვენს ცხოვრებასა
და მწერლობას, პიროვნების ნაცვალსახე-
ლებს მრავლობითშიც და მრავლობითი რიცხვის
აღმნიშვნელ სიტყვებს მხოლოდობითი ფორმითაც
შეეწყობა, მაგ. ისინი თავთავის საქმეს აყეთ-
ებენ, ყველანი თავთავის საქმეს აყეთებენ,
და სხვ. აგრეთვე ყველა თავთავის საქ-
მეს აყეთებს. ასევე გამართლებულია ფრაზა-
ში; თითოეული თავთავის საქმეს აყეთებს,
და არა: თითოეული თავთავიანთ საქ-
მეს აყეთებს, და სხვ.

აქ აღსანიშნავია ის, რომ სულხან-საბა ორ-
ბელიანი ვიცნობს: „მოგზაურობა ევროპაში“
(1658—1725) თავიანთის და თავთავი-
ანთის არ ხმარობს. მას ნახმარი აქვს თავი-
ისი როგორც მხოლოდობითში, ისე მრავლობით-
შიც, მაგ. „და ერთი ჰქოით თავისი სისხლი-
თაგით უღვას“ (იხ. 1940 წ., გვ. 65); „ყველა-
ნი თავის ადგილს დასდენ“ (იქვე, გვ. 73), და
სხვ.

ამ ნაწარმოებში ს. ს. ორბელიანი რთულ
კეთვნილებით ნაცვალსახელს თავთავისაც
არ ხმარობს. მას ნახმარი აქვს თავეთი და
თავთავეთი.

როგორც ცნობილია, სუფიქსით-ვე ადგილ-
სამყოფელს მიუთითებს, მაგ. კახეთი, სა-
ფრანგეთი და სხვ. ან: ქვემოეთი, გარეთი,
ინდა; ით: ქვეითი, ზეითი და სხვ., რაც ხში-
რად აქვს ნახმარი, მაგრამ აქ თავეთი და
თავთავეთი თავისისა და თავთავ-
ისის მნიშვნელობით უნდა იყოს ნახმარი,
თუმცა ზოგან, როგორც აღნიშნული მაქვს
თავისი ეცა ფრაზაში წარმოდგენილი; მა-
გალითები: „...და რასაც ასაქმებენ, ოთხი მო-
ნასტრისაა, ერთი თავეთი“ (იქვე, გვ. 67);
2. „რაც სფრანგეთში ხელოვანი მხატვარი-
კაცი თუ ქალი გამოსულიყო, თავეთის
ხელით თავეთის სახე დახატული იყო“
(იქვე, გვ. 106);
3. და თავთავეთს კარდინალს წინ
დაუსდენ ფებთან“ (იქვე, გვ. 32)
4. „და თავთავეთი სატანჯველი ხელით
უპირავთ“ (იქვე, გვ. 109), და სხვ. აქ აღსანიშ-

ნაგია ისიც, რომ მრავლობითშიც ხშირად თავეთი აქვს ნახმარი, მაგ. „ბასილიანთ თავეთი! ნაწილები გვიჩვენეს“ (იქვე, გვ. 120), და სხვ.

ამსახით, თავისი და თავთავისი უნდა ვინაობით თავიანთისა და თავთავიანთის ნაცვლად.

აქ უნდა შევნიშნო შემდეგი:

თავთავისი მიღებული თავის გამგორების შედეგად, შეიქვეცის გზით¹. დიდებულ-

¹ თავეთი და თავთავეთი პიროვნების და პიროვნებათა ადგილმდებარეობის უჩვენებს, როგორც, მაგ. თბილეთი, (ხევსურეთში), ე. ი., თბილისის მდებარეობა, და სხვ. მაგრამ ეს ფორმები მწერლობაში აღარ იხმარება.

თავთველმან წიგნები გაგზავნეს და თავის თავისი ლაშქარი უზმეს“ (იხ. „ენარამიანი“, გვ. 21).

თავის თავისის ხშირი ხმარების გამო I სიტყვის ფლექსია — ის ამოვარდა და მივიღეთ კომპოზიტი თავთავისი;“...

წიგნები გაგზავნეს და თავთავისი ლაშქარი უზმეს“ (ახლა უნდა:“... და თავთავის ლაშქარს უზმეს — გრ. შ.).

და თავთავისა და თავთავიანთის დეფინიტი დაწერა, როგორც ეს ე. თოფურიასა და იე. გიგინეიშვილის „ორთოგრაფიულ ლექსიკონშია“ (1949 წ.): „თავ-თავისი, თავთავიანთი“ (გვ. 99 — 100), ჩემი აზრით, მცდარია. ესენი გაერთიანებულად (თავთავისი, თავთავიანთი) უნდა ვწეროთ.



კეკთ. თეკეიფილი



მომონებები

1880-იანსა და 1890-იან წლებში ძალიან ჭირდა არქეოლოგიური კვლევა-ძიების¹ ფართოდ გაშლა. ადრე არსებული კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოებაც დამერე კავკასიის ისტორიი-არქეოლოგიის საზოგადოებაც დაიხურა რატომღაც. ორივემ სულ სამი თუ ოთხი ტომი გამოსცა, დ. ბაქრაძეს კიდევ უნდოდა არქეოლოგიური საზოგადოების დაარსება, მაგრამ ნება აღარ მისცეს. რაკი პირდაპირი საშუალება აღარ იყო, იძულებული ვიყავით, გარშემოვლითი გზით მიინკ ვეწინარეობინა არქეოლოგიური მუშაობა. ამის საშუალებას გვაძლევდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, დაარსებული ჩვენი შესანიშნავი მოღვაწის დიმიტრი უიფიანის თაოსნობით. საერთოდ, მას დიდი ინიციატივა ახასიათებდა; ბანკიც ხომ მისი დაარსებულა! დიმიტრი უიფიანმა ისარგებლა რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს (1877-8 წ. წ.) შექმნილი ვითარებით, როდესაც კავკასიის ფრონტზე ომმა რუსთათვის საბიფათო ხასიათი მიიღო, და ქართველების ერთგულებას რუსეთისადმი დიდი მნიშვნელობა მიენიჭა.

დიმიტრი უიფიანი მოვლამარაკა მთელი საქართველოს თავად-აზნაურობის ყველა წი-

ნამძღოლს და დიფოლია ისინი, რომ ყმების საფსურად მიღებული ფულიდან რამდენიმე პროცენტი გადაედოთ საადგილმამულო ბანკის დასაარსებლად, ბანკისა, რომლის შემოსავალი მოხმარდებოდა ქართველი ერის საზოგადო საქმეს. ეს წინადადება მან თავისი ავტორიტეტით გაიტანა, ისე რომ უარი არავის უთქვამს. ამრიგად, დაარსდა თბილისის და ქუთაისის საადგილმამულო ბანკები (Земельные банки Тифлисского и Кутаисского Дворянства). ქუთაისის პროგონინაჟი რომ შეედოიდი იქ მაშინ გაიხსნა ბანკი და დირექტორად აირჩიეს ბესარიონ ლოლობერიძე, რომელსაც სწავლა უნივერსიტეტში ჰქონდა მიღებული (მგონია მათემატიკისი იყო) და მანამდე თბილისის საქალებო ინსტიტუტში ემსახურა ინსპექტორად. ბანკის დაარსებისთანავე გაიხსნა ქუთაისში ორი ბანკი, რომელთაც თავ-თავიანთი კანდიდატები წამოაყენეს დირექტორობისა. ერთს მეთაურობდა ნიკო ნიკოლაძე, რომელიც ბეს. ლოლობერიძის წინააღმდეგე იყო და რომელმაც კანდიდატად დაასახელა დავით ბაქრაძე, მეტსახელად „ბილი“ (რუსული გამოთქმა არ უყარვოდა და „ნილი“-ს ვერ ამბობდა სწორად). ეს უყანასენელი იყო პირველი ქართველი მოსამართლე, როდესაც სამაზრო სასამართლოები შემოიღეს საქართველოში. თავდაპირველად იგი ორუროგეთის მაზრის მოსამართლედ დაენიშნათ, ჩემსობას კი უკვე ქუთაისის მაზრის მოსამართლე იყო. ნიკოლაძემ ვერ გაიყვანა თავისი კანდიდატი, თავდაზნაურობამ ბ. ლოლობერიძე აირჩია და მას შემდეგ ნიკოლაძემ იუარებელი წერილი დაბეჭდა გაზეთებში მის წინააღმდეგ, როგორც ამბობდნენ ის წერალები ძალიან ცუდად მოქმედებდნენ ბ. ლოლობერიძეზე.

ბეს. ლოლობერიძე პირველად ვნახე ბედაგოვ ილიქში ჰიპინიანესთან, რომელსაც მაშინ კერძო სასწავლებელი ჰქონდა ქუთაისში და მოწაფეებს ამზადებდა გინაზიისათვის. მასთან ხშირად იყრიებოდა ქუთათური ინტელეგენ-

¹ გაერძელება. იხ. „მნათობი“ № 1.

² მე-2 ვარიანტი. ნაწერულია კარნახით, 1949 წ. ამასთანავე ჩართულია ბუერი რამ, ნაწვეეტ-ნაწვეტი და სასხვათაშორისოდ გახსენებული (1948 — 1952 წ. წ.). რედ!

აჭა და საერთოდაც ე. თეკეიფილი, ისევე როგორც მისი თაობის ყველა მეცნიერი, „არქეოლოგიის“ ძალიან ფართო გაგებით ხმარობს (ტაძართა და საეკლესიო ნივთთა აღწერა, წარწერების გადმოღება-ამოკითხვა, ხელნაწერების ამოკითხვა და აღწერა, მიწაში დაფლული ნაშთების გათხრა და სხვა) და არა თანამედროვე გაგებით, რომელიც თითქმის მხოლოდ გათხრის არქეოლოგიის გულისხმობს. რედ.

ცია, რომლის რიცხვი იმხანად ათიოდე კაცს არ აღემატებოდა. მე მაშინ ქუთაისის პროვინ-
 ნაზიაში შესასვლელად გემზადებოდი და იმ
 აღუქმისთან წამიყვანა იოსებ თაყაიშვილმა,
 რომელიც პირველი გურული იყო, უნივერსი-
 ტეში (იურიდიულ ფაკულტეტზე) ნაწარმო-
 იმასა და აღუქმის ერთად ესწავლეთ მოსკოვის
 უნივერსიტეტში. მაგრამ იოსებს ვერ დაემთავ-
 რებინა, შეუძლებლობა-ავადმყოფობის გამო,
 და, IV კურსის სტუდენტი ჩამობრუნებულყო
 სამშობლოში. ჩვენ გასწავლიდა იზრატის
 სასწავლებელში და ფულს უგზავნიდა მამას,
 სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტს. პეს.
 ლოლობერიძეს კარგად იცნობდა და მერე
 შემფასებლადაც მუშაობდა ქუთაისის ბანკში.
 მახსოვს, იმ საღამოს როგორ ეხუმრებოდა ბე-
 სარიონი იოსებს: „უკუი მოუვიდა გურუ-
 საში!“ ბესარიონი დიდი დარბაზელი კაცი იყო,
 კარგად მოზნადებული, და თბილისში სამსა-
 ხურისას დიდი გავლენაც მოუპოვებინა; საზო-
 გადოება დიდი ნდობითა და პატივისცემით
 ეპყრობოდა მას. ილია ჭავჭავაძე თავის პამფ-
 ლეტურ ლექსებში, ბევრ სხვა იმდროინდელ
 ინტელიგენტთან ერთად, ბესარიონსაც არა-
 დადებითად იხსენიებდა, მაგრამ მას შემდეგ,
 როცა ახლოს გაიცნო იგი, სრულიად შეიცვალა
 აზრი მის შესახებ და ბოდიშიც მოუხადა უსა-
 ბუთოდ გალანძღვისათვის, მოინანია თავისი
 შეცდომა. თუ არ ეცდები, ბესარიონი რომ
 გარდაიცვალა, მაშინ დაბეჭდვად კიდევაც ილიამ
 ის თბილიშების წერაილი!

პეს. ლოლობერიძის სიკვდილის შემდეგ
 ბანკის დირექტორად აირჩიეს მისი ნათესავი
 ნიკო ლოლობერიძე, ახალი არჩევნებისას ნ.
 ნიკოლაძემ ისევ წამოაყენა თავისი კანდიდა-
 ტი „დავით ბილა“, მაგრამ ვერც ახლა გაიყ-
 ვანა. ამის შემდეგ დაიწყო „ბანკობილი“ ქუ-
 თაისისთვის: ბანკის დამარცხებელი თავად-აზნაუ-
 რობა იკრიბებოდა და მსჯელობდა ბანკის
 საქმეებზე, იმართებოდა ცხარე დისკუსიები.
 პროვინენაზიაში რომ შევედი, ხშირად ვესწრე-
 ბოდი ბანკის კრებებს და კარგად მახსოვს ის
 ტაბიურა, ძველი დროის წარმომადგენელი თა-
 ვადები და აზნაურები, რომლებიც იქ და-
 დოილდნენ. ნიეთიერად გჯერ კიდევ არ იყვნენ
 გალატაკებული და ჩაცმა-დახურეთა და სიტყ-
 ვა-პასუხით ძალიან დიდ შთაბეჭდილებას ახ-
 დენდნენ ჩემზე. დიდკაცური თემომწონეობა
 გჯერ კიდევ ჰქონდათ შერჩენილი და ვერ გუფე-
 როდენენ იმ გარემოების, რომ ბანკის გამგეო-
 ბის არჩევნებში და, საზოგადოდ, ბანკის საქ-
 მეებში ხმა ჰქონდათ მსესხებლებსაც, რომლე-
 ბიც მეტწილად წარმოდგენილი იყვნენ მღა-
 ბიო, ბურჟუაზიით და, უმთავრესად ვაჭ-
 რებით, ქართველი ებრაელებით. მახსოვს
 ტაბიური თავადი ლენტორ წულუაძე რომ

მელმაც მშაფრი პროტესტი განაცხადა: რო-
 გორ თუ ებრაელები ბანკის საქმეებში მო-
 ნაწილეობენო, და ეს ნ. ლოლობერიძეს დაბ-
 რალა, „გლეხები და ებრაელები გვერდში
 მოგვისვით“. იმ კრებებზე ბევრ სტუდენტში,
 ნამდვილ იმერულ ფრაზას გაეგონებდა კაცი.
 მაგონდება კალისტრატე ჩიკვაძის მამის (სახე-
 ლი აღარ მახსოვს, ისიც ტაბიური იმერელი
 კი იყო) ერთი რეპლიკა. ბანკის გამგეობა
 თხოულობდა ნებართვას, რომ ბუნხალტრა-
 ბათვის ცოტადენი თანხა მიეცათ იმ ზარა-
 ლის ასანაზღაურებლად, რომელიც ანგარიშის
 დროს მარცხად გადაეყოლებინა. იმ ჩიკვაი-
 ძემ იეთხა: „ბუნხალტერს ჯამავირი ხომ
 იქნისო?“ უბასუხეს: „ღიბს, იქნეს, მაგრამ ეს
 ფული მან სხვადასხვა მსესხებელთათვის ან-
 გარიშის გასწორებისას ზელს ვადააბნაო“.
 ჩიკვაიძემ მიამახა: „ზელს კი ვადააბანა, მაგ-
 რამ ჯიბეს ხომ ზაატანაო?“ მარტო იმერელი
 თუ იტყვის ასეთ კეიშატ რაშესს. ნიკო ლო-
 ბერიძე ვერ გადააყენეს ქუთაისის ბანკის დი-
 რექტრობიდან, სინამ თითონ არ დაინება
 თავი და კიათურაში შავი ქვის მადნის დამუ-
 შავებას არ მიჰყო ხელი.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ რომ
 ჩამოვედი თბილისში, მაშინ დ. ბაქრაძე არ
 დამხვდა აქ, კეკელიძის სასოფლო-სამეურნეო
 საზოგადოებას გაეგზავნა მივლინებით ოსმა-
 ლეთში, რათა შეესწავლა, თუ რა მდგომარეო-
 ბაში იყო იქ ყოფილი ქართველი გლეხობა,
 როგორ გადააყეთეს ოსმალებმა მათი მიწისფ-
 ლობელობის წესები და სხვა. იმ საზოგადოე-
 ბას თავმჯდომარეობდა ნათცი ევქილი ფრე-
 კელი, ქართველების მომხრე და მოყვარული...
 ოსმალებიდან რომ დაბარუნდა ბაქრაძე, მაშინ
 გამიწო ფრენელი და ბაქრაძემაც მაშინვე
 დამიხალთვა იმ ხანებში სიონის ტაძართან
 დაეარსებინათ „Братство св. Андрея“, რომ-
 ლის მიზანი იყო ქრისტიანობის გავრცელება
 და, საერთოდ, რელიგიის განმტკიცება ხალხში.
 თავმჯდომარე იყო დეკანოზი ელიევი (ელა-
 შვილი), მგონი ესტატე ერჭვა სახელად. ერთი
 ღვთის პირიდან გადავარდნილი ვინმე იყო,
 ეგზარქოსის ყურმოკრილი ყმა და ჯამუში.
 მთელ სამღვდელეობას სძულდა, მაგრამ ის
 ატრაობებდა ყველაფერს. დ. ბაქრაძემ შეიტა-
 ნა წინადადება, დაარსებულყო იმ „წმ. ანდ-
 რიას მძობასთან“ მუზეუმი ძველი საეკლესიო
 ხელნაწერებისა და ნიეთებისა, რომლებიც გამო-
 სული იყვნენ ხმარებლადან. ამრიგად შეიქმნა იმ
 საზოგადოებასთან „საქართველოს საეგზარქო-
 სოს საეკლესიო მუზეუმი“. სინაოს დამტკი-
 ცებინა მისი დაარსება, მაგრამ მუზეუმი გჯერ
 არ იყო გახსნილი. ბაქრაძეს უკვე შეეღვინა
 და დამტკიცებინებინა მისი წესდება და, რო-
 გორც სხვაგან უკვე აღვინაშენ, მომცა და ქარ-

თულად მთარგმნინა იგი. თან მიხარა, რაკ ისტორიულ-დილოლოგიური ფაქტობები ვაგითათებიათ, ჩემთან უნდა იმუშაოთო. მასთან შეშაობა მართლაც სასიამოვნო იყო: შესანიშნავი, კეთილი კაცი იყო და ყველას ძალიან უყვარდა. წინათ ემუშავნა ქუთაისის გუბერნატორთან, „განსაკუთრებულ დავალებათა შემსრულებელ მოხელედ“. ნიჭიერი და კარგად განათლებული მკვლევარი იყო, რუსულის გარდა ფრანგულიც იცოდა. მერე შედგა იმ საეკლესიო მუზეუმის კომიტეტი: დ. ბაჭრაძე (თავმჯდომარე), ელიფე (წვერი) კალისტრავი (ეგზარქოსის მდივანი), თ. ყორღანია, მე და ნ. მთავარელიშვილი (ქართული ენის მასწავლებელი სათავადაზნაურო სკოლაში, სასულიერო აკადემიადამთავრებული, ავტორი მშვენიერი წერილისა ანტონ I შესახებ, რომელიც საარქივო მასალების მიხედვით ჰქონდა შედგენილი). როგორც უკვე ვწერდი, იმ მუზეუმის პირველი მართკი იყო დ. ბაჭრაძისა და ჩემ მიერ ძველი პართული ხელნაწერების ჩამოტანა სევეტიცხოველიდან, რომელსაც წინათ მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა, ოღონდ მერე ბევრი რამ დაკარგოდა. მაინც მრავლად იყო იქ კარგი ხელნაწერი და ყველა წამოვიღეთ, თითქმის აღმარადერი დავეიტოვეთ. მუზეუმისათვის მოგვეცეს ერთი დღი ოთხი სიონის ტაძრის ეზოში მდგარი შენობის მეორე სართულზე და იქ შევიანებთ ხელნაწერები, მოვაწყეთ ბიბლიოთეკა ამ უკანასკნელის გამოვლ ავიჩიეთ თედო ყორღანია, რომელსაც დავაგულეთ მოკლე აღწერილობა-კატალოგის შედგენა. მერე უკვე სხვა ტაძარ-მონასტრებიდანაც მოგვდიოდა ხელნაწერები, თუმცა ზოგან სამღვდელოებამ აღმატრად შეხედა ჩვენ საქმიანობას: „ყველაფერს რომ გვაბრძოვით, მონასტრების გამარცხვა როგორ შეიძლება?“ მაგრამ ხმაზღლა ვერ შედგადენ ამისთანების ლაპარაკს. ჩუმად დრტივანდენ.

ამჟამად საეკლესიო მუზეუმი წარმოადგენდა ერთადერთ დამწესებულებას, სადაც ლეგალურად შეგვეძლო შერება, მსჯელობა, ხელნაწერთა მიწესრიგება, კვლევა საქართველოს ეკლესიის ისტორიის შედგენა და სხვა ამისთანები. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არ კმარადა: საეკლესიო მუზეუმს ხელი არ მიუწვდებოდა ვერც ნიეთებზე და, იმავე დროს, ძალიან ბევრი რამ იყო შემორჩენილი ოჯახებში, განსაკუთრებით თავად-აზნაურობაში, და ისინი კი — ნამდვილად ვიოდით — სწრაფად ნიავდებოდნენ და იკარგებოდნენ. ეს ხელნაწერები როგორღა უნდა შეკრებილიყო და გადაჩვენებული დაქსაქსვას? ამ საქმის მოსაგულად გამოვიყენეთ წერა-კითხვის საზოგადოების წიგნსაცხი და, ცოტა არ იყოს, „გაგებრეთ“ იგი: წიგნებსაც ვუყრიდით იქ თავს, ხელნაწერებსაც და აოტ-ცოტა ნიეთებსაც. იმ საზოგ-

ადობის ხელნაწერთა ფონდს საფუძვლად დავდებო ნიკო მინერაქსის (დადახანის) ბიბლიოთეკა, რომლის მისაღებადც, როგორც ვიცით, სხვებთან, კომისიასთან ერთად, ილია ჭავჭავაძეც გაემგზავრა სამეგრელოს, სოფ. გორდში, როგორც საზოგადოების თავმჯდომარე. ეს ამბავი რომ გაიგვს, მერე კერძო პირებმაც დაიწყეს თავისით შემოწირვა, თუმცა კი კანტიცეზად. ეს საქმარისი არ იყო, ბევრ რამ „თვალდახელშეა“ დავეკარგებოდა და ამიტომ, პეტერბურგიდან ჩამოსვლის შემდეგ, რომ დავიწყე წერა-კითხვის საზოგადოებაში მუშაობა, სხვა, უფრო ნაყოფიერი ხერხები შემოვიღე ხელნაწერთა შეგროვებისა, როგორც უკვე ვწერდი. წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკა-მუზეუმისათვის პირველი ხელნაწერი შევიძინე 1889 წელს, ე. ი. თბილისში ჩამოსვლიდან ორი წლის შემდეგ. ეს იყო ტყავის სვინაქსარი (იმჟამად ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმის ხელნაწერები H-1245.) თავის დროზე იგი მხოლოდ აღწერა, ახლა კი განზრახული მივქც გამოვიყე. ძალიან საინტერესოა იმით, რომ ამჟებზე მიწერილი აქვს, ამა და ამ დღეს ამა და ამ პირის აღაბაო და ა. შ., მთელი გუჯრებია ზედ. სწორედ იქიდან ამოვიკრიფე ბოცო-ბასილის, ათაბაგის, გენალოგია, ხელნაწერის შექმნის ისტორია ასეთი იყო. ცნობილ ქართველ მოღვაწეს, სასოფლო-სამეურნეო განათლების დანერგვის თანატოლის, ილია ჭავჭავაძის მეგობარსა და მეზობელს, ილია ჭინაბდერიშვილს თავის სოფელში, წინამძღვრიანთარში, საკურამოს ახლოს, გახსნილი ჰქონდა სამეურნეო სკოლა (რომლის გახსნაზედაც წარმოთქვა მეორე ილიამ თავისი განთქმული სიტყვა „გუთონისა და მხალის“ შესახებ). იმ სკოლის განაგებდა ერშილე ნავაშიძე, დედაჩემის ძმისწული, რომელმაც გინაზია ჩემთან ერთად დაამთავრა, ხოლო სამეურნეო განათლება მიიღო შუა რუსეთის რომელიღაც ქალაქში, მგონი, ლუბლინში. იმავე სკოლაში საღვთო რჯულს ერთი მღვდელი ასწავლიდა. იმ ორმა მომიყვანა ერთი ახალგაზრდა სოფლის მასწავლებელი, გვარად სულხანიშვილი, რომელიც, მგონი, ახალციხის მახარაში მუშაობდა, და რომელმაც მომიტანა ორი ხელნაწერი: ზემოხსენებული, დიდად საინტერესო, და სურათებიანი მეტაფრასტი, ნაელბ საინტერესო, სვინაქსარი ადრე ახალციხის ეპლესიაში ყოფილიყო (მ. ბროსეს ჰქონდა იქ ნახული და აღნიშნავდა) და ალბათ მომტანამ მიითვსა. საფიქრებელი იყო, რომ მეტაფრასტიც იქიდანვე ჰქონდა ნაშოვნი იმ სულხანიშვილს. იმ დროისთვის მე უკვე საკმაოდ ვერკეოდი ქართველოლოგიაში: ჯერ კიდევ პეტერბურგში. შევედგე სათანადო ლიტერატურის შექმნისა და გაცნობის (მ. ბროსეს ყველა ნაშ-

როში, ზარათავეის ისტორია, ვოლოვინის ისტორია, მურავიოვის „Грузия и Армения“), თუმცა კი ამაში დასაშვებია არ ვფიქრობდი, პედაგოგობა მქონდა განზრახული, როგორც უკვე აღვნიშნე. ასე რომ, ბოლო-ბასილისა და მისი შვილების მინაწერთა ჩვენი ისტორიისათვის მნიშვნელობის მიხედვით არ გამოვსვამდი. დიდი ეპიკოსის შემდეგ შევიძინე სულხანიშვილისაგან ორივე ხელნაწერი 15 მანეთად. ჩემი ფული მივეცი, მაგრამ მერე წერა-კითხვის საზოგადოების თავმჯდომარესთან, (ილიასთან) მივტანე ხელნაწერები, ავუსენინე იმ მინაწერთა ღირებულება და მინაც უყოყმანოდ ამინაზლაძე ხარჯდა, როგორც აგრეთვე უკვე აღვნიშნე. მანამდე ყველა ხელნაწერი შეწირულების გზით ჰქონდა დაგროვილი საზოგადოებას, გარდა ერთისა. ეს იყო „ქართლის ცხოვრების“ მარამ დედოფლისეული წეს-ხა რომელიც საზოგადოებას მითავარეულის (იმდროს, მგონი, საზოგადოების მდივნის) თაოსნობით შევიძინა ერთი ქართული ეპიკოსიდან. ამ უკანასკნელისაგანვე ვიპოვე შემდეგ ვახუშტის „საქართველოს ცხოვრების“ დიდი ხელნაწერი. მისი გვარი აღარ მახსენდება, წყნარისა და ოლას 2 ქუჩების კუთხეში ჰქონდა სახლია და ზღაპრით. სხვათაშორის მერე, როდესაც საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება დაფარსეთ და ქართული მუზეუმის აშენება გვირუნდა განზრახული (დ. სააკიშვილის რომ შევუწინდით), ერთხანს იმ ადგილის ყიდვასაც ვამიკრებდით საამისოდ. ეპიკოსი გვარი კი ვეღარ ვგაიხსენე...

პირველი ხელნაწერის შექმნის შემდეგ უკვე აქტიურად დაიწყო მუშაობა წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკა-მუზეუმში: მე თვითონ ვწერდი კატალოგი შენაძენს, ვეწყოდი შემოწმების პრობლემებს და ა. შ. წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის წევრად რომ ამირჩიეს (1888 წელს), მას შემდეგ, რასაკვირველია, დაიწყო იქ სიარული. შევხედე ბიბლიოთეკას, სადაც იკრიბებოდა ხელნაწერები და დავრწმუნდი, რომ კაცი არ იყო მათი პატრონი, ვისაც უნდოდა, იყროდა შიგ ხელს. ერთადერთი მზრუნველი იყო პეტრე უმიკაშვილი, დიდად პატიოსანი კაცი და კარგი მოღვაწე, მაგრამ საოცრად ნელი და მძიმე. იგი თურმე ჯერ კიდევ საზოგადოების გასწინამდე აგროვებდა ხელნაწერებს, სიგელ-გუჯარებსა და სკას, ხოლო, როცა საზოგადოება დაარსდა და ბიწა გაიჩინა (სასახლის ქუჩაზე, ქარვასლაში რომელშიც ქართული თეატრიც იყო), მიეტანა წიგნის მადლობის უკანა ოთახში (სადაც უკვე აღვნიშნე იყრიდნენ თავს საზოგადოების წევრები და მეტწილად საუბრით იქცევდ-

ნენ თავს) და იქ დაეღაგებინა, ჩაუწერა. მე რომ მივედი, ჯერაც ჩაუწერდნენ უფრო, ვერაღის მოცალა მათთვის. პეტრე უმიკაშვილს ვეხვეწე პეტრე უმიკაშვილს, იბტვერება და იბწვევა ხელნაწერები, ჩასწერე-მეთქი, მაგრამ სულ მეუბნებოდა, მოვიცილ, ყმაწვილო, და მერეო ვუყურებ, ვუყურებ და მერე კი გულმა ვერარ მომთმინა, აედექი და მე თვითონ ჩაუწერე. ეს რომ ნახა პეტრემ, მადლობა გადამიხადა. მერე მივხავი ხელი ქართულ ხელნაწერთა შემოწმების პრობლემას ჩვენს საზოგადოებაში, ბუკინისტებისაგან მათ შექმნის და ა. შ. 1890წლიდან შევედექი ბიბლიოთეკის ხელნაწერთა აღწერას. თავდაპირველად აღწერილობას ვაქვეყნებდი „ივერიაში“, რადგან იმჟამად სხვა არავითარი საშუალება არ იყო. იქვე ბეჭდვადნენ ხშირად, ჩემამდეც, ხელნაწერთა აღწერილობას მ. ჯანაშვილი, პ. კარბელაშვილი და თ. ყორღანიძე. შეიხვედრებს ასეთი რამ იმ ექსპონატორად, მაინცდამაინც არ ეტანებოდნენ იმ წერილებს და დრტიონადნენ: „ეს რა გაზეთიაო!“ ილია ქავკაძე კი ყოველთვის სიამოვნებით აქვეყნებდა ისეთ აღწერილობას, როგორც მასალას. ეს მოდა ფსიქოლოგი იმხანად იგი რომინალურად და იყო რედაქტორი და იშვიათად თუ კითხულობდა საგანგებო წერილებს. ეს საქმე უკვე მინდობილი ჰქონდა რედაქციის გამგეს გიგა ყიფშიძეს, რომელიც რიგაიანად ართმევდა მას თავს, საფუძვლიანი მუშაკი იყო და მტკიცედ მისდევდა ერთხელვე შემუშავებულ გეზს.

მერე, როგორც ცნობილია, წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ მოამანდო მის ბიბლიოთეკა-მუზეუმში თავმოყრილ ხელნაწერთა კატალოგის შედგენა, რის გამოც თ. ყორღანიძემ და მისმა თანამოაზრეებმა დიდი შფოთი ასტყეს: „თაყაშვილი ამას ვერ შეძლებს და გამოცემაზე ფული ფუჭად დაეხარჯება საზოგადოებასო!“ იმ სამუშაოს გაკვეთილებისაგან თავისუფალ დროს ვაკეთებდი ხოლმე, ღამ-ღამობით. ერთხანს ვიფიქრე, დავანებებ თავს, ისევე ყერპო გაკვეთილებს ავიღებ, ფულს ვიშოვნი და იმით გამოცემე რამეს-მეთქი, მაგრამ მერე გადაფიქრებე რუსულად აღწერა ხელნაწერები და ისე გამოშვეა, რომ საზოგადოებას არავითარი ხარჯი არ მოსვლოდა, თორემ არ მომისვენებენ-მეთქი. ასე წარმოიშვა ჩემი „Описание рукописей Общества распространения грамотности среди грузин“, რომელიც, როგორც ცნობილია, იბეჭდებოდა კავკასიის სასწავლო ოქტის მზრუნველის ორგანოებში „Сборники по описанию Местностей и племен Кавказа“. ამ კრებულში თანამშრომლობდნენ უმთავრესად კავკასიის სასწავლებლებში მომუშავე, განათლებული და ისტორიკო-ეთნოგრაფიო

1 იმჟამად მელიქიშვილის ქუჩა.
 2 იმჟამად ლენინის ქუჩა.

დანიტრესებული პედაგოგები — რუსებიცა და ჩეხებურებიც — რის გამო მასში ძალიან ბევრი საინტერესო მასალა იყრიდა თავს. უნდა ითქვას, რომ კრებულის რედაქტორს, ოლქის მხრუნველს (იმეამად ლობათინსკის) ხშირად უკმაყოფილოდ გამოსატყვევებლად საქართველოში ნაპოვნ ენოგრაფიულ მასალებსაც და ეს კი მე მთხოვდა ხოლმე რუსულად მათს თარგმნას. პირველ ხანებში მიჭირდა, მაგრამ მალე გაეიწყო წარწერების კითხვაშიც. მივალითად, საკმაოდ ძნელი გამოდგა მცხეთასთან, ირმაზის ზეგში რომ მონასტერია, იმისი ასომთავრული, გადახმული წარწერის ამოკითხვა (შეგ იხსენებთა მწვერბული კათალიკოსი, რომელიც ცნობილია XVII საუკუნეში, ხოლო ზოგი კი წარწერას XII საუკუნეს აკუთვნებდა), მაგრამ მასაც გაეართვი თავი და კრებულში გამოქვეყნდა ჩემი სათანადო წერილიც. ერთი სიტყვით, იმ კრებულში ჩემი აღწერილობის დაბეჭდვას წინ აღბარაფერი დაუდგებოდა და მეც ასე მოვიქეცი. ორივე ყოველ კრებულში მიტრე ადგილს მოიმობდნენ, თან ძველი ქართული ტექსტების თარგმნაც ძნელი, საპასუხისმგებლო და საფრთხილო საქმე იყო და ამიტომ ხელნაწერთა აღწერილობის გამოქვეყნების საქმე მძიმე-მძიმედ მიდიოდა წინ, ასე რომ იმდროისათვის, როდესაც ხელნაწერი ჩემთვისაც კი უკვე მიუწვდომელი გახდა (წერა — კითხვის საზოგადოების გამგეობის გადახალისებისა და ახალი წესების შემოღების გამო, რის შესახებაც უკვე მქონდა საუბარი), მხოლოდ ორი ტომის დაბეჭდვა მოესწრო და მესამე ტომისათვის ნაებარედვეი მასალა კი აღწერელი გამოუცემელი დამარჩა. უოველივე ეს (რუსულად და არა ქართულად გამოცემა III ტომის ვერძისწრება) ჩვენი საერთო საქმისათვის გამოდგა საზიანო, თორემ პირადად მე საკმაოდ დიდი ჯილდო მომიპოვა აღწერილობის რუსულად დაბეჭდილში I ტომში. იცო მარტო რომ ნახა ის ტომი, წამოიძახა: „Какое же это описание, это настоящее исследование!“ და გადამეკიდა წარმედგინა რე რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში შედარლის მისაღებად, პირდაპირ გამომგლეჯა ხელიდან, და მართლაც მომიცეს ოქრის შედარლ...

ვერაფრით, ვერა ფსად ვერ მოვაყიდვინე ზემო-ქალაქ მღვდელ სუხიაშვილს პარზლის ხელნაწერი, რომელიც მასთან ჯერ კიდევ 1889 წელს ენახე (მე არ დამიშალა, თორემ, საერთოდ, თურმე მაინტედაინიც არავის უჩენდა ხოლმე), შევისწავლე და, როგორც დიდად მნიშვნელოვანი აღმოჩენა, კიდევაც გამოვაქვეყნე ასამ ქრონიკაში“, ხელნაწერის აღწერილობასთან ერთად. მისი გადაწერის თარიღი (1913 წელი) და საბარების გადაწერის ვინაობა (მატბერდული ბერი იოვანე ბერაე).

ამ აღმოჩენისა და მასზე გამოხმარების შესახებ უკვე მქონდა საუბარი (ქრტდნსაც თ. გორდანიამ და სხვებმა ფართოდ გამოხმარებთან პოლემიკა, სხვათაშორის, იმასაც მიკვირებდნენ, სწორად არა აქვს გადმოწერილი, თუმცა კი პარზლისა და მასთან ერთად მატბერდის ხელნაწერთა ახალ, ჩემ მიერ დღევინლ თარიღი — X საუკუნეს — კი ვერავე უარყოფდა. ასეთ ბრალდებაზე პოლემიკურადვე გამოხმარების არავითარი აზრი არა ჰქონდა და გადაეწყვიტე, ხელნაწერის პირი გადმომიღე და მთლიანად დამეჭედა. ჯერ ფოტოგრაფი ერმაკოვი წაიყვანე ზემო ქალაში, იმ სუხიაშვილთან, მაგრამ მან ვერ გადმოიღო, რადგან ეტრადი ძალიან გაყვითლებული იყო მერე წაიყვანე ერთი ქართველი მხატვარი — გრაიკორი გ. ტატიშვილი, რომელსაც ძალიან ემარჯვებოდა გამკვირვალე ქალაქით გადმოხაზვა, დავსვი და მთელი ხელნაწერი გადმოვადგინე. სწორედ ის არის, მწვენივარად რომა გამოქვეყნებული Материалы по археологии Кавказа"-ს XII ტომში. ასეთი ნაბიჯი ნამდვილად სჯობდა ყოველგვარ პოლემიკას თვით ისა და ზოგიც სხვა ხელნაწერი შეუძენათ უკვე მას შემდეგ, მე რომ საფრანგეთში წაიღე. მღვდელი სუხიაშვილი მოკვდა რა, ხელნაწერები მის ნათესავს დარჩენია, იმას მიუტანიო და უნივერსიტეტს თუ საქართველოს მუზეუმს უყიდა. ზემო ქალაში (ხაშურის მახლობლად) ის ხელნაწერები თავის დროზე მიტანილი ყოფილა სამთავისის მახლობლად მდებარე ქვემო ქალიან (კასთან რომაა, ზემოთ). ამაშითების ოჯახში იყო თურმე და, რომ გაყოფილან, ერთერთის რგებია და წაუღია კიდევაც იმ თავის სოფელში, ზემო ქალაში, სადაც მერე მღვდელს ჩავარდნია ხელში. რაც შეეხება იმას, თუ საიდან მოხვდა ხელნაწერები სამთავისის ქვემო ქალაში და კერძოდ, ამაშიეთა ოჯახში, ეს აღარ ვიცი. ეგებ სამთავისის ტაძრიდან?

ერთხელ კიდევ მინდა დაებრუნდე იმას, თუ რა მნიშვნელოვანი ახალი აღმოჩენები შემოვიდა ჩვენს ისტორიოგრაფიაში ასამი ქრონიკის“ გამოცემის შედეგად: გაიკრე, რომ მატბერდის კრებულს X საუკუნეში ყოფილა გადაწერილი და არა IX-ში; რომ პარზლის მონასტერი X ს-ის ბოლო მეოთხედის დამდეგს ყოფილა აშენებული; რომ მართალი ყოფილა ჩემი აზრი დავით კურაპალატის წარმოშობლობის შესახებ, რომლის გამოც თ. გორდანიამ თავის დროზე დამცინა და თან მიუთითებდა მ. ბროსეს. საქმე ის იყო, რომ ბროსე ვერდნობიდა კონსტანტინე პოპილეგენტის გენეალოგის, ხოლო ეს უკანასკნელი შეცდომით მიაწერდა ადარნასე II ქართველთა მეფის ოთხ შვილს კლარჯელ ადარნასე.

ბავშვობიდანვე ბერად შემდგარსა და უკონ-
 შვილოდ დაბრუნებულს, და კერაპალატად
 თვლიდა მას. თავის დროზე ხომ ბროსემაც
 ვერ უარყო, რომ კლარჯელ ადარანსეს შვი-
 ლები არა პელოია (თუმცა კერაპალატად მიიწი-
 ლი) და თავის გენეალოგიურ ტახტ-
 ლაზე ორივე ადარანსე მოთავსა, ისე რომ
 თითქოს ორივე ადარანსეს შვილებია წარმოდ-
 გენილი. მერე ეს გაიშვირა გერმანელმა ისტო-
 რიკოსმა მარკ-ვარტმა, რომელმაც ადარანსე
 ქართველთა მეფის შვილად სცო მარტო დავით-
 და არც ის ჩათვალა მეფედ, გადაიტანა, ადარ-
 ნსე-ბასილის შვილებად მიიჩნია და იქიდან
 მიმდინარეობდა თ. ფორდანიშვილს უაბი-
 ლის შვილები უჩვენა, ის მაგისტროსი იყო. ერ-
 თი სიტყვით, გადაჭარბებული არ იქნება თქმა,
 რომ „სამმა კრონიკამ“ გარკვეული მოსაბრუნ-
 ეი დასაბა ჩვენს ისტორიაში.

საეკლესიო მუზეუმში ხელნაწერთა მოდინ-
 ნება ზაღო შეწყდა, რადგან, როგორც უკვე
 აღვნიშნე, ქართველი ბერები და ზოგი მღვდელ-
 ლომთავარიც მონაცდამაინც არ უწყობდნენ
 ხელს ამ საქმეს, არ თანუგრძნობდნენ ხელ-
 ნაწერთა მუზეუმში წაშლებას. ეს რომ მარ-
 ტო მოსასტროსის საპატიო საყურებამზე ზრუნ-
 ვის შედეგი ყოფილიყო, კიდევ რა უშვებდა,
 მაგრამ ბერები მეტწილად გაუნათლებელი
 იყვნენ და მათ, პირიქით სრულიად არ ესმოდათ
 ძველი ქართული ხელნაწერების დღევანდელი
 მნიშვნელობა, ისე რომ ზნობად კიდევაც ყოფი-
 ლე მათაც და ძველ საეკლესიო ნივთსაც.
 ზოგს კი ერთგვარი კონსერვატიზმიცა და შეზ-
 ლუღუღობითაც მოსდიოდა ხელნაწერთა მუზე-
 უმში წაშლების წინააღმდეგობა. ნამეტნავად
 იყო ამხედრებული ეპისკოპოსი ლეონიდე ოქ-
 რბოშიძე (ბერი აღექანადრე ეპისკოპოსის ძმის-
 წულე), ხოლო კირიოს სამცხლელი, პირიქით,
 სულ სხვა აზრისა იყო და როდესაც ეპისკო-
 პოსი ვახდა და საეკლესიო მუზეუმს ჩაუდგა
 სათავეში, კიდევაც შეუწყო ხელი მოსასტრე-
 ბიდან ხელნაწერთა მუზეუმში გადმოტანას.
 ის კირიონი ხომ, როგორც ცნობილია, ისტო-
 რიულ ნაშრომებს წერდა და ბევრადედა ერთი
 წიგნი გამოსცა:

“Культурная роль Иверии в истории Руси..
 რომელიც, სამწუხაროდ, მეცნიერულად სუს-
 ტია.

ჩვენს ერთობლივ მუშაობას საეკლესიო მუ-
 ზეუმში ბოლო მოვლი და ბაქრაძის გარდაც-
 ვალებისთანავე. შესანიშნავი პიროვნება და
 თავის დროისათვის ყველაზე უფრო მოზადე-
 ბული ისტორიკოსი და არქეოლოგი იყო მისი
 „Кавказ в древних памятниках христиан-
 ства“ ყველას სახელმძღვანელო წიგნად გვეჩინ-
 და და მას დღემდეც არ დაუკარგავს მნიშვნელო-
 ზეობიანიდან ავტორის მოკლედ და კარგად აქვს

გადმოცემული, თუ ვის რა დაუწერია საქათ-
 ველოსა და სომხეთის თითოეულეკლესიის
 შესახებ. რუსი მეცნიერები, რომელნიც სა-
 ქართველოს ძეგლებს ეხებოდნენ, ყველანი იმ
 წიგნით სარგებლობდნენ ხოლმე. ნამეტნავად
 მეგობრობდა ბაქრაძესთან ნ. კონდაკოვი, რომ-
 ლის აქ სამოგზაუროდ ჩამოსვლამაც იმსახურ-
 პლა (რა თქმა უნდა, მის უნებურად) ბაქრაძე.
 მათი საერთო ნაშრომი „Опись предметам
 древности в некоторых храмах и монасты-
 рях Грузии“ ბევრად უკეთესი გამოვიდოდა,
 ბაქრაძეს რომ დასცოვდა მისი უკანასკნელი
 კორექტურის წაიკითხა, მაგრამ, როგორც უკვე
 აღვნიშნე, კორექტურა მაშინ მოვიდა თბილის-
 ში, როდესაც ბაქრაძე უკვე ის-ის იყო უნდა
 დაგვესაფლავებინა. ბაქრაძე დიდებულად დაეკ-
 რძალეთ დიდებულში, პანთეონში (მარშარტოს
 პირამიდა იდგა მის საფლავზე, მთელმა სა-
 ქართველომ შილო მოწაწილობა მის გამო-
 გლოვაში; მრავალი წარმომადგენელი იყო გა-
 მოგზავნილი, სიტყვიერ თქვა, დიდძალი გვირ-
 გეინებით შეაქმეს. მანამდე არც ერთ ქართველ
 მოღვაწეს არ ჰრისებია ისეთი პატივით დამა-
 რხება, ვარდა გრაფოლ ორბელიანისა. სხვათა-
 შორის, ნიკო ნიკოლაძე ამბობდა; „ილია რომ
 მოკვდეს, რაღა უნდა მოუშატონ ქართველებ-
 მა მის დამარხვას ბაქრაძესთან შედარებითაო?“
 განსვენებული ბაქრაძის მიზლითაცა და
 არქივი შემდეგ შევაჩინე წერაკ-კითხვის საზო-
 გდოებას მისი ქვრეისაგან. მისი ხელნაწერი
 კრებულები თ. ფორდანიშის ჰქონოდა ნათხოვ-
 რად წაღებული. არქეოლოგიური ნივთი აზ-
 ფერი დარჩენია ბაქრაძეს, ვარდა ერთი ფიგურ-
 სი (დამზარისა), რომელზედაც ამბობდა ხოლმე,
 სოლომონ მეორის ნაქონიო. რა თქმა უნდა,
 ისიც შევიძინეთ. სულ 1000 მანეთი მივეციეთ.
 ბაქრაძის ქვრევი ძალიან კარგი, პატიოსანი
 ქალი იყო, ჩვენი ცნობილი საზოგადო მოღვა-
 წის, გენერალ კონსტანტინე ქრისტეფორეს-ძე
 მამაცაშვილის ნოთესავი. ბაქრაძის ვაჟი შესა-
 ნიშნავი ვეკაცო მეომარი გამოვიდა, გმირობა
 გამოიჩინა პირველი მსოფლიო ომის დროს,
 გერმანიის ფრონტზე და არანუღლებრიადაც
 დააჯილდოეს; მგონი, ორჯერ შილო „ოფიც-
 რის გიორგის ჯვარი“, რაც ძალიან იშვიათად
 ხდებოდა ხოლმე. ბაქრაძის ერთი ქალიშვილი
 შერთო ექიმმა მანუკეტაშვილმა (წერაკ-კითხვის
 საზოგადოების მდივნის იაკობის ძმამ), მეორე
 კი იურისტმა აბულაქემ, რომელიც კერ ქუთა-
 ისის სასამართლოს წევრი იყო, მერე კი ქუთა-
 ისის საადგილმამულო ბანკის დირექტორი
 (ოლონდ თბილისის განყოფილებას განაგებდა
 და აქ ცხოვრობდა უკვე).

ბაქრაძის სიკვდილის შემდეგ საეკლესიო

მუზეუმს კარგა ხანს თ. ყორღანი ვანაგებდა და მე აღარ მიმიღია მონაწილეობა მის მუშეობაში. აღარც მუზეუმის კომიტეტი იკრიბებოდა, ისე რომ ყორღანი კარტოდა მუშაობდა იქ. მის შემდეგ მ. ჯანაშვილი იყო იმ კომიტეტის მდივანი. 1917 წლის რევოლუციის შემდეგ, სანამ შენსევეები ჩაუდგებოდნენ სათავეში ხელისუფლებას, ემხარებოდნენ იმით, რომ საქართველოში ეგზარქოსი აღარ გვეყავა, ვითავე და ვალმოვტანინე სიველესიო მუზეუმის მთელი კოლექცია საისტორიო - საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმში. ამ საზოგადოების მუზეუმი 1907 წელს იყო დამტკიცებული, მაგრამ სამუზეუმო შენობა არა გვექონდა (ვუღიანობდით, ღ. სარაჯიშვილისათვის აგებული ნებისა, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნე, ამოდ) და გვიჭირდა... ქართული სათავადაზნაურო გინაზის (ახლანდელი უნივერსიტეტის) შენობა უკვე კარგა ხანს აგებული იყო და იქ გვინდოდა მუზეუმის მოთავსება, მაგრამ ნ. ცხევიძემ არაფრის დიდებით არ გვიშვებდა შიგ. შენობა ჯერ კიდევ არ იყო მთლად დამთავრებული, ოღონდ გადახურული კი იყო, როდესაც მასში გადაიტანეს სათავადაზნაურო სკოლა და ქალთა სასწავლებელიც. ეს იყო 1908—1909 წლებში. იმ ორმა სკოლამ შენობის შიგნით მარცხენა ფრთა დაიკავა, მარჯვენა ფრთის სამივე სართული კი ცარიელი იყო. მისი სამშენებლო კომიტეტის წევრი ვიყავი. თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლის მოვალეობას მაშინ თემანიშვილი ასრულებდა. კომიტეტს გამოეცხადე, „შენობა იმისათვის იკავებოდა, რომ მუზეუმშიც მოგვეთავსებინა შიგ, აი, ახლა ჩვენ შევალთ შიგ, შევტანთ მუზეუმს და, აბა, გამოგვრკვეთ-შეთქი“ თემანიშვილი მომეპირო. ამრიგად, ასე ეთქვათ, „დავიყარო“ სამუზეუმო სავარცხ, თორემ მათთვის რომ მეგდო ყური, ვერასოდეს გავშლიდი მუზეუმს. თავდაპირველად მეორე სართულში დავიკავებო ერთი დიდი დარბაზი, მაგრამ მეორე კომიტეტმა მოთხოვა, თემანიშვილის პირით, მესამე სართულში ამეტანა მუზეუმი. თემანიშვილი დიდი დამფასებელი და მხარდამჭერი იყო ჩვენი საზოგადოებისა, მეც პატუისცემით მექცეოდა და ვერ ვუთხარი უარი. ადვილთ მესამე სართულში. იქ მეტი თავისუფლება იყო, რადგან მთელი ის ფრთა ცარიელი დავვხვდა. გინაზის შენობა თებობდა, ცალკე ჰქონდა სადგური მოწყობილი, ასე რომ ყოველმხრივ კარგად მოეწყვეთ.

რამდენიმე ხნის შემდეგ იმ ქარვასლის შენობას, სადაც წერა-კითხვის საზოგადოება იყო მოთავსებული, — კერძოდ, ქართულ თეატრს — ცეკალი გაუჩნდა და მეორე სხვა ოთახებსაც გადაედო, მაგრამ, საბუნდოვანოდ, სეკლარებზე ვადარჩა, ოღონდ წიგნების საწყობი დაიწვა,

საზოგადოების გამოცემანი თუ სხვა, გასაყიდად შენახული წიგნები (სხვათაჟორის, მაშინ დაიღობა ჩემ მიერ გამოცემული „მარიამისეული ქართლის ცხოვრების“ ტრაგის დიდი ნაწილი, რის გამოც ეს წიგნი იმთავითვე ძალიან ძნელი საშოვარი შეიქნა). ხანძრის შემდეგ დავეცი საკითხი საზოგადოების გამგეობის წინაშე: თეატრის გვერდით მუზეუმის ადგილი არ არის, წიგნები რომ დაიწვა და ახლა მუზეუმშიც არ დაიწვეს-მეთქი. გამგეობაც იძულებული შეიქნა, სადმე გადაეტანა თავისი ბაბლიოთეკა-მუზეუმი. სხვაგან ვერსად იშოვნეს ბინა და ისევე სათავადაზნაურო გინაზის შენობაში გადაიტანეს, დაალაგეს სარდაფში და რამდენამე თვეს, თითქმის ნახევარ წელიწადს ისე იყო უპატრონოდ, ყურადღებას არავინ აქცევდა. იქვე იყო მიყრილი განსვენებულ ილია ჭავჭავაძის ტანსაცმელი და ზოგი სამახსოვრო ნივთი, რომლებიც მისი მოკვლის შემდეგ ჩაიბარა წერა-კითხვის საზოგადოებამ. იმაჟამად მე სრულიად ჩამოვიცილი წერა-კითხვის საზოგადოებაში მუშაობას, აღარ ვხედავ მისი გამგეობის წევრს. მაგრამ როცა ვხედავდი, რომ სარდაფში ჩაყრილი კოლექციის მტკერი და ჭუჭუი ედებოდა, გულმა ვეღარ მომიტონა, მოვიყვანე წერა-კითხვის საზოგადოების მაშინდელი თავმჯდომარე — გენერალი გიორგი ყაზბეგი, დავეყენე თავზე იმ კოლექციებს და ეუთხარა: „ასე შეუძლებელია დატოვება, ფუძელები-მეთქი ნივთები. თუ არაფერს იღონებთ, იძულებული ვიქნები ვაზეთში გამოვაცხადო, რომ მუზეუმს არც პატრონი ჰყავს, არც გამგე, არც მუზეუმსა ჰყავს და არც არაფერს-მეთქი“. შეწუხდა ძალიან, შეწარიალდა: „რა ექნათ, სად წავიღოთ?“ ავიღე და ამოვტანინე ის კოლექციები მესამე სართულში და ჩვენი მუზეუმის გვერდით დარბაზში მოვათავსებინე. მაშინ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობაც დაფაქტურდა, მით უმეტეს, რომ წამოიჭრა საკითხი, რაჯი საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება არსებობს, წერა-კითხვის საზოგადოების მუზეუმში მას გადაეცეს მოსჯელად და, საერთოდ, ორის მიგვიერ ერთი ქართული მუზეუმი მოეწყოსო. ჩვენი საზოგადოება და ბიარდად მე ამის არც წინააღმდეგი ვიყავით და არც მაინცადამაინც დიდი მომხრე, რადგან თუ გაეგერთიანებდით მუზეუმებს, მათი გამგეობაც ჩაერეოდა ხოლმე საქმეში და ისე ვეღარ წავიფვანით ამ უკანასკნელს, როგორც საპიროდ მიგვიანდა. მაგრამ თუკი ის საზოგადოება მოინდომებდა გაერთიანებას, ჩვენც დაეთანხმებოდით. ეს საკითხი გამოტანილ იქნა წერა-კითხვის საზოგადოების საერთო კრებაზე, მაგრამ მუზეუმის ვალმოცემართიანება უარყო იმ კრებამ ერთადერთი ხმის უმეტესობით (ისიც, მგონი, რაღაც იუ-

მაკეს შესვერებმა და იმიტრამ!). რაჲი ასე გადაწყდა, საზოგადოებამ მოიწვია დავით კარიკაშვილი, დაუნინა მას ჯამაგირი და ჩააბარა მუზეუმის გამგებლობა. შესაძლო კანდიდატთა შორის კარიკაშვილი, რა თქმა უნდა, უმატიონისესი იყო. მანაც უცხო აღარავინ ვაღრია საქმეში, მოიყვანა თავისი ქალიშვილები და ისე, რჯახურად შეუდგნენ მუშაობას. იაკობ გოგებაშვილი ძალიან წინააღმდეგი იყო წერა-კითხვის საზოგადოების მუზეუმის სათავედ აწარმოო გიმნაზიის შენობაში ვადმოტანისა: „წყნეთში წაიღეს მუზეუმით“, გაიძახოდა. უნდა ითქვას, რომ მაშინდელი ვიყე მართლაც შორეული გარეუბანი იყო თბილისისა და რიკა მუზეუმები გადავიტანეთ იქ, იმის მეტი შენობა არც ყოფილა ირგვლივ, წყნეთამდეთანები იყო, ხან პერი ეთესა და ხან სიმინდი. ვარაზის ხეგუნდაც ჩვენ გავაყვით ხიდი, გიმნაზიის შენობა რომ ავიყეთ, თორემ მანამდე არ იყო.

საერთოდ, გულისტყვილით კვლავ უნდა ვავიხსენო, რომ მაშინ საქართველოში არ ესმოდათ ისტორიულ-არქეოლოგიური კვლევა-ძიებისა და სამუზეურო საქმის მნიშვნელობა და, რომ იტყვიან, არ ჰქონდათ გაგებელი ამის გეგმა ინტელიგენცია უკვე თითქმის შრავლად გვაყავდა და შეტწილად პატრიოტულად ვაწყუობრივად, მაგრამ ნამდვილი საქმიანი ინტერესითა და სიღრმით ცოტა თუ უყურებდა ამ საკითხს: სჯერდებოდნენ პოპულარული პროზურებისა და საგაზეთო წერილების (ვანსაკუთრებით—პოლემიკურის!) კითხვას. ხომ რა ცოტაა ვბეჭდვით მეცნიერულ ნაცვლებებს, და იმასაც ორიოდე კაცი თუ წაიკითხავდა. ხომ რა განათლებული და დიდი პატრიოტი მოღვაწე იყო იაკობ გოგებაშვილი, მაგრამ ზოგი რამ არც იმას ესმოდა ხოლმე. მე და ის ძალიან დამოკიდებულნი ვიყავით, სხვა რომ არა იყოს რა, თუნდაც იმის გამო, რომ ორი წლის განმავლობაში სულ ერთად ვსაძილობდით. სიკვდილის წინ ხომ თავისი ნების აღმასრულებლად დამინიშნა პოდა, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების დაარსება რომ ვაგვიზარბავ და წესდების პროექტი რომ შევადგინე, იმის საჯარო განცხადების ბეჭერი რომ ითქვა ამა თუ იმ მუხლის შესახებ. შერე აღვა გოგებაშვილი და განაცხადა: „სანამ

წესდებს გავარჩევდით, ჯერ თვითონ ის საკითხი გადაწყვეტოთ, ამ ახალი საზოგადოების დაარსება საქირა თუ არაოქმე მკონია; არაა საქირა, რადგან წერა-კითხვის საზოგადოება გვაქვს და ეს ახალი საზოგადოება უნდმეტია, მხოლოდ ხელს შეუშლის ძველსაო“. თორმე ერთმანეთში დაბარაკობდნენ წერა-კითხვის საზოგადოების შესვერებები, თათყიშვილი ეწერათეული კაცია, იმ ახალ საზოგადოებას დააწინაურებს და, ვითუ ძველი დაქვეითდესო! მაგრამ როდესაც ახალი საზოგადოება დაარსდა და მუშაობა დაიწყო, გოგებაშვილი კიდევაც ჩაეწერა მასში, საწვერო გადსახადსაც იხდიდა და მუშაობაშიც მონაწილეობდა. ასევე მოხდა, ჩვენი კოლექციები რომ გავაწყვეთ და გამოვფინეთ გიმნაზიის შენობაში, ხალხმა უკვე სხვანაირი თვალთ შეხედა მუზეუმსაც და „წყნეთში წაღებულ“ შენობასაც. გამოდენა მართლაც რიგიანი გვექონდა. განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მნახველებზე თამარ მეფის, ათაბეგებისა და სხვათა ფრესკული პორტრეტების პირებმა. გაციებულნი და აღტაცებულნი იყენენ. თითქმის არავინ არ იცოდა მანამდე, რომ ისეთი შესანიშნავი ძეგლები მოგვეპოვებოდა ტაძრებში... სხვათაშორის, ფრესკების პირები ვადმოვალეზინეთ მხატვარ კონს, რომელიც თვითონ ნორვეგიელი იყო და ცოლად კი რუსის ქალი ჰყავდა (შეზღვე იმ ქალმა ჩამდენჯერმე მინახულა პარიზში). კაცად კაციც შესანიშნავი იყო და მხატვარიც კარგი. მშვენიერი ხელი ჰქონდა, ისე უნდმწვევით ვადმოხატა ყველა, რომ დედნებში ვერ გამოარჩევდით, მახსოვს, ბეთანიაში რომ ვავგზავნე, ზამთარი იყო. ვუთხარი, „წაღით, დაათვალიერეთ და გვიტხარით თქვენი აზრი, ვადმოხატავთ თუ არამეთქი?“ რომ ნახა, ვადიარია, ისე მოეწონა: „ეს ძველი რომ ჩვენ გვექონდეს, ოქროს ხუფს დავებურავდით და ისე შევინახავდითო!“ დათობბას ველარ მოუცადა, ზამთარშივე წაიყვანა თავისი ცოლი და იმ სიციფეში ვადმოხატა ფრესკა. მერე გელათში წასულა ვთხოვე, მაგრამ უარი მითხრა, „იმას ველარ ვადმოხატავ, ახლა სამშობლოში მივდივარო“. „მანაც წაღით, ნახეთ-მეთქი“, ვუთხარო. წავიდა, ნახა და სანამ იქაური ფრესკებიც არ ვადმოხატა, მანამდე ვადლო სამშობლოში დაბრუნებმა...

(გაგრძელება იქნება)



აღმსარება აბაშელი



უკანასკნელი მგზავრობა

„ცდების და ცდების, სიკვდილსა ვინ არ მოვლის წაპისიად“.

შ. რუსთაველი

რაც უნდა სტოიკური სიმტკიცით იყოს შექტურული ადამიანი სიკვდილის აუცილებლობის მიმართ, მაინც ყოველთვის თავზარდაშეცემა ჯანდონით საესე, მეგობრისა და ახლობელის მოულოდნელი სიკვდილი. არასოდეს არ დამეინწყდება ის ამბარზენი შეშფოთება, რაც განვიცადე იმ წუთს, როცა შემატყობინეს სიმონ ხუნდაძის უეცარი გარდაცვალება. მით უფრო შემზარავი იყო ეს ამბავი ჩემთვის, რომ ორი დღის წინ ერთად ჩამოვედით თბილისში ქვიშხეთიდან და რამდენიმე დღეში ერთადვე ვაპირებდით უკან დაბრუნებას. სწორედ იმ დღეს უნდა შეეხვედროდა მას, რომ შევთანხმებულყავით, თუ რა დღისთვის აგვედო ბილეთები.

მე მიწდა მოვიგონო ზოგი რამ ამ მოკლე მგზავრობიდან, ვინაიდან ეს მგზავრობა უკანასკნელი შეიქმნა ჩემი უდროოდ დაღუპული თანამგზავრისათვის.

მე ქვიშხეთში დასვენების დღეებში ჩავდიოდი, რადგან იქამოდ თბილისში სამუშაო მჭონდა. ერთ-ერთი ჩემი ჩასვლის დღე იყო 17 აგვისტო. სიმონი თავისი ოჯახით იქ იყო. მეორე დღეს, დილით, ჩვეულებებისამებრ, ჩვენი დასასვენებელი სახლის ეზოში ფიქვების ჩრდილში შევიყარეთ. ვიდრე ოთახიდან გამოვიდოდი მე უკვე მესმოდა ეზოდან აღურსიანი წყარობა სიმონისა, მის ორ პატარა გოგონასადმი მიმართული: „ფუქუნა, ნანა!“ იშვიათად მინახავს ბავშვების ისე მოუყარული მამა, როგორც სიმონი იყო. არა მარტო საკუთარი ბავშვების სიყვარულით იყო ანთებული, გულგრილად ვერ გავუვლიდა უცნობ ბავშვებსაც და, სადაც უნდოდა შეხვედროდა მათ, უთუოდ მოახერხებდა მათთან დალაპარაკებას. ბავშვებსაც ძალიან უყვარდათ იგი.

რომ დამინახა ეზოში გამოსული, შორიდან სალამი მომამბა და შემომანათა ღიმილშეფენილი სახე. ყველა მის მეგობარსა და ნაცნობს ახსოვს ალბათ სიმონის ნათელი სალაში: სიხარულით გაბრწყინებული თვალები და მთელ სახეზე დაუფარავი ზეიმით გაშლილი ღიმილი. თითქოს ეს-არის დიდი ხნის უნახავ მეგობარს მოულოდნელად შეხვდეთ. და ეს იყო არა მიჩ-

ენებითი თავაზიანობის ექსტი, არამედ გულწრფელი სიხარული, ბავშვური შიამილობით გამოსახული, რადგან მას ყოველთვის ადამიანურად უხაროდა სხეთა სულიერ სფეროში ჩაჭვრეტა, ისევე როგორ თვითონ შედამ საამოდ მიიხნდა საკუთარი აზრებისა და გრძნობების გაზიარება. ვისაუბრეთ დღხანს უმთავრესად, რა თქმა უნდა, ლიტერატურის საკითხებზე. უყვარდა თავის კვლევებიშს შესახებ საუბარი, თუ რა აღმოაჩინა, რა სინტერესო დეტალები გამოარკვია ზოგიერთი ლიტერატურული მოვლენისა; ხშირად ისე აღფრთოვანებული შემხვედრია მეშაობის მოულოდნელი შედეგებით, რომ აუღელეკებოვარ მის ჭამბუკურ გატაცებას აწყობდა მომავალი მეშაობის გეგმებს, უამრავი მასალა მჭონდა შესწავილილი და ისე ზუსტად მჭონდა მოხაზული და დალაგებული ეს მასალი, რომ თითქმის თვალებით ვერტვტვტვ დაშხადებულ წიგნებს. მხოლოდ წუხდა ხშირად, რომ მთელ მის დროს ვერ ახმარდა ამ მეშაობას, მისთვის განუზომელად საყვარელს, რადგან სხვა სამუშაოც მჭონდა დაკისრებული.

მე ქვიშხეთიდან იმ დღეს უნდა დაებრუნებულყავი თბილისში. როცა ეს სიმონმა გაიგო, მთხოვა დამეკადა დილაშდის და ერთად წამოესულყავით. სულ ერთია, ხვალ ადრე ჩავალთ და ზედმეტი არ იქნება, ერთი დამეც ამ სუფთა შავრზე გაატაროთ.

დილით წასვლას შეეკავივი ჩვეული. მაგრამ შარშან ერთმა პატარა ინციდენტმა გადაამჩვიმეთქი, ვუპასუხე მის თხოვნაზე. მაშინვე მოვეუყვი, თუ რა შემემთხვა, და ნაამბობმაც ბევრი აკინა.

შარშან ზაფხულსაც თითო-ორთა დღეობით ჩავდიოდი ქვიშხეთში და ყოველთვის ებრუნდებოდი სადგურ ლიხიდან დილის ჩქარი მატარებლით. მაგრამ ამ მატარებლისთვის რომ მიმეწყო, უფინაზე უნდა წამოესულყავი. ლიხთან ახლოს დღესთან ერთ ეზოში დაბმული იყო უზარმაზარი, ხარისოდნა ჯოგის ძალი. რომელსაც პატრონი დამე უშვებდა და ერთხელ ვავლისს დრენითა და ყვფით ძალიან შემაშინა. მეორეჯერ უარს ვამბობდი ამ გზით დამე გავლახე, მაგრამ ერთი ხერხი მამაწადეს: რომ

წამოვა ყვეფით აღრენილი ძალი შენკენ, შენ იმწამსვე უნდა ჩაჯდო. ძალი ჩამჯდარს რომ დაგინახავს, ერთ-ორს დაიყუდებს და დამშვიდებულად უკან დაბრუნდება, შენ კი შენს გზას გაუღებო. მეც დაუჯერე ამ ხერხს და ჩემი პატარა ჩემოდნით გავუღდე გზას სავსებით დამშვიდებული. როცა სამიშ ადგილს მივუახლოვდი, კი შინდობა არ დამკვიდროდა ამ ხერხის გამოცდა, მაგრამ სთუბდებოდ, ძალი, თითქოს მე მივდიდო, შევახაზე შემომხვდა. დამინახათუ არა, შემომყეფა ისეთი სიმძლავრით, რომ ვასაკვირი იყო ძალისაგან ამხელა ხმა. ყვეფით ჩემსკენ წამოვიდა აძუნელებული. მეც იმწამსვე დადგი მიწაზე ჩემოდანი და ჩამოვკეე. ძალი გააფთხებინა მომეარდა, მაგრამ... ხერხმა მართლა ვასკრა და ძალი შედგა. მაგრამ ყვეფა არ შეუწყვეტია და ისე ახლოს იდგა ჩემთან, რომ სახეში მისი ნაყეფი ნაბიანი ორთქლი მცემდა, და რომ არ დავეწერწყვე, პირზე ქედი ავიფარე. კარგა ხანს ვიყავით ასე. მე ჩემოდანზე ვიკეე, სახეზე ქედდაფარებული, ის კი თავზე მადგა ვაანჩხლებული და შეუსვენებლივ მიყეფდა. საცაა მატარებელს უნდა ჩაველო და ასე ჯდომა ჩემთვის უფარგასი იყო. ვიკადრე დამახება: ძალის პატრონო, გზოდი კარში-მეთქი! იმწამსვე გამოვარდა, ეზოდან პერანგის ამარა გლეხი და შეუძახა ძალს. რომ დამინახა ასეთ მდგომარეობაში, ბოღნით მომმართა: ნახეფარი საათი არ იქნება, რაც ავუსეფი ვგ რჯულძალიო.

— რად გინდა, შე ოჯახამენებულო, ე ვეშაპივით ძალი, — მივახალე გულმოსულმა ძალის პატრონი. — რა გაქვს იმდენი, რომ დარაჯად მგელი დავიყენებია?

— ამის გილაგო ვაწუდეს, ამწოცა ამ ოხრმა, — ვანაგრძობდა გლეხი ბოღნი და ძალი თავზე ხელს უყავინდა. — რა მაქვს, შენი ჭირიმე, სადარაჯო, ქერდს ჩემს ოჯახში რა უნდა, რას ნახავს წასაღებს?! სხვისია, შენი ჭირიმე, მოხარებულა...

მე ხალაპარაკოდ სადა მცალარა, ამდენი ხნის აძუნელებით დასვენებულმა სირბილით მივაშურე ლხნისაგენ, მაგრამ არ ვადამიღვამს ორიოდ ნაბიჯი, რომ ჩქარმა მატარებელმა ჩაიგრიალა... საათ-ნახეფარი ვუცადე მერე ლხნში მეორე მატარებელს...

— ძალიან არ დაუფეთებინარ იმ ჭოფასკი — სიცილით მითხრა სიმონმა. — სხვა ნერაფრის შენი გექნება, რეკოლფერი თანა მაქვს.

— რას ამბობ, — შეუტრე მე, — მაგისტანა ძალი რომ მოკლა, მერე არ გინდა აქედან ვასვლა? ალბათ ერთ ცხენად უღირს მის პატრონი. შევათხმვითი დილის მატარებელზე.

მეორე დილით აღრე გამაღვიძეს, გათენებას რომ საათი უჯდა. სიმონი სწორედ ჩემი ოთახის ზემოთ ცხოვრობდა და, დათქმისამერს, ჭერზე ჯობი დავაკაუნე ფრთხილად, რომ ბავშვებსაც არ ვაძლიებოდათ. იმავე წუთს მომესმა

ჭერს ზემოდან პატარა, ფეხების ჩქარი ნაბიჯები. „ბავშვმაკ ვილიძე“, — გავიფიქრე და სანაპიროდ ჩავიციე და მოვეშხადე. მაგრამ სიმონი ჩამოსვლა აფინებდა. ეზოში გავედი და ბივანზე ავსახე — რამდენიმე წამის შემდეგ ოთახის კარი გაიღო, სიმონი ბივანზე გამოვიდა და გადმომხახა დაწეული ხმით, ახლაც ჩამოვილო. ნელი ნაბიჯით შემოვტარე სახლს და გავეშართე კბისაკენ სიმონის შესახვედრად. ჯერ კიდევ ლამე იყო, ზაფხულის საამური სიგრილითა და მუდროებით მოცული. ეზოში წყაროს შეუნელებული ჩხრალი არღვედა მხოლოდ ლამის მშვიდობიან ძალს. აქაც კარგა ხანს ეუცადებოლოს შემო სართილიდან ჩამოსასვლელ კიბესთან მომესმა სიმონის და მისი ცოლის თამარის ხმადაწეული საუბარა.

— სიმონ, ნე იგვიანებ! — გავეშაურე უკვე წამოსულს.

— მოვდივარ. თმარი შორიდან შემომესალმა და მშვიდობიანი მზახარობა ვესურვა.

ბნელოდა, მაგრამ თვალეზი თანდათან მიეჩეო ვარსკლავების სინათლეს. სიმონს ერთ ხელში ჩემოდანი გვირა და მეორეში რალაც თეთრში გახვეული.

— შენ რა გაქვს ხელში? — მეთხა, როცა ეზოდან ქეჩაში გავდივით.

— ჩემი პორტფელი მომაქვს და ჯობი. — ამა ესეც შენ წამოიღე, — და გამომწოდა თეთრში გამოკრული რომ მოქონდა. — ხაქაურბებია, გზაში გამოგვადგება.

— უსათუოდ გამოგვადგება, — ეუბასუხე და ჩამოვართე.

— რატომ დავაგვიანდა? კარგა ხანს მლოდინე ეზოში. ალბათ ბავშვებმა არ გამოგიშვეს.

— როდის დავიგვიანე? თო წუთიც არ იქნება, რაც დამიხახე. ბავშვებს სძინავთ, თორემ ადვილად თავს ვერ დავაწედი.

— უფრო აღე რომ დავიკაუნე? — ვკითხე მე.

— კაუნე მე არ ვამიგია. — როგორ არა, მე მესმოდა ბავშვის ფეხის ხმა.

— ის ნანა იყო, — თქვა სიმონმა ალერსიანი კოლოთი, — გავლიდა და ჩემთან მოიბრინი, მაგრამ მაშინვე ჩაიძინა. ვინა შენ დააკაუნე? ჩვენს ებ ვავიგობა.

ამ ლაპარაკში რომ იყავით, შეენიშნე, რომ სიმონის ჩემოდანი მძიმე ჭრაქუნებდა და ისიც ხშირად ხელს ინაცვლებდა და, ბოლოს, მხარზეც შემოიღო.

— რა მოგაქვს, კაცო, მაგ ჩემოდნით, მძიმე ჩანს?

— ჩემი წიგნები მომაქვს, — მოასუხა. — მეტს აღარ დავბრუნდები აქ. უნივერსიტეტში მუშაობა იწყება და ჩემი შეგბოლებაც გათავდა.

— დადგი შენ ერთი მაგ ჩემოდანი ძირს და მე ფიზიკის ერთი კანონის დემონსტრაციას გა-

ვაკეთებ ახლავ და თან დავამტკიცებ კოლექტორს შრომის უბრატესობას.

სიმონი მიხედა, რასაც ვაპირებდი.

— შენ გვონია, მიმიძის? არა, ძალიან ადვილად მიმაქვს.

მე შანიც არ მოვეყვი და დავიყბუე. ჩემოლნის სახელურს ჩემი შინდის ჯოხი გაეუყარე და ორთავემ მსუბუქად ავწიეთ ტერით.

— სად არის შენი შემშინებელი ძალი? — მკითხა სიმონმა, როცა დაბლა ჩამოვედი და გავიჯაკეთე.

— აი ამ შარავზის ბოლოს, ლელსთან. მაგრამ როცა ორნი ვართ, არ მშინია. ძალს ორი კაცისა უოველთვის მეტი შიში აქვს, — შევნიშნე მე.

გვაიარეთ ის ადგილიც და ძაღლის ჩამიჩუმი არ ისმოდა.

— ავი ვითხარი, ვფასაც ვერ ბედავს, რაკი ორის საუბარი ესმის.

— შენ გინდა ახლა სამავიერო ვადუხადო და მშინვრად გამოიყვანო ძალი? — მითხრა ხუმრობით სიმონმა. ალბათ არ არის აქ, თორემ ვაგაკოცობს გამოჩენის არ მოერიდებოდა.

როცა ლხინს აღმართს შევუღებოთ, დავცუცხა.

— მოლა, აქ შეგისვენოთ ცოტა, — მივმართე მე.

— კი, მაგრამ რომ დავვაგვიანდეს? აი, იმ ბექობზე ვივდი და იქ შევიცვენოთ. — მითხრა მან. — იქ მატარებლის შემოსვლას რომ გვივლონებთ, შერეც მოვასწრებთ არბენას.

მეც დავთანხმდი, ავედი ბექობზე, ჩემოლანი დავდევი და ზედ დავსხდით.

სიმონმა ხელსახოცით შეოფლიანებული შუბლი შეიმშრალა და ცას ახედა.

— უჰ, ეს რა ამბავია, საშა, შეხედე ცას, — გავიჩვიებოთ მომშინავთ თავამართულმა. — ამდენი ვარსკვლავი ერთად ჩემს ღღეში არ მიხანავს!

მეც თვალი მოვაველე ცას. მართლაც ვასიოცარი სანახავი იყო. ცის უბრამხარი გუმბათი სავსე იყო ვაკრიადებულ-დარეცხილი ვარსკვლავებით. ალბათ აგვისტოს უნისლო და უმტერო ჰაერი, მთელი ღამის მუხდროებით დაწმენდილი იმდენად გამკვირვალე იყო ალიონის მოახლოების გამო, რომ უბრალო თვალემა ტრესკოპებით სწედებოდა ცის იღუმალ სიღრმეს.

ვარსკვლავები ჩვეულებრივად კი არ ჰანდნენ ერთ სიბრტყეზე, არამედ მკაფიოდ ისახებოდა ცის შორეულ სიღრმის თვალსმოძრევი პერსპექტივა. პირველი სიდიდის ვარსკვლავები, რომლებიც ამჟამად ვაიოლებით უფრო მრავალრიცხოვანი იყო, ვიდრე საღამოს ცაზეა ხოლმე, ისე ახლოს ჰანდნენ, თითქოს მათს მწვერვალებს ეხებოდენ, ხოლო მომცრო ვარსკვლავები უფრო ღრმად იყვნენ ვაბნუენნი, იმათ იქით კი, ცის უფსკრულეში თოვლის კორიანტელივით იბრუნდა ნათელ წერტილების მთელი ზღვა, რაც

თანდთან ცის დაუსრულებელ სივრცეში თეთრ ნისლად გუბდებოდა.

— ჩემს ღღეში ამდენი ვარსკვლავი სანახავს, — იმეორებდა ვარსკვლავებული სიმონი და ცას ზომავდა თვალბით. — ყოველი ეს, დიდი თუ პატარა, წერტილი ხომ ისეთივე მზეა, როგორც ჩვენი ღღის მწათობი?

— მათ შორის ბევრია ისეთიც, — დავუდასტურე მე, — რომ ჩვენი მზე წვეთადაც არ ეყოლა ჩვენი მზის სიდიდე ხომ თითქმის მიუწევლომება ჩვენი მზის ცენტრებს რომ მოათავსო დედამიწა, მთავარ ობიექტებს მიწის გარშემო მზის სფეროს შიგნით და მის ზედაპირამდე კიდევ დარჩება რამდენიმე ათასი კილომეტრი. მოლა, არის იმ ზომის ვარსკვლავი, როგორც წამკითხავს, რომ ჩვენი მზე მასთან სახსენებელიც არ არის. რომ წარმოიდგინოთ მთელი ჩვენი მზე ერთ ვეება წვეთად და ასეთი წვეთი ყოველ წუთს ევემოდა ერთი მეორეს, საჭირო იქნება რამდენიმე ათასი საუკუნე; რომ ერთი დიდი ვარსკვლავის მოცულობა მივიღოთ.

— ამის წარმოდგენა ძნელია, — თქვა სიმონმა. — მაგრამ ეს საგნო მშვერდებულებით ამტკიცებს მსოფლიოს განუსაზღვრელ სიდიდეს. ამდენ მზეს ხომ ყველას თავისი საკუთარი პლანეტების სისტემა აქვს. რამდენი სხვადასხვა ასაკისა და აღნაგობის პლანეტი ტრიალებს ახლა ამ უჩოცხე ვარსკვლავებში. უკველია, სადმე, შეიძლება არის კიდევ ჩვენსავე ვინიერი არსება, ვინ იყის, იქნება ახლაც, აი, ამ წუთს, ცის, აი, იმ კუთხეში, რომელიმე პლანეტაზე, პატარა ბექობზე სხედან ორნი, ჩვენსავით ავირდებიან ვარსკვლავებით მოფენილ ცას და სწორედ ჩვენს მზეს შესტკირან და ოცნებობენ.

— იქნება ისინიც წიგნებით ვატენილ ჩემოდანზე სხედან, — ვავეხუმრე მე.

ამ დროს სადგურ ლიხზე ორთქლმავალში მოულოდნელად დაიდრიალა და გვირამისაკენ ზარბარით დაიძრა ნავთის მატარებელი.

— ხედავ, საით მიდის მატარებელი? — წამოიძახა სიმონმა.

— ვხედავ და ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ შეგვიძლია ვიოცნებოთ და დავტკებთ ამ ღამის მშვენიერებით კიდევ ორმოცი წუთი, ვიდრე წიფიდან ჩვენი მატარებელი მოვიდოდეს.

— გამოდის, რომ ამჟამად შენ უნდა დაასრულო შენი აქალი სატყევი და მე უნდა ვიშველო ამ საქმეში, — დაძინა სიმონმა.

— მე ხომ ვშველი ჩემოდნის ზიღვაში? — ვუპასუხე მე.

სიმონმა ჩემოდნის ძვიდეს ხელი შეავლო.

— მართლაც ჩვენი საუბრის შესაფერია ეს ტერითი. ამ ჩემოდანში, რომელზედაც ჩვენ ვსხედვართ, რამდენი მაღალი აზრი და ღრმა განცლებმა წიგნებში კონსერვირებული, ისე მაღალი და ღრმა, როგორც ჩვენი ზემოთ გაშლილი ვარსკვლავები აყავებული ცა, მაგრამ ეს ცა

შინც ყველაზე ღრმაზაროვანი წიგნია, ვარსკვლავების ასობით დაშიფრული, რომლის ნაწილობრივი ამოკითხვაც განუსაზღვრელად გაამდიდრებს ადამიანის გონებას... მაგრამ, სამწუხაროდ, კაცობრიობას ჯერ ამ წიგნის ანბანიც არა აქვს შესწავლილი. ამისათვის მას არა სცალია. დღევანდელად კაცობრიობის ისტორია იყო მიწაზე გაშვებული დარული მონების ისტორია. კაცობრიობა ჯერ კიდევ ოთხ ფეხზეა დამდგარი და მას ცისკენ ჯერ თვალები არ აუმაბრთავს. თითო-ორთადა მეცნიერი სათვალავში ჩასადგები არ არის. მხოლოდ ახლა დადგა ხალხი ოთხ ფეხზე და თვალები ცის ვარსკვლავს. შენს რომანში უსათუოდ უნდა აღნიშნო, ჩემი აზრით ეს მხარე. ადამიანმა თანამედროვეობის უღელი უნდა მოიპოროს კისრიდან, რომ შეძლოს თავისუფლად შეხედოს და შესციონოს ვარსკვლავებს. მანამდე კი ხეცია, თავისი ვარსკვლავებით, შესანიშნავი წიგნია წერა-კითხვის უკოდინარო ადამიანის წინ გადაშლილი...

სიმონი წამოდგა და ღრმად ამოისუნთქა. უკვე აღიონის თეთრი ფრთა სცემდა ცის კიდეს და ზევით ერეებოდა ვარსკვლავებს.

— მე პირდაპირ ვერანტელი მივლის ტანში, — განავრძობდა სიმონი, — როცა წარმოვიდგენ, რა პერსპექტივები გაიშლება თავისუფალი კაცობრიობის წინაშე, რამდენი გონების წარმტაცი პრობლემა წამოიჭრა და რამდენი „სადღურმოვებით“ მოველი უფსკრული განათდება ძლევაშოსილი ინტელექტის შუქით. ეს იმდენად დიდი და ბრწყინვალე მოშავალია, რომ ამისათვის ღირს თავდადება. მთელი ეს ენერჯია, რაც დღევანდელ კაცობრიობის შინაგან ძალთა უიდილს ზმარდება, ათასჯერ გადღებულნი ძალით კლასთა ბრძოლის ბოღმისა და შხამისაგან გაქმნენდილი კაცობრიობის ამაღლების ახალ გზაზე რომ გაეკანება, შენ შეგიძლია თუ არა წარმოიდგინო, რა განსაკვირვებელ სიმძალეზე ავაღდებს ადამიანთა მოღვაწის? მაგრამ ამ გზაზე დღეს, ჩვენი ზღაპრებიდან რომ ვიხმარო შედარება, გაწოლილი საზოგადოარი ვეშაბი, რომელიც ნიქაქს ყველას, ვინც ამ მიმართულებით სვლას გაუდგავს...

სიმონი ლამაზაკობდა დაბალი ხმით, თითქმის ჩურჩულთა, მაგრამ ვატყვებით და შთავიგონებულად. მე ჩემოდანზე ვიჯექი, ვერს ვუგდებდი და ვიქცებებოდი ხაშურისაკენ, სადაც ელექტრონის უხვი შუქი ეკლბებოდა განთიადის თერს ბოლს.

— ერთი რამ არის კიდევ აღსანიშნავი, — თქვა მან და ისევ ზამოჯდა ზემ გვერდით ჩემოდანზე. — ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობის შეუსაბამობა მის წინაშე დაშული ამოცანებისთვის საჭირო დროსთან. ცნობილია, რომ ყოველი პურის ცხოველი და მცენარე ცოცხლობს იმდენს, რამდენიც საჭიროა მისი ჯიშის მომრავლებისათვის. ამ მხარე ბუნებაში არსებობს სრული წონასწორობა ადამიანის სი-

ცოცხლის ხანგრძლივობაც ბუნებითვე განსაზღვრული. საშუალოდაც 60-100 წწელიწადი სრულიად საკმარისია პირველყოფილ ადამიანისათვის. 15 — 16 წლისა ის უკვე საცხებით შეიარაღებულია არსებობისათვის საბრძოლველად და მივლი მისი დანარჩენი სიცოცხლე ინტერესთა ერთსა და იმავე პრიმიტიულ წრეთა ტრაილესს. სულ სხვაა ჩვენი საუკუნის ადამიანი, მით უმეტეს, მომავალი ადამიანი. მის წინაშე იმდენი ამოცანაა დასმული, მისი ინტელექტი იმდენად რთულ და ღრმა საკითხებზე არცეებს, რომ მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა სრულიად არ შეუფერება იმისთვის დაესრულებულ სამუშაოს, რა თქმა უნდა, კომუნისტურ ხანაში ადამიანს დაუბრუნდება სიცოცხლის ბუნებრივი ხანგრძლივობა, რასაც ჩვენ დღეს მოკლებულნი ვართ, მაგრამ ეს საკმარ არ იქნება. მომავალი თავისუფალი კაცობრიობა იბრძოლებს და გამარჯვებას კიდევ საშუალებას ადამიანის...

- უცდავებისათვის, — შეეაწყვეტინე მე.
- არა, პირადად უცდავება მისტიკაა.
- ხუთას წელზე ნაკლებს მიინც არ იქმარებს.

— არა, მე არ ვაპირებ წელთა რაოდენობის განსაზღვრას, მაგრამ ვფიქრობ, რომ უნდა დამყარდეს საჭირო მინიმუმი და აღდგეს დარღვეული წონასწორობა. ადამიანის გული უნდა გაძლეს სიცოცხლათ...

— გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძლოველი, — გაეაწყვეტინე ისევ სიტყვა.

— არის ადამიანში უსათუოდ ძალთა სრული დახარჯვისა და შესრულებული მოვალეობის გრძნობა. როცა ასეთი გრძნობა ეწვევა ადამიანს, იგი შხად არის დასვენებისათვის...

ვიჯექით წიგნებით საყვარე ჩემოდანზე. ლიხის აღმართის ერთ ბექობზე, ორი ქართველი მწერალი, ვარს გვერტყა ავეისტოს ლამის გრილი შეუღრობა და თავს დავევანთოდა აღიონით შეფერილი ვარსკვლავებიანი ცა ხაშურის თავზე ციმციმებდა შეუდარებლად ბრწყინვალე დილის ვარსკვლავი. ნელ-ნელა ამოვიდა წერილი ვერცხლის ძაფებით ვალეული მამავლა მთეარე. გრილი-ღა მზე ავლდა ცის მნათობთა სრულ პარადს და იგივე მალე უნდა ამოსულიყო. ცის ქვეშ, აღმოსავლეთის ნაპირზე, ენთებოდა ვედის ფრთასავით თეთრი ღრუბელი, ცა ეშხადებოდა მზის შესახვედრად... ტამისკარის ხეობიდან ნიკემა დაპერა და ქვიშხეთში მამლებმა იუიელეს. ამ დროს მოულოდნელად ლიხის სადგურიდან მოგვესმა ზარის ხმა: მატარებელი გამოვიდა წიფლან.

ჩვენც ავუთქით და ნელ-ნელა წამოვედით სადგურისაკენ. თითქმის გული გიწუდებოდა, რომ ამ მშვენიერ სანახაობას ეტოვებდით. მალე ვარსკვლავებით დახურული ოცნების კარავიდან გაისრულილ ბნელ სააოროს მხროლოცი ლამობით დაბოლილ დარბაზში შევედით. სიმონმა

უსაყვედურა სადგურის უფროსს, რომ ამ ელექტრონით განიზიარდნებულ უბანში, სადაც მატარებელსაც ელდენი ამოძრავებს, სადგური ასე საცოდავად ბეუტავს, ნავთის სანაოთი გაქვარტლული.

სალაროში არც რბილი და არც პლაკარტიანი ადგილი არ იყო. ვიყიდეთ ბილეთები საერთო ვაგონში და მატარებელიც მოგრაილდა.

როგორც იყო, მოვთავსდით მგზავრებით გატენილ ვაგონში.

სიმონი მაშინვე დაუშვეგობრდა ერთ პატარა 5—6 წლის ბიჭიკოს და გააბა მასთან საუბარი.

კარგა გათენებული იყო, როცა ხაშურს გავცდით.

მეორე დღეს სიმონს შეეხვდი მწერალთა სასახლეში. ძალიან ფერმკრთალი იყო. მითხრა, რომ ახერხებს ორი-სამი დღით ქვიშხეთში წამოსვლას, და მოხოვა ერთად წავსულიყავით.

ხელ თუ არა, ზევ უსათუოდ მეცოდინება, რადღისთვის ავიღოთ ბილეთებიო. 29 აგვისტოს შეადლოთ უნივერსიტეტის წინტრაშეჭას ვაგონიდან დაეინახე, გამიციანა და ხელებით მანიშნა, გვეტაძისათვის ფული გაეაგზავნინე ბორჯომშიო. 22 აგვისტოს ვერსად შეეხვდი, მეორე დღეს უნდა მენახა, რომ გამოშერკეო, როდის მიედიოლით ქვიშხეთში.

მაგრამ უღმობელ ბედისწერას მისთვის უკვირსხვა გზა აერჩია...

ახლა ხშირად მაგონდება მისი სიტყვები:

„არის ადამიანში უსათუოდ ძალთა სრული დახარჯვისა და შესრულებული მოვალეობის გრძნობა. როცა ასეთი გრძნობა ეწვევა ადამიანს, იგი მზად არის დასვენებისათვის“.

სიმონის შემოქმედებითი ძალა ზენიტს უახლოვდებოდა, როცა უაზრო სიკვდილმა შეწყვიტა მისი გულისცემა და საფლავში ჩამარხა დაუხარჯავი ძალების უდიდესი მარაგი.



ვლადიმერ ელსნერის ლექსების კრებული



